

ქართული მწიგნობები

სალიტერატურო შურნალი

დაარსებულია
1926 წელს

აღდგენილია
1990 წელს

განახლებულია
2008 წელს

4

ავრილი
2011

რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

რედაქტორის მოადგილე

ზვიად კვარაცხელია

სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა
მეგი ობოლაშვილი
ოლიკო ჟღენტი
ნინო სადღობელაშვილი
გვანცა ჯობავა

კონცეფცია და დიზაინი:
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.



გამომცემლობა ინტელექტი

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54
ფაქსი: 25-05-22, 91-22-83
www.intelekti.ge info@intelekti.ge
რედაქტორი: 8(99) 90-37-22

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

პოეზია

- რაულ ჩილაჩავა. ლექსები 5**
სანდრო ლორთქიფანიძე. ლექსები 8

მხატვრული პროზა

- ირაკლი ლომოური. ავტონეკროლოგი 10**
ლადო კილასონია. ერთი საღამოს გახსენება 15

ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა

- მარიამ ნიკლაური. დაუნერელი წერილებიდან 20**
გიორგი გოგოლაშვილი. რაც თვალს უნახავს ან სმენას 26
სხვისაგან გაუგონია (გურამ ბედოშვილის გახსენება)

კრიტიკა

- ლევან ბრეგვაძე. იასამანი ტაძარში 29**
რეზო კვესელავა. ბედი პოეტისა 33
ნინო ჩხიკვიშვილი. ჩუმკარგი მწერალი 40
(ციკლიდან „წერილები ჩემს ემიგრანტ ვაჟს“)

უკვდავი სახელები

- ავთანდილ არაბული. ვარლამ თოფურია და XX საუკუნე 43**

თვალსაზრისი

- ესმა მანია. „სამოქალაქო კაკუნის“ მოლოდინში 50**
(ნაფიც მსაჯულთა სასამართლო)

შტრიხები პორტრეტისათვის

- 53 დილარ ივარდავა.** მარტოსულობა ფრანსუაზა საგანისა
- 62 ბრენდა ნაითი.** დაიან დი პრიმა – პოეტი ღვთისმსახური
ნიგნიდან „ბიტი თაობის ქალები“
(ინგლისურიდან თარგმნა სალომე ბენიძემ)

ასალი თარგმანები

- 66 აჰმად ტაჰა.** კედლების იმპერია (ფრაგმენტები კრებულიდან)
(არაბულიდან თარგმნა ნინო დოლიძემ)
- 70 მარგერიტ იურსენარი.** მარკოს ღიმილი
(ფრანგულიდან თარგმნა ილია გასვიანმა)

თეატრი

- 76 თამარ კიკნაველიძე.** თემო ნინუას SECOND HEND-ი
- 79 რუსთაველის თეატრის აფიშა (აპრილი)**

წოდარ ტაბიძე – 80

- 80 იოსებ ჭუმბურიძე.** ბრინჯაოს მოძღვარი

პრეზენტაციები

- 81** ბესიკ ხარანაული ილიას უნივერსიტეტში
- 81** „წითელი“ და „ხელით ნაქსოვი თოჯინები“ –
ორი მწერლის სიმბოლური სამი ერთიანი
- 83** შეხვედრა ბათუ დანელიასთან
- 83** „სინათლის მადებარი“ „გზააბნეულთა“ მეოხად...

წომრის თემა: მწერალი და სამსახური

- 13** პაატა ჩხეიძე. არამწერლური სამსახური
- 17** სოსო მეშველიანი. ლექსი, რომელსაც „აპრილი“ უნდა რქმეოდა...
- 21** მარიამ ხუცურაული. იმედია, ინებებს უფალი...
- 27** ნუკრი ბერეთელი. მოსაკითხი ბარათი
- 35** სერგო წურწუმია. წერა და სამსახური
- 45** ირაკლი კაკაბაძე. სად იწყება ცხოვრება და სად
მთავრდება პოეზია. სად იწყება პოეზია და სად
მთავრდება ცხოვრება.
- 55** ნატა ვარადა. ცალმხრივად მოძრაობა აკრძალულია!
- 71** ზაზა ბიბილაშვილი. დიოფიზიტური ტირადა

პოეზია

რაულ ჩილაჩავა
ლექსაპი

უდაბნო

ვიდრე შევამჩნევ ჰორიზონტზე სიცოცხლის ნიშანს,
უნყოფილობა და უჩრდილობით განაწვალეები,
მოვინუხსები მირაჟების ხშირი ცვალებით,
მხურვალე ქარი შემომაყრის სახეში ქვიშას.

ცისკიდეს გახვევს პირამიდა წამახულ წვეტივით,
უკვდავებისკენ გააგრძელებს დენას ნილოსი
და ვით ნაზავი სამარხვოსი და სახსნილოსი,
მე დამეცემა დილის ნამის პანია წვეთი.

ჩემში ერთბაშად გაცოცხლდება ხეოპსი, რამზეს
და კოლხურ სისხლში ეგვიპტური სისხლის ატომებს
ვიგრძნობ და მერე არასოდეს არ მიმატოვებს
შორი წარსული, ასხლეტილი უდაბნოს ტანზე.

ჩემს ვაჟიშვილებს
რაულს და თიანურს

არაფერი დამრჩება ქვეყნად გარდა თქვენი და
ულმოზელი ჟამისგან მტვერწაყრილი წიგნების.
დაიქუხებთ ის თოფი, საწუთრო რომ ტენიდა
და ამ ცოდვილ მიწაზე მეტჯერ აღარ ვიქნები.

არც არავინ იკითხავს, რა მიყვარდა, რა მწამდა,
ამ უაზრო ქაღალდებს თავი რად დავაკალი,
არ იქნება შეშრობა ცრემლდადენილ წამწამთა,
დარდით არ გადაჭკნება გზის გადაღმა ბზაკალი.

მე ვინა ვარ, გადამყვეს ერი, ბერი, ელიტა,
ისე, როგორც მოვედი, ნავალ შეუმჩნეველი.
ბნელში გადავეშვები გადმოსული ბნელიდან,
სანთლის შუქს დამადევნებს საყდრის საკურთხეველი.

ჰო, წიგნებზე ვამბობდი, თუმცა რა მენიგნება!
წიგნიანად, უწიგნოდ ვეღარ გავიხარე შინ.
თქვენი ჩუმი ქვითინი ჩემი საშვი იქნება
იმ ერთადერთ, იმ უცნობ, იმ გარდუვალ მხარეში!



რაულ ჩილაჩავა დაიბადა 1948 წლის 15 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითანყარში. იზრდებოდა იმავე რაიონის სოფელ ძველ აბასთუმანში, სადაც 1965 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1965-1970 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. 1967 წელს მიაღწინეს კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტში უკრაინული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად. 1970 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და სტაჟირებაც. მას შემდეგ ცხოვრობს და მოღვაწეობს კიევში. მუშაობდა პრესაში, ათწელიწადზე მეტ ხანს იყო უკრაინის ეროვნებებისა და მიგრაციის საქმეთა მინისტრის მოადგილე, პარალელურად დედაქალაქის რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტში ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, 2006-2010 წლებში იყო უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიაში.



რაულ ჩილაჩავა არის საქართველოს, უკრაინისა და ლატვიის მწერალთა კავშირების წევრი, მწერალთა და პუბლიცისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, უკრაინის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი, პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გალაკტიონ ტაბიძის, მაქსიმ რილსკის, ვლადიმერ ვინიჩენკოს, ალექსანდრე ჩაკისის, მავრიკ ვულფსონის სახელობის პრემიების ლაურეატი, ევროპის ხელოვნებათა კავშირის ფრანც კაფკას სახელობის ოქროს მედლის მფლობელი, მინიჭებული აქვს „ქართული კულტურის ამგდარის“ ნოდება. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (საქართველო), ორდენით „დამსახურებისათვის“ (უკრაინა), „სამი ვარსკვლავის“ ორდენით (ლატვია), უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა მემატთანე ნესტორის ორდენით, წმინდა სტანისლავის სახელობის საერთაშორისო ორდენებით „კომანდორის ჯვარი“ და „ოფიცრის ჯვარი“, სხვა სახელმწიფო და საერთაშორისო ჯილდოებით. გამოცემული აქვს 100-მდე საკუთარი და ნათარგმნი წიგნი.

შენობა

I
 ო, ეს შენობა პირქუში და გისოსიანი,
 რომლის ნიაღშიც შენს ნაწერებს
 თითქოს ჯოჯო ხევს,
 გაცოცხლდა უცებ და ფარულად
 გისისიანებს,
 გათხარო ხვრელი, დააღწიო
 თავი ჯოჯოხეთს.

აქ ლამამობით გროვდებიან
 ხილვები ავი
 და შენ არ იცი, ზავი დასდო
 რომელ მათგანთან.
 ვერ უძლებს ყური დასაკლავი
 ხარების ბლავილს,
 ვერ ეგუება თვალი ცახცახს
 შემკრთალ ბატკანთა.

შავ კედლებს შორის დრო
 იფშვება სევდით ნაფერი,
 ერთგვარად ფასობს „სადღესო“,
 „სამარადისო“.
 „მაინც სანამდის გაგრძელდება
 ეს ყველაფერი?“ –
 კითხულობ შენ და იქვე გცმის:
 „სამარემდისო!“

II
 ამ შენობაში პანია ბინა
 მეცა მაქვს, რასაც მოწმობს ორდერი.
 გადამელახოს თითქოს ოდერი
 ან დამეთრგუნოს ტევეტონის რკინა,
 გავმაგრდი შიგნით... და თუმცა ციხე –
 სიმაგრედ მას არ მივიჩნევ, არა,
 მე აქ საკუთარ ტკივილებს ვფარავ,
 არც წინ მივიწვევ, არც უკან ვიხევ.
 რაც ჟამი გადის, მით უფრო მჯერა:
 კმარა ბოლომდე, რაც მიკმარია!..
 ამ შენობაში ბევრი კარია,
 რომლიდან გავალ, არ ვიცი ჯერაც!

...და ტირის გმირებზე ქარი

ვისხენებ ყულიევს, გამზათოვს,
 კუგულდინოვსა და ქარიმს.
 მგონია, განზრახ წვიმს,
 განზრახ თოვს,
 განზრახ ამოვარდა ქარი.
 დრო თუმცა ხსოვნისთვის ყულფია,

მე მასში გახედვა ვცადე:
 იქ დგანან სილვა და ზულფია,
 ბაჟანი და ტურსუნ-ზადე.
 იქვეა ქართული ამაღაც –
 სიმონი, ირაკლი, გოგლა.
 (რაც ნელთა ბურუსმა დამალა,
 ზოგჯერ შეგვახსენებს „გიდელე“).
 საგლოვოდ დახრილან დროშანი,
 ქვეყნის გადამწყდარა ბედი.
 მე ვამჩნევ დუდინს და ოშანინს,
 ტიხონოვს, ტარკოვსკის, ფედინს.
 წასულან ეპოქის გმირები,
 ჩუმად გაუხურავთ კარი.
 ეკრანზე წყდებიან ფირები,
 მეფობას ლამობენ მწირები,
 ალვობას ჩემობენ წკირები
 და ტირის გმირებზე ქარი.

პარიზი-რომი

„მხოლოდ პარიზი ღირსია რომის,
 მხოლოდ რომია ღირსი პარიზის!..
 მე ორ სირჩაში დავასხი რომი,
 უკეთუ ჩემს წინ მეგობარი ზის.

ჩვენ თუ ერთურთის ღირსი არა ვართ,
 ამ ტავერნაში, ნეტავ, რა გვირდა?
 ვამბობთ სიმართლეს დაუფარავად,
 ჩვენს გულელებში რომ წლობით
 დაღვინდა.

ვყოფილვართ (მზარავს ტკივილი
 ძველი)
 უსახლკარონი და უფულონი,
 მაგრამ ერთხელაც ვნახეთ ბულონი,
 ლუვრი, ვერსალი, ელისეს ველი.

არ ვიცი, ხვალ-ზეგ ვიქნები მე სად,
 ან შენ იქნები რისი მფლობელი,
 მაგრამ ამ დღისთვის ვარ
 მადლობელი,
 ღირდა, ცხადია, პარიზი მესად!

მესთატიხაში

უკვე არ მიკვირს წიგნები სქელი,
 ტომები მსხვილი, შრიფტი – ზვიადი.
 მე ნანახი მაქვს ცხოვრების სკნელი,
 მე გავლილი მაქვს სატანის ველი,
 ვიცი რად ჯაბნის ნათელს წყვილიადი.
 დაეჯახება ღრუბელი ღრუბელს,

გაიბზარება ცის კაბადონი.
დახედავს მინას მკაცრი ბატონი
და დააბერტყავს ელვიან უბეს.
დაუშვებს მძიმე ფარდებს მსახური,
თვალეებს დახუჭავს სასახლე...

თითქოს
წუთით მის თაღქვეშ შელტოლვას
ითხოვს

გონჯი, მახინჯი და უსახური.
მე კი პირიქით, გამოვალ გარეთ,
როგორც შორეულ ჟამს სიყმანვილის,
და ცის ნაწილი, მიწის ნაწილი,
მეტხატებაში შევადებ კარებს,
რათა მოვიღბო ჭრილობა მწარე
და შევამცირო შენსკენ მანძილი.

აგენტი

მონმე – მრავალი, სამხილი – ცოტა,
იხარე, მწვანე შუქი აგენტო,
ვისთვის მზვერავო, ვისთვის –
აგენტო...

რას, რას განიცდი, როდესაც
სცოდავ?

დადიხარ, რიგით მოკვდავს ედრები,
ცოლთან თხუთმეტში მიგაქვს ავანსი.
ბჭობ წუთისოფლის ავანჩავანზე,
შვილის სიკეთეს ღმერთს ევედრები.
გიყვარს პიკასო, გიყვარს დალი და
დოლის ცხენების ქროლვა შლეგური
ჩამოუარო ლამის ლეკური,
როდესაც გზნებით მღერის დალიდა.
შენ საკუთარი სივრცე მოხაზე
და შიგ არავის ეპატიჟები.
გაცინებს სხვათა ეპატაჟები,
თუმც ზოგჯერ ცრემლიც

დაგდის ლოყაზე.
ვერავინ მიხვდა, როდის ჩაფლავდა,
ყველა გაღმერთებს, ვინც კი გაგენდო.
ძმას და მეგობარს ჰგავხარ, აგენტო,
როდესაც ტირი... მსხვერპლის
საფლავთან.

ყივჩალები

ცოლი მთხოვა და ვერ მივეც...
ხალხური

მარად მშფოთვარე საუკუნეთა
ტალღები ტალღებს მიჯახებია.

ჩვენს ჰორიზონტზე კვლავ
რომ გამოჩნდნენ,
თუ არ მეშლება, ყივჩალებია.
გვთხოვეს და უარს
როგორ ვეტყვოდით,
ფეშქემ – ბორჯომი, ფეშქემ – ლიკანი!
დამლაგებელთა რიგში ჩამდგარან
ჩვენნი თაკონი, ჩვენნი ლიკანი.
ღვინო – ბადაგის, პური – თავთუხის,
მხოლოდ სხვათათვის გვისურვებია
და დღევანდელი ჩვენი ურევები,
მათგან რომ მოდის, ის ურევებია.
თითქოს ჯილაგი გადაგვიგვარდა,
ფუეღება ეჭვი, ვით საფუარი:
ვაჰ, თუ ერთხელაც ცოლიც
მოგვთხოვონ
და ვერ ვაკადროთ მთხოვენელს უარი!

მშობლების გულში

მეტყოდა მამა, კიდევ ცოტა ხნით
დარჩიო, მაგრამ მე არ ვრჩებოდი,
ზოგჯერ დედასაც ვეურჩებოდი
და ცარიელი ჩემი ოთახი
მათ სევდასა და ნაღველს მატებდა,
რაც წერილებში ჟონავდა ხშირად.
დღეები დღეებს, კვირებს კვირა
ცვლიდა და ფიქრი დაფარფატებდა
ფრთამოტეხილი პეპლის ნაირად
უკაცურ ბაღში... ასე მრავალი
წელი გავიდა და კარნავალი –
ნიღბები, ზურნა, დოლი, დაირა –
ჩაბარდა წარსულს და დღეს, როდესაც
აღარც დედა და აღარც მამა,
ის უხილავი, ფარული დრამა,
ასე მგონია, პესიოდესაც
აატირებდა... ნავიდა გუშინ
შვილი და თითქოს მისი ოთახი
ავსეს ხმებმა: „ცოტა, ცოტა ხნით!..“
და ჩამახედეს მშობლების გულში.

კალმის გაძევა

სულ სხვა რამის
დანერა მინდოდა და
სულ სხვა რამ დავწერე,
კალამი გამექცა.
მიტომაც ამ ტექსტს
ნოუთბუქზე ვაწყობ.





ყოველთვის მიჭირს ჩემი თავის შესახებ რაღაცის წერა, ცოტა ვიფიქრე თუ ცოტა ვიფიქრე, გადავწყვიტე, რაღაც ფორმა მომეძებნა და წარმოვიდგინე, როგორ დანერდა ჩემს მოკლე ბიოგრაფიას ოსვენციმის ან ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტი, მე რომ უბრალო ებრაელი ტყვე ვყოფილიყავი, მაშ ასე:

ალექსანდრე ლორთქიფანიძე (ხვიარა – ეს სავარაუდოდ საიდუმლო ებრაული წყევლის აღმნიშვნელი სიტყვაა) – დაიბადა ქალაქ თბილისში, 1988 წელს (ტყვის დაბადების წელი შენიღბულია და მითითებულია მომავლის დრო), არ აქვს მნიშვნელობა რა დაამთავრა და რა არ, როგორც ცნობილია, აქვს ათწლიანი მუსიკალური განათლება, რაც კიდევ უფრო სახიფათოს ხდის მის დამოკიდებულებას ხელოვნებისადმი. უყვარს ვაგნერი, მაგრამ ეს ალბათ უფრო მოჩვენებითია, რათა მესამე რაიხის გემოვნება გაიზიაროს. არის ე. წ. ინტელექტულების (რომელიც ჩვენი არიული რასისათვის მიუღებელი საზოგადოებაა, რადგან თავის თავში გულისხმობს ანტინაცისტურ იდეოლოგიას) წევრი და ახალგაზრდული გუნდის კაპიტანი. დაამთავრა თეატრალური უნივერსიტეტი, სამსახიობო ფაკულტეტი, ნათამაშები აქვს რამდენიმე სპექტაკლი, მათ შორის ანტინაცისტური იდეოლოგიით. სანამ საკონცენტრაციო ბანაკში ავიყვანდით, ის-ის იყო უნდა დაემთავრებინა მაგისტრატურაც, იმავე უნივერსიტეტში, კინოდრამატურგიის განხრით. თუ მისი მოქცევა მოვახერხეთ, შეგვიძლია სააგიტაციო ფილმების სცენარი

სანდრო ლორთქიფანიძე ლექსაპი

ამბავი მიციხოვნიანზე, რომლებიც...

მეციხოვნეებს ევალებათ დაიცვან ჩვენი კედლები,
დაიცვან ჩვენი გულები ტერორისაგან,
ევალებათ მეციხოვნეებს,
იდგენენ ყოველი ამოსუნთქვისას ჩვენს წინ
და არ იყურონ ჩვენს მიღმა,
რადგან სიბრმავე დაებეღებათ
მეციხოვნეებს.
როცა ყველა მთვარე ჩვენი ციხესიმაგრის გარშემო,
როცა ყველა მთვარე ერთდება,
მეციხოვნეებს ევალებათ იტირონ ხმამალა,
ხმამალა იტირონ,
რომ ვერ გაბედონ ჩვენი გაღვიძება,
რადგან იციან ალიონზე ცეცხლის გაშვება
მეციხოვნეებმა.
ჩვენ გვძინავს, გვძინავს, გვძინავს,
როგორც გვეძინა დაძინებამდე
და მერე, როცა ვუამბობდით ერთმანეთს ზღაპრებს,
როგორ გავრბოდით სადღაც,
სადაც ვერავინ გვენოდა, სადაც მინიდან მაღლა ვინეოდით
და ისე მივრბოდით. ყველაფერი ჯერ ისევ წინ აქვს
ციხესიმაგრეს.
მეციხოვნეებს ევალებათ დილით თვალის გახელა,
ევალებათ ვუყვარდეთ ჩვენ, როგორც გამარჯვება ომში,
ვუყვარდეთ, როგორც ალყის გარღვევა
და არასოდეს გაუჩნდეთ ეჭვი
იმაზე, რაზეც ყოველთვის საეჭვოდ ვყვებით ჩვენ,
როცა გვერიდება სიმართლის გამხელა
მეციხოვნეებისათვის.
მაგრამ მოდიან ყოველ საღამოს თავბრუდამხვევი
და გაუგონარი გზებით,
მოდიან ჩვენი მომავლიდან, გარიყული და
გაუპატიურებული ჩვენი ვნებები,
იცინიან მეციხოვნეები, ასეა ყველასთან,
ვინც ვერ მოახერხა გზიდან დროულად გადახვევა,
ვინც ვერ...

მეციხოვნეებს ევალებათ იყონ ჩვენთან,
როცა ვერთდებით ცასთან,
ვერთდებით მიწასთან და მეციხოვნეებთან,
როცა ვერთდებით.
ვერასოდეს გრძნობს ჰორიზონტი სიმძიმეს,
რადგან ჰაერით გვივსებენ ჩანთებს
მეციხოვნეები.

გამოდი გარეთ, ჰორიზონტთან, გამოდი გარეთ
და იმღერე, რომ შენ ბოლომდე,
თითქმის უკანასკნელ მზემდე გჯეროდა,
რომ ყოველთვის, როცა ვიძინებთ,
ჩვენ ვუერთდებით ღმერთს, ვუერთდებით მათ,
ვინც ვერ დაინახა ჩვენს გარშემო ჰაერი ციხესიმაგრედ,
ვინც ვერ...

პრიპტიხი

ღელავს.
მივცურავ ერთადერთი რიფისკენ,
თითებზე – ორთქლი.
ღელავს.
მნათობი – ელვა,
როგორც თეთრი ოლარი...

მე,
ორალური მემატინანე,
ერთი ცოდვით,
ისევ ძმრის არომატით,
ლექსების აცმებს ვახარისხებ,
იოლია ყურება ომის:
შავი ენები,
ნამისფერ თოვლს არ ნებდებიან...

ღელავს.
მივცურავ ერთადერთი რიფისკენ.
თვალეები – ოვალეები,
ღელვის მიმართ ერთნაირები,
როგორც თითები – ოცი.

მოდინ ომის მემორიალთან,
ელოდებიან ცვილის ისრებს...
ძღებიან,
ალაფი – ლანდების არმია.
არაა რთული ახვიდე სიმაღლეზე

და როცა ომი სრულდება,
მოყვე იმათი გმირობის ამბავი,
ტორსები ოფლიან ველზე,
ორთქლმავალ არემარეს რომ
აჩუქეს,
სადაც დარჩნენ
რწმენის ორგის სამკაულებად.

გუშინ –
არავინ გველოდებოდა იქ,
შიშის ვერსების არემარეში...
ხვალ –
ერთადერთი ლოცვის იმედით
დღეს –
ანწყოს, ნიორივით,
დავინწყების აცმებად ვახარისხებთ.
იოლია ყურება ომის:
შავი ენები
ნამისფერ თოვლს არ ნებდებიან.

ღელავს.
მივცურავ ერთადერთი რიფისკენ,
თითებზე – ორთქლი.
ღელავს.
მნათობი – ელვა,
როგორც თეთრი ოლარი...



დავანერინოთ. როგორც იცით, ჩვენთვის უფრო ცნობილი გახდა პოეზიით. მისი პოეზია სახიფათოა, იგრძნობა ტერორისტული მიდრეკილებები და განსაკუთრებული რადიკალიზმი ჰუმანურობის კუთხით. 2007 წელს (რადაც მისტიფიკაციასთან გვაქვს საქმე) გამოსცა კრებული „ვარდისფერი ავტობუსი“ 4 მეგობარ პოეტთან ერთად, რომელთა დაკავება ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ. 2010 წელს კი (სავარაუდოდ, იგულისხმება ახლახან) სადებიუტო კრებული „ლურჯი“. და რაც ყველაზე მთავარია, მისი დაკავების მთავარი მიზეზი გახდა ის, რომ დღესდღეობით არის მთავარი რედაქტორი ჟურნალისა „დრო მშვიდობისა“, რომელიც მკვეთრად ეწინააღმდეგება მესამე რაიხის მიერ აღებულ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ კურსს. ვფიქრობ, ტყვე ძნელად გადმოსაბირებელია, ამიტომ მოვითხოვ მის დასჯას მკაცრი ფორმებით.

ჰერმან პისტერი, 1944 წ. ბუხენვალდი.

მხატვრული პროზა



ირაკლი ლომოური

ავტონეპროლოგი

ცხოვრება ტანჯვაა, სიკვდილი – შვება.

შუმერული ანდაზა

ნეკროლოგი იმითია კარგი, რომ მხოლოდ კარგსა წერენ შენზე, მაგრამ იმითია ცუდი, რომ შენი სიკვდილის შემდეგ. ამდენად, ნაკლები შანსია, რომ წაკითხვას მოახერხებ.

გადავწყვიტე ეს დასანანი უსამართლობა გამოვასწორო და დავწერო ავტონეკროლოგი. ანუ ჩემი კუთვნილი წილი ალალი საქებარი სიტყვებისა სიცოცხლეშივე მოვისმინო.

თანაც, თუკი ჩაუკვირდები, პატივცემულო მკითხველო, სიტყვაკაზმული მწერლობის ახალი ჟანრი აღმომჩენია! სრულიად ახალი – აბა, ვის დაუწერია თავის თავზე ნეკროლოგი? მალე კი, ეჭვგარეშეა, არ დარჩება არც ერთი თავმოყვარე (და ჭკუათმყოფელი!) მწერალი, რომელსაც ავტონეკროლოგი არ ექნება გაშანშალებული.

ოღონდ, იცოდეთ, მხოლოდ ერთობ მოკრძალებული „მანია გრანდიოზა“ კი არ მამოძრავებს – არამც და არამც! – კეთილშობილური განზრახვაც: ვიფიქრე, კარგ საქმეს გავაკეთებ-მეთქი, ჩემს მეგობარ-ამხანაგებს ცხოვრებას ოდნავ მაინც შევუმსუბუქებ, – აღარ ექნებათ ტვინი საჭყლეტი: როცა გარდავიცვლები (აღრე თუ გვიან ხომ მომინევს), ჩემი ნეკროლოგი შესადგენი არ ექნებათ, აიღებენ ჩემს ავტონეკროლოგს, პირველ პირს მესამეზე შეცვლიან და გამოაქვეყნებენ...

მაშ, ასე:

გარდავიცვალე 201... წლის ... თვის ... რიცხვში (საჭირო მიუთითეთ).

ირაკლი ლომოური XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ვიყავი. ჩემი ნაწერი განსაკუთრებული გულწრფელობით, ემოციურობით, ხედვის ორიგინალური კუთხით, განც-

დისა და აზრის სიღრმით, ადამიანისადმი თანაგრძნობით, მდიდარი ფანტაზიით, ხალასი იუმორით, ძარღვიანი ქართულით გამოირჩეოდა.

წერა საკმაოდ ადრე დავიწყე – ოთხი წლის ასაკში (მანამ, სანამ კითხვას ვისწავლიდი). მართალია, ჩემს პირველ „ოპუსებს“ ვერავინ არჩევდა, რადგან მეტისმეტად გარკული ხელი მქონდა, მაგრამ ოჯახში ყველა მიხვდა, რომ სახელოვანი მწერალი გამოვიდოდი. ანუ წერას ვყავდი ატანილი.

თუმც კი ხუთი წლის ასაკში ჩემმა მშობლებმა მაინც არასწორი პროგნოზი გააკეთეს ჩემი ნათელი მომავლის თაობაზე. თურმე ტელევიზორი გადაგვეწვა. მოვიდა ხელოსანი და იკითხა, რა დაემართაო? პასუხი ყველას დავასწარი: „ინფარქტი!“ (მშობლები კარდიოლოგები იყვნენ და ეს სიტყვა ნამდაუნუმ მესმოდა). უთუოდ ცნობილი ექიმი გამოვაო! – აღფრთოვანდნენ ჩემები.

არადა, ექვსი წლის ასაკში ცხოვრებისეული გეზი კინაღამ ისევ შემიცვალეს (ერთობ ნინდაუხედავად, უნდა ითქვას).

ცხოვრებულმა მამიდამ ზამთრის სასკოლო არდადეგების დროს ოპერის თეატრში წამიყვანა, – ცხოვრებაში პირველად, – ზაქარია ფალიაშვილის „დაისზე“, ეტყობა, კლასიკურ მუსიკას მაზიარა, და როცა გარეთ გამოვედი (დღის წარმოდგენა იყო, 12 საათზე იწყებოდა, თუ არ ვცდები), ოპერის სკვერში მდებარე მომცრო დეკორატიულ აუზზე – ახლაც აუზი აღარ არსებობს, მოშალეს – გადავირბინე, ყინული ჩამიტყდა და წყალში აღმოვჩნდი. ატყდა ერთი ალიაქოთი – მამიდას რა მოუვიდოდა, წარმოიდგინეთ! თუმცა ყველაფერი

ბედნიერად დამთავრდა, წყლიდან ამომართიეს, მამიდა პირველივე მანქანას გადაუდგა, მიმაგრიალეს შინ და ტანსაცმლიანა ჩამსვეს ცხელ აბაზანაში – გაციებითაც კი არ გავციებულვარ. სამაგიეროდ, სანათესაოში ხმა გავრცელდა, რომ ოპერის მომავალი ვარსკვლავი ვიზრდები, სახელოვანი მომღერალი! აბა, ტყუილად ხომ არ მოვინათლე ოპერის „ემბაზში“?

სწორედაც ჩემი ამბილენტური (თუ ამბავალენტური?) ბავშვობა და ყრმობა გახლავთ ის ხვარეილი საფანელი – თუმცა, მგონი, რაღაც სხვა სიტყვა უნდა მეხმარა, იქნებ „დვრიტა“? – რომელიც ჩემს ესოდენ ნაადრევად შეწყვეტილ შემოქმედებას ჰკვებავდა და ასაზრდოებდა.

ამ თემაზე ბევრი შეიძლება ითქვას, მაგრამ ჯერ რამდენიმე სიტყვით უნდა მოვიხსენიო ჩემი სახელოვანი წინაპრები და სათანადო პატივიც მივაგო.

უპირველესად, ჩემი დიდი პაპა (პაპის პაპა) იოსებ ლომოური, სოფელ არბოს მღვდელი.

„იოსებ ლომოური სოფელ არბოს მკვიდრი გლეხის ჩამომავალი იყო. ახალგაზრდობაში წერა-კითხვა შეისწავლა და მცირე განათლება მიიღო, ჯერ დიაკვნად მოეწყო და მერე მღვდლად ეკურთხა. იოსებმა ცოლად შეირთო ადგილობრივი გლეხის ქალი – ეფემია გვიმრაძე. იგი გაუნათლებელი, მაგრამ კეთილი, პატიოსანი, ოჯახის მოსიყვარულე და შვილებისთვის თავდადებული მზრუნველი ადამიანი იყო. იოსებ ლომოური მალე დანვრისმდებელია. ჰყავდა ოთხი ვაჟი და ერთი ქალი. ქალი – გაიანე – ცხინვალში კასრაძეზე გაათხოვეს, ვაჟებს კი, ეფემიას დაჟინებით და მეცადინეობით, განათლება მიაღებინეს. ნიკო ლომოურის უფროსმა ძმებმა ივანემ და ანტონმა (სწორედ ანტონი გახლდათ ჩემი დიდი პაპა, ანუ პაპის მამა), სასულიერო სემინარია დაამთავრეს. უმცროსი, – ვასილი გორის სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ სოფელში დაბრუნდა, სადაც ჯერ დიაკვნად, მერე კი მღვდლად მსახურობდა.

ლომოურების წვრილშვილი ოჯახი ღარიბულად ცხოვრობდა. იოსებს სამრევლო შემოსავალი არ ჰყოფნიდა. პატარა ვენახი და რამდენიმე დღიური მწირი სახნავ-სათესი მინა ჰქონდა და თვითონ ამუშავებდა. ბოლოს იმის გამო, რომ სისტემატურ სმას მიჰყო ხელი, მღვდლობიდან განაყენეს. და ოჯახი უფრო დიდ გაჭირვებაში ჩავარდა...

ჩემმა დიდმა პაპამ თავისდაუნებურად კეთილი სამსახური გამინია ახალგაზრდობაში – ღამის პირველ-ორ საათზე რომ მოვეთრეოდი ხოლმე შინ განგრეული მთვრალი და დედაჩემი ჯერ დამუნათებს, მერე კი ჩხუბს მიწყობდა, ღირსეულად ვპასუხობდი: რა ჩემი ბრალია, მძიმე მემკვიდრეობა მერგო – ღვინის გენეტიკური მოთხოვნილება მკლავს-თქო!

და, აბა, ასეთ რკინაბეტონის არგუმენტზე რაღას მეტყობა?

(ცნობა – ანუ ციტატა – ჩემი დიდი პაპის, სოფელ არბოს მღვდელ იოსებ ლომოურის შესახებ ამოვიღე ნიკო ლომოურის ბიოგრაფიიდან, რომელიც შეადგინა იერემია ქარელიშვილმა (გამომცემლობა „საბლიტგამი“, თბილისი, 1948)).

ახლა კი რამდენიმე სიტყვით გავიხსენებ ჩემს სწორუპოვარ – რატომ „სწორუპოვარ“, ახლავე შეიტყობთ – დიდდასა და პაპას (გნებავთ, ბებიასა და ბაბუას).

ოო, რომ იცოდეთ, როგორ ვამაყობდი ბავშვობაში „ბოევიკი“ დიდებით! და „დონ-ჟუანი“ პაპით!

მარიამ (მამო) კაპანაძე – პროფესიონალი რევოლუციონერი, პოლიტკატორღელი, დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში გორის მაზრის კომისარი და სახალხო გვარდიის შტაბის ოფიცერი!..

იოსებ ლომოური – პირველი ქართველი პროფესიონალი ექიმ-ფსიქიატრი, დერპტის ანუ იურიევის (ახლანდელი ტარტუ) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის წარჩინებული კურსდამთავრებული, პროფესორი, პეტერბურგის საიმპერატორო ჰოსპიტლის ექიმი, ხუთი (თუ ექვსი?



**წიგნის თემა:
მწირობა და სამსახური**

შემოქმედება რთული პროცესია და სასიცოცხლო ძალა აქვს. ამიტომაც აღჭურვილია ყველაფერი იმით, რაც სიცოცხლეს სჭირდება.

სიცოცხლეს კი ბევრი რამ სჭირდება საარსებოდ.

აი, თემაზე აქედან იწყება: ვინ რა ძალას ხარჯავს არსებობისთვის, ვის რა უღელტეხილები ხვდება გზაზე, რომლითაც შემოქმედის ბედი იწერება.

მსოფლიო ლიტერატურას არაერთი ასეთი ბედის ისტორია ახსოვს. ახსოვს მწერლები, რომლებიც სრულიად არამწერლურ საქმეს ეწეოდნენ, მუშაობდნენ კანცელარიაში, ბანკში, მსახურობდნენ ჯარში და ხანდახან უბრალო შინამოსამსახურეებიც კი იყვნენ მდიდართა და ჩინიანთა ოჯახებში.

ჩვენს ქართულ სინამდვილეში, ამ თემის საწინააღმდეგო ნიკოლოზ ბარათაშვილის კლერკობის ამბავიც კმარა.

თუმცა ეს კმარობა ცხოვრებას არ ახასიათებს. შემოქმედი დღესაც ისევე ცხოვრობს, როგორც ყოველთვის, ანუ სჭირდება იმრომოს, რათა იარსებოს.

მწერლები თავიანთ „არამწერლურ“ საქმიანობაზე დაფიქრდნენ და დაწერეს...



მარიამ (მამო) კაპანაძე
მეტეხის ციხეში

ეს ჯერაც დაუზუსტებელია) ოფიციალური ცოლის მოსიყვარულე მეუღლე და ურიცხვი (ზუსტი რაოდენობა ასევე დაუდგენელია) შვილის მამა!..

მაგრამ ახლა, როცა „თმას შეერია ჭალარა“, დამოკიდებულება საამაყო წინაპრების მიმართ ოდნავ შემეცვალა.

რატომ? რა მოხდა?

მოდით, ოჯახში შემორჩენილ ლეგენდარულ ამბებს მოკლედ მოგიყვებით (სხვათა შორის, რასაც აქ ვნერ, ერთი მისხალი გამონაგონისა არ დამიტყვია, თუ დამიჯერებთ) და ალბათ, ყველაფერი მეტ-ნაკლებად ცხადი გახდება, პატივცემულო მკითხველო.

მარიამ კაპანაძე გორში მღვდლის ოჯახში დაბადებულა (დედის მხრიდან ბიძამისი იყო საქართველოს მომავალი კათალიკოს-პატრიარქი, კირიონ II). გორის გიმნაზიის დამამთავრებელ კლასში სწავლობდა თურმე, როცა ჟანდარმერიამ პირველად დააპატიმრა (1905 წელი იდგა) – ჩხრეკის ოფიციალური ოქმის თანახმად, სახლში დიდი რაოდენობით არალეგალური ლიტერატურა, ყალბი პასპორტები და იარაღი აღმოუჩინეს.

მეტეხის ციხეში ჩასვეს, სადაც სამოქალაქო ქმრისგან, რევოლუციონერ ჭიბრიშვილისგან ბავშვი შესძენია, რომელიც იქვე მოუკვდა (სხვათა შორის, ქართველ მწერალ ქალს, მარიამ გარიყულს თავის მემუარებში დიდდაჩემი არაერთხელ ჰყავს მოხსენებული – თურმე მეგობრობდნენ).

პატიმრებს მეტეხიდან ჯგუფური გაქცევა მოუწყვიათ, მარიამიც გაქცეულა, დაუჭერიათ და ამჯერად მოსკოვში გაუგზავნიან, „ბუტირკის“ ციხეში, როგორც განსაკუთრებულად საშიში სახელმწიფო დამნაშავე. იქ უკვე ერთკაციან საკანში ჩაამწყვდიეს.

და, აი, სწორედ იმ საკანში დაწყებულა დიდდასა და პაპას სასიყვარულო რომანი. ოღონდ ბაბუაჩემი რევოლუციონერი არ ყოფილა. არავითარ შემთხვევაში! პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებდა – მხოლოდ ქალები და

მედიცინა.

რუსეთის იმპერიაში ექიმს ციხეში ავადმყოფის მოსანახულებლად თავისუფლად შესვლის უფლება ჰქონია თურმე, და ეს, მითუმეტეს, საიმპერატორო ჰოსპიტალში მომუშავე ექიმს არ გაუჭირდებოდა. „ბუტირკაში“ საგანგებოდ მისულა მარიამის სანახავად...

საქმე ისაა, რომ პაპაჩემიც გორელი იყო და თავის მომავალ ცოლს (ანუ ჩემს დიდდას) პატარობიდან იცნობდა, – შესაძლოა, ერთმანეთისადმი რაღაც სიმპატიები თავიდანვე ჰქონდათ, ბავშვური თუ ყმანვილკაცური-ყმანვილქალური გატაცების დონეზე.

ასეც იქნებოდა უეჭველად, თორემ, აბა, რა რჯიდა წარმატებულ ექიმს, პროფესორ ლომოურს ციხეში შესულიყო მეფის დაუძინებელი მტრის, პოლიტპატიმარ კაპანაძის მოსანახულებლად?

წარმოიდგინეთ, როგორი ტკბილმწარე, როგორი რომანტიკული იქნებოდა მათი შეხვედრები ერთკაციან საკანში, ერთდროულად ნათელი და ბნელით მოცული, ტრაგიკულად გამოუვალი – საქმე ისაა, რომ მარიამს კატორღა და ციმბირში სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს, იოსებს კი იმ დროს უკვე ჰყავდა მეორე რუსი ცოლი და შვილები (პირველი ცოლი უნივერსიტეტში სწავლის დროს მოუყვანია).

ერთი სიტყვით, დიდდა ციმბირში, კატორღაზე გაუშვეს, საიდანაც ორჯერ გამოიქცა, ორჯერვე დაიჭირეს და უკან გააბრუნეს... ამასობაში ავადსახსენებელი 1917 წელიც დადგა. მესამედ გაქცეულ მამოს ჩრდილოეთ კავკასიაში პარტიული ამხანაგები დახვდნენ, საქართველოში ჩამოყვანეს და გორის მაზრის კომისრობა ჩააბარეს – ბებია მენშევიკი გახლდათ.

ამ დროს ექიმი ლომოურიც ჩამოსულა საქართველოში, მარიამს შეხვედრია, სასიყვარულო რომანი განახლებულა – მალევე შეუღლდნენ. პირველი შვილი, მამიდაჩემი ეთერი, 1920 წელს შესძენიათ, მეორე, მამაჩემი ანტონი (ბიჭიკო) – 1921 წელს. თბილისში სახლი უყიდიათ – მარჯანიშვილის

თეატრის გვერდით ლამაზი შენობა რომაა – რომლის ნახევარი მანამდე თურმე ირანის კონსულს, მეორე ნახევარი კი – საქართველოდან გადახვენილ რომელიღაც რუს გენერალს ეკუთვნოდა (გენერლის ნაქონი ვეება სარკე შემოგვრჩა – სულ ვცდილობ, ეპოლეტივიან ლანდს მოვკრა თვალი, მაგრამ ამაოდ...).

მენშევიკები საქართველოდან როცა გარბოდნენ, დიდდა თურმე მატარებელში ასულა, რომელიც ბათუმში მიდოდა, იქ კი გემი ელოდებოდათ, საფრანგეთში რომ წაიყვანდა. ვაგონში ასულა, მაგრამ შემდეგ გაჩერებაზე ჩამოსულა. მოგვიანებით, როცა ეკითხებოდნენ, რატომ არ ნახვედი ემიგრაციაშიო, თურმე პასუხობდა, მე სამშობლოს ვერ მივატოვებდიო (თანაც მეორე შვილზე ორსულად იყო).

რალაც ხნის მერე პაპაჩემი ოჯახიდან წავიდა. მეოთხე (თუ მეხუთე?) ცოლი მოიყვანა. ერთი საინტერესო თვისება ჰქონდა – ქალი თუ შეუყვარდებოდა, ურთიერთობას თუ გააბამდა, აუცილებლად ცოლად ირთავდა. კაცმა რომ თქვას, კარგი თვისებაა – ოლონდ გააჩნია, რა კუთხიდან შეხედავ – ყოველ შემთხვევაში, ცოლებს არ ატყუებდა. ანუ მართალი ადამიანი იყო: სანამ ოჯახში ბრძანდებოდა, ცოლ-შვილზე მზე და მთვარე ამოსდიოდა, წავიდოდა, ახალ ოჯახს შექმნიდა, და იქაც ისევ ისეთი მოსიყვარულე და მზრუნველი ქმარი და მამა ხდებოდა...

1937 წელს დახვრიტეს. რიგით ბოლო ცოლი საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის კომისრის, მათიკაშვილის და ჰყოლია. როცა კომისარი „ხალხის მტერი“ აღმოჩნდა, საწყალი აპოლიტიკური პაპაჩემიც ზედ მიაყოლეს, როგორც „ხალხის მტრის“ ოჯახის წევრი, ესე იგი, თანამზრახველი...

დიდდაჩემი კი მენშევიკების გაქცევის შემდეგ აქტიურ პოლიტიკას ჩამოშორდა – შვილებსა ზრდიდა. პოლიტიკატორლელთა საზოგადოების გამგეობის წევრი ყოფილა, „ნეპის“

დროს ამ საზოგადოების კუთვნილი კანფეტების პატარა ფაბრიკის დირექტორი გახლდათ. მაგრამ სტალინმა 1929 წელს პოლიტიკატორლელთა საზოგადოება დახურა – ძველი რევოლუციონერების დაჭერებით დაიწყო მასშტაბური ტერორი. მიკვირს, როგორ გადარჩა დიდდა: თურმე რამდენიმე წელი სახლიდან არ გასულა. ჩეკას აგენტი, რომელიც მიუჩინეს, გორელი კაცი აღმოჩნდა, მალულად გააფრთხილა, ქუჩაში არ გახვიდე, ნაბრძანები მაქვს, თუკი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას გამოჩნდები, უნდა დაგაპატიმროო...

ხვათა შორის, სტალინზე საინტერესო რალაც უთქვამს დიდდას თავის დროზე. მამიდაჩემის მონაყოლი მახსოვს – სკოლას ვამთავრებდი, ჩვენთან სახლში ჩემი კლასელები ისტორიის გამოცდისთვის ვემზადებოდით, ხმამაღლა ვკითხულობდითო სახელმძღვანელოს... ერთ-ერთი საკითხი იყო სტალინის რევოლუციური ბიოგრაფია, ჰოდა, ვკითხულობთ, რომ ყმანვილი სოსო ჯულაშვილი გორში ჯერ კიდევ მონაფეოებისას აწყობდა მუშების გამოსვლებსა და გაფიცვებს, ქმნიდა იატაკქვეშა პარტიულ უჯრედებს... უცებ გვესმის ხმამაღალი სიცილი – ყველანი მივხვდით, რომ დედაჩემს ჩვენს ნაკითხულზე გაეცინა. გავედი შუშაბანდში და დედას ჩურჩულით ვუთხარი: დედა, ხომ არ გაგიჟდი, სტალინზე იცინი?! მან კი მომიგო: მე არ ვიცი, კობა ვინ იყო იმ დროს გორში? ერთი ხულიგანი ბიჭი იყო და მეტი არაფერი, თუ ვინმე იყო იმ დროს გორში რევოლუციონერი, მე ვიყავი!

ოცდაათიანი წლების ბოლოს მამიდაჩემს უკითხავს: დედი, ამისთვის იბრძოდი, ასეთი ცხოვრება გინდოდაო? დიდდას თურმე შუბლი შეეჭმუხნა და უპასუხა: არა, შვილო, ამისთვის ნამდვილად არ ვიბრძოდიო!..

არადა, მართლა იბრძოდა, ათი წელი გაატარა ციხეებსა და კატორღაში... მენშევიკების დროს, როცა ყარსის ფრონტი დაიშალა და გამგელებული რუსი ჯარისკაცების ეშელონები თბილისისკენ დაიძრენ, დიდდა



არამწერლური სამსახური

როცა ასეთ საკითხზე ჩაფიქრებას და აზრის გამოთქმას ვთავაზობენ, პატივმოყვარეობა გიპყრობს და ფიქრობ, რამდენი დრო დაჰკარგე არამწერლურ, ამაო ფუსფუსში ჩაბმულმა და რამდენი არამწერლური სამსახური გამოიცვალე. თავმწონება უფრო შორს მიდის და განაზრებისა და განზოგადების შინი გიპყრობს; ესურს, იმსჯელო ამ ღირსშესანიშნავ საკითხზე, დანანებით გაიხსენო დიდი მწერლები, ვინც ცხოვრებისეულმა სიღუფტორემ ჭეშმარიტ მონღლებს მოსწყვიტა და ძვირფასი დრო დააკარგინა. და თავიც მათ შორის გეგულედა.

შოთა რუსთაველი მეჭურჭლეთუხუცესი იყო და სახელმწიფო სამსახურში მდგარს პოეზიისათვის არ ეცლებოდა.

ჯეფრი ჩოსერი საბაჟოზე მუშაობდა და ალბათ იმაზე უფრო მეტს ფიქრობდა, კონტრაბანდა არ შემოეპარებინათ, ვიდრე თავის პილიგრიმებზე.

ჯონ მილტონი ლორდ პროტექტორის მდივანი გახლდათ და თუმცა წერდა, იმას მაინც არ წერდა, რაც საჭირო იყო.

თეიმურაზი მეფე იყო, სად ჰქონდა წერის დრო და გული.

ილია ბანკირი იყო და დროის დიდ ნაწილს ანგარიშში ატარებდა.

ტომას ელიოტიც ბანკში მუშაობდა ერთხანს, სანამ გამომცემლობაში გადავიდოდა.

ჩვენ არ ვიცით, როდის დაწერა შოთა რუსთაველმა ვეფხისტყაოსანი, მაგრამ როცა დაწერა, შემოქმედებით ძალმოსილების მწვერვალზე მყოფი დიდოსტატი მწერალი იყო.

ჩოსერიც – ასევე.

ჯონ მილტონი უკვე გადაამდგარი იყო, დევნილი და ბრმა.

ილია რედაქტორიც იყო და მუდამ წერდა.

თეიმურაზი როდის წერდა, გასაოცარია, გამუდმებულ ომებსა და მოძრაობაში მყოფი.

ელიოტს არასოდეს შეუწყვეტია წერა.

ჩემნაირი, მწერლობასმიკედლებული კაცი მაშინვე წყვეტს წერას, როგორც კი არამწერლურ სამსახურში ჩადგება, კარგავს კვალიფიკაციას და ოსტატობას.

ამიტომ არ უნდა გაგახსენდეს გენიოსები და არ უნდა მიეღარო მათ, ნურც ნურავის დააბრალებ უნაყოფობას, წერე!

საბატა ჩხეიძე

გააგზავნეს თურმე, ბაქოსკენ გაუშვიო (ეშელონებს ან თბილისზე უნდა გაეველოთ, ან ბაქოზე). მართლაც, შეახტა თურმე ორთქლმავალს, მემანქანეს მაუზერი მიუშვირა შუბლში და უბრძანა, ეხლავე გადაიყვანე ბაქოს ლიანდაგზე, თორემ გაგათავე ადგილზეო! ისიც შეშინდა, დაემორჩილა. აი, ასე გადარჩა თბილისი რუსი ჯარისკაცებისგან დარბევა-დანოკებას...

კიდევ შემიძლია რამდენიმე ეპიზოდი გავიხსენო, მაგრამ ამჟამად ამით შემოვიფარგლები. ბოლო-ბოლო, ავტონეკროლოგის დაწერას ვაპირებდი, ბიოგრაფიული რომანისა ხომ არა?

მხოლოდ ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ, მაინცდამაინც რატომ აღარ მემამყება „ბოვეიკი“ ბებია და „დონ-ჟუანი“ ბაბუა. ჯერ ერთი, დიდი ხანია გავაცნობიერე, რომ მეშევიკებიც და ბოლშევიკებიც სოციალ-დემოკრატები იყვნენ – ერთი პარტიის ორი ფრაქცია, ანუ ერთი მედლის ორი მხარე – და მათ შორის პრინციპული განსხვავება, სამწუხაროდ, არ ყოფილა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაღუპვაში მენშევიკებს თავისი ნვლილი მიუძღვით (ერთობ არამცირედი – ლამისაა ლომის).

მეცოდება დიდება – აღმოჩნდა, რომ ფუჭი, ყალბი იდეალებს შესწირა ახალგაზრდობა...

მეცოდება პაპა – ცოლებს გადაყვანა და საფლავიც კი არავინ იცის მისი...

თუმცა ზოგჯერ გულში გამკენწლავს ხოლმე: ვინ უფრო შესაცოდია ჩვენს შორის? შესაძლოა, ცხოვრებაში ეშლებოდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, ბოლომდე იხარჯებოდნენ...

მე კი? ცოლიც მხოლოდ მეორე მყავს, გადასახლებით კი მხოლოდ ერთხელ ვიყავი კასპში „გადასახლებული“, როცა თბილისში ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი ჩამობრძანდა.

ჰოდა, ვფიქრობ ჩემთვის: რამ დამაკინა, რამ დამაბეჩავა, რამ დამაძაბუნა ასე?

ეეჰ!

ერთი სიტყვით, ავტონეკროლოგი ვერ დაწერე ჯერჯერობით – გუნება მომეშხამა თუ რა მოხდა?

თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა მეჩქარება? მოვასწრებ!

მთელი ცხოვრება წინ არა მაქვს?


მთელი!

თავის სიკვდილიანად...

„ინტელექტი“ ბთავაზოვით

სოსო მეშველიანი

„ღამესასწაული“



თითქოს ომში მიდიოდეს – ისე მიდის ხოლმე სამშობლოდან; ისე ტკივილით გასცდება თავის ეზოს, თავის მიწას, საკუთარი თავიდანაც ისე თავგანწირვით გადააბიჯებს და, ცოტა ხნით სამშობლოდან მიდის.

და მართლა ომს ემსგავსება მარტოსული მგზავრის მთელი მიეთმოეთი.

შორიდან ლექსებს ინერება ნერილებით. შინ დარჩენილ ცოლ-შვილს, და-ძმებს, ძვირფას დედას სევდიანად ეხმიანება. ამ ლექსების ენერგია მის თავგადასავალს მთლიანად იტევს. ყველაზე მშვიდ ნუთებშიც, როცა თითქოს პოეზია არსაიდან და არსაითკენ, უბრალოდ უნდა გადმოიღვაროს – მაშინაც კი შინაგანი მზერით დაძაბულია – გულის თვალი აქეთ მოურბის.

ყველა ლექსს ადრესატი ჰყავს, ყველა ლექსი ამ ძნელ გზაზე, როგორც უდაბნოდან აღთქმული მინისკენ – ზურგის ქართაა გამოდევნილი. ხმაურიანი მეგაპოლისები. მათი ფითრი და უმიზეზო უგუნებობა. ნეონების მჭახე შუქში ალაპლაპებული უცხო ენა და სისხლში ძველი ტყვიასავით ჩარჩენილი მშობლიური ანბანის სევდა... ვინ იცის, რამდენი ჭრილობა, ან რამდენჯინის სიკვდილი. სხვანაირად ხომ ასეთებს არც შეუძლიათ. პოეტებს, ვისთვისაც დედა სამშობლოს ნიშნავს და მამა კი – ღმერთს.

ასეთებისთვის დღესასწაულიც ღამესასწაულია. ანუ ტკივილში ნაწობი სიცოცხლე. აღსასრულამდე დიდი სიყვარული.

ეს სოსო მეშველიანის პოეზიაა: მარად-ისობის ნაღვლიანი მგზავრული.

ნიკო საღვთაძაშვილი

ლადო კილასონია

ერთი საღამოს განსჯენა

ძმაკაცის ქორწილი მაგრად ასწორებს, თან თუ მეფევარე არ ხარ და იმ კუნძულივით მოწყვეტილ, თეთრ, ხილით და ტკბილეულობით გადატენილ სუფრაზე არ გინევს ყურყუტი და იმის ყურება, როგორ მხიარულობენ და კვდებიან სიცილით შორს, დარბაზის მეორე ბოლოში მსხდომი შენი ძმაკაცები, შენ კი იქ არ ხარ.

კიდევ ქორწილი მშვიდზე ასწორებს, მაგარ მოშიებულზე, აი მუცელი უცნაურად რომ გიბუზბუყებს და საჭმლით აჭრელბულ სუფრის დანახვაზე რომ გაჩუმდება, გაირინდება ხოლმე, როგორც ცელქობაზე დაჭერილი პატარა ბავშვი.

მაგრამ ყველაზე მაგარი ქორწილი „პახმელიაზეა“.

თავი ისე მტკიოდა, მეგონა სადაცაა გასკდებოდა და მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე რის ვაი-ვა-გლახით ნაგროვებ ტვინს დაასხამდა ქვაფენილზე. არაყი ვსვით წინა ღამეს, არაყი და ლუდი. ეგენი კიდევ ისეა, როგორც ორი უწყინარი ქიმიური ელემენტი, მართო ერთმანეთში შერევისას რომ ქმნიან სიცოცხლისათვის საშიშ ნივთიერებას.

ბევრი დავლიეთ, ძალიან ბევრი და მერე როგორც ხდება ხოლმე, მე და ჩემი ძმაკაცი ვეცით ერთმანეთს რაღაც სისულელეზე. მე ცხვირი ჩავუღურჯე, იმან ყელი ჩამისისხლიანა და საყვარელი პერანგი გამიხია ზურგზე.

– ჰა, არ მოდიხარ, ბუფონა და რაკოვინა უკვე იქ არიან, ქვემეც გზაშია, – ჩემი ძმის ხმა საყვირივით ჩამესმა ყურში.

– ხო, ხო ვდგები, – ვუპასუხე, ლოგიდან ნამოვინიე და ოთახს მოვავლე თვალი.

ყვითელი კედლები, ყავისფერი კარადა, წიგნებით დაფარული ტუმბო, ძირს დაყრილი ტანსაცმელი, დაჭმულ-ჭნული ლურჯი პლედი, მტვერდადე-

ბული ვენტილატორი. სამზარეულოს სიღრმიდან ისევ ისმოდა გაფუჭებული ონკანიდან მონანკარე წყლის წვეთების უწყვეტი წკაპანკუპი, მზის ოქროსფერი სხივები მხიარულად ეცემოდნენ ჭუჭყიან, თეთრ ფარდებს.

– დაგვაგვიანდა, შე ჩემა, უკვე ეკამაც კი ჩაიცვა და შენ რაღა დაგემართა?! – ეკა ჩემი რძალია, ანუ ჩემი თავგასიებული ძმის ცოლი, მინუმე ორი საათი ემზადება ხოლმე სადმე წასასვლელად და თუ იმანაც დამასწრო, მაშინ მართლა ცუდად ყოფილა საქმე.

– კაი, – ვთქვი, ავდექი და ათ წუთში მზად ვიყავი.

მსოფლიო ჩემპიონატი რომ ჩატარდეს ახლად გაღვიძებულზე ლოგინიდან ადგომაში, უეჭველი მოვიგებ, ჩემზე სწრაფად მგონი ვერავინ ფხიზლდება. ახლაც ეგრე მოხდა, შარვალი ჩავიცვი, ფეხსაცმელები შევიკარი, ხელ-პირი დავიბანე, კბილები გავიხეხე, შავი მაისური და პერანგი გადავიცვი, თხელი ქურთუკი გადავიკიდე მკლავზე და ქუჩაში გავედი.

ტაქსი გავაჩერეთ, ჩავსხედით და ქალაქის ხმაურიანი ქუჩების სიღრმეში შევცურეთ.

დღეს ჩვენი ძმაკაცის და ყოფილი გუნდელის პარიადკა ნუგოს ქორწილია. ისე ნუგზარი ჰქვია, მაგრამ ყველა დუდას ეძახის. მეტსახელი „პარიადკა“ კი საკუთარმა მოწესრიგებულმა და მშვიდმა ხასიათმა მოუტანა. ყოველთვის განსხვავდებოდა ჩვენი ხმაურიანი, გაბურძღნული და უდარდელი ხროვისაგან – მუდამ სუფთად გაპარსული, აკადემიურად ჩაცმული, გულჩათხრობილი, მომლიმარი და ჩუმი იყო, რეგბისაც ეგრე თამაშობდა, ხმისამოულებლად, კაცურად და გულით. ჰო, მაგრად განსხვავდება ჩვენგან და მაინც ჩვენი მაგარი ძმაკაცია.



ლადო კილასონია დაიბადა თბილისში 1985 წელს, სწავლობდა 24-ე საშუალო სკოლაში. 2006 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიის ისტორიის ფაკულტეტი. ქართულ სპორტულ წრეებში მას იცნობენ როგორც წარმატებულ სპორტსმენს, რაგბისტს, ახალგაზრდული ნაკრების წევრს და მწვრთნელს. მისი გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე მოულოდნელი იყო, როგორც სპორტული, ასევე ლიტერატურული სამყაროსათვის. 2008 წელს მისი მოთხრობების პირველი კრებული „ლობე“ ლიტერატურულ კონკურს „საბას“ ფინალისტი გახდა ნომინაციაში „საუკეთესო დებიუტი“, 2010 წელს კი მისმა მოთხრობამ „პეტრე – დასაწყისი“ მიიღო მეორე პრიზი „ერთი მოთხრობის კონკურსში“.

ავტორია წიგნებისა: „ლობე“, „უსიზმრონი“, „როცა უკვე დაგავიანდა“ და „აბლაბუდას ზღაპარი“.



მეჯვარეები რაკოვინა და ბუფონა იყვნენ. რაკოვინა საბანკეტო დარბაზის ეზოშივე დაგვხვდა. შავი შარვალ-კოსტუმი ეცვა, ნაცრისფერი პერანგი და შავი ფეხსაცმელები.

– სად არიან? – ვკითხეთ, როგორც კი ტაქსიდან გადმოვედით.

– ბუფონა ტვალეტშია, ბაირამა და ქვემე კი გზაში, ამ წამს ველაპარაკე, – გვიპასუხა რაკოვინამ.

– სიძე სადაა?

– აქაა, წამო, შევიდეთ.

– ისევე ისეთ პარიადაკაშია? – ჰკითხა ჩემმა ძმამ.

– აუ, მაგარში, – გაეცინა რაკოვინას.

დარბაზში შევედით, დიდი იყო, დიდი, ფართო და მთლად მარმარილოში ჩამჯდარი. უზარმაზარი მონიტალო-მოსტაფილოსფრო ბოძები მალლა ჭერში იჭრებოდა, ორი გრძელი კიბე მეორე სართულისაკენ მიიზღაზნებოდა და გარედან შემოჭრილი მზის სხივები თეთრად ელავდნენ ნაცრისფერ პრიალა მარმარილოს საფეხურებზე.

პარიადაკა ნუგო კუთხეში იდგა, თეთრ კაბაში გამონწყობილი შავთმიანი გამხდარი გოგოს გვერდით. ეცვა შავი სმოკინგი, შავი შარვალი, თეთრი პერანგი და ყელზე შავი ბაბთა, ჩვენებრურად, „ბაბოჩკა“ ეკეთა.

– აუ, ნახე, – წამკრა ჩემმა ძმამ.

– რა პატიოსანია, – ვუთხარი რაკოვინას.

– ხო, ისეთი პატიოსანია, რო ეგ ბაბოჩკა თავისით ამოუვიდა, – მიპასუხა იმან და ავხარხარდით.

გადავკოცნეთ, მივულოცეთ და მეორე სართულზე ავედით. მე ეგრევე შავ როიალზე შემოწყობილ შამპანურით სავსე ბოკალებს ვეძგერე. გაგონილი მქონდა, „პახმელიაზე“ ასწორებდნენ, მაგრამ არასოდეს გამესინჯა. მართლა კარგი იყო, მოტკბო-მომჟავო გაზიანი სითხე სასიამოვნოდ გადამდიოდა ყელში და თითქოს მიღიტილებდა.

მერე ბაირამა და ქვემეხაც მოვიდნენ, პარიადაკა ნუგომ და პატარძალმა ხელი მოაწერეს, ჩაირთო საზეიმო

მუსიკა და ჭერიდან ჭრელი ქალაღდის ნაკუნების თოვლი წამოვიდა.

ქორწილმა კარგად ჩაიარა, ბევრი ვიცინეთ, ვიცეკვეთ, მაგრამაც დავეთვერით და ბოლოს სახლში წასვლა დავაპირეთ.

– მოდი, ცოტა ფეხით გავიაროთ, რამდენი ხანია ესე მარტო ჩვენ აღარ შევკრებილვართ, – თქვა ბუფონამ და ბიჭებმა ერთმანეთს გადავხედეთ, მართლა დიდი ხანი გასულიყო.

ფეხით გაუყევით ლამპიონების შუქით განათებულ ქუჩას, ნაძვების მუქი სილუეტები მთის მწვერველებივით გასდევდა შავ ცას, ფარებანთებული მანქანები ზუზუნით მისრიალებდნენ ასფალტის ტრასაზე, სიბნელეში ბრჭყვიალებდნენ ჯიხურებისა და სუპერმარკეტების აბრები. ჩვენ კიდეც მივდიოდით და გიჟებივით ვიცინოდით. ვიცინოდით ჩემს ბაიკის თხელ ქურთუკზე, ხუთი წლის წინ რომ მაჩუქა მამაჩემის ძმაცაცმა, გაცრეცილი გვერდების დასაფარად ახლა მკლავზეგადაკიდებული რომ მომქონდა და ვიტყუებოდი, მანტოათქო, ბაირამას კეხიან ცხვირზე, ქვემეხას ჯუკრა, უკისრო ტანზე, ბუფონას ფეხის თითებზე და ჩემს ძმაზე, რომელსაც სახლში სიდედრი ურტყამდა უმონყალოდ.

ბევრს ვიცინოდით, ძალიან ბევრს, ფეხით მივდიოდით და საერთოდ არ გვცვიოდა.

მერე ჩვენს წინ, ზედ ასფალტის ტრასის პირას, პატარა, ლამაზი ბალი გამოჩნდა, თეთრი ხრეშით დაფარული მიწა, მოჩუხჩუხე წყალი, ხის ყვითელი, პრიალა უზურგო სკამები, დაბალი შავი ბოძები და დიდი, მრგვალი ლამპიონები, თეთრი ბურთულეებივით რომ ელავდნენ სიბნელეში.

– მოდი, დავედეთ, რა, – თქვა ბუფონამ.

– მოდი, – დავეთანხმე ეგრევე. საერთოდ ბუფონას თითქმის არასოდეს ვეთანხმები, მაგრამ ახლა რატომღაც ვხვდებოდი, რომ მართლს ამბობდა, რომ დღევანდელი ღამე რაღაც სხვანაირი იყო, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის.

- მაიცა, პივას მოვიტან, - თქვა ბაირამამ, ტრასაზე გადაირბინა, სიბნელეში გაუჩინარდა და რამდენიმე წუთში დაბრუნდა ორი ორლიტრიანი ლუდის ბოთლით.

ვისხედით, ვსვამდით და ვისხენებდით, როგორ გავიცანით პირველად რაკოვინა, დიდთავა და გამხდარი რომ შემოიყვანეს 35-ე სკოლის, ახლა უკვე ბაზრად გადაკეთებული სტადიონის ტალახიან მიწაზე, ბურთი თუ მოგივა, წინ წადიო, უთხრეს და მაშინდელი საქართველოს ბავშვთა ერთ-ერთ ყველაზე მაგარი გუნდის ვარჯიშზე შემოაგდეს. როგორ ირონიულად გაგვეღიმა მის დანახვაზე უკვე „სტა-ჟიან“, თხუთმეტი-თექვსმეტი წლის „იგროკებს“ და როგორ ერთმანეთზე მიყოლებით გვათხრევინა ის ტალახიანი მიწა ბურთით ჩვენზე წამოსულმა.

გავისხენეთ სანდრიკა ციგროშვილი, კაპიტნად დანიშნული და დაბნეული, სხვა ვერაფერს რომ იგონებდა გუნდის სამართავად და ყოველი არგამოსული რამის გამო ხმამაღლა ყვიროდა: თქვენ, ბიჭო, შიგ ხო არა გაქვთ, თქვენ, ბიჭო, მართლა შიგ ხომ არა გაქვთო! ჩვენ კიდეც მაგრად დავცინოდით და ერთხელ ზესტაფონის სადგურზე ვატირეთ კიდეც.

ვუყურებდი ამ ნაცნობ, ჩემთვის ასე საყვარელ სახეებს და ვხვდებოდი, რომ არ მინდოდა ეს ღამე დამთავრებულიყო. ჩვენ დაუსრულებლად შეგვეძლო გველაპარაკა რაღაც სისულელეებზე, გაგვეხსენებინა კიდეც უამრავი ამბავი, მერე თავიდან დაგვეწყო, მეორე წრეზე წავსულიყავით, მერე მესამეზე, მერე მეოთხეზე და მაინც არ მოგვწყინდებოდა, რომ სადაც არ შევიკრიბებოდით, ისევ თავიდან შეგვეძლო ამ ყველაფრის გახსენება, მაგრამ ვეღარ ვიკრიბებოდით და სწორედ ამიტომ არ მინდოდა ამ ღამის დამთავრება.

ყველანი ბავშვობიდან ერთად მოვიდვართ, მე, ჩემი ძმა, ბაირამა, ბუფონა, ქვემეხა და რაკოვინა. სულ პატარაობიდან ვართ ერთად, ხუთივეს შეგვეძლო კარგი რეგბი გვეთამაშა,

მაგრამ ვერ ვითამაშეთ, უფრო სწორად, არ ვითამაშეთ.

და ამ ფიქრმა ერთი სრულიად განსხვავებული საღამო გამახსენა. ზაფხულში არტგენზე ავედით, ნიაზას კონცერტი. დასაჯდომი ადგილი არ იყო, ამიტომ ფერდობზე მოგვინია წამოგორება. ცხელი თბილისური საღამო იდგა, ვარსკვლავებიანი ცა, განათებული ქალაქი, ოქროს ქვიშასავით რომ გაბნეულიყო წყვილიაღის შავ გადასაფარებელზე, პატარა სცენა, ფერდობზე დაკიდებული სკამები და ნაცნობი სიმღერები.

ვეღარ იყო ნიაზა ძველებურად ჯანზე, ხმაში ხრინნი შეჰპარვოდა, მაგრამ კონცერტი მაინც კარგი გამოვიდა, თავისი ცეკვებით და ხმააყოლილი სიმღერებით. ჰოდა, სწორედ აქ ვნახე ჩვენი ძველი გუნდელი ბექა. გამეხარდა, იმასაც. ერთმანეთი მოვიკითხეთ, ბიჭების ამბავი მკითხა, რას შვევით, ნაკრებში თამაშობთო? ვერა-მეთქი, - ვუპასუხე ღიმილით.

- ბიჭო, ნაკრებში რო გეთამაშათ, ერთადერთი, რაც გჭირდებოდათ, პროსტა სიარული იყო, ვარჯიშზე უნდა გეველოთ და მორჩა, და როგორ ვერ მოახერხეთ ვერც ერთმა? - მკითხა გაკვირვებულმა.

და მე უცბად ვიგრძენი, როგორ დამწყდა გული.

- რავი, - ვუპასუხე, გაღიმებაც ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა, დავემშვიდობე და წამოვედი. იმიტომ, რომ ის მართალს ამბობდა, აი, მე კი არა, მივხვდი და ხასიათიც გამიფუჭდა.

პირველი ქვემეხა წავიდა, მოვალე, თქვა და აღარ მოვიდა, თუმცა არც ველოდებოდით. ცოლი, შვილი, ოჯახი, სამსახური, ყველაფერი თავისას შვრება. მერე ჩემი ძმა გაშპა, ბოლოს ჩვენც დავიშალეთ, უფრო სწორად, კი არ დავიშალეთ, ერთ ტაქსში ჩავსხედით და რიგრიგობით დავარიგებინეთ თავი.

ბოლო მე მომინია, მარტო ვიჯექი და ღამის ტრასას ვუყურებდი. გმირთა მოედანზე გავაჩერებინე, აღარ მომინდა, ფეხით მერჩივნა სიარული.

გადმოვედი და ხიდისკენ დავიძარი, დაცლილი ქუჩა ნაცრისფერი უდაბნო-



ლექსი, რომელსაც „აპრილი“ უნდა რქმეოდა...

აღბათ მშურს კიდეც იმ მწერლების, რომელთაც ამ თემაზე ცოტა აქვთ სალაპარაკო, ან სულაც არაფერი. მე კი პირიქით, არც კი ვიცი საიდან დაიწყო, რადგან მთელი ჩემი ცხოვრება არალიტერატურულ გარემოში მიედიწება. ცოტა არ იყოს, უხერხულად ვგრძნობ თავს და თან უცნაური შიშის განცდაც მეუფლება, რომ ჩემი ასეთი გულახდილობით თუ აღიარებით ვინმეს წარმოდგენა არ დავუკარგო ჩემს თავზე. თუმცა ბევრისთვის აღბათ ისევე, როგორც ჩემთვის, ბოლომდე გასაგები ადამიანი უინტერესო ხდება. თითქმის ტრაგიკულიც კია, როცა ერთბაშად ტოვებ იმას, რაც ყველაზე მეტი გიყვარს - ოჯახს, სწავლას, სამშობლოს და მიდინარ იქ, სადაც ხელმეორედ იხადები და ყველაფერს თავიდან იწყებ. ხოლო წლების მერე დაბრუნებული დღემდე შენ წილ სამშობლოს ეძებ, საზღვარგარეთაც და სამშობლოშიც. ძალიან ძნელია, როცა სისხლის ბოლო წვეთამდე პოეზია გაქვს მორფივით გამჯდარი და იმის დროც კი არ გრჩება, რომ სადმე სიმყუდროვეში ჩამოჯდე და თუნდაც „ბლოკნოტი“ ჩაიწერო თავში მოზღვავებული, დალილობისგან გაბუნდოვებული აზრები. ამიტომ სიზმარ-ცხადში ზეპირად დანერგულ ლექსის სტროფებს, უკვე დაწინყების უფსკრულთან მდგართ, მეორე დღეს დაძაბული დაძებ სსოვნის ლაბირინთებში. და იმდენად ითიშები, რომ ექვსმეტრიანი რკინის ხარაჩოდან გადმოვარდნილს, გინდა თითქმის ტრაგიკული შემთხვევაც ლექსად აქციო. ამიტომ ლექსი, რომელსაც „აპრილი“ უნდა რქმეოდა, „არუბინშტინის სიკვდილად“ იქცა.

ჩემი სიჭაბუკისდროინდელი საქართველო - ყველაზე აბსურდული, აღბათ მთელი არსებობის მანძილზე, უსაქმურობის გამო გალოთებამდე და დაჩლუნგებამდე მისული სოფლის ახალგაზრდობა.

დასასრული მე-19 გვერდზე



სავით გადაჭიმულიყო. ცირკის უკანა ასახვევში, იქ, სადაც ფერფლისფერი მოკირწყლული ბილიკი ტყის შავ სიღრმეში იკარგება, ბოზები ისხდნენ, დაეწყით ხელები კაბის ქვეშ ამოცმულ იაფფასიან სქელ რეიტუზებზე, მშვიდად აბოლებდნენ სიგარეტს და ჩუმად შეჰყურებდნენ სიბნელეს თავისი მორღვეული, გაუბედურებული და ყველაფერს შერვეული სახეებით. ჭუჭყიანი, მოუვლელი ტაქსი სუფრასავით განოლილიყო დაღმართზე.

გვერდზე რალაცამ ჩამირბინა, დავეხედე, პატარა შავი ძალლი იყო, ჩამირბინა და სწორედ იმ ასახვევში აუხვია. გავჩერდი და დავაკვირდი. ძალლი ტაქსს გასცდა, შემდეგ ხელმარჯვნივ, ტყისკენ წავიდა და სწორედ ამ დროს ნაძვების ბნელი სიღრმიდან მრგვალმუცელა ნაცრისფერი ლეკვი გადმოსტა და ხტუნვა-ხტუნვით დაიძრა დედისკენ. ცოტა ხანი ითამაშეს, კბილი გაჰკრეს ერთმანეთს, დედა ხეებისაკენ გაქანდა, რკინის ვინრო ლოზეში გაძვრა, შავი წყალივით ჩაიღვარა გისოსებს შორის და გაუჩინარდა. ლეკვიც მიჰყვა.

– აქაც ხდება კარგი რამეები, – ჩავილაპარაკე და ხიდზე გადავედი.

ლამის მტკვარი ყველაფრის სარკეა, რის ანარეკლს არ დაინახავ მის მუქ, ჭუჭყიან წყალში: მთელი ქალაქის სინათლე იქ არის, ანძიდან და ფუნიკულიორის თავზე აღმართული ეშმაკის ბორბლიდან დანყებული (ქამელეონით რომ იცვლის ფერებს), ქუჩის უბრალო ლამპიონით დამთავრებული.

წყლის წვეთი ნემსივით დამეცა ხელზე, ცაში ავიხედე, შავი, უკიდევანო სივრცე წვრილად მესროდა გამჭვირვალე ისრებს, მესიამოვნა, წვიმის წვეთები ქალის ნაზი თითებივით დამისრიალებდა თმაში, პერანგი ნელნელა იჟღინთებოდა, ნელ-ნელა მეკრობოდა ტანზე.

ჯიხურთან გავჩერდი, მინაზე მივუკაკუნე და სასმელი ვიყიდე, საშინლად მწყუროდა. ნახევრად მძინარე გამყიდველმა თუნუქის ბოთლი მომანოდა, გავხსენი, მოვიყუდე და ოდნავ უკან გადავაგდე თავი.

შემდეგ გზა გავაგრძელე, ავტობუსების გაჩერებაზე ჩამოვჯექი და ქუჩას დავუნყე თვალიერება, როგორ ეცემოდნენ შავ ასფალტზე ლამპიონების შუქისგას შხამიან ყვითელ ფერად ქცეული წვიმის წვეთები და როგორ აბოლებდნენ, ამუქებდნენ ამ ნაცრისფერ ბეტონის ნახატს.

– ისე ჩამივლი, რო არც მესალმები? – მომესმა უენიდან, თავი მივაბრუნე და ორი შავი სილუეტი დავინახე, ერთი მხრებში გაშლილი, ჯანიანი, თმაჩეჩილი, მეორე კი გრძელთმიანი, სუსტი და პირველზე ოდნავ დაბალი.

ლაპარაკით პირველი, ბიჭი, ლაპარაკობდა, მეორე ჩუმად იდგა.

– რა არი, არა, მაინც? – აშკარად ეტყობოდა, მთვრალი იყო, – რამდენი ხანია არ მინახიხარ? სამი, არა ოთხი თვეა... არადა ორივეს მოგვწონდა ერთმანეთი და იმდენი ვქენით, შენ შენი გაუბედაობით და დაუფიქრებლობით, და მე ჩემი ვირული და ფიცხი ხასიათით, რო თავი შევაზიზღეთ, წესით სასაცილო უნდა იყოს, მაგრამ რატომღაც არ არი, – გოგომ არაფერი უპასუხა.

მანქანის ფარებმა წამით გაჭრა სიბნელე, წამით გაანათა წვერიანი სახე, არეული, არაყნარევი თვალები, დაბლა დახრილი ნაბლისფერი წარბები. ბიჭი მობრუნდა, წავიდა და მე უცბად ვიცანი ორივე. ვიცანი. ეს ნელი, ოდნავ თავჩაქინდრული სიარულის მანერა, ზურგი, ნაბლისფერი ქოჩორი, ვიცანი გოგოც, თითქოს უშნო, არაფრით გამორჩეული, მაგრამ რალაცნაირი საცოდავი და გულმისავალი, როგორც ბავშობისდროინდელი თოჯინა.

ავგისტოს ომი იყო, როდესაც რეგისტრები ლტოლვილების დასახმარებლად გაგვიშვეს საბურთალოზე, ერთ-ერთ საბავშვო ბაღში. საჭმელი უნდა მიგვეტანა, თუ რამე დასჭირდებოდათ, უნდა მივხმარებოდით – გადატანა, გადმოტანა, სიმძიმის აწევა.

ჩვენს მოპირდაპირე ქუჩაზე კი დიდი სკოლა იყო, სადაც უამრავი ლტოლვილი მოჰყავდათ, იქ სამუშაოც ბევრად მეტი იყო და სათრევიც, ამიტომ ბიჭები ხშირად ვეხმარებოდით ხოლმე.

ერთხელ ფქვილის დიდი პარტია მოუვიდათ, რატომღაც ისე აღმოჩნდა, რომ ბიჭებიდან მართო მე ვიყავი მაგ დროს ბალთან, გადავედი და დავინწყეთ ამ ფქვილიანი ტომრების თრევა. ბევრი იყო, მაგრამ ავზიდეთ, ოთხი ტომარა დაგვრჩა, დავილაღეთ და სწორედ ამ დროს გამოიარეს ამ გოგომ და ბიჭმა. ბიჭს ლამაზი მუქი ლურჯი მაისური ეცვა, გოგოს თეთრი შორტები და თეთრი ზედა, ნელი ნაბიჯით მოდიოდნენ, ოღონდ ისე კი არა, ერთმანეთზე გადახვეულები, ან ხელიხელ ჩაკიდებულები, არა, გოგოს ხელი ჰქონდა ბიჭზე გაყრილი და მორჩა. ლამაზად მოდიოდნენ, მშვიდად ჩვენ რომ ჩავვიარეს, გაჩერდნენ, ბიჭმა ტომრებს შეხედა, შემდეგ მხრებდაფქვილულ მელოტ კაცს, იქვე კიბეზე რომ ჩამომჯდარიყო და ფქვილიანი ხელით იწმენდა შუბლზე მომდგარ ოფლის წვეთებს. გოგოს მოშორდა, ტომრებისკენ წამოვიდა, რომელ სართულზე ავიტანოო, იკითხა.

– მესამეზე, შვილო, – უპასუხა მოხუცმა ქალმა.

ბიჭმა ხელი ჩასჭიდა, მხარზე მოიგდო და რიგრიგობით აზიდა. არავის შეუმჩნევია, საქმე ისედაც თავსაყრელი იყო, ყველა თავისას დაათრევდა იქ. ტომრებს რომ მორჩა, გოგოსთან დაბრუნდა, იმან ღიმილით შემოაბრუნა, რამდენიმეჯერ დაჰკრა გრძელი, დიდი ხელები და ჰაერში სულმებერილი ბაბუნავერას ფურცლებივით ავარდა თეთრი ბოლი.

გოგო გამქრალიყო, ბიჭი ისევ ნელა მიუყვებოდა ჩაშავებულ ქუჩას.

„ერთადერთი, რაც გჭირდებოდათ, პროსტა სიარული იყო, ვარჯიშზე უნდა გველოთ და მორჩა, და როგორ ვერ მოახერხეთ ვერც ერთმა?“ – გამახსენდა ბექას სიტყვები და უცბად მივხვდი, რომ აღარ მწყინდა, აღარ მწყდებოდა გული, პირიქით, ბედნიერი ვიყავი.

ბედნიერი ვიყავი არგამოსული რეგისტრით, დაცლილი სახლით, დაღლილი და მობერებული დედით, დანჯღრეული მანქანით, პატარა ხელფასით, გაკვირვებული და ბუთქუნა ძმისშვილით, მკერდზე მიხუტებისას ცხელ ვარდისფერ ლოყას რომ გადებს სახეზე და პატარა თითებით გებლაუჭება ყურზე, ამ ნაცრისფერი შეშლილი ქალაქით, შავი ცითა და ჭუჭყიანი მტკვრით.

მერე რა, რომ ვერც ერთმა ჩვენგანმა ვერ ითამაშა დიდი რეგბი, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გავიდა გადატენილ „დინამოს“ სტადიონზე, სადაც შეძახილი ოკეანის ტალღასავით იბადება სადაც ხალხის სიღრმეში, იზრდება, შენსკენ მოექანება და შხუილით ეხეთქება მაღალ ტრიბუნებს. სამაგიეროდ, ჩვენ ისევ ისე, და ალბათ კიდევ უფრო მაგრად გვიყვარს ერთმანეთი, ვიდრე გვიყვარდა ადრე, იმ ჯადოსნურ და ფერად სამყაროში, რომელსაც ბავშვობა ეწოდება და რომელიც, მართალია, აღარასოდეს დაბრუნდება, მაგრამ არც არასოდეს გაქრება.



იმასაც კი ვერიდებოდი, რომ ჩემი სოფლის „ბირჟაზე“ წიგნებით დატვირთულს ჩამეველო, ვიცოდი ჩემი სიფიცხის ამბავი, რა მოყვებოდა დაბოლილი ახალგაზრდების აგდებულ და ირონიულ მზერას (მადლობა ღმერთს, ბოლოს ყველამ თავს უშველა). ჩემი სტუდენტობისდროინდელი ქუთაისი თითქმის ლაპარაკადაც არ ღირს.

დღეს ჩემი ცხოვრება იმავე რეჟიმში მიედინება, როგორმაც ყველა ევროპელის: დილის ექვსი საათიდან საღამოს რვა საათამდე (თუმცა ორი საათით მეტი გამომდის იმის გამო, რომ ამით ჩემი ოჯახის იქითაც დავეხმარო ვინმეს) ყოველდღიური შრომა...

სოსო მუხველიანი

ესეისტიკა / დოკუმენტური პროზა



ვაგრძელებთ პოეტ მარიამ ნიკლაურის წერილების ციკლის ბეჭდვას (პირველი პუბლიკაცია იხ. „ქართული მწერლობა“ №2, 2011). ზოგი მათგანი მწერლის არქივში დიდი ხნის მანძილზე გაუჩუჩებული ჩანაწერებიდან შეიქმნა, ზოგი – აქამდე ფიქრით და გულით მოღწეული შთაბეჭდილებებიდან, უმეტესობა კი გზადაგზა, შემოქმედის (ქვეყნის და სამყაროს) ცხოვრების კვალდაკვალ იქმნება და მათში თანამედროვე ლიტერატურული და არალიტერატურული საკითხები პოეტური ძრილიდან აირეკლება.

თავად მარიამ ნიკლაურმა ამ ყოველივეს „დაუნერულ წერილებში“ მოუყარა თავი.

მარიამ ნიკლაური

დაუნერული წერილებიდან

ანამცო თუ არა გწყალობს,
მომავალი შენია...

ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ახსენებენ „ქართულ სულიერებას“.

და რაც უფრო ხშირად, მით ბუნდოვანდება ამ სიტყვების არსში ჩამალული ჯავარი. ბუნდოვანდება იმ უცხო ფასეულობათა მონელებაში, რომელიც აშკარად უწყობს ხელს ჩვენი, როგორც ერის მეხსიერების ანემნეზს. რატომღაც, საზოგადოების განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად სწორედ ტრადიციებისადმი ერთგულება სახელდება. მაგრამ ტრადიციაც არის და ტრადიციაც. ყველა ტრადიცია ოდესღაც ჩამოყალიბდა და შეიძლება კიდევ შეიცვალოს, მაგრამ ამ ტრადიციათა „გაკეთილშობილების“ სახელით ჩვენ ხშირად გვიწევს სასიცოცხლოდ უმთავრესი ღირებულებების „მოდერნიზაცია“. არადა, ერის ცნობიერებასაც ხომ გააჩნია თავისი „ეკოლოგიური ბალანსი“ – ის ეთნოფსიქიკა, რომელიც მის განვითარებასა და სიცოცხლისუნარიანობას უწყობს ხელს? ამ „ეკოსისტემის“ ჩამოყალიბებას ხომ ძალიან დიდი დრო, გარემოებანი და ბევრი ღვთაებრივი თუ ადამიანური ფაქტორი ქმნიდა. რაღაც ასეთი „ეკოსისტემა“ მგონია „ქართული სულიერებაც“. რაა ის? რაშია მისი არსი?

ხშირად აშკარა უზნეობისა და ქაჯობის ნიღაბმორგებული, ხშირად გამაღიზიანებელიც, ხშირად სახელდაურქმეველი და უნათლავი ეფემერა? ალბათ უამრავი აზრი, შეფასება შეიძლება მიესადაგოს მას. მინდა რაღაცას, ჭეშმარიტებასთან მიახლოებულს მივაკვლიო. ყველაფერი ხომ სიტყვით არის გაცხადებული, რა გვაქვს ისეთი ამ ქართველებს, რასაც სხვა ენებში არ ფლობს კაცობრიობა?

„წუთისოფელი“? „უყამო ჟამი“? „იყო და არა იყო“? „მრავალჟამიერი“? რაღაც მაინც დროის თავისებურ აღქმას უკავშირდება და ამ დროში ადამიანის ქმედებას.

მეც აქ შევჩერდები.

აქ, სადაც დრო გვეგულება – ეს არსებული და მოუხელთებელი კატეგორია: ხან მატერიალურიც კი, ხან – დემატერიალიზებული. ხან – საკრალური, ხან ენერგია, ხან – არაფრობა და შავი ხვრელი. ხან ქაოსი, ხან – ჰარმონია და წესრიგი. და მაინც ვერასგზით სახელდებული და ვერმოხელთებული. ალბათ დრო ღვთაებრივი მისტიერიაა, სამყაროს ერთ-ერთი სახეც კი. მაგრამ ის, რაც ადამიანთათვის და მოკვდავთათვის დანანევრებულია, წარსულად, აწმყოდ და მომავლად, ის ღვთისათვის მთლიანი და დაუნანევრებელია. ღვთის დრო ერთიანია. ეს ყველას კარგად მოეხსენება. უფლისთვის ყველაფერი უკვე განჩინებული და გაცხადებულია.

„ანამცო თუ არა გწყალობს, მომავალი შენიაო“, რომ გვეუბნებოდა პოეტი, ალბათ აი, იმ მომავალზეა საუბარი, ღვთისათვის რომ უკვე არსებული და მომხდარია და ადამიანისათვის კი ჯერ განუჭვრეტელი და შეუცნობელიც. ალბათ ეს ის მომავალია, რომელიც ხილულად არ გვეძლევა, მაგრამ ჩვენში არსებული ქრისტესმიერი ცხოვრების – სულიერი ღვანლის სახეა. იმ მომავალს თუ გულისხმობდა პოეტი. ჰოდა, სწორედ აქ ვხვდები, რა უნდა იყოს „ქართული სულიერების“ ფენომენის განმსაზღვრელი.

ქართული ეთნოფსიქიკა გვერდს ვერ აუვლის იმ ფაქტს, რომ ჩვენ გავაჩნია ერთნაირი, თანაბარი და უწყვეტი პასუხისმგებლობა ჩვენი მამაპაპის ანუ წარსულისა და ჩვენი მომა-

ვლის – შვილებისა და შვილიშვილების წინაშე (ეს რაღაცით კიდევ მიესადაგება ღვთაებრივი დაუნაწევრებელი და მთლიანი დროის ადამიანურ გაგებას). აქ ემსგავსება ადამიანი უზენაესს, აქ ისიც ერთიანი და მთლიანია დროში... აქედან გამომდინარე, ქართველი არასდროს გრძნობს თავს მათგან დამოუკიდებელ არსებად, მას ვალდებულად მიაჩნია თავი, თანაბრად გაუწიოს ანგარიში თავისი ცხოვრების წესითა და აზროვნებით, ქცევითა და ქმედებით, როგორც გარდაცვლილ წინაპრებს, ასევე შთამომავლობას.

ის არც წინაპარს უნდა არცხვენდეს, „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“ პრინციპით და მომავალსაც უნდა უფრთხილდებოდეს „პაპის ნაჭამი ტყემალი რომ კბილს არა კვეთდეს შვილიშვილს“.

ეს დამოკიდებულება ყველაზე ზედაპირული დაკვირვების შემთხვევაშიც კი ძალიან აშკარაა.

აი, გადაავლეთ თვალი ქართული ეკლესიის ისტორიას – აქ უწყვეტი კავშირია შენარჩუნებული ყველა დროს, ყველა დროის მოღვაწეებსა და დღევანდელ ეკლესიას შორის, გადაავლეთ თვალი ქართულ მწერლობას: აქაც უწყვეტი კავშირია შენარჩუნებული ყველა დროის ადამიანის ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე და ლამის „მეორე სახარებად“ მიიჩნევა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა, და ბოლოს, გადაავლეთ თვალი ადამიანებს, საზოგადოებას და მიხედვით, რომ „ქართული სულიერება“ სხვა არაფერია, თუ არა **უწყვეტი პასუხისმგებლობის შეგრძნება** ყველა დროისა და ამ დროში მცხოვრები ადამიანების მიმართ. ესაა საქრთველოს სიცოცხლისუნარიანობის მთავარი მიზეზი. ქართველი ცდილობს, წინაპარის, თანამედროვისა და მომავლის წინაშე ერთნაირად გააჩნდეს ღირსებისა და პასუხისმგებლობის განცდა. მისი პიროვნება ამით უნდა გაიზომოს: არცხვენს თუ ღირსებით ატარებს მათ ხსოვნას, სახელს და თავადაც ხდება თუ არა მომავლისათვის

ღირსეული წინაპარი. იქნებ არც მთლად მართო ქართულია ეს მოვლენა, იქნებ ეს ძველი ერებისათვის ჩვეულებრივი, ბუნებრივი მახასიათებელია? დიხხაც, ასეა! მაშ, მით უფრო გამტკიცებული ყოფილა სამყაროში „ხანგრძლივი არსებობის მეთოდოლოგია“.

სანამ ჩვენ ეს უწყვეტობის პრინციპი – წინაპრის, თანამედროვისა და მომავლის ერთიანობისა და მთლიანობის განცდა მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული გვექნება და სანამ ჩვენ არ ვიქცევით ეგოისტ, თავკერძა, კეთილდღეობისა და საკუთარი სურვილების მონად, მანამ არც საქართველოს და არც სამყაროს არაფერი გაუჭირდება. როგორც კი ჩვენ, ჩვენ კერძო საკუთრებად დავიგულებთ ჩვენსავე ყოფას, ყოფნას და ცხოვრებას თავისი ემოციებით, საფიქრალით, ცხოვრებით, საქმიანობით და გაგვიწყდება ამ უწყვეტობის შეგრძნება და ღირებულებაც, იმნამსვე ვიქცევით უსამშობლო, უეროვნებო მსოფლიო მოქალაქეებად, და მოგვეჩვენება, რომ ვართ ყველაზე პროგრესულები, ყველაზე თავისუფლები, ყველაზე ბედნიერებიც კი, იმდენად, იმდენად, რომ თავის მოკვლაც კი შეიძლება მოგვინდეს ზედმეტი ბედნიერებით..

და ვაი ამ მოჩვენებებს, ადამიანო, რადგან გვახსოვდეს, რომ მთელი ჩვენი უმაღლესი იდეალები თავისუფლებაზე და კაცთმოყვარეობაზე, სიყვარულსა და ბედნიერებაზე, სხვა არაფერია, თუ არა ილუზიები, რომელსაც წარმავლობა და წამი ქმნის მარადისობის დასავინწყებლად. შენი ხილული ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა სულიერი ცხოვრების ზეიმი და მისი გამარჯვება, რწმენა, რომ არსებობა გრძელდება და არსებობა ის კი არ არის, რაც ჩანს, არამედ ის, რაც დაფარულია აქ და გაცხადებულია იქ – მარადიულ ზესთასოფელში. ის მომავალია, სიხარულისა და ბედნიერების მომტანი ტანჯული ანმყოს საფასურად. ეს მომავალი უნდა მოვინაყოფოთ აქ – მყობადში, გარდასულის შენეწვითა და მომავლის რწმენით.



ნიქალია, ნინუბას უფალი...

ალბათ უკვე ერთი კვირაა, რაც ნინო სადღობელაშვილს დავპირდი, რომ „ქართული მწერლობისათვის“ დავწერდი. არ მეგონა, ასე ძნელი თუ იქნებოდა თავისთავზე წერა. არადა, ხომ ყველაზე გაბედულ ფიქრშიც ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ჩემი ნაწერით ვინმე თუ დაინტერესდებოდა, მაგრამ აჰა, დაინტერესდნენ და – დღეს, დილაადრიანად გადავწყვიტე, დავჯდე და, ვიდრე აიშლება დიდატარა, რაღაც დავწერო... თანაც მარტია, თანაც ორშაბათია (ორპროცესიანი, ონლაინაუქციონიანი, დასაწერსარჩელებიანი და საღამოს – ბესიკხარანაულიანი), თანაც აგერ სამი დღის წინ ეს უჭივარ-უტყვივარი იაპონია რამდენიმე საათში ლამის იყო ერთიანად განადგურა ამ მინისძვრა-ცუნამმა და ჩემი გული ზღვას ერევა. ზუსტად დროა, დავჯდე და დავწერო რაღაც ძალიან გულიდან ამომდინარი, ძალიან ნამდვილი, აი, როგორც გათენება ან ყანის ამოსვლა, ან წყლის დაღვება, ან დედაჩემის ნათქვამი „გენაცვალე“...

ვინ დაგაცადა?! გავხენი „ფეისბუქი“ და დამხვდა ამ გადარეული კატო ჯავახიშვილის „ქართაგენი“...

ცისკრის ლოცვის დრო სულ ათი წუთის გასული იქნებოდა.

ავდექი, ავანთე სანთლები, გამოვლოცე ფშავის მთა-ბარს და დავიწყე წერა, მაგრამ ახლა ჩემი ძმა პავლე ჩამოვიდა ერწოდან და კიდევ ერთხელ გადამიბრუნა გული. გულში გამთენიისასო, – მიყვება, – ჩვენი ორხევის სახლის თავზე ისეთი კაშკაშა და მანათობელი სინათლე იდგა, მეგონა, მოლანდებები დამეწყოო... დაახლოებით შვიდი წუთი ვიდექი და ვუყურებდიო... ვიფიქრე, წინა ლამის ნამთვრალეკს მეჩვენებოდა, მაგრამ მინც ვუყურებდი და რომ გადაიარა, მერეღა შევბრუნდი სახლშიო. სინათლე ვერ ავანთე და კარგად გათენებულზე ვნახეთ, ელექტროგადამცემი იყო

გაგრძელება 23-ე გვერდზე



ეს მომავალია ჩვენი, სხვა არაფერი.
ამ მომავლის შენების სიხარულია
ქართული სულიერება!

ამ მომავლის არსებობის რწმენაა
ქართული სულიერებაც!

და მარტო რწმენა?

ღვანლი!

ორთავე სოფლისათვის, დაუნან-
ვერებელი დროისთვის, ღვთისა და
ადამიანის მთლიანობისათვის გაღე-
ბული ღვანლი.

„ეშმაკს რად ვაძეპ...“

ვაჟა ფშაველას ერთი ლექსის გამო

ვაჟა ფშაველას გენიალურობას დიდი ხანია, არავინ ეჭვობს. დრო-ჟამი თავისებურად ახმინებს მის საოცარ სულიერ სამყაროს. ვაჟა ფშაველას გრძობასა და გონებაში გამოტარებული აზრებმა არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო აზროვნებას განუმეორებელი სიღრმე და სიმბოლურობა შესძინეს. მისმა სულის ღვთიურმა სხივმა გაამჟღავნა და გამოსახა მთელი სამყაროს, ყველა სკნელის და მხარის მარადიული, უცვლელი სახე, პირველარსი, რომელიც არ ექვემდებარება რელიგიურ-კულტურულ, პოლიტიკურ-ეკონომიურ თუ საზოგადოებრივ-სოციალურ ფაქტორთა ზემოქმედებას.

ვაჟა ფშაველამ დაგვიხატა და აგვიღწერა არა მხოლოდ მარადიული სამყაროს სახე-სიმბოლო მისი მარადიული მატერიით, დაბადებით, ადამიანით, სიცოცხლით, ბრძოლით, სიკვდილითა და ხელახლა აღდგენის სასოებით, არამედ სწრაფღვანარმავალი და ცვალებადი მატერიალური და სოციალური კატეგორიების მიღმა დაგვანახვა უცვლელი სუბსტანცია, როგორც უხილავ სულიერ, ასევე ხილულ, ნივთიერ პლანში.

ვაჟას დანილული თვალის სულიერი ხედვა, როგორც ჩანს, ერთ წერტილში აფოკუსირებდა წარსულის, აწმყოსა და მომავლის ხატსა და სურათებს, თავისი საფიქრალით, ჭირით, იმედით...

„ბუნება სულის სიმბოლოა“ – წერდა ამერიკელი მწერალი ემერსონი.

ვაჟასთან ბუნება არა მხოლოდ სულის სიმბოლოა, არამედ იმ ქმედების, ცვლილებების, გარდაქმნებისა და მარადიული გზისა, რომელსაც სული გადის სამყაროში ქვესკნელიდან ზესკნელამდე, ხილულიდან არახილულამდე, კაციდან ღმერთამდე და პირიქით.

ვაჟასთვის სამყარო ჰარმონიული, მთლიანი და მარადიულია არა მხოლოდ ნათელის და კეთილის ნყალობითა და მეშვეობით, არა მხოლოდ დადებითი ენერჯიის შემწეობით, არამედ სწორედ სინათლე-სიბნელის, სიკვდილ-სიცოცხლის, სიკეთე-ბოროტების, ზამთარ-ზაფხულის, დღე-ღამის, ხევი-მწვერვალის, გველი-იის, არწივ-ყორნის, დევი-კაცის და ა. შ. დაუსრულებლად. ღვთისა და ეშმაკის ანტიარსობრივი დუალიზმის ნყალობით! ამ დიპოლური („+“ და „-“) სახითაა გაცხადებული და გააზრებული უმაღლესი ჭეშმარიტებაც, ღვთაებრივი სამართლიანობაც, სიცოცხლის მარადიულობაც, ადამიანის უმთავრესი დანიშნულებაც და არსიც. სამყაროსა და ანტისამყაროს ურთიერთობებზეა მიყურადებული მწერალი და თავისი სათქმელიც ამ ურთულესი მექანიზმის მიზეზ-შედეგობრივი პროცესის განჭვრეტისა და ამოხსნის მიზანს უნდა დაუქვემდებაროს და გააცხადოს.

აქედან იღებს სათავეს ვაჟასეული რწმენაც, ჰუმანიზმიც, სიმბოლურობაც, ზნეობრიობაც. ის ბუნების გადაშლილ წიგნს კითხულობს სულის თვალთ და ხედავს, რომ ანტისამყაროს სტიქია (ქარიშხლის, ღვარცოფის, ღამისეული სიბნელის, ზვავის, დევების, მტრის...) ზებუნებრივი ღვთაებრივი ძალისა და მადლის ნყალობით მხოლოდ სიცოცხლის მარადიულობას ემსახურება და სიკვდილივით „სიცოცხლის გამკვეველია“, მაგრამ გასაკვირი და გულდასაწყვეტი ისაა, რომ რაც თანდაყოლილი მადლისა და ბუნების გამო არ ატარებს ანტისამყაროს, მინუსის ნიშან-თვისებას, რასაც ბუნებითად შეუძლია იყოს კარგი, დადებითი, რალატომ ამ-

ჟღერებს თავის თავს უარყოფითის თანამონაწილედ. რატომ არ ემიჯნება ბოროტს? რატომ ღალატობს თავის პირველარსს?

ვნახოთ, როგორ ცდილობს მწერალი ადამიანებს აჩვენოს, როგორი უანგარონი უნდა იყვნენ ისინი სიკეთისა და სიყვარულისთვის მსახურების გზაზე. და რა საოცარია, რომ აქაც, იგი ცდილობს, დადებითის სასარგებლოდ მოიხმოს, მოამსახუროს უარყოფითი დადებითს. ფსევდო დიონისე არეოპაგელის მსგავსად, „განღმრთობის გზას“ გაუყენოს ყველაფერი. „ღვთაებრივი ტრფიალები“ საოცარი უნარით გაგვაკვირვოს და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნოს, რომ ბოროტება შეიძლება ჩააყენო სიკეთის სამსახურში.

ამის სამაგალითოდ ერთ ნაკლებად ცნობილ ლექსს მოვიტან, რომელიც 1895 წლითაა დათარიღებული. მივეყვით ლექსის სტრიქონებს:

„ემშაკს რად ვაქებ, იცოდეთ,
საცოდნელია სწორედა,
ხომ ეშმაკია ბოროტი,
ფულიც დაუდო ყორედა,
ქრთამს არ აიღებს არასდროს,
თავის გზას მისდევს სწორედა“.

ის, რომ ეშმაკი „თავისი გზის სწორედ მიმდევებელია“ და არ იქრთამება ადამიანივით, არ ღალატობს ეშმაკისეულ არსს, „ქებასაც“ კი ათქმევინებს ავტორს:

„ჯოჯოხეთისა მიდამო
იმას ეკუთვნის სრულადა.
წმინდანთა მისი საქმენი
გვამცნეს და იცნეს კრულადა...“

მაგრამ ეს უშიშარი სულის ვაჟა ფშაველა წმინდანთა სწავლებისა და რელიგიური დოგმების გამო როდი წყევლის ეშმაკს, მეტიც...

მაგრამ მე ისე არ ვცანი,
რაც მათ სდებიათ გულადაო...

ამბობს და ეს „ის არ ცნობა“ პოეტის ახირებულობა ან რალაც მოდური რამ ნუ გეგონებათ. ვაჟა ასეთ მოდაზე და მით უფრო მოდას აყოლილ პოეტებზე რა აზრისაც ბრძანდება, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ („მოდამ ქაველი გაუჩინა კაცთა მოდგმის ოცნებასაო“). ეს ვაჟასთვის დამახასიათებელი ფიქრი-

ანობის, ძირის ძირში და არსის საწყისში მიმდევებელი მაძიებელი სულის გამოძახილია. ვაჟას სულმა და ფიქრმა უნდა მოახერხოს და ეშმაკშიც კი იპოვოს და აღმოაჩინოს ის, რაც საბოლოო სიკეთეს მოემსახურება (რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს)!

მივეყვით ლექსს:

„ემშაკი ეშმაკი არის,
ბოროტი სული წყეული,
ცოდვების ჩასადენადა
კაცთათვის გამოსეული“...

ვაჟასეული აზრის სითამამეც, სიღრმეც, აქედან იწყებს მთავარ სათქმელს და სულიერის გარდა სოციალურ პლანშიც შლის პრობლემას. „ჩოთქითა და არშინით“ გაზომილ ცხოვრებაში იმდენი სიმახინჯე, სიცრუე, პირფერობა, მლიქვნელობა დასადგურებულა, რომ პოეტი არც მეტი, არც ნაკლები, ეშმაკის (ყველაზე დიდი ცოდვილის) პატიოსნებაზე, მოუსყიდველობაზე ამახვილებს ყურადღებას და ამითლა ამუნათებს ადამიანებს. ვაჟა „ამართლებს“ ეშმაკს იმის გამო, რომ ცოდვას მადლად არ ჩაგითვლის, თავის ბუნებას არ უღალატებს და იმას გააკეთებს, რაც მისადაა დაწესებული:

„მაგრამ ბოროტი ცოდვასა
არ დაგისახავს მადლადა,
თუნდ ურმით ოქრო მიართო
თავის ცოდვების სახსრადა.
მაინც ჯოჯოხეთს უჩვენებს
ამას ამბობენ, სწორია,
ცხვარს არას ერჩის, მას უყვარს
კაცი, რომელიც ღორია“.

ვაჟას იმედი აქვს, რომ ასე დახასიათებული მოუსყიდველი საქმიანობა ეშმაკისა შეარცხვენს და ჩააფიქრებს იმ ადამიანს, რომელიც ფულის, სკამის და ათასი სარგებლისა თუ ვაისარგებლის გამო ყველას და ყველაფერს ჰყიდის საკუთარ სულთან ერთად: ვაჟა „რეაბილიტაციას“ ახდენს ეშმაკისას ერთი ფაქტის გამოც, რომ მხოლოდ მას შეუძლია ავსული კაცის ჯავრი არ შეარჩინოს ვაჟას:

„აბა, რისთვის ვაძაგო
ამისთვის გასაჭორია?
ავსულთა ჯავრი ჩემს გულზე
მარტო მას მოუფონია.



ჩამონყვეტილი და რვა ადგილას გადაგლეჯილიო... გუშინ მთელი დღე მნახველებს სხვა სალაპარაკო არაფერი ჰქონიათო. გონება არა და, გული კი ძალიან შემოშინდა... ვიდრე მე დეტალები გამოვკითხე, ვიდრე ყვა დავალევი, ვასაუზმე, სამსახურში წასვლის დროც მოვიდა.

სამარშრუტოთი მიყვარს მგზავრობა. სახლის ძირში ჩაჯდება და სამსახურის წინ ჩამოხვალ. მანქანით თხუთმეტ წუთში გასავლელ გზას თითქმის ორმოც წუთს ანდომებს. ეს დრო, ვილაცისთვის იქნებ გამაღიზიანებელი, ჩემთვის ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანია. ზუსტად ამ დროს ვახერხებ დავგემო სამსახურს-გარე და ოჯახსგარე საქმეები, რალაც წავიკითხო, რალაც ვაგისენო და, საქმეებისა და მოვალეობებისაგან სრულიად გამოთიშულმა, ჩემი საფიქრალი ვიფიქრო.

ჩემს გონებას ერთი ძალიან კარგი თვისება აქვს – ზუსტად საჭირო დროს და საჭირო ადგილას საჭირო ტალღაზე ჩაერთოს. ახლობლები მაქილიკებენ და მართლა შემიძლია, თავს სკარლექტო ჰპარასავით ვუთხრა – „ამაზე მე ახლა არ ვიფიქრებ“, აბსოლუტურად გავეთიშო ირგვლივ რეალობას და დავკავდე აუცილებლობით. ძალიან ზუსტი და ორიგინალური ფილტრი აქვს და იცის, როდის რა ინფორმაცია მომანოდოს, რა გადამაგინყოს. ეს დალოცვილი სადარბაზო კარებიც რა მაგიურად მოქმედებენ. სახლიდან გამოსვლისასაც კარს შიგნით მატოვებინებენ ოჯახის საფიქრალს და სამსახურიდან გამოსვლისასაც – სამსახურში.

ახლა პირველი პროცესიდან დაბრუნებული სარჩელის მასალებს ვარჩევ და პარალელურად ონლაინაუქციონის მიმდინარეობას ვაკვირდები. მინდა, დავწერო და თან ჩემს თავზე მეტრაზება. ასე შუა ხიდზე დგომა რომ არ შეიძლება, ხომ ვიცი და ამ ჩემი სამსახურის პატრონს რა წერა-მწერლობა ამიტყდა? აგერ, მოვიდა

დასასრული 25-ე გვერდზე



არც უნამუსო ყოფილა
 არცა ჰკლებია გონია,
 მაინც ჩვენ ეშმაკს ვუნოდებთ
 ქვეყნისთვის დამაღონია...“

ასე სრულდება ეს ლექსი, რომელმაც რატომღაც თავი არ დამანება და თქვენთვისაც გამაზიარებინა სათქმელი. ისეთი უბრალოებით საუბრობს ვაჟა ფშაველა ამ ურთულეს ცოდვამადლიან საკითხზე, რომ ალბათ ბევრ მორწმუნეს გააკვირვებს რწმენის სიდიდითაც. ვფიქრობ, რომ მხოლოდ რწმენა კი არა, ნიჭი უნდა დაგყვეს ქრისტიანობის, რომ ასე გაიაზრო ეშმაკის „საქმიანობა“.

ვაჟასთვის ესოდენ დამახასიათებელი მტრის ღირსების დამფასებელი მოტივიც ჟღერს ამ ლექსში, ნამდვილი ქრისტიანის სიმტკიცე და უშიშრობაც მოჩანს, კარგი პედაგოგის დიდაქტიკაც გამოსჭვივის, როცა ზუსტად მოხმობილი მაგალითის წყალობით მოსწავლის გონებას უადვილებს ურთულესი საკითხის შესწავლასა და დამახსოვრებას, და რაც არსებითია, გამოხატავს შეურიგებლობას ყოველგვარი არაკაცობის, უზნეობის, „ლორობის“ მიმართ. საოცარია, რომ ამ ზნეობრივ ომში პოეტი ახერხებს და ეშმაკსაც თავის მხარეზე აბრძოლებს, ეშმაკსაც სიკეთის საქმეს აკეთებინებს.

არც კი ვეჭვობ, რომ ვაჟა ფშაველას მხოლოდ იმაზე წყდებოდა გული, ჩვენ რად ვაძლევდით და ვაძლევთ ეშმაკს ამდენ საზრდოს და ჯოჯოხეთის გამოსაკვებ ლუკმას ჩვენი უგუნურებით? რატომ გვგონია, რომ სიცოცხლე სიკვდილამდე გრძელდება, რატომ ვიტანთ ჩვენს გარშემო ამდენ სიცრუეს, სიმახინჯეს, უზნეობას და რატომ ვივინყებთ, რომ ყველა შეიძლება მოისყიდო, ეშმაკის გარდა?

P. S. ვაჟა ფშაველა ერთ-ერთ წერილში წერს, რომ მე დავიბადე 1862 წელს და არა 1861-შიო, როგორც შეცდომით წერენო. ე. ი. გამოდის, რომ ვაჟა ფშაველას დაბადების 150 წელი გაისად სრულდება და არა წელს.

რას მიძვინან

„მწერლის დესაკრალიზაცია“?

ოთარაანთ ქვრივის ინტონაცია მხოლოდ იმიტომ მოვიშველიე, რომ ამ საკითხის განხილვისას სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის განწყობა მსურს დავიმგზავროთ. სამართლიანობა განსაკუთრებით უნდა დავიცვათ ამ ტერიტორიაზე, სადაც ჯერ კიდევ არის შანსი „სულით მართული ცხოვრება“ შევინარჩუნოთ. ეს ტერიტორია ლიტერატურაა და აქაური სტიქიები: სიტყვა, შთაგონება, ნიჭი, ხსოვნა და სხვა ერთად აკეთებენ იმას, რასაც ჩვენ დღეს „დესაკრალიზება“ დავუპირეთ. ამ ბოლო დროს რამდენჯერმე მოვკარი ყური სხვადასხვა გამოსვლებში, აზრს მწერლის ზოგადი დესაკრალიზაციის აუცილებლობის შესახებ. ახალგაზრდა მწერალი საუბრობდა, რომ უნდა მოხდეს მწერლის „დესაკრალიზაცია“, რადგან ეს ხელს უწყობს პრივილეგიების ჩამოყალიბებას და ზოგიერთი მწერლის მიერ ამ პრივილეგიების ბოროტად გამოყენებას. მიმაჩნია, რომ გარკვეული სინათლე უნდა მოეფინოს ამ მოსაზრებას. არა კამათის, არამედ სწორი მიმართულების მოძიების სურვილით. ასეთი განცხადება იმსახურებს ყურადღებას, გამოხმაურებას, ღრმად გააზრებას, რადგან ერთი უკიდურესობიდან, შესაძლებელია მეორე უკიდურესობაში აღმოვჩნდეთ და იდეოლოგიური ელფერი შეიძინოს ნებისმიერი პროცესის ანტიპროცესმაც და მხოლოდ ამიტომ ჩავთვალო საქიროდ შევეხმიანო ჩემს კოლეგას.

მწერლის, როგორც შემოქმედის არსი, იმდენადაა დაკავშირებული სამყაროს სწორედ ყველაზე საკრალურ ფენომენტთან – სიტყვასთან, შთაგონებასთან, ქადაგებასთან, წინასწარმეტყველებასთან, ქმნადობასთან და ა. შ. რომ წარმოუდგენელია ნამდვილ შემოქმედს-ავტორს-დემიურგს ხელოვნურად ჩამოაშორო საკრალურობა. ასევე წარმოუდგენელია ვინმეს ეს თვისება ხელოვნურად შესძინო, თუკი თავისი შემოქმედებითი არსითა და აზროვნებით, ჭვრეტითა და ქმედებით, მას ეს არ გააჩნია.

მე კარგად ვხვდები, რომ ჩემი კო-ლეგა. გულისხმობდა იმ პრივილეგიათა ჩამოშორებას მწერლისთვის, როგორც იყო საბჭოურ პერიოდში მისი სოციალურ-ეკონომიური მხარე: ბინის უფასოდ მიღება დედაქალაქში, აგარაკი, ავეჯი, ავტომანქანა, სამედიცინო მომსახურება და ა. შ. და ა. შ. ამას ემატებოდა თანამდებობრივი პრივილეგიები, საპრონორარო ბიუჯეტები, პრემიები, გამოცემები, ტირაჟები, თარგმანები და ა. შ. და ა. შ. და ყველაფერი ეს იყო იდეოლოგიის სამსახურში ერთგული მოღვაწეობის საპირწონედ. ახლა ისიც ვთქვათ, რომ ყველას ერთ ტაფაში ვერ მოაქცევ და მოვიბოდიშოთ იმ პატიოსანი მწერლების წინაშე, ვინც მხოლოდ სიტყვის, სამშობლოს და ზნეობრივი ღირებულებების ერთგული იყო და იმათ წინაშეც, ვინც სიცოცხლითაც ზღო ამისათვის.

ერთი სიტყვით, ეს იყო პრივილეგიები. ეს სულაც არ იყო „საკრალიზაცია“. ეს გახლდათ ხელოვნურად შექმნილი იმიჯი მწერლისა, როგორც იდეოლოგიური მანქანის საყრდენისა. სამწუხაროდ, მე ასეთ პრივილეგიებს და ასეთ იდეოლოგიურ ერთგულებს მაგალითებს დღესაც ვხედავ. და ვხედავ იმასაც, რომ სწორედ ისინი არიან ცრუსაკრალურობის ნიშნით პატივდებულნი. ანუ საკითხი მწერლის, როგორც მოქალაქის სრულ თავისუფლებაზე დღესაც აქტუალურია, დღესაც პრობლემურია. ის კი არადა, ე. წ. „პარავოზი“ დღესაც ხშიანობს, მაგრამ არა ლენინისა და სტალინის, ან ბედნიერი კოლმეურნის სახელით, არამედ სექსუალურ და ფსიქიკურ მანიაკთა სახით.

ის, რომ საქართველოში სამეფო ტახტისა და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და ენის შეზღუდვის შემდეგ ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება შეძლეს 60-იანელებმა და ჩვენ დავრჩით ქართველებად, ეს ხომ ფაქტია? ეს ხომ სწორედ ენის, ლიტერატურისა და სიტყვიერების დახმარებით მოხდა, და რა გასაკვირია, რომ მწერლის მიმართ გაჩენილიყო ბუნებრივი მოწინება და პატივისცემა

საზოგადოების მხრიდან. რა გასაკვირია, რომ ჩვენ ილია ჭავჭავაძეს „ერის მამა“ ვუწოდეთ, აკაკის „უგვირგვინო მეფე“ და ა. შ. არავინ შემედავება, რომ რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა საკრალურ შემოქმედებას ქმნიდა. ასევე ზედმეტად მიმანია დღეს გალაკტიონისა თუ ნიკო სამადაშვილის შემოქმედებათა საკრალურობაზე საუბარი. ჩვენ თანამედროვეთა შორისაც არიან, საბედნიეროდ, ასეთი მწერლები და მოდი, კეისარს კეისრისა მივაგოთ. და თუ ადამიანებს მწერლის მიმართ შერჩენილი მოწინება გააჩნდათ, აქვთ და ექნებათ, ეს მხოლოდ მათი ნიჭიერების წყალობითაა მთელ მსოფლიოში.

მწერალს სრული უფლება აქვს, თავისი მწერლური მოღვაწეობა თავადვე ჩათვალოს ან მუზეუმის, ან საკუთარი გარჯის ნაყოფად, ან პოეზიად ან ტექსტად, მაგრამ, ზოგადად შემოქმედის დესაკრალიზაციის აუცილებლობაზე ასე საუბარი, ვშიშობ, არ ემსგავსოს ახალი იდეოლოგიის ახირებას.

რა თქმა უნდა, სასტიკი წინააღმდეგი ვარ სოციალური არასამართლიანობის პრინციპებისა, მაგრამ ასევე წინააღმდეგი ვარ დღემდე შეუცნობელი, შემოქმედებითი პროცესის ასე ხელოვნურად „გადანათვლისა“. ჩვენ ალბათ სხვა სახელი უნდა დავარქვათ ამ ყველაფერს. თორემ თავადვე აღმოვჩნდებით წინააღმდეგობაში, როცა მოგვინდება ავხსნათ ამა თუ იმ გენიალური მწერლის შემოქმედების არსი და სამყარო.

დღეს ბევრი ცრუ პატივითაა მოსილი და არა მხოლოდ მწერალი, არამედ ვარსკვლავები, შოუმენები, ავტორიტეტები, აი, ამის „დესაკრალიზაცია“, კი ბატონო, დიდი სიამოვნებით, მაგრამ შემოქმედთან დაკავშირებით ამ სიტყვებს ცოტა სხვანაირი გააზრება სჭირდება. იმ „კერპებს“ კი, რომლებსაც ამ ბოლო დროს ხშირად აჩვენებს ტელეეკრანი უარეს კონტექსტში, ვიდრე შეიძლებოდა მათი ჩვენება, დესაკრალიზაცია კი არ სჭირდება, უბრალოდ – ადამიანური შებრალება.



მეორე პროცესის დროც და... მივდივარ და ნეტავ, როდის დავინწყებ წერას? ზუსტი კი არა, მიახლოებითი პასუხიც არა მაქვს. ამ პროცესსაც რომ მოვითავებ და სამსახურში დავბრუნდები, მერე ერთი სრულიად არაპოეტური და, პირიქით, ძალიან პროზაული სარჩელი უნდა დავწერო დაახლოებით 100 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით და მხოლოდ ამის მერე ნავიდე ბესიკ ხარანაულთან შესახვედრად, როგორც მძიმე ორშაბათის დამავიკრგვინებელი ჯილდოს მისაღებად. დღეს ეს იქნება სულის საოხი...

შეხვედრიდან სავარაუდოდ გვიან საღამოს დავბრუნდები სახლში. ერთ ხელს, ასე 12 საათამდე, სავარძელში გამოვიძინებ, მერე, უკვე ყველა წესების დაცვით, საწოლში გავაგრძელებ ძილს კვლავ ადრეან დილაამდე...

იმედია, ინებებს უფალი და ხვალინდელს გამითენებს. იმიტომ, რომ წინოს ორიოდ სიტყვით უნდა დავუწერო – საერთოდ, რატომ ვწერ; ხვარამზეზე მინდა დავწერო; ვაჟას ცოლის ნატივრალი დავამთავრო; შუაფხოვლ ბიჭურთ თეკლეზე დავწერო; თინა ნაყურზე და მის ტრადიციულ თუ სტილიზებულ ფშაურ სამოსზე დავწერო, ბოლო-ბოლო პაპაჩემზე მინდა დავწერო, რა ხანია...

მარიამ ტსუცურაშვილი



გიორგი გოგოლაშვილი

**რაც თვალს უნახავს ან სმენას სხვისაგან გაუზომნია
(გურამ ბედოშვილის გახსენება)**

ერთი წელი გასრულდა გურამ ბედოშვილის გარდაცვალებიდან...

გურამ ბედოშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მწერალთა კავშირის წევრი; არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, სასულიერო აკადემიის ლექტორი... ავტორი ფუნდამენტური სამეცნიერო წიგნისა „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, მონოგრაფიისა „ერწო-თიანეთის ტოპონიმია“ და სხვა მრავალი სამეცნიერო შრომისა... ავტორი ორი რომანისა, კრებულისა „ანანურული მოთხრობები“, არაერთი საბავშვო წიგნისა... ლალი, დახვეწილი იუმორის პატრონი. რასაც დღეს გავიხსენებთ, ზოგს თავად შევსწრებივარ, ზოგიც თვითონ გურამს მოუყოლია. საოცარი თვითირონია ჰქონდა – ძნელად რომ ახასიათებთ ადამიანებს... გურამ ბედოშვილის მსგავსი ადამიანები ცხოვრებას ხალისს მატებენ, საინტერესოს ხდიან, ალამაზებენ...

ადრე წასული მეგობრის მონატრება ჰქვია ამ გახსენებას...

გურამი:

მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო ვასო ფრანგიშვილი, დიდად საინტერესო პიროვნება. იმჟამად ენათმეცნიერების ინსტიტუტის სწავლულ მდივანად ვმუშაობდი. ჰოდა, საინსტიტუტო საქმეზე ვენვიე ინსტიტუტის სწავლული მდივანი მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს. მოკრძალებით შევალე კარი.

– ოოო, რა კარგია, რომ მოხვედი! – მხიარულად შემომეგება ბატონი ვასო. მეც გამიხარდა; ვიფიქრე, მიცნო და საქმეც მოგვარდება-მეთქი...

– ფანქარი შემვივარდა მაგიდის ქვეშ და გამომიღე თუ კაცი ხარ, ვერ ვიხრები...

გურამი:

– ანანურში, ჩვენს ოჯახში ჩემს სადღეგრძელოს სვამდნენ; ბევრი მაქვს. ჩემმა რძალმა იკითხა, თუ ასეთი დიდი კაცია, ტელევიზორში რათ არ გამოჰყავთო...

გურამი:

– ერთი მთიული იყო, დიდი ხნის უნახავი მყავდა. შემხვდა. თვალი ჰქონდა შეხვეული. რა მოგივიდამეთქი. მიპასუხა:

– არაფერი, თვალი ამოვიღე...
იქვე სკამი იყო და ჩამოვჯექი...

გურამი:

– მეზობელი ბავშვს დასდევნებოდა. რა იყო-მეთქი. მოვკლავ ამ... რა იყო მეთქი... ჭოტივით არის ეს შობელ-ძალღი. წუხელ ცოლს ვეძახდი, „მარო, მაროო“ და... თავი წამოყო – „დედი, მამაჩემი გეძახისო“... ფეხეში უნდა გავგზავნო, ეს შობელძალღიო...

გურამი:

ანდრო ლეკიაშვილმა მკითხა:
– გურამ, კიდეც წერ ეტიმოლოგიებს?
– კი-მეთქი.
– კიდეც საეჭვოს?

გურამი:

ონომასტიკური მასალის ჩასაწერად ერწო-თიანეთში ვიყავი მივიღინებულნი. საღამოს მასპინძელთან ერთად

სუფრას მივუჯექი. მასპინძელმა არაყი მოიტანა. გადაკრა და საშინელი სახე მიიღო, დაიღრია (აქაოდა მაგარი არაყიაო). ამ განწყობით გადავკარი მეც და რა მაგარი, რის მაგარი – არაყი კი არა, წყალი იყო ნამდვილი.

– როგორია? – ჩამეკითხა მასპინძელი.

– წერილშვილის პატრონი ხარ და ეგ ასანთი სადმე დამალე, ბალებმა არყის ახლოს არ გაჰკრან, არ დაილუპო კაცი! – სერიოზული ხმით ვუთხარი.

მასპინძელმა შემომხედა და ჩაილაპარაკა:

– შენც კაი ოხერი ყოფილხარო...

გურამი:

ერწო-თიანეთში მივლინებაში ვარ. საღამოს მასპინძელთან ერთად მოვუღებინე. შემთვრალმა მასპინძელმა სიმღერა წამოიწყო:

– ჩავხედე მატრონას უბეშიი...
– მასპინძელი ცუდად მღეროდა; წამოვეშველე:

– ჩავხედე მატრონას უბეშიი...

– შენ არა, ეეე... ჩემი ცოლია!.. – შემომწყრა მასპინძელი.

გურამ ბედოშვილმა თბილისელი მეგობრები ისტუმრა ანანურში; მათ შორის იყო მურმან სუხიშვილიც. „მურმან, მურმანო“ რომ ეძახდნენ მეგობრები, გურამის დედამ გაიკვირვა თურმე, ამ ბიჭს მურმანს რატომ ეძახითო. უთხრეს, ასე ჰქვიაო; არ დაიჯერა ხალხურ პოეზიაზე გაზრდილმა ქალბატონმა:

– არაა! ასეთ კარგ ბიჭს მურმანს ვინ დაარქმევდაო...

უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტებს აფრთხილებდნენ, მინდორზე არ გადახვიდეთო (საწერი ფურცლის გვერდითი არე იგულისხმება). ერთ-ერთმა აბიტურიენტმა შეშინებულმა შესჩივლა გამომცდელს – გურამს:

– ვაიმე, მინდორზე გადავდი!

– გადმოდი მერე, – ურჩია გურამმა...

მისაღები გამოცდებია უნივერსიტეტში. საღამოხანია. ადრე მოვრჩით გამოცდას (მცირე ნაკადი იყო) და გამოვდივართ უნივერსიტეტიდან. მალევე კორპუსის უკანა ეზოში, მათემატიკის ინსტიტუტის მხარეს ვდგავართ. რალაც აყალმაყალი შეიქნა. ორი მთვრალი ახალგაზრდა კაცი შენობისაკენ იწევა. ერთი გაუსხლტა დაცვას და შენობაში შევიდა. მეორე გარეთ შეაჩერეს. ცოტა ხნის შემდეგ გაიღო კარი და გამოვიდა უნივერსიტეტის პრორექტორი გურამ ჭილაშვილი. გვახსოვს, ალბათ: მაღალი, მოხდენილი, დინჯი კაცი. შენობაში შეჭრილი მთვრალისათვის ხელი გადაეხვია და ნელი ბაასით გამოჰყავდა. გარეთ მყოფი მიეჭრა. მეორე ხელი ბატონმა გურამმა მას გადახვია და კარგი ნაცნობივით გაუბა საუბარი. თან ნელ-ნელა დაიძრა გასასვლელი თალისაკენ. საინტერესო სანახავი იყო: მაღალი ჭილაშვილი ჩასდგომოდა ორ მთვრალს და ქანაფ-ქანავით მიჰყავდა. გასცდნენ თალს, გაიარეს ავტოსადგომი მოედანი, მიადგნენ თავდაღმართს და გურამ ჭილაშვილმა უცებ შეუშვა ხელი, შემობრუნდა და ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა უნივერსიტეტისაკენ; მთვრალეები ინერციით დაეშენენ თავდაღმართზე. შინაგანად კმაყოფილი თალთან რომ მოვიდა, შემოგვხედა. გურამ ბედოშვილმა ჰკითხა:

– ბატონო გურამ, თქვენ არაფერი გეტყობათ და იმათ რა დაემართათ?

მისაღებ გამოცდებს ბევრი უცნაურობა ახლდა. გამომცდელეები ეძებდნენ ნაცნობი აბიტურიენტის ნაწერებს, დახმარების სურვილი ჰქონდათ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, დაეშიფრათ ნაწერები: საგამოცდო ნამუშევრები გამსწორებელთან აბიტურიენტის სახელ-გვარის გარეშე მოდიოდა – რომ ვერ გვეცნო. ამუშავდა საპირისპირო „ლონისძიება“: აბიტურიენტებს პაროლები შესთავაზეს: თემას აწყებინებდნენ საგანგებოდ



მოსაკითხი ბარათი

სანამ წერას დავიწყებდი, ერთი ნუთით დავფიქრდი: ჯანდაბას ჩემი თავიც და ჩემი „არამწერლური სამსახურიც“, მაგრამ „მწერლური სამსახური“ რომელია-მეთქი?! არ ვიცი გაიკვირვებთ თუ არა, მაგრამ ვერ მივაგენი ასეთს. ჰოდა, ფიქრებში რომ ვერ მიაკვლევ კაცი სასურველ სამსახურს, ცხოვრებაში აღარც უნდა ეძებო მგონი და იმას დაჯერდე, რასაც ყოველდღიურობა მოგიტანს...

„ჩამომხრჩვალის სახლში თოკზე არ საუბრობენო“ და ამ უმუშევრობით ნალეკილ მკითხველ-ქვეყანაში არ მინდა მაინცდამაინც ჩემი სამსახურის ავ-კარგიანობაზე ვისაუბრო. ერთი კია: ყველა, ვინც გაიგებს, სამსახურში თეთრი ლამეების მეგობარი ვარ და თან – თბილისის ხელისგულივით ვუყურებ, ნიშნისმოგებით მეუბნება: დანერ ლექსებს, აბა რა იქნებაო! არადა, ვერ ვეწყობთ მე, პოეზია და ჩემი სამსახური. მესამე აქაც ყოველთვის ზედმეტი, როგორც სასიყვარულო ურთიერთობებში.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ (ამას ალბათ მომავალი გვაჩვენებს, ბზესა და ხვავს შორის რომ ჩადგება), ისეთ დროში გვინევს ცხოვრება, რომ მწერლობით არსობის პურის მოპოვება არა თუ რთული, უმეტესად შეუძლებელიცაა. ამიტომ ძვირფას მკითხველს არ უნდა გაუკვირდეს, თუ მოულოდნელად სადმე თავის საყვარელ მწერალ-ფარმაცევტს ან პოეტ-„მალიარს“ შეხვდება; ან, ერთი არაჩვეულებრივი პოეტისა არ იყოს – პოეტ-მეკარტოვილეს...

ბესიკ ხარანაულმა ბრძანა: „კაცობრიობას რომ ჭკუა ჰქონდეს, პოეტს გაუშვებდა სრულიად თავისუფალს, – იქნება, რამე ჩაესმას სულელს! ამდენი ინსტიტუტები აქვთ და გასაიდუმლოებული ლაბორატორიები, ქადაგი კი ერთიც არა ჰყავთო...“

ვერაფერს იტყვი. მშვენიერი პერსპექტივაა. ოღონდ რომ ვუფიქრდები, ამ კაცობრიობასაც ვერ ვამტყუნებ. ერთი რომ გაეშვა ასე

დასასრული 28-ე გვერდზე



თავისუფლად, ნახევარი საქართველო (სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ!) ქადაგად დავარდებოდა. ჰოდა, „რადგან ორ უკიდურესობას შორის ყოველთვის უარესს ვირჩევთ ხოლმე“, ასეთი უნდა აგვიტანო, ძვირფასო მკითხველო, როგორებიც ვართ – მწერალ-გინეკოლოგებიც და ლირიკოს-ფიზიკოსებიც.

ბოლოსკენ გეტყვით, რომ თუ ეს ჩემი ნაცოდვილარი მაინცდამაინც ვერ აღგაფრთოვანებთ, არ გაიტყნოთ გული, რადგან ისევ ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მწერლის სიტყვებით რომ გითხრათ: „პოეტს თავის ენის იქით არც მეტყველება უნდა შეეძლოს და არც მოსაკითხი ბარათის დაწერა, იმდენად პოლარულია პოეზია სახალხო ენასთან“. ჰოდა, სანამ ჩემი ლექსები „ქართული მწერლობის“ ფურცლებზე დაიდებს ბინას, ამ ცუდად დაწერილ „მოსაკითხ ბარათებს“ დამჯერდეთ უნდა.

ნუკრი ბერიძე

შერჩეული წინადადებით, ფრაზებით – ამოცნობა რომ გაიოლებოდათ; მაგალითად: „მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“... ან: „განუსაზღვრელია ამა და ამ მწერლის როლი“... და მისთანანი. ერთ ჩვენს კოლეგა ქალბატონს ასეთი პაროლი მიუცია აბიტურიენტისათვის: „ერთობ დიდია ამა და ამ მწერლის მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის ისტორიაში“. ჰოდა, რომ დარიგდა ნაწერები, ქალბატონმა ე. კ-მ ნაწერის მოძებნა მოისურვა; მიადგა გურამ ბედოშვილსაც და უჩურჩულა:

– გურამ, „ერთობ დიდი“ ხომ არა გაქვს?

გურამმა ხმამაღლა შეიცხადა:

– არა, რას ამბობ, ჩემო კარგო!

ერთი ჩვენი კოლეგა ენას უკიდებდა; მისაღებ გამოცდაზე გურამ ბედოშვილთან მივიდა, შენს ჯგუფში ერთი ბიჭია, ყურადღება მიაქციეო:

– კაი ბიჭია, მე მოოვამზადე; ცოცხალი ენას უუკიდებსო...

გურამმა შეაწყვეტინა:

– კარგად მოვიმზადებია...

მისაღები გამოცდების წინა პერიოდი. მეგობარმა გვთხოვა, ახლობლის შვილი აბარებს და გული გამიწყალა, კომისიის წევრებს შემახვედრე, მშვიდად მინდა ვიყო. ეს აბიტურიენტის მშობლის დასამშვიდებლად ჩვეულებრივი პროცედურა იყო და, ცხადია, არ გვითქვამს უარი. შევიკრიბეთ რამდენიმე კომისიის წევრი და წარმოგვიდგინეს აბიტურიენტის მშობელი – საკმაოდ სიმპათიური ქალბატონი.

დაიწყო დედამ:

– იცით, რა კარგი შვილი მყავს?..

– ვიცით, ქალბატონო! – შეაწყვეტინა გურამ ბედოშვილმა.

– საიდან? – გაიკვირვა დედამ და ელოდა მისთვის საიმედო პასუხს.

– თავისი შვილი და სხვისი ცოლი ყველას მოსწონს, ქალბატონო! – განუმარტა გურამმა...

ბათუმში დიალექტოლოგიური კონფერენცია გაიმართა. სხდომის შემდეგ ქალაქის დათვალიერება გადაწყვიტეს. გურამ ბედოშვილმა რამდენიმე ქალბატონს ტაქსით გასეირნება შესთავაზა. ქალბატონები უკან ჩასხდნენ, გურამი – წინ. გურამმა არ მიაქცია ყურადღება: ერთ ქალბატონს ჩაჯდომისას ხელი მოეჭიდა მანქანის კარის ჩარჩოსათვის. ამ დროს გურამმა კარი მოიხურა და კივილი მოესმა. გასათხოვარ ქალბატონს ხელი მოჰყვა კარში. შეიქნა დიდი აჟიოტაჟი. ამშვიდებდნენ დაშავებულს და უჯავრდებოდნენ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ გურამს:

– ეს რა ქენი, გურამ! ეს რა ქენი, გურამ!..

– რა ვქნა, შავირთამ! – მოძებნა „გამოსავალი“ გურამმა. იუმორმა განმუხტა ვითარება...

ერთხელ გურამმა შემომჩივლა:

– გადამრევენი ეს ქალები; სოფლიდან მეუღლის წერილი მივიღე, ბავშვებს სასკოლო სახელმძღვანელოები უყიდეო; განა მოინერა, რომელი კლასის წიგნებო...

ერთ ოჯახში სტუმრად ვიყავით. სუფრა იყო დიდებული; როგორც იტყვიან, მრავალსართულიანი. გურამმა გადახედა მაგიდას და თქვა:

– რომ წავალთ, ბავშვები ვერ იტყვიან, აკი დარჩებათო... – ვერ მივხვდით. განგვიმარტა:

– ერთ ოჯახში ვიყავით სტუმრად. ბავშვებიანი ოჯახი იყო; პატარები მორიდებით დადიოდნენ ოთახში; მაგიდისაკენ არც იხედებოდნენ, თითქოს არც იყვნენ ოჯახში; ვიფიქრეთ, რა კარგად გაზრდილი ბავშვები არიანო; არადა ხშირხშირად შემოდოდნენ ოთახში. დასრულდა სუფრა, დავტოვეთ ოჯახი და კარი არ გვქონდა გამოხურული, ბავშვების გნიასი რომ ატყდა:

– აკი დარჩებათო, აკი დარჩებათო...

კრიტიკა

ლევან ბრეგაძე

იასამანი ტაძარში

მასხოვს სასულიერო (ჰიმნოგრაფიული) პოეზიისაგან მოგვრილი უცხო, არაჩვეულებრივი განცდა უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სწავლისას რომ დამეუფლა პირველად („გუნდნი იგი ზეცისანი შენ, წმიდასა, განწყობითნი გიგალობენ: მე უღირსი შეგივრდები, რათა ვიყო მათთანავე შენგან უძაგ“ – იოანე-ზოსიმე). უცხო და არაჩვეულებრივი ეს განცდა იმითიც იყო, რომ, საერო პოეზიისაგან განსხვავებით, რომლის მნიშვნელობა და სიდიადე იმით განისაზღვრება, თუ რა სიახლეს შემოიტანს ავტორი თემატიკისა და მხატვრული გამოსახვის ხერხების თვალსაზრისით, ჰიმნოგრაფები კანონიკური სარწმუნოებრივი თემატიკისა და სახისმეტყველების ერთგულნი რჩებოდნენ, მაგრამ შთამბეჭდაობა და სიდიადე ამის შედეგად მათ საგალობლობებს სულაც არ აკლდა.

იმ უცნაური განცდის გააზრებაში, ძველი სასულიერო ჰიმნები რომ იწვევდა, მოგვიანებით აკაკი ბაქრაძის დაკვირვება დამეხმარა. ნაშრომში „სასულიერო პოეზიის სახე-სიმბოლოები“ ბატონი აკაკი წერს:

„მართალია, მოდელირება მხატვრულ მრავალფეროვნებას უკარგავს სასულიერო პოეზიას, მაგრამ ნიჭიერი ჰიმნოგრაფოსები მაინც ახერხებენ ისე წერას, რომ დღესაც კი ვიხიბლებით. ეს იმიტომ, რომ შეუძლებელია ტემპერამენტის მოდელირება და სხვადასხვაგვარია საგალობელთა ტემპერამენტი. ასევე შეუძლებელია ვნების მოდელირება და მკითხველიც აშკარად გრძნობს ვნებათა მრავალფეროვნებას ჰიმნებში. არც განწყობილების მოდელირება შეიძლება და ყოველ ავტორს საკუთარი განწყობილება შემოაქვს ლექსში. ემოციაც არ მორჩილდება მოდელირებას და

სხვადასხვაგვარი ემოციით არის დატვირთული ძველი საგალობლებიც“.

მაგრამ ეს მარტო ძველ საგალობლებს ეხება თუ ახალთაც?

ახალში რას ვგულისხმობ, ახლაც განვმარტავ.

სასულიერო პოეზიის მნიშვნელობა სეკულარიზებულ, მასობრივად მატერიალური კეთილდღეობის მოხვეჭაზე გადაგებულ საზოგადოებებში დაკნინდა, მაგრამ მისი ექო დროდადრო მაინც გახშიანდებოდა ტრანსცენდენტის შეგრძნების უნარშენარჩუნებული ამა თუ იმ დიდი პოეტის შემოქმედებაში – რიანერ მარია რილკეს თუ ანა კალანდაძის ლექსებში, მაგალითად, ანდა ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“ გავიხსენოთ: „ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცთომილი / და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ-ლეღვილი“. დრომ და ეპოქამ თავისი კვალი დაამჩნია ჰიმნოგრაფიასაც, ახალი დროის პოეტები აფართოებენ ჰიმნების თემატიკას და მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებათა არსენალს, ზოგნი თამამად (იგივე რილკე, თუნდაც), ზოგნი – ფრთხილად (ანა კალანდაძე).

მაგრამ თანამედროვე ჰიმნოგრაფებთან სიახლე მარტო თემატიკისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების განახლებაში კი არ შეინიშნება, არამედ – და ეს უმთავრესია! – ტრანსცენდენტთან სულიერი ურთიერთობისას მათ გულში აღძრული განცდების ახლებურად გააზრებას თუ გაცნობიერებაშიც:

„ღმერთს ვუერთდები თუმც კი ვრჩები ადამიანად
ღმერთი კი ღმერთად
საოცარი არის შეგრძნება“, –

ვკითხულობთ მამა არჩილ მინდიაშვილის ერთ ლექსში, რომელიც შესულია 2010 წელს გამოცემულ მის წიგნში „შეტირილი“ (წინათქმა მაკა





დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი

ჯოხაძისა, ბოლოსიტყვაობა დეკანოზ თეოდორე გიგნაძისა) და ვგრძნობთ, როდენ ღრმად არის განცდილ-ათვისებული ავტორის მიერ ქრისტიანული სარწმუნეობის დიალექტიკა, რითაც გამსჭვალულია ახალი აღთქმა (გავიხეხოთ, თუნდაც, „რომელმან აღიმადლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“; რაც მთავარია: მაცხოვარი ერთდროულად ღმერთიც არის და ადამიანიც).

„აი ვივინყებ ურთიერთობებს ყველაფერს რაც ცის ქვეშეთს შეადგენს და დარჩენილი საკუთარ თავთან მე ჩემში ვხედავ სიცარიელეს

სურვილს რომ ვდუმდე სამარადისოდ სურვილს რომ ვიქცე არარაობად უსურვილობის უდიდეს სურვილს უნებელობის ნებას უმძაფრესს“.

ამ სტრიქონების წამკითხველს გიჩნდება აზრი, რომ ძნელია უკეთ გამოიხატოს სარწმუნოებრივი განცდა, რთული განცდა, გამოწვეული სურვილით ნაკლოვანი მიწიერი არსებობისთვის ზურგის შექცევისა და ტრანსცენდენტში დანთქმისა, როგორც ხსნისა, როგორც სანუთროს ამოუებათაგან თავდაღწევისა – ნატვრა უსურვილობის სურვილისა, უნებელობის ნებისა (ეს პარადოქსული სინტაგმები უაღრესად შთამბეჭქდავს ხდის ამ ლექსს).

კიდევ ერთი სიახლე, რაც ძველ ჰიმნოგრაფიულ პოეზიასა და ამ ლექსებს შორის შეინიშნება, არის პეიზაჟი, ბუნების სურათები, რომლებიც, მედიტაციურ პასაჟებში ჩართულნი, არაჩვეულებრივ მომხიბლაობას სძენს ტრანსცენდენტისკენ სწრაფვით აღბეჭდილ ამ საგალობლებს.

ამის ნიმუშად წავიკითხოთ ფრაგმენტი ერთი უსათაურო ლექსიდან. ეს ფრაგმენტი, ამ ლექსის დამაგვირგვინებელი, ოთხთავის პოეტურად (მაღალპოეტურად!) მოდიფიცირებული ციტატებით იწყება:

„სამე გეტყვით თქვენ ღმერთები ხართ ღვთიური მადლით ამბობს იესუ თქვენ კი ჰკვდებით როგორაც მატლი

ჩემო იესუ მაცხოვარო სულის ჩემისა უკიდევანო სიყვარულო საღვთო ნებისა

კეთილინებე შეგემოსა ბუნება ჩვენი რადგანაც შენ ხარ ჩვენ ცოდვილთა მართლ გადამრჩენი და აამაღლე იგი ცათა სასუფეველამდე ვის გვრწმენეს შენი მიგვიყვანე უკვდავებამდე“.

რაც აქამდე წავიკითხეთ, ჩინებული ნიმუშია სახარებას დაყრდნობილი მედიტაციური ლირიკისა და კანონიკური ჰაგიოგრაფიული პოეზიის ჩარჩოებში ზის, ხოლო, რაც ამას მოსდევს, – ძუნდა დახატული პეიზაჟი და ავტორის სულიერ მდგომარეობასთან (განწყობასთან) ამ პეიზაჟის შესატყვისობაზე მითითება, – ის სიახლეა, რაც თანამედროვე ჰიმნოგრაფიას განასხვავებს ძველისაგან (ძველები არ მიაპყრობენ მზერას ამქვეყნიურ ბუნებას):

„ნისლი მატებდა ბებერ სივრცეს იდუმალებას და მხარს უზამდა დაღლილ სულის ჩუმ მდუმარებას“.

სივრცის დასახასიათებლად გამოყენებული ორიგინალური ეპითეტი „ბებერი“ მიგვანიშნებს, რომ მაღალი რანგის პოეტურ ხედვასთან გვაქვს საქმე!

უხილავისადმი აღვლენილ ჰიმნებში რომ აქ არც ხილული ბუნებაა დავინწყებელი, იმის მაუწყებელია, რომ უხილავისა და ხილულის, ანუ შემოქმედისა და ქმნილის, ურთიერთმიმართების გააზრების თვალსაზრისით შუა საუკუნეების შემდეგ რაღაც შეიცვალა. არჩილ მინდიაშვილთან ბუნება ზოგჯერ საყდარშიც შემოიჭრება და ასეთ არაჩვეულებრივ ხილვას ბადებს:

„ნითელ პარასკევს ვკითხულობდი „ღვთისმშობლის ტირილს“ გადავსებული იყო მრევლით წმინდა ტაძარი მოულოდნელად თვალი ვკიდე ლურჯ იასამანს მწუხარებით რომ მომდგარიყო საკურთხეველთან თითქოს ცრემლებით დასიებულ მის ლურჯ ყვავილებს როგორაც თვალებს ემჩნეოდათ დიდი ნუხილი

ღვთისმშობლის თანა
დასტიროდნენ
მაცხოვარს
ჯვარცმულს
გარდამოხსნიდან
სამარემდის
მიაცილებდნენ“.

ერთი მხრივ – „შევიცან ღმერთო ამოება ამის / სოფლისა / შემწე მეყავე დავტოვო იგი“, მეორე მხრივ – „მშვენიერია სანახავად / ლურჯ აპრილში / ჩემს სარკმელთან აყვავებული / ალუბალი“; ცალკერძ – „ღმერთო მაღალო მანდ წამიყვანე / აქ დავილაღე დედამინაზე“, მეორე მხრივ – „ოხ ალუბალო მარტის / სარკმელთან ახლოს მდგარო / მომგონებელი კარგის / სიყრმიდან წარმომდგარის“; ხან თუ – „უფალო ჩემო, მეც დავინთქმები / უფსკრულთა ჩემი ცხოვრებისათა“, ხანაც – „იის უფაქიზეს სურნელს / ვერ ივინყებს სული“; ერთი მხრივ – „მოვედ სიკვდილო უფლის კურთხევით / აღმომიყვანე მოკვდავ ხორცთაგან“, მეორე მხრივ კი – „ზამბახი ლურჯი / ტაატ-ტაატით / რომ გაიფურჩქნა / აპრილის თვეში...“; ცალკერძ – „ქვეშე საგრილსა / ფრთეთა შენთასა / მეც შემიფარე / ღვთისა მშობელი / ღელვა-გვემული / ფრთებ-დამსხვრეული / მწირობის მწარე წუთისოფელში“, მეორე მხრივ კი – „მოციქულების წმინდა ტაძართან / აყვავდებიან იასამნები / შემოაფრქვევენ სარკმლით ნაზ სურნელს“; ერთი მხრივ – „ღმერთო მაღალო მანდ წამიყვანე / აქ დავილაღე დედამინაზე / დიდხანს ვეთრიე ცნობის მიხდამდე / ჩვენი მწირობის ამ წუთისოფელს“, ხოლო მეორე მხრივ – „აქ / ჩემს სარკმელთან / მომდგარ მეგობარს / ალუბალს / ხშირად ვეალერსები“.

ამ ლექსებში უარყოფილია პუნქტუაცია (სასვენი ნიშნები), რასაც მე-19 საუკუნის დამლევებიდან სრულიად კონკრეტული მიზნით სწადის ზოგიერთი პოეტი (გერმანიაში ამ ხერხს პირველად შტეფან გეორგემ მიმართა, ფრანგთაგან გიომ აპოლინერმა აიღო ხელი სასვენი ნიშნებზე), კერძოდ იმისთვის, „რომ ლექსის ინტერპრეტაციისას მკითხველის თავისუფლება

არ შეიზღუდოს“ (რომან ინგარდენი). მაგრამ ერთგან ძახილის, ხოლო სამ ლექსში კი კითხვის ნიშანს მაინც წაანყდება ამ წიგნის მკითხველი (კითხვის ნიშანზე უარის თქმა, ეტყობა, ვერ ხერხდება ისე, რომ აზრი ზედმეტად არ გაბუნდოვანდეს). ერთი შეკითხვა – „გარნა როდემდის?“ – ლექსის სათაურადაც არის გატანილი და გულისხმობს: სიყვარული სულგრძელია, მაგრამ როდემდე დაფარავს ის ცოდვათა სიმრავლეს? პასუხს იძლევა კაცთმოყვარეობა უზენაესისა („პასუხს მაძლევს / კაცთმოყვარება შენი“): „მე მზად ვარ / თუნდაც ერთი მონანული ცოდვილისათვის / მოვითმინო / ათასი / უნანელი ცოდვილი“.

მეორე კითხვა ასე უღერს: „მე რას ვსასოებ დიდად ცოდვილი?“ (ლექსი „მოსავ-ყოფა“); პასუხი: „უკიდევანო სიყვარულს უფლის“.

მესამე კითხვის ნიშანი ლექსის („მადლიერება“) სულ ბოლო ფრაზას უზის და ამიტომაც, ბუნებრივია, უპასუხოდ არის დარჩენილი: „მთელი არსება / რად ცრემლოდა?“ (პოეტის, ამ ლექსის ავტორის არსება იგულისხმება). ეს შეკითხვა მოულოდნელი და ერთი შეხედვით უცნაური ჩანს, ვინაიდან მთელი ლექსი ბუნების ზეიმის აღწერაა („შაშვი გალობდა / სახლის მახლობლად (...) / წვიმების შემდეგ / გამოიდარა / თაკარა მზემაც / გამოანათა (...) / სხეულს მითბობდა / სულს ანათებდა“), და უცებ – „**მთელი არსება / რად ცრემლოდა?**“.

ამ შეკითხვას თითოეულმა ჩვენგანმა თვითონ უნდა გასცეს პასუხი (გუნებაში) და ამით ლექსის თანაავტორად იქცეს. ეს ის განუსაზღვრელი ადგილია, რომელიც ინტერპრეტაციისას უმჯობესია განუსაზღვრელადვე დარჩეს, რათა პოეტური, მხატვრული ფუნქციის მქონე, ბუნდოვანება, ესოდენ საჭირო ამ ტექსტისათვის, არ შეიზღუდოს, განუსაზღვრელად დატოვებული ადგილის ერთმნიშვნელოვნად შევსებამ იდუმალების შარავანდი არ გააფერმკრთალოს.

პოეტურობა სულის განსაკუთრებული მდგომარეობაა, ყოველდღიურო-



ბის პროზას დაპირისპირებული მდგომარეობა. მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა ღვთისმადიდებლობა სამსახურად იქცევა (ამ ლექსების ავტორი ხომ მოძღვარია), ღვთისმადიდებლობა, რაც მრევლისთვის ყოველდღიურობიდან დროებით თავდაღწევის საშუალება და მარადისობასთან ზიარებაა, მოძღვრისთვის კი განუწყვეტელი მსახურება ღვთისა და კაცისა?

მგონი ამ კითხვის პასუხი ვიპოვე წიგნის ბოლოსიტყვაობაში, რომლის ავტორია დეკანოზი თეოდორე გიგნაძე:

„თუ პოეტი, ამ ნუთისოფელში მწირობით დაღლილი, ზესთასოფლისაკენ მიილტვის, მაშინ მღვდელი ყველაზე დიადია პოეტებს შორის, (...) თუ სიტყვის პოეზიას ექსპრესია, ზეგვისებური მოვარდნა და ფულკანისებური მხურვალება უხდება, მღვდელი ჭეშმარიტი ცეცხლით, ანუ თავად ღმერთით მღულარებს“.

და მასზე უკეთ ალბათ ვერც ვერავინ იგრძნობს და ვერც ვერავინ

ჩასწვდება პარადოქსულ ჭეშმარიტებას, მამა არჩილ მინდიაშვილის ლექსში „ქმნულება შენი“ ამ სიტყვებით გამოთქმულს:

„რა შორს ხარ ღმერთო და რა ახლოსვე თიხის ჭურჭელი ამას ვამონმებ“.


ძნელად თუ ვიპოვებთ სალექსო სტრიქონებს, რომელთაც ასე მოხდენოდეს ასონანსური რითმა (როცა გართიმულ სიტყვათა „მხოლოდ ხმოვნები ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო თანხმოვანთა კომბინაცია თავისუფალია“. – ა. ჭილაია, რ. ჭილაია, „ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები“), როგორც ამ სტროფს მოუხდა, ხუთმარცვლიანი ასონანსური რითმით შესრულებულს (**და რა ახლოსვე: ამას ვამონმებ**). აქ რითმა თითქოს არის და არც არის, ისევე როგორც ერთსა და იმავე დროს ახლოსაც არის და შორსაც ის, ვისაც ეს სიტყვები მიემართება.

„ინტელექტი“ ბთავაზოვით

გახმაურებული სერიის – „100 ლექსის“ ფარგლებში იგეგმება XX საუკუნის 100 საუკეთესო ლექსის გამოცემა ერთ ტომად. კრებულში მკითხველის რჩეული ლექსები მოიყრის თავს.

მიიღეთ მონაწილეობა ინტერაქტივში და შემოგვთავაზეთ ლექსები, რომლის შეტანასაც ამ კრებულში ისურვებდით.

თქვენ ირჩევთ ას საუკეთესოს!



**რეზო კვესელავა
ბადი პოეტისა**

*ლექსი არასოდეს არ არის დასრულებული,
მხოლოდ შემთხვევა ასრულებს მას,
ესე იგი, ის, რასაც მკითხველი გადასცემს ლექსს.
პოლ ვალერი*

ჩემს ხელთაა პოეტ შალვა კუჭავა-პონტოელის ლექსების ქსერო-ასლი (ნიგნი მეორე, ტფილისი, 1929). პირველი ნიგნის კვალს ვერ მიაგნეს, ამიტომ იძულებული ვართ პოეტზე მეორე ნიგნის მიხედვით ვიმსჯელოთ. ნიგნს ჰქვია „ნივთების როკვა“. სათაურს აზრობრივი საფუძველი აქვს და მიუთითებს პოეტის განსწავლულობაზე. ის საინტერესოდ ხედავს 20-30-იანი წლების საქართველოს, განსაკუთრებით – თბილისს.

გულწრფელი, თამამი და მოურიდე-ბელია. ამიტომ მეც მსურს გულახდილი ვიყო მისი ხსოვნის წინაშე. თავდაპირველად ნიგნმა დამლალა, ძნელად ვერვოდი ენობრივ დაუდევრობას, ალიტერაციების სიმრავლეს, შეგნებულად დაშვებულ ბუნდოვანებას, მაგრამ შიგადაშიგ ისეთი აზრი და მეტაფორა გაბრწყინდებოდა, გული მინათდებოდა.

თუ პოეტი შინაგანად თავისუფალია, უყვარს პოეზია და თანაც ენერგიულია, შეიძლება მას ბევრი ფასეულიც აღმოუჩინო.

20-იანი წლების თბილისი, ალბათ – დანარჩენი საქართველოც, შედარებით თავისუფალი ქვეყანა იყო. ლენინის დიალექტიკური მატერიალიზმი ჯერ კიდევ არ იყო იდეოლოგიად ჩამოყალიბებული და რაც მაშინ ხდებოდა, ცუდი და კარგი, სტიქიურად ხდებოდა. ნიჭიერი და სწავლას მოწყურებული ქართველები თავისუფლად დადიოდნენ უცხოეთში, სხვადასხვა სასწავლებელში ისმენდნენ ფილოსოფიის, ხელოვნების, მედიცინის კურსს. ვიდრე საზღვარი ჩაიკეტებოდა, მათ მოასწრეს ახალი აზრებისა და განწყობილებების ჩამოტანა საქართველოში. ლიტერატურის სარბიელზე ერთმანეთს თავისუფლად ეკამათებოდა სხვადასხ-

ვა მიმდინარეობა. აი, ამ მღელვარე და ჭრელი დროის პოეტია შალვა კუჭავა-პონტოელი, ცხადია, მის შემოქმედებას დროის ელფერი დაჰკრავს.

პოეტის ბუნება და ინტერესები სფერო მისივე ლექსებიდანაც კარგად ჩანს. ერთი მხრივ, ის გამოხს მშვიდ, რუტინულ წარსულს, სოციალურ უსამართლობას და ტყეში გაჭრილ აბრაგს ლექსს უძღვნის:

არ მომცეს სოფელში სიცოცხლის
სახსარი,
ვხედავდი ხუთავდნენ უმწეო ხალხს;
მოვკალი ბატონი, მტარვალი საზარი
და გავეყე თამამად ხიფათის ხაზს.

ლექსის რიტმი ექსპრესიულია, მი-აჭენებს ცხენს ყაჩაღი და მასთან ერთად მოძრაობს მთელი სამყარო, აქა-იქ ჩართულია სიურეალისტური ხილვები:

ენგური ქარივით გადავიქროლე,
ტყეებში ტყვიებით გავკაფე გზა...
ბურქები თმებია, ბალახი პერანგი,
ბილიკი მაგონებს ქალწულის მკლავს.

დადევნებული სიკვდილის განცდა ყაჩაღში ეროტიკულ გრძნობას ამძაფრებს:

აბხაზის ფარშავანგს მოვტაცებ ქალს...
კეკლუცის ნაწნავებს დავახვევ ქარს...

აბრაგის ფანტაზია მისტიკურ სურათსაც წარმოიდგენს:

ინვება კერაში მშობლების ამაგი
და ნაცრის მარცვლებში ბებია თრთის...
მიუსხდნენ მიცვლილთა სულელები მაგიდას
და ქშენით იშვერენ ცეცხლისკენ ხელს...

იმედოვნებს, რომ თავგანწირვა ამა-ოდ არ ჩაივლის:

ოდესმე იქნება მონობა ტბორებად
ამოხეთქს გულიდან და შვებას შობს...
(„აბრაგის სიმღერა“)

ამ პირველი ლექსითაც თითქოს იკვეთება პოეტის იდეალური სახე: უსამართლობასთან მებრძოლი სახე!





სინამდვილეში პოეტის სახე რთული და წინააღმდეგობრივია. თვითონაც კარგად გრძნობს, რომ ვერავითარ ჩარჩოში ვერ ჩაეტყუა:

დამადგა თავზე ეს ქვეყანა
ურიცხ ღმერთებად
და ეს სხეული თითქმის ვერსად
ვერ მოვათავსე,
ვეცი ბილიკებს, ვეცი ჰაერს,
ვინყე ტრიალი...
(„არდატევის მანდატი“)

სიმშვიდეს ვერ პოულობს, რადგან:

თან დამყვა ცრემლი, ბავშვობიდან
რომელიც მზანდა,
მაჩვევდა დახშულ მირაჟებში უგზო
ხეტიალს...

სიმშვიდეს ვერ იპოვნის, ვერც სიხარულს იპოვნის, ვინაიდან:

გადმოხეთქილს
ტანჯვის ფსკერიდან...
როგორ შემედლო სიხარული
მეგრძნო წამითაც?!

სამწუხაროდ, ის მეტს ხედავს, ვიდრე უნდა ხედავდეს და შეუძლებელია მისგან მებრძოლი გამოვიდეს. ჭკუა მას მოუწოდებს ბრძოლისაკენ, მოქმედებისაკენ, მაგრამ პოეტის ნიჭი აბრკოლებს:

დახშულ ფიქრების ვიგერიებ
მოვარდნილ ბანდას...

რა ქნას? როგორ გაამარტივოს გზა და იპოვოს გამოსავალი?

ვარ ორ ნაწილად გაპოხილი ადამიანი:
ერთი წინ გარბის
და მეორე-შესცქერის კულისს...

გაორებული ქართველი პოეტი გვაგონებს ფაუსტს, რომელიც ვაგნერთან ბაასში სინანულით წამოიძახებს:

- ახ! ორი სული ცოცხლობს
მუდამ ამ ჩემს გულმკერდში
და ორივენი ერთმანეთთან
ლამობენ გაყრას.
ერთი მისტირის ამქვეყნიურ
ტრფობა-განცხრომას,
ებლაუჭება განუწყვეტლივ
მძლავრი ხელებით.
და მეორე კი არად აგდებს
ხორციელ გრძნობას,
გატაცებული პირველყოფილ
მშვენიერებით...“

კუჭავა-პონტოელის პირველი ნაწილი ანუ მისი პირველი „მე“ ძველის დანგრევასა და ახლის შენებაზე ფიქრობს, ხოლო მეორე „მე“ კულისს შესცქერის, ვის ეძებს იქ?

– თავის გრეთხენს, თავის მარგარიტას. იპოვნის? იპოვნის, მაგრამ ვისაც იპოვნის, სიკვდილის ტოლფასია: ქალი მას ჭამს და ამცირებს შაგრენის ტყავივით. წინააღმდეგობრივია პოეტის დამოკიდებულება სოფლისადმი: უყვარს სოფელი და სოფლიდან გარბის, სძულს ქალაქი და ქალაქისკენ ისწრაფის, თავის თავს სათიბიდან დევნილ ობოლ კრავს უწოდებს. ვინ დევნიდა? არ ვიცი, მაგრამ იგრძნობა, რომ რალაც ძალადობის მსხვერპლია, შვებებს ბუნების წიაღში პოულობდა.

მაფენდენ სითბოს უფაქიხესს
და უძვირფასესს
ნაკადულების სიმღერები
და საკრავები...
მოსჩანდა მთვარე...
და მარაოებს ბალახში არხევდა ღამე...

მშვენიერი პეიზაჟი დახატა: არ გინდა ეს ყველაფერი დატოვო და წამების გზას დაადგე? ო, ეს ილუზია სამართლიანი საზოგადოების აშენებისა: „რამდენი რამის არცოდნაა საჭირო იმისთვის, რომ იმოქმედო“ (პოლ ვალერი).

მაგრამ დღეებმა გაიარეს
ნივთების წყებად,
მას შემდეგ ბევრჯერ დაილექა
შენი რაინდი.
ნაილო ახალ სიმღერებში თავდავიწყებამ
სოფლის ნისლები და ისლების
სახურავები.

რას ნიშნავს ეს ნივთების წყება? „ნივთები“ სხვადასხვა კონტექსტშია წარმოდგენილი, მაგრამ მისი შინაარსი არ იცვლება. ეს „ნივთები“ ახალი დროის ბედისწერაა. „ნივთები“ იჭრებიან ყოფაში, სულში, აზროვნებაში. ინდუსტრიული ქალაქის ხახში ჩავარდნილი პოეტი გრძნობს, როგორ კარგავს უმანკობას:

მივყვები ქალაქს, მანქანების
კვამლით გაბერილს,
სადაც ელვარე ფოლადებად
კუნთებს ჭედავენ;
წინედ უმანკო და უმნიკლო
როგორც აბელი,
ეხლა შევყურებ ურიცხვ თვალებს
ვით მოჭიდავე...

ხომ ვიცი, რა თვალებით უყურებენ ერთმანეთს რინგზე მონინააღმდეგეები, ლამის შეჭამონ ერთმანეთი, მიუხედავად ასეთი ნეგატიური სურათისა, პოეტი ქალაქში რჩება, ტექნიკური

პერსონალის რანგში.

ამგვარად იცავს მოძრაობას...
და უნუგემო წარსულისკენ
პირს არ იბრუნებს...
ასე მთავრდება მთელი ძველი
ფილოსოფია
ოხვრა ვაების...

მაგრამ პოეტი კვლავ გაორებულია,
ვერ წყნარდება, მიიღო გადაწყვეტილე-
ბა და იქვე დაარღვია:

მაინც ხანდახან მელანდება შენი ველები,
როდესაც გული აქმინდება,
როგორც საკირე:
ავღრიადლები ქვაფენილზე
მშიერ მგელივით,
ან ვემგავსები ინდოეთის
მფრინავ ფაკირებს.

თითქოს რცხვენია თავის სისუსტისა
და თავს იმართლებს:

მხოლოდ წუთია, ამნაირად
როცა ველედები,
შემდეგ ნივთები კვლავ
ახშობენ დაჩვეულ ღმუილს...

კვლავ „ნივთები“. ნივთები ახშობენ
ფიქრს წარსულზე, ახშობენ ბუნების
რომანტიულ განცდებს. ნივთები, „დაგ-
რაგნილი მანქანის ურიცხვ ღვედებზე“,
ცნობიერებიდან დევნიან სინამდის
და მის ალაგას სიღრუვეს აჩენენ. სიღ-
რუვე – სიცარიელეა...

შინაგანი ბრძოლა დისადმი მიგზა-
ვნილ წერილებში მძაფრდება. სოფელ-
ში დარჩენილი და-ძმის ანტიპოდი, ვერ
შეგუებია ძმის მეტამორფოზას, ვერ
წარმოუდგენია, რომ ძველმა მეოცნე-
ბემ, პოეტმა და ტრუბადურმა, მარადი-
ულობის მანიით შეპყრობილმა ძველი
სამოსი გადაყარა და „ახალ ნივთების“
ტანისამოსით შეიმოსა, ისეთი შთაბეჭ-
დილებაიქმნება, რომ პოეტი გრძნობს
თავისი პოეზიის ცალმხრივობას და ეს
მას სიმწრის ოფლს ასხამს, აიძულებს
ზოგჯერ ცინიკურ აღსარებას მიმარ-
თოს: რას ნიშნავს ეს, ცინიზმით გინდა
ააფეთქო საკუთარი თავი?

ოჰ, უკვდავება? ნუ გაფითრდები,
მე ავაფეთქე ოხვრის მადანი!
კვნესის ფიფქები და ფირფიტები
როსკიპ ფერიებს თან გავატანე.
ეხლა ფერია თვით ქუჩებია
ზღაპრულ ღამეში დიღებს რომ იხსნის:
მტკვარს რომ ჩამოსდის ლაყუჩებიდან
ზაჰესის რისხვით მომსკდარი სისხლი...

„ეხლა ფერია თვით ქუჩებიაო“... ესე
იგი, ქალაქი ირყვნება და სახეს კარ-

გავს. სანუგემო ამ ნეგატივში არაფე-
რია. ინდუსტრიის პირველი ნაბიჯები
შემაშფოთებელია:

ქალაქი ქმინავს როგორც ვეშაპი,
მოცვივა სხივი პეპლების გუნდად
და ინდუსტრია რკინის ეშაფოტს
მოხეტიალე ვარსკვლავებს უდგამს.
ცა დაღვრემილა დედაბერივით,
მთვარეს ნამუსი უკვე ახადეს...

მთვარეს ნამუსი უკვე ახადეს; რალა
დარჩა? საკვირველი ის არის, რომ პოე-
ტი მაინც ამ ნეგატიური გარდაქმნების
მხარეზეა, პოეტი ჩქარობს:

დღეს წუთმა უნდა შეგვიქმნას იგი,
რაც საუკუნეს ტკეპნით მოსწყინდა...

და იქვე კვლავ გაორება და სევდა:

ო, რა ცეცხლოვან ბილიკს გაყვევი
და რამდენ ხილვებს გულის კარს ვუღებ,
ადგია ახლაც მშობლების საფლავს
ოდესლაც ძლევაშოსილი მთვარე
და მეჩვენება შორეულ ზღაპრად
ჩემი სოფელი და ჩემი მხარე.

პოეტმა ვრცელი ლექსი უძღვნა არ-
ნივს, ფრინველთა მეფეს. ფრინველთა
მეფეს? არა. ეს ვაჟს არწივი არ არის,
ეს დაცემული, დამარცხებული, და-
კინებული არწივია, რომელიც ქუჩებ-
ში დაჰყავთ ცნობისმოყვარე ბრბოს
გასართობად. ავტორი ცდილობს ამ
საბრალო ფრინველის ბედის განზოგა-
დებას და ასე მიმართავს მას:

ვაცხადებ შენზე თემას გაუქმებულად
და დინასტიის პერგამენტზე
გინერ ნეკროლოგს.

გამოვრიცხავთ რაიმე მინიშნებას
ბაგრატოვანთა დინასტიაზე, თუმცა
შეიძლება ასეთი აზრიც დაიბადოს.

პოეტმა არწივის შემდეგ ლექსი
თვითმფრინავს უძღვნა, და ეს ლოგი-
კურია: თვითმფრინავმა განდევნა
არწივი, ამით დაიწყო ბუნების რადი-
კალური ექსპლოატაცია. რიტმი და ინ-
ტონაცია ამ ლექსისა ნაცნობია „აბრა-
გის სიმღერიდან“: იგივე ნყოფა, იგივე
რიტმა, იგივე ტემპი, პოეტი, ეტყობა,
ერთ-ერთი პირველი და საპატიო მგზა-
ვრია ამ თვითმფრინავისა, ის ზევიდან
დაჰყურებს დედამიწას:

მირბიან მინდვრები, მირბიან სახლები:
მიყვება სირბილი უძირო ხაზს:
ტრიალებს მიდამო ცოფიან ძაღლივით...

ამ თვითმფრინავით მგზავრობს ლა-
მაზი ქალი. პოეტს არ გამოპარვია მისი



ნერა და სამასაშრი

ისე მოხდა, რომ წლების გან-
მავლობაში, ვნერდი თუ არა, ყო-
ველთვის სადღაც ვმუშაობდი.
უნივერსიტეტის დამთავრების
შემდეგ უამრავი ადგილი და სამ-
სახური გამოვიცვალე, სამხატვ-
რო სახელოსნოდან დაწყებული,
მალალმთიანი სოფლის სკოლის
პედაგოგობით დამთავრებული,
რომ არაფერი ვთქვა სხვადასხვა
რედაქციაში (ჯერ სოხუმში, შემ-
დეგ ქუთაისშიც) დახარჯულ
ცხოვრების მნიშვნელოვან მონ-
აკვეთზე... არადა, როგორც ერთ
მეგობარ მწერალს მივწერე არც
ისე დიდი ხნის წინათ: „ყველაფერს
მერჩია, ვმჯდარიყავ ჩემთვის, მყუ-
დროდ, ძველი მესენაკე ბერის და-
რად და მენერა, მენერა, მენერა...
„პურის ნატეხის, ცოტა თამბაქოს
და ცოტა ვისკის ფულის საშუალე-
ბას“ (ფოლკნერის ნატერა) რომ
იძლეოდეს ეს საცოდავი ჩვენი ხე-
ლობა!.. არც ვიკითხავდი, რა ხდება
გარეთ“...

თუ დიდი კონსტანტინეს გამ-
ონათქვამს ვერწმუნებით, მეშახტეს
არ უნევს ისეთი მძიმე შრომა, რო-
გორიც მწერალს. და თუ ეს ასეა,
სამსახურობრივი დატვირთვა და
სამწერლო მოღვაწეობა ურთიერთ-
გამომრიცხავი უნდა იყოს!.. თუმცა,
ასე სულაც რომ არ არის?!

რა თქმა უნდა, მესმის, რომ თა-
ნამედროვე დასავლეთის მწერ-
ლების უმეტესობა შემოქმედებ-
ითი ნაღვანის გაყიდვით როდი
მოიპოვებს ცხოვრების სახსარს,
არამედ ათასგვარ საქმეს ეწევა
და მწერლურ გარჯას საკუთარ
„ძირითად“ პროფესიას უხამებს,
და როგორც ზოგიერთი მათგანი
ამტკიცებს, ეს შემოქმედებითი
თავისუფლების საფუძველიც კია
(რაკი ფულს ლექსის წერაში არ
უხდინან, ვერც აიძულებენ მავან-
თათვის სასურველი ნაწარმოებები
თხზან...). მაგრამ მე ყოველთვის
ოთარ ჭილაძის ტიპის მწერალი
უფრო მომწონდა, კაცისა, რომელ-
საც უნივერსიტეტის გასრულების
შემდეგ დიპლომიც კი არ აუღია,
რათა კარიერული კეთილდღეო-
ბის პერსპექტივას არ ეცდუნებინა
და შემოქმედებისთვის გასაწირი

გაგრძელება 37-ე გვერდზე



მომხიბვლელი შფოთვა:

ძვირფასო, თვალები კვესივით გენთება, გველივით აგელვებ გესლიან ყელს: რალაცა გწყურია, სიტყვები გამტვრევა, სხეულში ველური ძახილი ყეფს...

შიში და ლტოლვა – ეროტიკა – კარგი თემაა ფსიქონალიტიკოსისათვის. ამ ლექსშიც ჩართულია ილუზიური სურათები:

და მოვა ქვეყანა, უძირო, ახალი: სადაც გზა ცეცხლია, რკინების ზღვა... და კვამლი ღმერთებზე ათასჯერ

მაღალი, სივრცეში გვისახავს მსოფლიოს სხვას...

ასე იყო: მოვიდა ქვეყანა, უძირო, ახალი, მოვიდა სხვა მსოფლიო. უძირო ხომ ტრადიციიდან მოწყვეტას ნიშნავს?! ესე იგი: დაირღვა ლაიბნიცისა და ილია ჭავჭავაძის ფორმულა – ანმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა! წინამდებარე სტროფს მოსდევს არანაკლები საინტერესო გაგრძელება: ტექნიკამ და მანქანამ გააძევა წარსულის რომანტიკული პერსონაჟები:

ეხლა ეს გულია მარაგი რკინების, ძარღვებში მოტორი ატოკებს ტვინს... სხეულზე ფოლადის ღვედები გეხვევა და გვბურავს მღელვარე ნივთების ზღვა...

არ არის ლაურა, არ არის მადონა, არ არის ფაუსტი, მანფრედის ცა, კოცნა – ნივთების ურიცხვი მადანი, ხვევნა – ნივთების ამოყრის გზა... და გაჩნდა ახალი სამეფო რკინათა, ავარდნილ მიწების უსაზღვრო წვით...

მგონი, აქ თავი მოიყარა მატერიალიზმის მთელმა არსენალმა.

დღეს ვინც ფხიზლად აზროვნებს და ენანება ჩვენი პლანეტა, მან იცის, ამ რკინისა და მღელვარე ნივთების ზღვაში, რა სივერაგე იყო ჩასაფრებული, გალაკტიონიც აკვირდებოდა „რკინათა ახალ სამეფოს“ და შიში ეუფლებოდა:

მრავალ სახეზე არის ობლობა, მრავალს აშფოთებს რალაც მონობა: როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა? ვით ავიტანოთ უმადონობა? გაჰქრა ზმანება, გაჰქრა ფერია...

(მღრ: „ეხლა ფერია თვით ქუჩებია, ზღაპრულ რამეში ლილვებს რომ იხსნის...“) ნუთუ ბოდლერიც არაფერია? შელლიც ჰიუგოს დამეგვანება? მიუსსე? ვერლენ? ღმერთი? კაინი? აჰა ქალაქთა გვიანი ნებით, ბურუსებში ჩანს აინშტაინი...

აინშტაინი აქ დანახულია, როგორც ტექნიკური მეცნიერების სული, რომელიც პოეზიას შთანთქმას უპირებს. მიუზბრუნდეთ ჰაიდეგერს და მის კატეგორიას: Das Ding dingt welt, ნივთი ანივთებს ქვეყნიერებას! ამ თემაზე ჰაიდეგერის მსჯელობას ზოგიერთები პაროდიად თვლიდნენ, მაგრამ დრომ დაამტკიცა, რომ ეს არ იყო პაროდია. ჰაიდეგერი ასე განმარტავდა თავის კატეგორიას – „ნივთი ანივთებს ქვეყნიერებას“. „როცა ჩვენ ნივთს ვანიჭებთ არსებობას სამყაროში თავისი შუამავლის ფუნქციით, ჩვენ ნივთზე ვფიქრობთ თვითონ ნივთივით (an das ding als das ding) და სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, ჩვენც ვნივთდებით (Bedingen) ჰაიდეგერს რომ შესძლებოდა ნაეკითხა კუჭავა-პონტოელის „ნივთების როკვა“, აქაც ბევრ დეტალს იპოვნოდა თავის მოსაზრების სასარგებლოდ. გონიერი ადამიანები, მაშინაც კი, როცა კაცობრიობის დიდ უმრავლესობას საღათის ძილით ეძინა და სიტყვა „ეკოლოგია“ არც გაეგონათ, სწუხდნენ მოსალოდნელი კატასტროფის გამო. გერმანელი ფილოსოფოსი ჰიუბშერი თავის ნიგნში „ჩვენი დროის მოაზროვნები“ (62 პორტრეტი) თავს უყრის ჩვენს ყოფიერებაზე ყველაზე მწვავე და წინასწარმეტყველურ აზრს. შევეხოთ ზოგიერთს: ჰიუბშერი შესავალში წერს: „იდეების იმ წრის მთავარი პრობლემა, რომელსაც ბერდიაევი განიხილავდა, დღეს აზროვნების საერთო მონაპოვრად იქცა: ჩვენ მივდივართ ცივილიზებული ბარბაროსობისკენ და მანქანისა და ტექნიკის ბატონობას შეუძლია ჩვენს პლანეტას აპოკალიფსური დალუპვა მოუტანოს, მაგრამ ადამიანისთვის დამახასიათებელია ახალი აღმავლობის უნარი, რომელიც უნდა დაინყოს ახალი ასკეტიზმით, ადამიანის მოთხოვნილებათა თვითშეზღუდვით, საკუთარი ძალების ნებაყოფლობით დისციპლინირებით“.

ახალ საოცნებო საუკუნეში, რომელსაც ბერდიაევი ახალ შუასაუკუნეს უწოდებს, ადამიანი არ იქნება ნუთისოფლის მონა, არამედ იქნება გამგებელი (ჰაიდეგერის ტერმინით – მწყემსი). ადამიანის მოწოდებაა შემოქმედებითი მოღვაწეობა, მან სამყაროს შექმნა

უნდა განაგრძოს, – ასე ფიქრობს ჰაიდ-დეგერიც და სხვებიც.

ბერდიაევის შრომა „ახალი შუასაუკუნე“ 1924 წელს გამოქვეყნდა, მას შემდეგ თითქმის საუკუნეა გასული. ისმის კითხვა: ადამიანმა თავი დააღწია მონობას? გახდა სამყაროს მწყემსი? განაგრძო სამყაროს შექმნა? ადამიანი მწყემსი და შემქმნელი რომ ყოფილიყო, ჰაიდგერი სევდას არ ჩაიტანდა საფლავში. მოვისმინოთ მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ტექსტი: „გრძელია მსოფლიო ლამის უსუსური ეპოქა... შუალაშე უფრო გასაცოდავებულია ამ დროს, ამ საცოდავ ეპოქას თავისი არა-რაობის შეფასებაც არ შეუძლია...“

სწორედ ახლა მსოფლიო ლამე შეიძლება შუალამეს უახლოვდება, იქნებ მსოფლიო ეპოქა ბოლომდე უბადრუკი რჩება, იქნებ – არა, ჯერ კიდევ – არა. მიუხედავად ამდენი ტანჯვისა, უსახელო ტანჯვისა, მიუხედავად მეტისმეტი შფოთვისა, სულ უფრო და უფრო მზარდი მღელვარებისა, სულ უფრო და უფრო მზარდი დაბნეულობისა?“

ტექსტის კომენტატორი დასძენს: – მთელი თანამედროვე, არსებითად პესიმისტურ ლიტერატურაში, ძნელია იპოვო სიტყვები, ამაზე ძლიერად რომ გამოხატავდეს უსაშველო სასოვნარკვეთას. ჰაიდგერი გარდაიცვალა 1976 წელს.

ამას წინათ ერთმა მარტივლელმა ახალგაზრდამ, რომელიც სწუხს საქართველოს ბედზე და შემფოთებულია კლიმატის გაუარესებით, მკითხა: – ნუთუ არ შეიძლება შეიყარონ გონიერი ადამიანები, იმსჯელონ და იპოვონ გამოსავალი?

განა არ შეკრებილან. ჩამოაყალიბეს ტექნიკის ფილოსოფია, ეკოლოგიის ფილოსოფია, ეთიკის ფილოსოფია და ასე შემდეგ. ბევრს მსჯელობენ, დღემდე მსჯელობენ, მაგრამ შედეგი? შედეგი ჰორიზონტივითაა, უახლოვდები – გშორდება. არსებობს ფილოსოფიური ტერმინი „ანტინომია“; გადაულახავი წინააღმდეგობა: ტექნიკის განვითარებას შეზღუდავ? მშვირთა რიცხვს გაზრდი. არსებითად კი კრიზისი ბუნების სფეროში განსაზღვრულია კრიზისით სულის სფეროში. ჰაიდგერი დამლუპველ მიზეზს ხედავს თვით ადამიანის

არსში, ადამიანისა, რომელსაც სამყარო მიაჩნია მხოლოდ და მხოლოდ თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მასალად, ტექნიკა კი იმ იარაღად, რომლის საშუალებით ბუნების საიდუმლოებას ფარდა ეხდება. ყოფიერება (sien), ადამიანის არსებობის მხოლოდ ფორმად და პირობად წარმოადგინეს, ამიტომ იმის ცდა, რომ საშიშროებას ავიცდნეთ ტექნიკის განვითარების გარეგნული შეზღუდვით, განწირულია. ტექნიკის საშიშროებას ვერ ავიცდნით თვითონ ტექნიკით. ხსნა, თუ ის საერთოდ შესაძლებელია, მდგომარეობს ტექნოლოგიური მსოფლმხედველობის შეცვლაში. ჰაიდგერის დასკვნები კრიტიკას იწვევს იმ ფილოსოფოსთა მხრიდან, რომლებიც მოუწოდებენ, ტექნოლოგიური მსოფლმხედველობის სუსტი და ძლიერი მხარეების დიფერენციული ანალიზისკენ. სამყარო, რომელიც გადატვირთულია ტექნიკით, ვერ გადარჩება მხოლოდ სულის ძალისხმევით. ტექნიკის განვითარება აუცილებელი და შეუქცევადია... მოკლედ, წინააღმდეგობა რჩება. რაც შეეხება გონიერი ადამიანების არსებობას, ბიოლოგებს მიაჩნიათ, რომ მათმა რიცხვმა, და, საერთოდ, სულიერების დონემ საგრძნობლად დაიწია. განა უსაფუძვლო იყო იეთიმ გურჯის მოთქმა: – ვის შევჩვილო, რუსთაველი მკვდარიყო. მოკლედ, კრიზისს ბუნებაში, რომელიც ასე აძრწუნებს ადამიანებს, მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა კოჭავაძე-პონტოელი ლექსებს წერდა და მის ლექსიკონში ბევრი ნიუანსია ამის დასასაბუთებლად. მაგ:

ბაცილა, მიკრობი, კოხი და ხველება: ყვირილი, ღრიალი, ხროტინი, კიჟინი.... უცნაურ გაზეთად გაშლილა გამზირი, დარბიან, დახტიან, გულეები, თვალები! მიქრიან სივრცეში ორთქლები, გაზები და თითქოს ქალაქი ბარბაცემს მთვრალივით...

ამ ვაკხანალიდან პოეტი დაზარალებული გამოვიდა: „ჩემში ფიქრები უკვე განივთდნენ...“ ქრონოლოგიურად თუ მივუდგებით რეალობას, ჰაიდგერისთვის, რომელმაც დაწერა ნაშრომი „ნივთები“ (1950) კუჭავაძე-პონტოელი იდეური წინამორბედი.

გვერდს ვერ ავუვლით პოეტის ცხოვრების რომანს, რომელიც მრავ-



დრო ფუჭ, სამქვეყნო ფაცურს არ დაეცინცლა... ან ფოლკნერის დარი, რომელმაც, როგორც კი იგრძნო, დიდი რომანების წერის დრო დამიდავო, საერთოდ განერიდა ნუთიერ სამყაროს, ჩაიკეტა და იშვიათად თუ გამოიხედავდა მის მიერვე შექმნილი სიმყუდროვიდან...

არ გამომივიდა... ცხოვრებამ, ბედმა, არსთაგამრიგემ სხვაგვარად გაარია ჩემი სავალი. სხვა რამეს ვგუშანობდი, მან კი სხვარიგად მატარა... თუმცა, ერთგვარი „ახირება“ მდევდა იმთავითვე: ვმსახურობდი, მაგრამ ერთადგილას, ერთ თანამდებობაზე დიდხანს ვერასოდეს ვჩერდებოდი. ეს საკუთარი ადგილის დამკვიდრებაზე მეტად საკუთარი თავის ძიებას ჰგავდა. თუ რომელიმე სამსახურში არ მენერებოდა, იმ ადგილს უშალ და დაუნანებლად ვტოვებდი, მატერიალურად რა უზრუნველყოფილი და კომფორტულიც არ უნდა ყოფილიყო იგი.

თუმცა, წლების შემდეგ, რომ ვაკვირდები, მწერლისთვის რაიმე სამსახურში დგომა დიდ ტრაგედიად სულაც აღარ მერჩვენება. ის კი არა, მგონი, რაღაც სასიკეთოსაც შეიძლება სძენდეს მის შემოქმედებას. ბოლოს და ბოლოს, მავანს სასჯელალსრულებითსა თუ სამართალდაცვით ორგანოებში უმუშავებდა და მნიშვნელოვანი მწერლური ნაღვანი დაუტოვებია კაცობრიობისთვის...

სამსახურში დგომის „არატრაგიკულობის“ დასტურად, სხვას რომ თავი დავანებოთ, ისეთ „ბოჰემურ“ შემოქმედთა მაგალითიც კი გამოდგება, როგორებიც გალაკტიონი და ტერენტი გრანელი იყვნენ, მათაც კი მოუწიათ გარკვეული დროით სხვადასხვა სამსახურში ყოფნა...

არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობა, რითაც ვარ დაკავებული უკანასკნელი წლების განმავლობაში, შემოქმედებითი ნატურისთვის არ უნდა იყოს ურიგო საქმე! პროექტების გახორციელებაზე მუშაობის პრაქტიკა, რომელიც ამ ტიპის ორგანიზაციებშია დამკვიდრებული, თავისთავად

დასასრული 39-ე გვერდზე



ვალი ქვეთავისგან შესდგება და თავის ფრივოლური, გულახდილი სიტყვით ბევრ საინტერესო რამეზე მოგვითხრობს. ეს შინაარსის თვალსაზრისით, ახლა ფორმა ვიკითხოთ. ფორმა განსაცვიფრებელია კინემატოგრაფიული რაკურსების სიუხვით. თითქოს მან ეიზენშტეინთან იმუშავა ოპერატორად.

ქუჩაში ძლიერი წვიმაა, ყველა თავსაფარში გარბის, მისდევდა ქუჩა ხალხის ქარავანს, ცას რომ მოეშვა წვიმის კარები... ქუჩა მისდევს ხალხის ქარავანს, ხალხთან ერთად ქუჩაც გარბის – ძლიერი დინამიური ეფექტია. პოეტი – ოპერატორი საერთო პლანიდან დეტალებზე გადადის, რომ ახლოს გაგვაცნოს ობიექტი:

მირბოდნენ მტვერში წვრილი ტროსტები
მირბოდა ბოშა, მრუში, როსკიპი...
მირბოდნენ მწყობრად წვრილი ფეხები,
თეთრი მუხლები, ჭრელი კაბები
და ამ აცვენელ ხალხთა ფარაში,
ბალი გამოჩნდა ტანმორეცილი...
მის წინ დაფლეთილ, ყვითელ ფარაჯით
ღმუოდა ქალი დაჭრილ მხეცივით...“

ეს დაცემული ქალი ლირიკული გმირის სატრფო აღმოჩნდება. რომანის ექსპოზიციაში, ვიდრე წვიმა დაუშენდეს და ალიაქოთი ატყდებოდეს, პოეტი იგონებს სიყმაწვილის პასტორალურ სურათს:

იყო სოფელი.
სოფელში შუკა, ბნელი და ვინრო...
ცამ გადმოშუვა დოქებით წყალი...
ამ დროს წისქვილი იდგა
მარტოკა და ბუტბუტებდა.
იმას ვამბობდი: ოდესღაც
ქვეყნად მიყვარდა გოგო...
და ეს ქვეყანა (რამდენად მახსოვს)
იყო პირწმინდა...

ჰო, წისქვილიდან გამოჩნდა უცებ,
სულ თეთრი გოგო... გოგო კეკლუცი,
არ გაუბოძა ღრუბლების წყრომას...
ჩამოჯდა ჩუმად ლელეს ნაპირას
და გაანათა ეს კუნაპეტი...

და ეს ლამაზი გოგო, რომელიც ლამეს ანათებდა და იყო ვაჟის პირველი სიყვარული, ახლა ქალაქში, ტალახში, წვიმაში, ბალის წინ არის დამხობილი და დაჭრილი მხეცივით ღმუის. ლირიკული გმირი შეყოვნდა:

უცებ ფეხებმა ლტოლვა შეწყვიტეს
და მივაჩერდი ბნელში შავ წერტილს...
ქალო, ვილაცას ძლიერ გამსგავსებ...
თითქოს ოდესღაც შენი თვალები

გავდნენ ჩიტებით სავსე გალობას
თითქოს შიშველი შენი მკლავები,
ჩემს ამბობებულ მკერდს აკავებდა...

ექვი გამართლდა: ქალი მისი სიყმაწვილის სატრფო აღმოჩნდა. ლირიკული გმირისთვის ეს იყო საშინელი დარტყმა: კატასტროფაა, უშველეთ ყველამ თქვენს თავს, თქვენს მიზნებს და თქვენს საბრძოლველს...

აქ ლირიკული გმირი ჰამლეტის ცნობილ პოზაში დგება და ჰამლეტისავე ინტონაციით თავის თავს ეკითხება:

„წვიმს თუ ვწვიმვარ“?

(ეს სატიალი, ზოგჯერ არ იცი, რომელი ხდება, როცა წვიმასთან შეხლავი გიხდება).

გადაუღებელი წვიმები ბადებს მოწყენას. ავდარს ჩვენი წინაპრები ხანდაზრას ეძახდნენ, მგონი, ეს რუსული სიტყვიდან („ხანდრა“) არის ნაწარმოები. „ხანდრა“ სევდა, ნალღველი მოწყენილობა. წვიმას მარკესმა მოთხრობა უძღვნა და დაარქვა „წვიმა“; მისი ერთი პერსონაჟი ლამის წვიმის წვეთად იქცა.

წვიმაში შეწყდა ქალ-ვაჟის დიალოგი, ქალი შინ გაჰყვა ვაჟს. თავშესაფარი აქვთ, არ აწვიმთ, მაგრამ ვაჟი განადგურებულია; გაუცხოებულია თვით ოთახიც:

უდარდელია მაინც ოთახი,
უდარდელია და არ დაეძებს,
თუ ჩემი სახე რამ ჩამოთალხა,
ან ტახტზე პირქვე რისთვის დავეცი

დიდი მწუხარება სიმღერაში გადადის:

ჩემი რომანი ასე იწყება:
„კრიალა ცისქვეშ,
ჩვენ შევხაროდით ფარულად წისქვილს
თავდება ასე:
„ეხლა ეს გოგო წევს და დასტირის
მჭრელი წალღებით გასხეპილ ლეროს;
ვო, რერო-რერო...“

სიუჟეტი მთავრდება მწარე ირონიით:

ზღაპრულ ტახტებად ცხოვრებას
დავდგამთ,
ზედ ჩამოვსხდებით და უდარდელად
ფანტაზიებში თითქოს დავდივართ
შემდეგ ტირიფი, შემდეგ ტირილი
და კიდევ შემდეგ?
ო, არაუშავს, რომ
დაამღერო-დასხეპილ ლეროს,
ვო, რერო-რერო.

ტანჯვა უკვალოდ არ იკარგება, სიხარული შეიძლება დაიკარგოს, ტანჯვა

- არა.

„თუმცა ვიცი, რომ ადამიანმა კრახი უნდა განიცადოს ყველა თავის მალალ და საუკეთესო მისწრაფებებში, მაგრამ სწორედ ამ კრახს აქვს აზრი“ (კარლ იასპერსი). „რომანის“ III თავია - „ქართული ღამე ევროპულ თბილისში“.

სათაური მნიშვნელოვანია: თბილისში ქართული არაფერი დარჩა, ლანდშაფტის გარდა. ესაა რელიეფი, ღამე - მტკვარი, „ჩამოხრჩობილი სხივთა ბოძზე ზვიად ზაჰესით“. პოეტი თანაუგრძნობს მთვარეს, რომელიც უცხო, შეცვლილ გარემოში ამაოდ დაეძებს ისტორიული წარსულის დიდ აჩრდილებს.

დაეძებს მწარედ მიჯნურ ტარიელს, ვით ავთანდილი დაუზარავი, საით წავიდეს? შოთა მკვდარია და ობოლია სევდის კარავი.

ამას ისეთი სურათი მოსდევს, რომლის ანალოგი, მგონი (სიტყვა ვერ მიპოვნია) ქართულ ლიტერატურაში არ არსებობს. ისლა დაგვრჩენია გავრჩემდეთ და თავი დაბლა დავხაროთ:

„მთვარე, ტარიელს ველარ მონახავ, რადგანაც შოთა უკვე მკვდარია. მკვდარია შოთა და ვეფხის ტყავით პოემის გმირებს არავინ ბურავს, ზის დარეჯანი კაფეში ყავით და თინათინი მიირთმევს ბურახს, ავთანდილს ხელში უჭირავს ტროსტი და ტარიელი მიათრევს პორტფელს, რომ დაემსგავსა ნესტანი როსკიპს და ცხელ ქუჩებში ვნებას აორთქლებს... გულში ნაღველი აღარ გეტყვა, გული ვერაფრით ვერ დაიყუჩე... რომ ევროპული ქალაქის ნიხრით, შენ ქვეშ გაშლილა ქართული ღამე...“

ლირიკული გმირი ბალში შედის, გვერდს აუვლის დაღრეცილ როსკიპს, უმზერს ესტრადას, უმზერს კულისს (გავიხსენოთ: „ვარ ორნაწილად გაპოზილი ადამიანი, ერთი წინ გარბის და მეორე... შესცქერის კულისს...“) და მის ტვინში თარემობს მოდგმა ველური...

და ვილაც ქალმა კულისებიდან, გამოიქროლა მწირ ესტრადაზე. დამშვენდა თვალებს გაგულისება და კოხტა ფეხებს ეს გრადაცია. „შეატრიალეს ფეხებმა ტანი, შეაგდო ტანმა მალა მკერდები...“

ლირიკულ გმირს ბალერინა ბედისწერად ექცა. ვაჟი ეჭვიანობს; „იმ ქალს აკოცებს ვილაცა ალბათ“.

ის ნევეს უღონოდ... მკლავებ გაშლილი.

მოუჩანს მკერდზე ორი მაშხალა და ქსოვილების ფერად არშეებს ცეცხლის ზოლებად ფანტავს გარშემო.

ლირიკული გმირი იმსახურებს ბალერინის თანაგრძნობას, ვინაიდან ურიცხვ მასაში მხოლოდ ის ხედავს ქალის არტისტულ სილამაზეს. სამწუხაროდ, გმირი ღარიბია და უსახსრობა ძლიერ აბრკოლებს. მას სურს ბალერინის გული დაიპყროს, გულია აქ მთავარი! ღამაზი ქალის გული კი ძნელი მოსაპოვებელია, გულის დათმობით ქალი თითქოს დამოუკიდებლობას კარგავს. სხეული? აჰა, ინებეთ სხეული!

ირგვლივ დუმილი, ირგვლივ სამარე, თითქოს ქვეყანა ამოიქვამა. და ქალი შიშველ მკერდს ამარა ჩემს წინ იხდიდა უსირცხვოდ კაბას იხდიდა კაბას და იცინოდა... რაზე? - ვინ იცის, ვისზე? - ვინ უწყის...

ეტყობა, ბალერინასათვის ეს იყო სიგიჟე ერთი ღამისა. ის ახლა სხვისკენ გარბის. ვაჟი განადგურებულია.

ეს ასე მოხდა: როცა ასული სწრაფად წავიდა კარებისაკენ, მომხედა უკან, ვნებით დამსილა და მიაცქერდა დიდ კედლის სარკეს, სარკეში დარჩა მისი ღიმილი...

ლირიკული გმირი მივარდა სარკეს, რისთვის? იქნებ ღიმილის დასაჭერად? აქ მრავალი პლანია, გადაჭრით ვეწარაფერს იტყვი.

თავზარდაცემად ამოვიგმინე: დილა კრახი! და სიყვარული ნამუსახილი, აგდია სადღაც ნგრეულ ტახტივით...

ამას უშუალოდ მოსდევს შესანიშნავი სიურეალისტური სურათი, მოგონება:

დილა უკვე, გარშემო მზეა და სიმსუბუქე, ჩემს გვერდით ტახტზე მოქანცულ ასულს, ძინავს გამომშრალ ნაკადის მსგავსად, მკლავები ყრია განმარტოებით, ვით ქარის შემდეგ ნაძვის რტოები...

რეზიუმე: „ეხლა სიყვარულს მოსპობენ, ალბათ...“

P.S. ლექსების კრებულმა „ნივთების როკვა“ დაბადა სურვილი, რომ უფრო ახლოს გავცნოთ ავტორის - შალვა კუჭავა-პონტოელის ბიოგრაფიას, შემოქმედების სხვა ნიმუშებსაც, ვინახულთ მისი მივიწყებული საფლავი და მოკრძალებით თავი დავხაროთ.



გულისხმობს რეგიონებში ხანგრძლივი დროით გასვლას და უამრავ ხალხთან ურთიერთობას. ეს სამსახური საშუალებას იძლევა „სხვისი“ რესურსები საკუთარი საქმის სასარგებლოდ გამოიყენო. ამას დაუმატეთ კომპიუტერული, ვიდეო-აუდიო თუ სხვა სახის ტექნიკა, რომლით სარგებლობის შესაძლებლობა შეზღუდული სულაც არა გაქვს... და ისიც, რომ ფინანსურადაც, ასე თუ ისე, უზრუნველყოფილი ხარ, თუნდაც არახანგრძლივი პროექტის დასრულებამდე, გაძლევს საშუალებას, მშვიდად, ყოველგვარი ყოფითი გართულებების გარეშე იფიქრო შემოქმედებაზე და წერო შენი სანერი...

მართალია, სამსახური აგრე ძვირფასად ქცეული დროის რაღაც ნაწილის გაღებას ითხოვს შენგან მსხვერპლად, მაგრამ მის მიერ მოტანილი ფსიქო-მორალური ნონასწორობა და სტაბილურობა გიხერხებს დანაკარგის კომპენსირებას... თანაც თუ დროის სწორად განაწილებას შეეჩვევი, ყველაფერი მშვენივრად გამოვა!..

და ყოველივეს შემდეგ, სულაც არ მიკვირს, რომ მთელი შემოქმედებითი გზის განმავლობაში ყველაზე ნაყოფიერი, უზვი სწორედ ეს პერიოდი გამოდგა... თუმცა, ამის სხვა რამდენიმე მიზეზის დასახელება შემიძლია აქვე, საუბრის საგანს რომ არ დავგავაზოვებდე...

ეგეც შენ - ფოლკნერის ნანატრი „პურის ნატეხის, ცოტა თამბაქოს და ცოტა ვისკის ფული“ და მეტი რაღა გინდა: წერე, თუ ქადილის ძალა შეგნევს და მწერლური ნიჭი მოგყვება!..

მწერლობასა და სამსახურს შორის გაკიდება იმ კაცის მდგომარეობას მაგონებს, ორ ქალს შორის ფარულად მოდრეიფეს, სულ იმის შიში რომ აქვს, რომელიმე მათგანი გამიგებს, მეორესთანაც რომ ვარ და ერთხელაც იქნება, ცხვირწინ მომიჯახუნებს კარსო...

ვწერ... ვწერ და... ვმსახურობ, მთელი გამოვლილი ცხოვრება...

არადა, ოთარ ჭილაძის მსგავსად, მერჩია არსად შემუშავა, მხოლოდ ლიტერატურით მესუნთქა და მეთარსება!.. მერჩია და რა ვქნა?!

სარგო წარწეშია



გიორგი ჩილდინაძე

ნიწო ჩხიკვიშვილი

ჩემო კარგი მწერალი

(ციკლიდან „წერილები ჩემს ემიგრანტ ვაჟს“)

ჩემო კარგო, შენი ციდა ქალიშვილისთვის გიგზავნი გივი ჩილდინაძის საბავშვო წიგნებსა და იმ რამდენიმე ჟურნალს, რომელიც ხელთ მაქვს. ეს ის საყმაწვილო ჟურნალებია, სადაც ამ ავტორის მოთხრობები და ლექსებია დაბეჭდილი. ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ელის ერთ წიგნად შეკვრას და გამოცემას, რაც ჩვენში, როგორც მოგეხსენება, ისეთ თანხასთანაა დაკავშირებული, რომ მწერლისთვის მისი ერთად მოძიება, თითქმის შეუძლებელია. არადა, ამ ჟანრისა და შინაარსის წიგნების გამომცემლებიც ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ჭირვეულობით გამოირჩევიან. ახლა, ძირითადად, ყველაზე შეძლებული გამომცემლები მოდას არიან ადევნებულნი. ხანდახან ისეთი შინაარსისა და ჟანრის წიგნებს გამოსცემენ, გაგიკვირდება.

ამ რამდენიმე წლის წინათ მადონას ზღაპრები გამოიცა, ჰო, სწორედ იმ მომენტისა, მანდ პოპის დედოფალს რომ უწოდებენ. შეიძლება, მადონა მართლაც ძალიან კარგი მომღერალია, დედოფლობაც შეშვენის და იმ სახურებს კიდევ, მაგრამ აბა მითხარი, რა საერთო უნდა ჰქონდეს მას საყმაწვილო ლიტერატურასთან? რა უნდა ესწავლებინა ამ ზღაპრებს მნიშვნელოვანი (თუ ახალი და მოულოდნელი) ქართველი პატარებისთვის?!

ეგ კიდევ არაფერი, მერე ამ გამოცემებს ისეთ რეკლამას უწვევენ, გაოგნდები. და რა ხდება იცი? როგორც მოსალოდნელია, ბევრი შეძლებული, მაგრამ ლიტერატურაში გაუთვისებელი მშობელი ყიდულობს კიდევ ამ ტიპის წიგნებს და რა გამოდის?!

მომავალი თაობა განზილებული და დაბნეული რჩება!

ჰო, ეს პრობლემა ჩვენში კვლავ მოუგვარებელია, მაგრამ ახლა ამაზე რომ გავაგრძელო საუბარი, შეიძლება საღამომდე ვერ დავასრულო და ამიტომაც ისევ მთავარს მივუბრუნდები:

გივი ჩილდინაძე – ვიცი, ეს გვარი და სახელი მაინცდამაინც ბევრს არაფერს გეუბნება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთი ვინმე ხელწამოსაკრავი ლიტერატორი იყოს ან მის მხატვრულ ტექსტებს არ ჰქონდეს არსებობის უფლება. არა, ამის მიზეზი სულ სხვაა: მისი ზედმეტად მოკრძალებული ხასიათი... იცი, ვის ჰგავს?.. ერლომ ახვლედიანის ნიკო და ვანო ხომ გახსოვს, აი იმ ვანოს ჰგავს რაღაცით. გახსოვს? ნიკოს ვანოს ვალი რომ აქვს, სულ რომ ატყუებს და არ უბრუნებს. ვანო გაბრაზებულია, მაგრამ ისეთი გულკეთილია და მოკრძალებული, როცა პირისპირ ხვდება, ვერაფერს ეუბნება და... ბოლოსდაბოლოს ნიკო ვალს რომ დაუბრუნებს, იქეთ ებოდიშება: მაპატიე, რომ შეგაწუხე!

ჰო, ეს მომავლენა რატომაც...?

ახლა ისევ მის შემოქმედებაზე მოგწერ:

ამ ზაფხულს ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე მისი მოთხრობა „მთებში დარჩენილი ნაფიქრალი.“ დაიბეჭდა. გივი ჩილდინაძის საყმაწვილო ლექსები და მოთხრობები კი მქონდა და წაკითხული, მაგრამ არ ვიცოდი ასე გამართულად თუ წერდა „სადიდობისა“. ეს მოთხრობა აღმოჩენა იყო ჩემთვის. მოთხრობა – ნოსტალგია, იმ სამყაროზე, რომელიც ძალიან ახლობელია, მშობლიურია, მაგრამ რომელსაც თანდათან, დროის მდინარეებსა თან ერთად, სამწუხაროდ, ვშორდებით და ვერთვით პოსტმოდერნისტულს, იმას, რაც ჩვენთვის არაორგანულია და ხელგაწერი. თუმცა, იქნებ, ეს „სახადიც“ უნდა „მოიხადოს“ ჩვენმა მწერლობამ, ბოლოსდაბოლოს, როგორც ყანწელები იტყოდნენ, მსოფლიოს რადიუსით რომ გაიმართოს?!

ვინ იცის?..

გიგზავნი ამ მოთხრობასაც, როცა დროს მოიხელთებ, აუცილებლად წაკითხე და ალბათ მაშინ დამეთანხ-

მეტი იმაში, რომ ეს ჩვენი გივი, შენი საყვარელი გურამ დოჩანაშვილისა არ იყოს, ჩუმკარგი ადამიანია (და ამავე დროს ჩუმკარგი მწერალიც გახლავს)!..

შენი ფიციხი ხასიათი რომ ვიცი, შეიძლება გამიბრაზდე, რას აიხირო, ეს ადამიანი, ადამიანიო! თუ მიგზავნი მის საბავშვო მხატვრულ ტექსტებს, გამომიგზავნე და მოკლედ ამიხსენი, რატომ უნდა წავაკითხო ჩემს შვილს მისი ლექსები და მოთხრობები?!

ჰოდა, როგორც ყოველთვის, ახლაც დიდაქტიკას მოვიშველიებ და მოგიგებ: ნუ დაგავიწყდება, რომ ნანერში, როგორც წესი, ავტორს, თუ ის გენიალური არ არის, „დამალვა“, „გაუჩინარება“, ნამდვილად უჭირს და თუ მწერალი კარგი პიროვნება არ არის, მას არა აქვს უფლება ყმანვილთათვის (დიახ, მით უფრო ყმანვილთათვის) წეროს!!! რადგან სადღაც, უნებურად, მაინც გამოკრთება მისი პიროვნული (უარყოფითი) თვისებები...

რა, საკამათო აზრია? კი, ბატონო, მეკამათე!

ოღონდაც სხვა დროს, ახლა კი მის-მინე:

სანამ გივის საყმანვილო ტექსტებს წაკითხვებდე ნინუცას, მინდა, ჯერ შენ თვითონ გულდასმით გადახედო და კიდევ ერთხელ გაიხსენო საკუთარი ფესვები...

რაო, ფესვებიო? ჰო, ვიცი, ისევე აღელდი... ვიცი, რომ ამდენი დრო არა გაქვს და ამიტომაც მოკლედ მოგჭრი – ეს ფერადოვანი, ცისფერყდიანი წიგნი, რომელსაც „მზე შინა და და მზე გარეთა“ ეწოდება, გივი ჩილვინაძის შედგენილია და ქართული ხალხური დღეობა-დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები ადამოცემული.

აღბათ გახსოვს, მსგავსი შინაარსის წიგნებს ბალღობისას გიკითხავდი...

შენ განსაკუთრებით მოგწონდა ახალი წლის მეკვლის ტრადიცია და ამიტომაც იყო, მეკვლეობას ყოველთვის ისაკუთრებდი. შენი ძმა კი გულამომჯდარი ტიროდა, მეც მინდა, მეც მინდაო, მაგრამ არაფრისდიდებით არ თმობდი: მე მაქვს კარგი ფეხი და ამიტომაც მე უნდა ვიყო მეკვლეო!

ჭიაკოკონობას მისტიური ამბებიც გიტაცებდა და რამდენჯერმე მათხებდი ერთსა და იმავეს...

სხვებიც მოგწონდა – რთველი თუ


ნადი (არადა, ახლა ბევრმა არც კი იცის რას ნიშნავს ნადი)! რომელი ერთი ჩამოვთვალო. ეს ყველაფერი, ხალხური წეს-ჩვეულებები, რასაც ჩვენამდე მიულწევია, ამ წიგნის ავტორს, ბატონ გივის, სხვადასხვა წყაროებიდან ამოუკრეფია და სახალისო საკითხავად უქცევია იმ პატარებისთვის, რომლებიც, შენი შვილის მსგავსად, მშობლიურ ფესვებს მონყვეტილან, აქ თუ მანდ, ემიგრაციაში... ხოლო ყველა ის წყარო, რომელთაც ამ წეს-ჩვეულებათა აღმწერილი ეყრდნობა, ნამდვილად სანდოა და აღსანიშნავი: ბიბლიოგრაფია წიგნს თან ერთვის და შეგიძლია თვითონ ამოიკითხო და დარწმუნდე. კრებულს თან ერთვის, აგრეთვე, ლექსიკონი, სადაც ახსნილია ყველა ის სიტყვა, რომელიც, შეიძლება, ბავშვისთვის უცხო და გაუგებარი აღმოჩნდეს.

რაც შეეხება უშუალოდ თხრობას, თუ როგორ გადმოგვცემს ამბავს, უნდა გითხრა, რომ ძალდაუტანებლად იკითხება; სადაა, მთავარი არსი გამოკვეთილია... და თუ ჩემი არა გჯერა, მაშინ თვითონ ნაუკითხე ნინუცას ძილის წინ თითო თავი და მიხვდები, რომ არ ვტყუი, არც არაფერს ვაჭარბებ!

ჰო, შენ თვითონ ნაუკითხე-მეთქი ისე გამოგიცხადა, თითქოს ჩემს უცხოელ რძალს შეეძლოს ქართულად კითხვა და თავსაც იკლავდეს საიმისოდ, რომ ბავშვს როგორმე ქართული ცნობიერება ჩამოუყალიბოს. მაგრამ არა, ამაზე ახლა აღარაფერს გეტყვი, იმიტომ რომ მეშინია, კვლავ არ გამებუტო!..

მაგალითისთვის „რთველიდან“ დასაწყისს შემოგთავაზებ: „რთველი ქართველი გლეხისთვის შრომასთან წილნაყარ დღესასწაულს წარმოადგენდა და ასეა დღესაც. მაგრამ ამ დღესასწაულამდე დიდი შრომაა გასანევი. გასხვლა და გათონა, ახვევა და გაფურჩქნა, შეყვლევა და შენამვლა, მორწყვა და კიდევ რამდენი რამაა საჭირო ვაზისათვის. გარდა ამისა, ვენახთან დაკავშირებული მრავალი წეს-ჩვეულება არსებობდა, რომელთა შესრულება ხალხის რწმენით უხვ მოსავალს უზრუნველყოფდა.“

ან კიდევ „შუამთობა“, რომლის შესახებაც, მართალი გითხრა, მეც ახლა გავიგე: თურმე აჭარაში, შავშეთსა და





მესხეთში იმართებოდა. და შუამთობა იმიტომ შეურქმევიათ, რომ მესაქონლეთა მთაში ყოფნის შუა პერიოდს ემთხვეოდა. „შუამთობა ზოგ სოფელში უმეტესად ქალების დღესასწაულად ითვლებოდა. ახალ ტანსაცმელში, სადღესასწაულოდ გამონყობილი, ქოლგადახურული ქალები, მოკაზმულ ცხენებზე ამხედრებულები, როცა მთის ფერდობს შეეფინებოდნენ, აჭარის თვალწარმტაცი ბუნება კიდევ უფრო დამშვენდებოდა. შუამთობაზე სასიძოს ოჯახი პატიჟებდა საპატარძლოს. მას უგზავნიდნენ შეკაზმულ თეთრ ცხენს, საპატარძლო კაბას და ქოლგას. ქალებს ცხენოსანი ან ქვეითი მამაკაცები მიაცილებდნენ იარაღასხმულნი, ჩონგურის, საზის, ფანდურის, გარმონის, ჭიბონისა და დოლის თანხლებით. ქალები ერთმანეთსაც ეჯიბრებოდნენ ცხენოსნობაში. დანიშნული ქალი მთაში ღამეს თავისი მამის ბინაში ათევდა, მხოლოდ სტუმრად მიიწვევდნენ საქმროს ახლობლები“...

და ასე, ჩემო კარგო, ჩაიკითხე წიგნი ბოლომდე და მიხვდები, თუ როგორ ერწყმის ძველთაძველი, წარმართობის დროიდან შემორჩენილი ტრადიცია ახალ, ქრისტიანულ კულტურას.

აი, ამის ახსნა საჭირო და აუცილებელიც პატარებისთვის (და იქნებ არამხოლოდ პატარებისთვის), რათა კარგად გააცნობიერონ, თუ როგორი ქვეყნის შვილები არიან...

ეს რაც შეეხება წიგნს, „მზე შინა და მზე გარეთას“.

ახლა ამავე ავტორის საბავშვო ლექსებსა და მოთხრობებზეც მოგწერ ჩემს აზრს. თუმცა, თავიდან მინდა გაგაფრთხილო, რომ ამ ლექსებსა და მოთხრობებში ახალსა და ნოვატორულს ვერაფერს ნახავ. თუნდაც ისეთს, მანდ, უცხოეთში რომ წერენ და ჰგონიათ, ბავშვების გონებრივ განვითარებაზე ჩვენზე უკეთ ვერავინ ზრუნავსო. ისე, შეიძლება წიგნადაც კი აღარ ბეჭდავენ და პირდაპირ კომპიუტერების მეშვეობით ცდილობენ ბალებების მგრძნობელობისა და გონების გავითარებას?! მაგრამ... მე ისევ, სამწუხაროდ, კვლავ საკამათო აზრს მივემხრობი და გეტყვი: ვერანაირი კომპიუტერული ტექნიკა ვერ გააუფერულებს იმ ინტიმს, რაც წიგნთან, ზოგჯერ გაცვეთილ, გაყვითლებულ წიგნის ფურცელთან ურთიერთ-

ბისას იბადება ავტორსა და მკითხველს შორის. ამ ინტიმს, ვფიქრობ, ბალღობიდანვე უნდა შევაჩვიოთ პატარები, მათ შორის ჩემი შვილიშვილიც!

მაშ, რა არის მთავარი? რა თქმა უნდა, მკითხველისა და ავტორის თანაარსებობა. ეს კი, რატომღაც მგონია, რომ პატარაობიდანვე, წიგნთან უშუალო შეხებიდან იბადება.

იცი, როგორი განცდა გეუფლება, როცა გივი ჩილვინაძის ამ ტექსტებს ეცნობი: თითქოს შენს წინამორბედთ ესაუბრები და იქ, ტყეებსა და მთებში გაგონილი ამბები რაღაცით ჩვენს დიდ კლასიკოსებთან გაბრუნებს... არ მინდა კონკრეტულად რომელიმე მათგანი დავასახელო. თუმცა, რატომაც არა, ვიტყვი: ვაჟა-ფშაველასთან, იაკობ გოგებაშვილთან, შიო მღვიმელთან თუ სხვებთან, თანამედროვეებთანაც. ის მოთხრობები და ლექსები, რომელსაც ამჯერად გიგზავნი, მართლაც მათი გავლენითაა შექმნილი. მოთხრობები: „მელაკუდას მოშინაურება“, „ბუძას კურდღლები“, „გიგილოს ჩხიკვები“ წაიკითხე და თუ შენც მსგავსი განცდა არ დაგებადოს, აგერ ნახე!..

ზოგჯერ გივი ჭიჭინაძისეულ ინტონაციასაც ნააწყდები, ნოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსებიც მოგაგონდება და მაინც არის ამ ტექსტებში, ისევე, როგორც თითოეულ ჩვენგანში, რაღაც თვითმყოფადი და განუმეორებელი! დიახ, დიახ, განუმეორებელი, ამის თქმისა სულაც არ მეშინია, რადგან ამით იმას კი არ ვამტკიცებ, რომ გივი ჩილვინაძე განუმეორებელი მწერალია, არამედ იმას, რომ ის დაფარული სევდა, რომელიც მის სადიდო თუ საყმაწვილო მხატვრულ ტექსტებს მოაქვთ ჩვენამდე, განუმეორებლად ქართულია!

დიახ, ქართულია, შემნახველია ქართული ხასიათისა და ზნისა, რომელიც თანდათან მიინავლება და ქრება!..

და ხანდახან... გითხრა რისი მეშინია? მეშინია, რომ ამ დაფარული სევდის გარეშე ქართველობა არ დაგკარგოთ!..

ხედავ, მგონი, რაღაცით ავცდი მთავარ სათქმელს, მაგრამ ამ ფიქრს ხომ აქეთ სწორედ ამ ტექსტებმა უზიდავს...

მოკლედ, ნაუკითხე ჩემს პატარა სეხნიას ეს წიგნები... და გახსოვდეს: საკუთარ ფესვებს არასდროს მოწყვიტო შვილი!

შენი მოსიყვარულე დედა...

უკვდავი სახელები

ავთანდილ არაბული
პარლამ თოფურია და XX საუკუნე

ვარლამ თოფურია ზუსტად XX საუკუნის დასაწყისში დაიბადა.

ყოველი ახალი საუკუნის დასაწყისი ყოველ დროში და ალბათ ყოველ ქვეყანაში საზოგადოების განსაკუთრებულ განცდებს – იმედებსა თუ შიშებს, იდეების აღმადგენასა და ოცნებათა მსხვერველს უკავშირდება.

საუკუნე, სხვა თუ არაფერი, მოსახერხებელია განვლილის დასაჯამებლად და ასანონ-დასანონად.

და ახლა, ამ ახალი XXI ს-ის დასაწყისში, როდესაც ჩვენი ასწლოვანი მასწავლებლების ფასდაუდებელ ნაღვანზე ფიქრს ძალაუფლებურად გადავყავართ საუკუნის წინანდელ ისტორიაში, შესავლისათვის ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, როგორ იწყებოდა XX საუკუნე.

ერთი მხრივ, მსოფლიოში მეცნიერული აზრი დულს და ქვეყნები აღმოჩენათა ვნებას მოუცავს, მეორე მხრივ, სოციალური სამყარო ფეხქვეშ ირყევა, ხან აქ იფეთქებს, ხან იქ რევოლუციების ცეცხლი... კაცობრიობა გლობალური ძვრებისა და გადანაწილებებისათვის ემზადება... ახლოვდება მსოფლიო ომი...

ამ ფონზე საქართველოში სულ უფრო ძლიერდება განწყობა და სულისკვეთება, რომ ეს მასშტაბური რყევები ქვეყანას ნანატრ თავისუფლებას მოუტანს, რომ სამშობლოს ტალანტები დაუბრუნდებიან, რომ ეროვნული კულტურის, განათლებისა და მეცნიერების აღორძინება დაიწყება...

რაც მთავარია, ერთიანად იგრძნობა დიდი ეროვნული ენერჯის, ინტელექტუალური პოტენციის მოზღვაება, არის განწყობა, რომ რაღაც განსაკუთრებული უნდა მოხდეს, რომ „ნაციონალური შუბლი“ ახლებურად უნდა გაბრწყინდეს.

აქ შეუძლებელია ამის გამომხატვე-

ლი მთელი პანორამა ავსახოთ, მაგრამ რამდენიმე დიდი სახელის დასახელებით შეიძლება ერთგვარი შთაბეჭდილება მაინც შევიქმნათ საუკუნის წინანდელი ვითარების შესახებ.

ჯერ ერთი: XX საუკუნის ზღურბლზე გადმოსულა XIX საუკუნის დიდება – ილია, აკაკი, ვაჟა..., რომელნიც ერისათვის მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურას არ განასახიერებენ.


მეორეც: მართალია, ქვეყნის საზღვრებს გარეთ, მაგრამ მძლავრად იდგამენ ფეხს ქართველი მეცნიერები, საიმედო კვალი გაჰყავთ მეცნიერებათა სულ სხვადასხვა დარგებში. უკვე სერიოზულ გეგმებს სახავს ქართველოლოგია. აქტიურად იღვნიან საქართველოს პეტერბურგული სკოლის ფუძემდებლები: ალექსანდრე ცაგარელი (ამ დროისთვის 66 წლისაა) და ნიკო მარი (36 წლისა). რაც მთავარია, ამ ცენტრის წიაღში იწყებს საუკუნის დასაწყისში ივანე ჯავახიშვილი იმ ეროვნული სამეცნიერო ამოცანების ორგანიზაციას, რომელთა მასშტაბები სულ მალე უნივერსიტეტის იდეაში განსახიერდება...

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს – მხოლოდ რამდენიმე დიდი სახელის დასახელებით – როგორ ხვდება საქართველო 1901, ანუ ახალი საუკუნის პირველ წელს?

პეტრე მელიქიშვილი – 50 წლისაა, ექვთიმე თაყაიშვილი – 37 წლის, ივანე ჯავახიშვილი – 24 წლის, კორნელი კეკელიძე – 21 წლის, იოსებ ყიფშიძე – 18 წლის, დიმიტრი უზნაძე – 14 წლის, აკაკი შანიძე – 13 წლის, გიორგი ახვლედიანი – 13 წლის, ალექსანდრე ჯანელიძე – 12 წლის, ნიკო მუსხელიშვილი – 9 წლის, სიმონ ყაუხჩიშვილი – 5 წლის...

ზედ საუკუნეთა მიჯნას დაემთხვა ამ





პეტრე მელიქიშვილი



ექვთიმე თაყაიშვილი



ივანე ჯავახიშვილი

პლეადის რამდენიმე ბრწყინვალე წარმომადგენლის დაბადება:

არნოლდ ჩიქობავა – 1898 წელს,
სიმონ ჯანაშია – 1900 წელს,
ვარლამ თოფურია – 1901 წელს,
გიორგი წერეთელი – 1904 წელს...
ასე იწყებოდა XX საუკუნე...

ოცნების ხორცშესხმასაც არ დაუგვიანია: მალე – 1918 წელს – იქმნება ეროვნული უნივერსიტეტი! დააკვირდით, რა ასაკის არიან დასახელებული მოღვაწენი ამ დროისათვის...

ამ დიდი პიროვნებების და, მით უფრო, ვარლამ თოფურიას ბიოგრაფიაში უთუოდ არის ესქატოლოგიური ანუ ბედის ნიშანი. ამგვარ ნიშნებს, პიროვნული ნათელმოსილების გარდა, მომავალი საგულისხმო ქრონოლოგიურ დამთხვევებშიც ეძებს ხოლმე...

ვარლამ თოფურია, განგების ნებით, სწორედ XX საუკუნის გარიჟრაჟზე მოველინა ამ ქვეყანას; იგი დაიბადა 1901 წლის 8 იანვარს, ანუ ქართული მართლმადიდებლური კალენდრით, ქრისტეშობის მეორე დღეს. ალბათ შეუძლებელია, მოვლენათა ასეთი დამთხვევა ახალყრმის მშობლების ოჯახში და მშობლიურ სოფელ ონტოფოში ჯერ კიდევ ტრადიციულ, მორწმუნე საზოგადოებას რალაც საგანგებო შემთხვევად არ აღექვა. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ დიდ ადამიანებზე საუბრისას ისეთ დიდ უხერხულობას არაფერი იწვევს, როგორც ორი რამ: ერთი – დაბადების ადგილის დაზუსტება და მეორე – მათი მოღვაწეობის დროდ საბჭოთა ეპოქის დასახელება (მით უფრო – იმდროინდელი ქართული მეცნიერების „საბჭოთა მეცნიერებად“ მოხსენიება).

მეორე ნიშანდობლივი დამთხვევა ის არის, რომ ვარლამ თოფურია ხდება ახალდაარსებული ეროვნული უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი სტუდენტი. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, მაგრამ შეუძლებელია რამდენადმე მაინც აღვადგინოთ ის ამაღლებული განცდა, რაც ივანე ჯავახიშვილის პირველწვეულთ უნდა დაუფლებოდათ უნივერსიტეტის ზღურბლზე გადაბიჯებისას. ამ თაობის მოღვაწეობის შედეგებიდან გამოჩნდება, რომ ეს

განცდა წმინდა ალექსისა თუ ფიცის ტოლფასი იყო...

და მესამეც: იმ ბრწყინვალე თანავარსკვლავედში, რომლის ელვარებამ წუთის წინ მხოლოდ დასახელებითაც კიდევ ერთხელ მოგვჭრა თვალი, ვარლამ თოფურიამ, ერთი შეხედვით, იმდენად ბუნებრივად და ძალდაუტანებლად დაიკავა თავისი გამორჩეული ადგილი, რომ ამისი ახსნაც ისევ იმ არცთუ აკადემიურ გამონათქვამს – „ბედის რჩეულობას“ – უნდა მივანდოთ. მით უფრო, რომ მეცნიერმა ეს ადგილი დაიმკვიდრა არა რომელიმე განკერძოებულ, ჯერ კიდევ აუთვისებელ სფეროში, არამედ მისი სამეცნიერო ინტერესები მოიცავდა არსებითად ყველა იმ მიმართულებას, რასაც მისი მასწავლებლები და უფროსი კოლეგები დასაძლევად შესჭიდებოდნენ...

ვარლამ თოფურიას მეცნიერულმა მოღვაწეობამ მოიცვა იმდროინდელი ლინგვისტური პრობლემათიკის თითქმის ყველა ასპექტი და საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა კავკასიოლოგიის, ქართველოლოგიის, საერთოდ, ქართული მეცნიერული აზრის წინსვლა და წარმატებები აღწერით, სტრუქტურულსა თუ შედარებითს ენათმეცნიერებაში. შეუძლებელია მიზნად დავისახოთ, ერთ წერილში თუნდაც ზერელედ წარმოვაჩინოთ მისი მეცნიერული მემკვიდრეობა...

თუ რამდენად მრავალმხრივია ვარლამ თოფურიას სამეცნიერო ინტერესები და შემეცნებითი ძალისხმევა, ამ შთაბეჭდილებას მის მიერ დამუშავებული მიმართულებებისა და პრობლემების მხოლოდ მშრალი ჩამონათვალიც შეგვიქმნის:

– იბერიულ-კავკასიური ენების აღწერითი და შედარებითი შესწავლა (მაგ., ლაკურის გრამატიკული აღწერა, კავკასიურ ენათა ბგერების კლასიფიკაციის პრინციპები, ამ ენათა სტრუქტურული შეხვედრები...).

– ქართველურ ენათა სტრუქტურა და ისტორია (ერთი მხრივ, სვანურის ყოველმხრივი აღწერა და მეორე მხრივ – შედარებითი კვლევა ფონოლოგიური თუ მორფოლოგიური სტრუქტურებისა).

– ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, ძველი ქართული.

– ქართული ენის ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი.

– დიალექტოლოგია, ქართველური დიალექტები (სვანურის დეტალური კილოური აღწერა, გომარული, ქართული, ზემორაჭული... დიალექტური ტექსტების განუმეორებელი კორპუსი...).

– ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფია, ეტიმოლოგია (ენიმკის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სიტყვანი, რომელიც დაედო საფუძვლად 1945 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტში შექმნილი ქელის კომისიის მუშაობას, ამ ლექსიკონის მთავარი რედაქციის წევრი, III ტომის რედაქტორი, სვანურის ლექსიკონი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, წერილების სერია სიტყვანარმოების შესახებ...).

– სალიტერატურო ქართულის სინამდის დაცვა („ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“, „ორთოგრაფიული ლექსიკონი“...).

– მშობლიური ენის სწავლება (სახელმძღვანელოები: „ქართული ენა“, „ქართული წერის დედანი“, პროგრამები, მეთოდური მითითებანი...).

– წინამორბედთა და კოლეგათა ღვაწლის დაფასება (მ. ჯანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ი. ყიფშიძე, ს. ჯანაშია, არნ. ჩიქობავა...).

– განსაკუთრებულად თავდადებული პედაგოგიური საქმიანობა.

განუმეორებელია ვარლამ თოფურიას ცხოვრების გზა და შთამბეჭდავია მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის მხოლოდ ქრონოგრაფიაც კი: უნივერსიტეტის აღზრდილს ორიოდე წელს უწევს თბილისის ცენტრალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობა და მასწავლებლები – ა. შანიძე და გ. ახვლედიანი – უკვე 26 წლისას ანდობენ მას უნივერსიტეტში დიალექტოლოგიისა და ენათმეცნიერების შესავლის კურსებს. ამის შემდეგ არაერთი სამეცნიერო-პედაგოგიური თანამდებობის გაძლოლა მოუხდა მას თბილისის

სის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ენიმკიში, მეცნიერებათა აკადემიაში, ქუთაისისა და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში...

1936 წლიდან არის ენიმკის ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე.

1941 წლიდან – ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგე.

1943-1949 წლებში იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი.

1945 წელს უნივერსიტეტში დაარსდა ახალი ქართული ენის კათედრა, რომლის გამგეც სიცოცხლის ბოლომდე იყო ვარლამ თოფურია.

30 წლისა იგი უკვე უნივერსიტეტის დოცენტი, 35-36 წლისა – ფილოლოგიური მეცნიერების დოქტორი და პროფესორი, 45 წლისა – მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

დასაწყისიდანვე შთამბეჭდავია ვარლამ თოფურიას მეცნიერული ძიების შედეგები. უკვე უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე – 1923-1924 წლებში აქვეყნებს იგი ისეთ მნიშვნელოვან წერილებს, როგორებიცაა: „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა...“, „ორმაგი უარყოფა“, „გეოგრაფიულ სახელთა-თა სუფიქსისათვის“... 1946 წელს აქვეყნებს უმნიშვნელოვანესი სერიის – „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ – პირველ ნერილს: „ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა...“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესაძირკველებსა და პირველმკვალავებს, ქართველოლოგიის მანამდელი ხარვეზების გათვალისწინებით, მრავალმხრივი და მუხლჩაუხრელი მოღვაწეობა უწევდათ სხვადასხვა მიმართულებით. ამიტომაც უპირველესად გაცეხას ინვეს მეცნიერების პატრიარქების ეს მრავალმხრივობა, მასშტაბურობა და, იმავე დროს, კვლევის სიღრმე და მეთოდოლოგიური საფუძვლიანობა.

ვარლამ თოფურია, როგორც მათი მრწემი თანამოსაგრე, როგორც ითქვა, ერთდროულად მრავალ ასპარეზზე იღვწის და ყველგან გამორჩეულ



სად იწყება ცხოვრება და სად მთავრდება პოეზია. სად იწყება პოეზია და სად მთავრდება ცხოვრება.

*ერთხელ სკოლაში, ჩვენმა მოხუცმა არითმეტიკის მასწავლებელმა აღტაცებით წამოიძახა – „გალობს პოეტი“. შაში იჯდა ფანჯრის რაფაზე...
იაკუ კაბე, იაპონური ტანკა*

*გვესაჭიროებან ამინდის წინასწარმეტყველები, რომელთაც სწამთ პოეზია პოეტთა გარეშე, მათი ლექსების გარეშე, ფრაზების, სიტყვების, ბგერების გარეშე...
ირაკლი კაკაბაძე ნაწყვეტი ლექსიდან „ავტობიოგრაფია“*

ასე მგონია, ყველაზე მალე მასწავლებლები ბერდებთან. სკოლაში სწრაფად გადის დრო, ჩიტვივით მიფრინავს და თუ მოახერხე უკან მიხედვა, რისთვისაც იშვიათად გაქვს ძალა და დრო, განვლილი წლების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულებების მეტი არაფერი შეგრჩება. ათი წელია მასწავლებლად ვმუშაობ სკოლაში, ანუ ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, ამ საქმეს რომ მოვკიდე ხელი, მაგრამ ძალიან გვიან მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი სამსახური ჩემთვის, ეს არ იყო მხოლოდ საშუალება არსებობისთვის, მითუმეტეს იმ დაწყებულ დროსაც, როცა „ძალი პატრონს ვერა ცნობდა“ და როცა ჩემს შვიდსულიან ოჯახში მხოლოდ მე და დედაჩემი ვიყავით პურის ფულის შემომტანი, ჩემი ქიმიკოსი დედა, რომელიც ხან ფენოვან ხაჭაპურს ყიდდა საცხობში, ხან კი ძიძაღ მუშაობდა სუსტი საქართველოს ძლიერი ბიუროკრატების ოჯახებში. ეს იყო და არის, თამამად შემძლია ვთქვა, ჩემი ბედისწერა, მე ერთი წელიც ვერ გავძელი სკოლის და ბავშვების გარეშე, ამიტომ დღესაც


გაგრძელება 47-ე გვერდზე



კორნელი კეკელიძე



იოსებ ყიფშიძე



დიმიტრი უზნაძე

კვალს აღბეჭდავს. განსაკუთრებულია მისი დამსახურება მთის კავკასიური და ქართველური ენების მონაცემთა აღწერითი შესწავლის საქმეში. მალე არის დასაძლევნი ენათა აღწერითი შესწავლის ეტაპი, რადგან ისტორიულ-შედარებითი „ფრიადი სამკალი“ აღარ იცდის. განა თვითონვე არ აღნიშნავდა, – არათუ შედარებითი ნაკვალევი, ქართველური ენა-კილოების საფუძვლიანი აღწერაც არა გვაქვს! ქართველოლოგიის ოქროს ფონდს ეკუთვნის ვ. თოფურის აღწერითი გამოკვლევები; მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა „სვანური ზმნა“ – ცოცხალი ენობრივი მონაცემების უსრულესი და უზუსტესი აღწერით, მდიდარი ემპირიული მასალით, სვანური ზმნის რთული სისტემის სრულყოფილი აგებით... მაგრამ ვარლამ თოფურის მთავარი სტიქია მაინც არა სივრცული აღწერა, არამედ სიღრმული (ისტორიული) ძიებაა. ეს არის მისი მეცნიერული ბუნების არსებითი ნიშანი. ქართველური ენობრივი სამყაროდან სწორედ სვანური – როგორც ფონეტიკური ქარტეხილების განსაკუთრებული ნაკვალევის მატარებელი – აღმოჩნდა ვ. თოფურის მეცნიერულ შესაძლებლობების მთავარი საჯილდაო ქვა. მისი ძირითადი მონაპოვრებიც, აღნიშნულთან ერთად, შინაგანი და შედარებითი რეკონსტრუქციის სფეროს განეკუთვნება. თვით აღწერითი ლინგვისტიკის ეტალონ „სვანურ ზმნაში“, სადაც კი ამის შესაძლებლობა შეიქმნება, მკვლევარი შემთხვევას არ ტოვებს, რომ დიდმნიშვნელოვანი შედარებითი თუ ისტორიული აქცენტი არ გააკეთოს... მაგალითად, გვ. 242: აქ აღინერება ხმოვანმონაცვლე ზმნური ფუძეები სვანურში და ამ მონაცემების გამოვლენა სახელებში: სიდ (დარჩენილია), ბაც („შეიძლება“)... და აქვე ფუნდამენტური მნიშვნელობის კომენტარი შედარებით ძიების თვალსაზრისით: „საჭიროა დაგროვდეს მასალები და სათანადოდ გაშუქდეს ეს საინტერესო II ჯგუფის ზმნები ქართულ-მეგრულის მოშველიებით: ბზ. ლი-ტყეც „რღვევა“, შდრ. ტკეჩ-ი...“

ამავე დროს, როდესაც მკვლევარი უკვე ინტენსიურად მუშაობს სვანურზე, იგი სერიოზულად გადაერთვება კიდევ ერთი მიმართულებით – იწყებს ერთ-ერთი დაღესტნური ენის – ლაკურის – შესწავლას და რამდენიმე საფუძვლისჩამყრელ ნაშრომს ქმნის ამ ენის მასალაზე. ამით იგი კიდევ ერთხელ წარმოჩნდება, როგორც ფართო თვალსაზრისისა და დიდი მასშტაბის მკვლევარი.

ვარლამ თოფურის მთავარი მეცნიერული ინტერესი მაინც ქართველური ენათა ისტორიული ბუნების ძიებას, მისი ფონოლოგიისა თუ მორფოლოგიური სტრუქტურების სიღრმულ კვლევას დაუკავშირდა და ამ მიმართულებით მან არაერთი საიდუმლოს გასაღებსაც მიაგნო. დგინდება ზუსტი ფონოლოგიური ნესები და დისტრიბუციის კანონები; ირკვევა ფლექსიისა თუ დერივაციის სტრუქტურული კანონზომიერებანი; ისტორია სულ უფრო და უფრო ხელშესახები ხდება...

და აქ შეუძლებელია მცირეოდენ გადახვევას არ მივმართოთ, არ აღვნიშნოთ ისეთი რამ, რასაც დღემდე, ვგონებთ, საგანგებოდ არავინ შეხებია, უთუოდ – როგორც ისედაც ნათელ ჭეშმარიტებას:

XX საუკუნის I ნახევარში ქართულმა შემოქმედებებმა ინტელიგენციამ და, პირველ რიგში, მეცნიერებმა პინძინდად მოუგეს იმპერიას (ჯერ ცარისტულსა და შემდეგ კომუნისტურ იმპერიას) ერისათვის ბრძოლა. ამ შემთხვევაში ეს ცნება ეროვნულ ენასაც გულისხმობს, ეროვნულ კულტურასაც და, შეიძლება ითქვას, სარწმუნოებასაც. ჩვენ არა გვაქვს საფუძველი იმის სათქმელად, რომ არსებობდა რაღაც ერთიანი სტრატეგიული გეგმა (ასეთი რამ რომ დოკუმენტურად შექმნილიყო, ის გაცემულიც იქნებოდა!) ამ მიზნის მისაღწევად, მაგრამ ნამდვილად სტრატეგიული დანიშნულებისა აღმოჩნდა ქართველ მეცნიერთა წარმატებული ძალისხმევა ორი მნიშვნელოვანი მიმართულებით:

1. სწორედ ქართველ ენათმეცნიერთა დასახელებულმა პლეადამ გადაარ-

ჩინა ე. ნ. საბჭოთა ენათმეცნიერება იდეოლოგიის უფსკრულში გადაჩევისაგან. ვფიქრობთ, მკითხველს არ დასჭირდება იმის შესხენება, თუ რა რთულ პერიპეტეიბთან იყო დაკავშირებული ქართველ ენათმეცნიერთა ეს ძალისხმევა... (სხვათა შორის, ასეთივე როლი ერგო რამდენიმე სხვა ქართულ მეცნიერულ სკოლასაც). არც იმას უნდა უნდოდეს განსაკუთრებული მტკიცება, რომ ამ პოზიციების მოპოვება პირველ რიგში სწორედ ქართულ ეროვნულ ინტერესებს სჭირდებოდა...

2. ქართველმა მეცნიერებმა მაქსიმალურად გამოიყენეს შესაძლებლობა, რომ ეროვნული თვითცნობიერების ჩამოყალიბებისა და სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის ისეთი მძლავრი იარაღი, როგორც იყო კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი მეცნიერული მონაპოვარი XIX ს-ში, ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდი (ანუ ენათა [და ეთნოსთა] გენიალოგიის უტყუარი მეცნიერული განსაზღვრა) მიემართათ ქართველთა იდენტობის საბოლოო ფორმირებისათვის. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ეროვნული ერთობის ხარისხი ისეთი მაღალი თითქმის არასოდეს ყოფილა, როგორც იმ ანტინაციონალურ ეპოქაში, მუდმივი გამთიშველი და ასიმილაციური იმპერიული პოლიტიკის პირობებში. ეს იმდენად ნათელია, რომ საგანგებო მტკიცება არ სჭირდება. ამიტომაც უკეთურებაა და უკეთური ძირები აქვს დღეს იმის მცდელობას, რომ, თითქოს, ქართული ენათმეცნიერების იმ სულმნათ წარმომადგენელთა ნაღვანი ქართველურ ენათა ჭეშმარიტი ისტორიის დასადგენად იმპერიის ინტერესებს ემსახურებოდა. მოვლენები ასე არ წაუკითხავთ თვით თავისი დროის ნაფიც ლენინურ იდეოლოგებსაც კი. ხოლო დღეს ამგვარი „ინტერპრეტაციის“ დამკვეთმა, ჩვენდა სავალალოდ, ერთდროულად რამდენიმე კურდღელი დაიჭირა: ჩირქი მოსცხო იმ სახელებს, რომელთაც აქ მონივნებით ვიხსენიებთ; სახიფათო და ძნელად განსაკუთრებელი სენის პროვოცირება მოახდინა ეროვნულ ორ-

განიზმში (ისეთი სენის, როგორც ვლადო ასათიანი ამბობს: „როგორ არ მინდა, ძლიერო სენო, ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო!...“); და შეძლო თანამედროვე საზოგადოების პოლარიზება ფრიად მომწყველ თემაზე, ანუ გაგვიკეთა ის, რის გამოც პატრიარქი არაერთხელ შეგვაგონებს: ღმერთი აერთიანებს, ხოლო ეშმაკი ყოფს და თიშავს!..

აი, რის დასაცავად იბრძოდნენ დიდი წინამორბედნი, მათ შორის, ვარლამ თოფურია...

იშვიათია ისეთი ღრმა ხედვა მოვლენებისა, ისეთი სიღრმისეული წვდომის უნარი, როგორც ვ. თოფურია არის დაჯილდოებული. არანაირ თემაზე, თვით რიგითზე და დამუშავებულზეც კი, არ მსჯელობდა იგი ზერელედ და სასხვათაშორისოდ, არ მიდიოდა გაკვალული გზით. ამიტომაც ყოველი მისი ფრაზა მოითხოვს დაფიქრებას და ღრმად გააზრებას. „ქართული ენა ჩვენი დედაენაა. ამ ენაზე ჩვენ, ქართველები, ერთმანეთს აზრებს ვუზიარებთ“ – იწყებს პედაგოგიური სისადავით მშობლიური ენის შესახებ საუბარს მკვლევარი და იქვე – მალევე – თავისი არსით უნიკალური ფრაზით განაგრძობს: „ეს ენა ჩვენი ბრძოლისა და განვითარების შეუცვლელი იარაღია“... ვ. თოფურიას მწერლის ენის შესახებ აქვს ერთადერთი წერილი „აკაკი და სალიტერატურო ენა“, რომელიც თავისი შინაარსით ფაქტობრივ დიდაქტიური დანიშნულებისაა და ემსახურება 60-იანელთა, კერძოდ კი – აკაკის როლის, მისი პოზიციის წარმოჩენას ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საქმეში. და ეს, ერთი შეხედვით, სტანდარტული წერილი რამდენიმე ისეთ მომენტს შეიცავს, რომელსაც სალიტერატურო ენის ისტორიაზე საუბრისას გვერდი ვერ აევლება. თუნდაც: უეჭველ დებულებად არის მიჩნეული, რომ სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას ცენტრალური – ქართული – დიალექტი დაედო საფუძვლად. ვ. თოფურია კი სრულიად თავისებურად და ფრიად საგულისხმოდ განმარტავს ამ საკითხს:



სკოლაში ვარ და ამ წერილს რომ ვწერ, ცოტას ვჩქარობ, რადგან მეცხრე კლასის მოსწავლეების რვეულები მაქვს გასასწორებელი, ხვალ საკლასო ოთახში რომ შევალ, პირველი სწორედ ამას მკითხავენ: – ირაკლი მასწ, რა მივიღე?..

ბევრი რამ მერგო ბედისწერით, მშობლები; სახელი; გვარი; ნათესავეები; ეროვნება; ბედკრული ბედისწერის სამშობლო, მაგრამ ყველაზე გამორჩეული მაინც ის არის, რასაც თავად ვგრძნობ შინაგანი იმპულსებით და რაც გენეტიკურად არ მიმიღია, ასეთი კი ჩემთვის სკოლაა და პოეზია. ეს ორი რამ ქმნის ჩემს პიროვნებას, ეს ორი რამ ავსებს ჩემს ცხოვრებას და ამ ორი რამიდან ვიყურები, ვაკვირდები ქვეყნიერებას. პეგელი ამბობს, „პოეზიის შინაარსი თავად პოეტიკა“ და მე ამის მჯერა, მჯერა, რომ ნამდვილი პოეზია სინამდვილიდან, რეალობიდან იბადება და საზრდოობს, ჩვენი ცხოვრების ტრაგიზმია მისი შინაარსი, ხოლო სხვა ყველაფერი ან ფორმალიზმია, ან კარგად შენიღბული ფორმალიზმი! მე კიდევ იმის მწამს, დალოცვილი იაპონელებისა არ იყოს, რომ აუცილებელი არ არის ადამიანი ლექსს წერდეს, რომ პოეტი იყოს, მშვენიერებისა და პოეზიის აღქმის, მსახურების და ზიარების მრავალი ხერხი და გზა არსებობს. „აი, მერცხალა ვინ იყო? არავინ არ იყო, მაგრამ რასაც გვერდით ჩაუვლიდა, ის იყო პოეზია, ტრაგედიაა მოკლედ“ (ბესიკ ხარანაული).

ჰოდა, არ ვიცი, სად იწყება ცხოვრება და სად მთავრდება პოეზია, ან სად იწყება პოეზია და სად მთავრდება ცხოვრება, ეს ერთი მთლიანი ილუზიაა, უსამანო ღვთაებრივი სიცრუე, რომელიც თავის თავში ყველაზე დიდ სინამდვილეს და ყველაზე შემადრწუნებელ სიმართლეს იტევს, რომელიც ჩვენს სამყაროში და ჩვენი სამყაროს მიღმა ყველაზე არსებითს ახმიანებს, სულის ყველაზე ფარულ სურ-

დასასრული 49-ე გვერდზე



აკაკი შანიძე



სიმონ ყაუხჩიშვილი



ნიკო მუსხელიშვილი

„ცნობილია, რომ სალიტერატურო ენას საფუძვლად ედება რომელიმე დიალექტი. მაგამ ეს მაშინაც ხდება, როცა უმწერლობო ენა იჩენს სალიტერატურო ენას. ქართულისათვის, ამ თხუთმეტსაუკუნოვანი მწერლობის მქონე ენისათვის, რომელიმე კილოს საფუძვლად დადება საჭირო არ იყო. სალიტერატურო ენა უკვე შემუშავებული და განვითარებული გახლდათ. ეს აკაკიმ ჩინებულად იცოდა. ამიტომ იყო იგი დიალექტური მოვლენების შემოტანის წინააღმდეგი“.

ვფიქრობთ, ეს დებულება ჯერაც არ არის სათანადოდ გათვალისწინებული და შეფასებული.

არავის მოეჩვენება გადაჭარბებულად, თუ ვიტყვით, უფრო სწორად, გავიმეორებთ, რომ ვ. თოფურიას ნახევარგვერდიანი თეზისები მთელი გამოკვლევის ტოლფასია, ხოლო მისი 4-5-გვერდიანი სტატია დიდტანიან მონოგრაფიას უდრის. საზოგადოდ, ვ. თოფურიას, როგორც მკვლევრის, სახეს მაინც ის მაქსიმალურად კონდენსირებული, უაღრესად ლაკონიური და ზუსტი, ფილიგრანული მეცნიერული მინიატურები წარმოადგენს, რომლებიც თემატურადაც ისეთ სიღრმულ მოვლენებსა და ფაქტებს შეეხება, რომლის გამოხატვაც ზოგჯერ უფრო მინიშნებებითა და სავარაუდო ქვეტექსტებით შეიძლება, ვიდრე ფაქტობრივი დეტალიზაციით. თუ შეიძლება ენათმეცნიერებაში იმპრესიონისტული სტილი და გამოხატვის ხერხები არსებობდეს, მაშინ ვ. თოფურიას სტატიები ამისი სანიმუშო მაგალითები იქნებოდა. ამგვარ თემებში ამ სტილს ის იმდენად ერთგულებს, რომ ზოგჯერ, საზოგადოდ ზუსტი და მომთხზონი, თითქოს თვით ლიტერატურის მითითებების სიზუსტესაც კი უგულვებლყოფს. მაგალითად, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს მითითებანი კლასიკურ წერილებში „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურენებში“.

თუ მართალია ის, რომ სტილი – ეს თვით ადამიანია და სტილის გარეშე ფრაზაც არ იბადება, მაშინ არც იმაზე საუბარი იქნება ზედმეტი, რომ სტილი

მეცნიერული ნაშრომის დაბადებაშიც მონაწილეობს. მეცნიერული ტექსტები ამ მხრივ რეგულარული დაკვირვების საგნად ჯერჯერობით არ ქცეულა, მაგრამ ზოგადი შთაბეჭდილებით ვინ იტყვის იმას, რომ თავისი სტილი არა აქვს აკაკი შანიძეს, ან – გიორგი ახვლედიანს, ან – არნოლდ ჩიქობავას...

არანაკლებ ხელშესახებია ვარლამ თოფურიას სტილი.

ვ. თოფურიას ჰქონდა გამორჩეული გრძნობა სიახლისა და ხალასი აზრის შესაფერისი ფორმით გამოხატვის მომადლებული უნარი, რათა ახალი არ ჩაკარგულიყო, არ დაჩრდილულიყო უკვე მიგნებულის გადმოცემაში. არნ. ჩიქობავას დახასიათებით, ის იყო „ნათელი აზრის მკვლევარი, სამეცნიერო კვლევა-ძიებაში ზუსტი და საფუძვლიანი“...

ვ. თოფურიას მეცნიერული სტილი, მისი ფრაზის სიღრმე, სიზუსტე და ლაკონიზმი ზედმინეწით შეესატყვისება იმ ნოვატორულ შინაარსს, რასაც მისი ყოველი სტატია თუ თეზისი შეიცავს. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ლინგვისტური ენის, როგორც ზუსტი მეცნიერების ენის, ჩამოყალიბებაში...

ესეც დიდი მასწავლებლის კიდევ ერთი წარუვალი გაკვეთილია.

ვარლამ თოფურიას ახასიათებენ, როგორც ბუნებით რბილსა და მორიდებულ პიროვნებას. ამავე დროს, მისი მეცნიერული უკომპრომისობა გამოკვეთილია პირველივე ნაშრომებიდან; პირველივე ნაკვლევით გამოხატავს შინაგან ძალასა და შემართებას საკუთარი ასპარეზის გასასიგრძელებლად. წარმოიდგინეთ: გამოდის მასწავლებლების წინაშე ოციოდე წლის მოკრძალებული ჭაბუკი, დაალაგებს უტყუარ ფაქტობრივ მასალას და გადაჭრით იტყვის: – არა, ბატონებო, ორმაგი უარყოფა კალკი არ არის, ის შინაგანი ქართული (ქართველური) მოვლენა გახლავთ! და ამგვარი შეუპოვრობა სიახლეთა ძიებასა და დამკვიდრებაში ძირითადი ნიშანია მთელი მისი მეცნიერული მემკვიდრეობისა და წარუვალი გაკვეთილიც მომავლისათვის.

მეცნიერების განვითარება, იდეურ

სიახლეთა კვალდაკვალ, სიმშვიდით არასოდეს გამოირჩევა და არც იმდროინდელ საქართველოში ყოფილა სხვაგვარად. არც ვ. თოფურია მდგარა განზე იმ მძაფრი პროცესებისაგან, რასაც დროდადრო კიდევე უფრო ამძიმებდა იდეოლოგიური ფონი. და მართლაც დამაფიქრებელია, რომ ვ. თოფურიას პიროვნება ყველაზე ნაკლებ აღიქმებოდა დაპირისპირებულ ფიგურად ნებისმიერი მხარისათვის და მისდამი კეთილგანწყობას თითქმის ყველა ერთნაირად გამოხატავდა. სხვადასხვა გამონათქვამების დამონება მის შესახებ შორს წაგვიყვანდა, მაგრამ დიდი მასწავლებლის, ა. შანიძის, შეფასება, ვფიქრობთ, ყველაზე მეტად ასახავს მისადმი დამოკიდებულების ზოგად ხასიათს:

„ვარლამ თოფურია იყო დიდი მეცნიერი, ჩინებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, რომელსაც დიდ სამეცნიერო გაქანებასთან ერთად ამშვენებდა თავაზიანობა და თავმდაბლობა, რომლითაც იგი ყველას ხიბლავდა.

ვის აქვს შენოდენა ცოდნა ყველა ქართველური ენისა და შენებრი ნიჭი და ფართო განათლება, რომ შენებრ ასნიოს სამეცნიერო საქმისა და პედაგოგიური მოღვაწეობის დიდი სიმძიმე?“

რა განაპირობებდა დიდი მეცნიერის „შუაკაცობისა“ და „შემაერთავი ხიდობის“ ამ პერსონალურ ნიშანს?

ალბათ – პიროვნულ ხიბლთან ერთად – „აზროვნების პატიოსნების“ მისთვის, განსაკუთრებულად მისთვის ნიშანდობლივი პრინციპი, რომელიც მეცნიერებაში მხოლოდ ემპირიულ მიკერძობებასა და ობიექტურ ტენდენციურობას ცნობს.

და ეს ვარლამ თოფურიას მეცნიერული ცხოვრების კიდევე ერთი გაკვეთილია – არცთუ ადვილად შესათვისებელი...

გადმოცემის თანახმად, ვარლამ თოფურიას პიროვნული ნიშანი იყო შემწყნარებლობა-ლმობიერება, თავგამეტებული მომთხოვნელობის ფარდად. ამას იგი განსაკუთრებით უხვად ავლენდა, როგორც პედაგოგი. ამავე

დროს, მისი ეს ბუნება ძალზე აახლოებდა სხვადასხვა შესაძლებლობის შეგირდებს: ძლიერთ – მეტის და მეტის მოთხოვნით, სუსტთ – ყურადღებით და წახალისებით... და ამით იგი განასახიერებდა სახარებისეული ვენახის პატრონის – სხვადასხვა ჟამის მუშაკთა მიმართ გასამრჯელოს თანაბრად გამცემლის – სახეს. მხოლოდ რჩეულ პიროვნებათა პორტრეტები ეხვევა სიცოცხლეშივე მითებისა და ლეგენდების სხივებში, უჩნდება პოეტური შტრიხები. ერთმა მონაფემ მის დასახასიათებლად „ანთებული სანთლის“ მეტაფორა გამოიყენა: „ანთებული სანთელი არავისგან არაფერს მიიღებს, გაცემით კი მთლიანად გასცემს, რაც გააჩნია და გააჩნია მხოლოდ ნათელი... არავინ უწყის, როდის ისვენებს პროფესორი ვარლამ თოფურია. იგი ყველგან შეგხვდებათ: უნივერსიტეტში, მეცნიერებათა აკადემიაში, ინსტიტუტებში, ქალაქის საბჭოში... პროფესორი ვარლამ თოფურია მრავალმხრივი მოღვაწეა...“ (ეთერ სახვაძე); მეორე მონაფემ კი მის ბუნებას გვაროვნული მოტივაცია მოუძებნა – გვარის ეტიმოლოგია-მითოლოგიზაციის გზით: „გვარი „თოფურია“ ძალზე შეეფერებოდა ვარლამის მდიდარ ბუნებასა და ხასიათს. „თოფური“ თავის ნიშნავს და ვარლამ თოფურიაც ხომ ანთებულ თავლის სანთელს ჰგავდა, თაობებში ცოდნის ნათელს რომ ჰფენდა, ცოდნის ლამპარს რომ აჩალებდა, ფუტკარივით ნიდაგ რომ დაუღალავად შრომობდა და იღვწოდა“ (მიხეილ ალავეძე).

ტრადიციული ლინგვისტური ხანდაზმულობის პირობაზე, ვ. თოფურია ძალზე ადრე – 66 წლის ასაკში გარდაიცვალა. მაგრამ დღეს, როდესაც მეცნიერის ასაკი უკვე 110 წელია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არანაკლებ ინტენსიური და ნაყოფიერი იყო მისი მემკვიდრეობის ცხოვრება და სიცოცხლე 1966 წლის, ანუ ავტორის ფიზიკური აღსრულების შემდგომ.

ჭეშმარიტი მეცნიერების უკვდავება ასეთ შემთხვევაში მართლაც რეალური და ხელშესახები ხდება.



ვილებს, უწრფელს ლოცვებს, უღრმეს ფიქრებს და უსაზღვრო ოცნებებს ააშკარავებს.

მართლა ჩიტივით გაფრინდა ეს ათი წელი, ჯერ კიდევ შორია სიბერემდე, მაგრამ დაღლას კი ვატყობ ჩემს თავს, უფრო სწორად, რალაც ისეთ მდგომარეობას, როცა დრო მჭირდება და ძალა გადავხედო და გავაანალიზო განვილილი წლები, მივიხედო უკან, ახალგაზრდა მასწავლებლისკენ, რომელიც განუწყვეტლივ ებრძოდა და აიძულებდა საკუთარ თავს, ემოქმედა ისე, როგორც საჭირო იყო და არნმუხებდა, რომ საჭირო იყო გაეძლო ამ ცხოვრებისთვის, ხოლო თუ სურდა ამ დამღლე ლი ყოფისთვის დაედნია თავი, თავშესაფარი პოეზიაში უნდა ეპოვნა. ამიტომაც ეს წლები, ეს ერთი შეხედვით პატარა წარსული, ყველაზე მეტად ჩემს ლექსებს შემორჩათ, იქ არის მათი ყველაზე თვალსაჩინო ნაკვალევი:

...დაიწყო,
რომელიც არც დამთავრებულა,
რომელიც დილიდან იწყება
და ყოველდღიურად
გრძელდება ძილამდე,
ძილში კი სიზმრებად
მოდიან ბავშვები,
მოდიან ბავშვები და ნიშნებს მინერენ.
(ნაწყვეტი ლექსიდან „15 იანვარი“).

ირაკლი კაკაბაძე



ესმა მანია

„სამოქალაქო კაკუნის“ მოლოდინში

(ნაფიც მსაჯულთა სასამართლო)

„გაძალღებულო ყოფავ, შენ მოგეცა ჩემი ცოდვა,
რომ წინააღმდეგ ჩემი ბუნებისა გაძალღებ და მაყეფებ...“

აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთლის პუბლიცისტური წერილის ეს ამონარიდი მაშინ გამახსენდა, როცა სამართალზე, ჩემთვის სრულიად უცხო და შორს მდგარ თემაზე, საუბარი მოვინდომე. მოვინდომე, რადგან ქართულ საზოგადოებაში ამ საკითხის აქტუალობა შესაძლოა თითოეულ ჩვენგანს პირადად შეეხოს. ისევე როგორც თქვენ, მეც ველოდები კაკუნს სახლის კარზე. ეს კაკუნი არ არის მისტიკური, არც მეტაფიზიკური, ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სამოქალაქო კაკუნია“. ეს კაკუნი ერთ მშვენიერ დღეს მომიტანს ცნობას, რომ ვალდებული ვარ შევასრულო ჩემი სამოქალაქო მოვალეობა – ვიყო მსაჯული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში და თანაც არა მსუბუქი, არამედ სისხლის სამართლის დარღვევაში ბრალდებულის მსაჯული. მე რომ ვიყო, ვთქვათ, ინგლისელი, ამ წერილს არ დავწერდი, ამ ამბავს სრულიად ბუნებრივად აღვიქვამდი, არ შემეშინდებოდა ჩემი აუცილებელი სამოქალაქო აქტივობის. მაგრამ ქართველი ვარ – არა მხოლოდ ეთნიკური, არამედ სოციო-კულტურული თვალსაზრისით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ „არ დაგზადებულვარ კონსტიტუციის წიაღში“ (მერაბ მამარდაშვილი). კონსტიტუცია ჩემთვის ნორმატივია, რომელიც ცნობიერად უნდა ვაღიარო და დავემორჩილო (თუმცა, რაკი ეს გონების საქმეა, შესაძლოა სკეპტიკურადაც ვიყო განწყობილი). სამოქალაქო აქტივობის, სამოქალაქო ცხოვრების ეს ბუნებრივი გამოცდილება, ამ მიზეზის გამო, ჯერ არა მაქვს.

არცთუ იშვიათად შემხვედრია თეორიული ნაშრომები, სადაც მკაფ-

იოდ მიჯნავენ ერთმანეთისაგან კაცობრიობის სულიერ კულტურას და სამოქალაქო კულტურას. ამ მსჯელობის უარყოფელიც ბევრი მინახავს, თუმცა, თუ გულწრფელი ვიქნები, ქართველი ვარ და შინაგანად პირველს (კაცობრიობის სულიერ კულტურას) უფრო ვენდობი (ასეთ შემთხვევაში, თუკი ვინმე მოინდომებს, უამრავი გასამტყუნებელი არგუმენტის მოყვანაა შესაძლებელი ჩემი და ჩემი თანამოაზრეების წინააღმდეგ). ჩემი გენეტიკური უჯრედის ბირთვშიც, ალბათ, პირველია პირველადვე ჩადებული. მეორეს კი ვიძინ თუნდაც ამ წერით, თუნდაც ამ კაკუნის მოლოდინით, თუნდაც წინმსწრები წარმოდგენებით სასამართლო დარბაზში ჩემი ფიქრისა და ქცევის შესახებ. სწორედ ამ ორი ფენომენის – სულიერი კულტურისა და სამოქალაქო კულტურის კონფლიქტი მახედვინებს წერას. სწორედ ეს კონფლიქტი მიმძაფრებს შიშს, რამე არ ევენოს „მართალ სამართალს“, „ბუნებით სამართალს“, „ხმელის ნედლად შემქმნელ სამართალს“. ამგვარ სამართალს ნაჩვევ ჩვენს წინაპარს ამ საკითხისადმი სწორედ ფენომენური დამოკიდებულება ასე გამოუხატავთ: „სამართალისგან მოჭრილი მკლავი არ ამტკივდებაო“ – ვის შეიძლება დღეს ასე კვეთა, ასე სწორად კვეთა?!

სამართლის ყველაზე გამოცდილი სპეციალისტები ხშირად სრულიად სამართლიანად ეწინააღმდეგებიან იდეალური ფორმის სუროგატად ქცეულ სიტყვიერ შაბლონებს. პარადოქსულია ტერმინი „კანონის უზენაესობა“. ადამიანის მიერ შექმნილი კანონი არასდროს არის უზენაესი და უნივერსალური. უნივერსალურია

სამართალი, „მართალი სამართალი“, როგორც ეს მისთვის ქართველებს გვიწოდებია. კიდეც ბევრი რამ გვინოდებია ქართველებს მართალი სამართლისათვის და ამას ჩვენი ჩვეულებითი და ადათობრივი სამართალი მონიშნავს. საჯარო განსჯაც, როგორც ამას ორიგინალური ქართული სამართლის ძეგლები, ისტორიული საბუთები, ლიტერატურული ნაწარმოებები მონიშნავს, არ ყოფილა უცხო მოვლენა ქართული სოციალ-კულტურული რეალობისათვის. ინტელექტუალური სიბრძნით, ზნეობრივი სიმართლით მიღებულ გადაწყვეტილებას ძალა ჰქონდა. ძალა ჰქონდა სიტყვასაც, წყევლასაც, ფიცსაც... რაც თანამედროვე საზოგადოებაში ცოტა არ იყოს, გულუბრყვილოდ აღიქმება. გულუბრყვილოდ იმიტომ, რომ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა თანამედროვე ადამიანის ფსიქიკაში. დღეს კი შიშით ველოდები აუცილებელ სამოქალაქო ვალდებულებას – მსაჯულებას. ამას უზარმაზარი პასუხისმგებლობა ახლავს, მაგრამ, ბუნებრივია, ზრდის ადამიანს, როგორც მოქალაქეს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სასამართლოს ყველაზე დემოკრატიულ ფორმად მიიჩნევენ. შემთხვევითი პრინციპით, თუმცა შემდეგ გონივრულად გაცხრილულ-შერჩეული მოქალაქეები, თვითონვე განსჯიან თავიანთი თანამოქალაქის საქციელს. ამან, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ძალადობისაგან უნდა დაიცვას ადამიანი და, მეორე მხრივ, საზოგადოების წევრთა არა ნორმატიულ, არამედ ბუნებრივ რწმენას, თვალთახედვებს, ისტორიულ-ეთნიკურ გამოცდილებებს დაეყრდნოს, არ უნდა იყოს მექანიკური და ფორმალური. ამ ინსტიტუტის ავკარგიანობის შესახებ XIX საუკუნის ბოლოშიც წერდნენ. ცნობილი საზოგადო მალვანის, მწერლის, პუბლიცისტის გიორგი წერეთლის არქივში, რომელიც დღეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში ინახება, დაცულია მისი ერთი ბოლონაკლები წერილი სახელწოდებით „ნაფიც მსაჯულთა დაწესებულების შემოღება“, სადაც ნაფიც

მსაჯულთა სასამართლოს შესახებ XIX საუკუნის საზოგადოებრივი აზრისადმი გამოცემული. ბუნებრივია, დროის კონტექსტი თუ მნიშვნელოვნად არა, დეტალებს მაინც ცვლის, სწორედ ამის გამო იდეოლოგიური შაბლონის კვალს წერილის პირველივე აბზაცში შევხვდებით. მიუხედავად ამისა, ლოგიკური ანალიზი და საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა ჩემს მსგავს მკითხველს ბევრ საკითხში ახედებს, ძველ და თანამედროვე დამოკიდებულებათა შედარება-შეჯერების საშუალებას აძლევს (წერილის შემორჩენილი ვარიანტი მოგვყავს სრულად):

„გაზეთი „კავკაზის“ სპეციალურმა ნომერმა გვაცნობა, რომ იუსტიციის (სასამართლო) სამინისტროში აღიძრა კითხვა, კავკასიაში ნაფიცი მსაჯულები უნდა დავადგინოთ. მხურვალე თანაგრძნობით ვეგებებით ამ ამბავს და ვალათ ვრაცხთ ჩვენ თავს, განვმარტოთ, თუ რა მიზეზით არის ჩვენთვის ასე სამხიარულო რუსის მთავრობის ასეთი განკარგულება. საერთო დაწესებულება – ეს საუკეთესო, ბუნებრივი, ჯანმთელი და ნამდვილი ღონისძიებაა, რომ შუაგული სახელმწიფოსა დაუახლოვო განაპირის ქვეყნებს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ღრმად გაიფიქრა ფესვი რუსეთის ცხოვრებაში. დაე ამ დაწესებულებამ კიდეც უფრო მკვიდრად დაგვავახლოვოს რუსეთთან.

ჭეშმარიტი მართლმსაჯულება მაშინ არის, როცა სამართლის წარმოებაზე პირად გავლენას ადგილი აღარ ექნება. ამისთანა თვისებით უფრო შემკულია ნაფიცი მოსამართლეობა, ვიდრე მთავრობის სამართალი. სამკაცზე უფრო ადვილათ შეიძლება პირადი გავლენის მოხდენა, ვიდრე თორმეტ კაცზე. ამას გარდა ეს სამი პირნი წინდანინე არიან მოსამართლეთ ცნობილნი და ბრძანდებიან უმაღლეს იერარქიულ ხარისხზე აყვანილნი, მაშინ როდესაც ნაფიცი მსაჯულები წილისყრით უნდა ამოირჩენ და თავისუფალი საქმის კაცები არიან.

მეცნიერებამ და კანონმდებელმა



აკაკი წერეთელი



გიორგი წერეთელი



დიდი ხანია უკუაგდეს ესრეთ ნოდებ-ული ფორმალური თეორია დამტკიცებათა.

საზოგადოთ ცნობილია, რომ თვით ზედმიწევნითს გამოძიებას მხოლოდ რამდენიმეთ შეუძლია მიაკვლიოს ჭეშმარიტებას. ძალიან ადვილათ შესაძლებელია ამ შემთხვევაში მტყუანი გამართლდეს და მართალი გამტყუნდეს. უფრო ჭკვიანი გამოძიებისთვის საჭიროა თავისუფალი განსჯა და განხილვა ბრალსადებ საბუთებისა. ამ უკანასკნელმა ნელ-ნელა გამოაძევა ევროპის ფორმალური კანონმდებლობიდან თეორია. კანონი ითხოვს, რომ მოსამართლე არ იყოს განსჯისთვის რაიმენაირ წინასწარ შემზადებული. მან უნდა განიხილოს ყოველი წვრილმანი გარემოება და ასე აწონ-დაწონოს თავის განსასჯელი საქმე, შეისწავლოს იგი დაწვრილებით, გულდაჯერებით და შემდეგ წარმოითქვას: „დიალ, დამნაშავეა“ ან „არ არის დამნაშავე“. ჩვენი აზრით მსაჯულათ მონოდებული კაცი უნდა იყოს ახალი, გულ უბრყვილო, საქმის უცხო ვინმე, რომელსაც ერთხელ, ან ორჯელ მეტათ არ შეხვდეს ცხოვრებაში მოსამართლეობა და შეეძლოს მთელი თავისი სულიერი ძალით ჩაუღრმავდეს საქმის გარემოებას, ისარგებლოს მრავალნაირი გამოცდილებით, რომელიც მას შეხვედრია ცხოვრებაში. ხოლო მან მოსამართლე თუნდ რომ ის ძალიან კეთილშობილი და მაღალი აზრებისა იყოს, მუდამ კაცის მწუხარების და ბოროტების გამხ-

ილველი, მალე ცვდება გრძნობით, მოსაზრებით, თანაგრძნობა ეკარგება და რამდენათაც უფრო მუშაობს მისი გონება, იმდენათ უფრო მალე მოიძიოს ერთნაირს წესს და იმ წესისაებრ დაუნყებს ყოველ დამნაშავეს განსჯას, ესე იგი წინააღმდეგ მართლმსაჯულებისა და თავის სურვილისა შემოიღებს „ფორმალურს თეორიას დამტკიცებისას“. ის დაიწყებს თანახმად მისა განსჯას, რაც უკვე კანონისაგან უარყოფილია. კანონი ხომ საუკუნოებით არის შემუშავებული, მაშინ როდესაც მსაჯულის მიერ შედგენილი წესი არის ნაყოფი მარტოდენ ერთი პირისა. მხოლოდ ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ ყოველმხრით განხილვა კერძო შემთხვევისა, როგორც ამას ითხოვს კანონი. მთავრობის მოსამართლენი ყოველთვის ადგებიან ერთხელვე გაკვეთილ გზას, მიდევნ რუტინას, კი არ უნდათ ნამდვილი შემთხვევა შეიგნონ, იმათ ყოველ შემთხვევისთვის მზათ აქვთ ერთხელვე განწესებული გადაწყვეტილება. მაგრამ ისინი ამაში არ არიან დამნაშავენი, იმათ უნდა მოვხსნათ ზურგიდამ ასი და ათასი საქმის გარჩევა წელიწადში და თანასწორათ გაკუწნაწილოთ ესენი ყველა მოქალაქეებს“.

ილია ჭავჭავაძე წერდა: „მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთის სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებული სინდისია მთელი ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შეძლებისამებრ განმენდილი და კუთვნილ სიმალლეზე დაყენებული“. მიუხედავად იმისა, რომ „ბუნებითი სამართალი“, სჯული თითოეულ ადამიანშია ჩადებული, მაინც მაშფოთებს ამ „სამოქალაქო კაკუნის“ მოლოდინი. კაკუნისა, რომელიც გამოწრთობას, ჯანმრთელი საზოგადოების ჯანმრთელ წევრობას მპირდება. მე კი, როგორც ადამიანს, როგორც გამოუცდელს, როგორც არაპროფესიონალს, მეშინია, „ჩემი სამართალისგან“ მოჭრილი მკლავი ვინმეს არ ასტკივდეს...

შტრიხები პორტრეტისათვის

დილარ ივარდავა

მართოსულობა ფრანსუაზა საბანისა

პარიზში გადაულეებლად წვიმდა. ქოლგებიანი ადამიანები თავიანთი საქმეებისთვის მიიჩქაროდნენ. ინტუიციით, სასაცილოდ გადაეღებოდნენ ალაგ-ალაგ გუბებებს...

კაფე „დე ფლორის“ შესასვლელთან, გრენელის ქუჩაზე, გრძელმა ბიუკმა მჭახედ დაამუხრუჭა. მანქანიდან ძალზე გამხდარი გოგონა გადმოხტა, რომელსაც სახეზე კოსმეტიკის ნასახი არ ეცხო. თხუთმეტი წლისა თუ იქნებაო, იტყოდით. მანქანის გასაღები შავი ქვედატანის ჯიბეში დაუდევრად ჩაიჩარა და კაფეში შევარდა.

– ვერონიკა! – დაუძახა კაფეში დამხვედრ ქალიშვილს, – მე გაპატიჟობ, – და ვისკი შეუკვეთა. ვერონიკა კამპიონი გაკვირვებული ათვალისწივდა კობორჩხალასავით განითლებულ, ალგზნებულ ფრანსუაზა კუანეს. ისინი დიდი ხნის ნაცნობები ჩანდნენ, მაგრამ ასეთი მას ჯერ არ ახსოვს. ფრანსუაზამ ხელჩანთიდან სასწრაფოდ ამოღებული რაღაც ფარატირა ქალადი ცხვირწინ აუფრიალა.

– სხვათა შორის ეს ჩეკი გახლავთ 50 ათას ფრანკზე. ეს, ჩემო კარგო, საწყისი ავანსია, რომელიც სრულიად მოულოდნელად მარგუნეს. წარმატებები და ფულები აწი იქნება, მალე სახელგანთქმული და მდიდარი გავხდები და მაშინ ნახე ჩვენი გრიალი, ჩემო ვერონიკა! – თქვა ფრანსუაზამ და ციბრუტით დატრიალდა. კაფეში მსხდომნი გოცებულნი შეყურებდნენ. მერე სკამზე მოწყვეტით დაეშვა, ფეხი ფეხზე შემოიდო და მამა-პაპურად სიგარა გააბოლა.

– შეგიძლია თუ არა დალაგებით მომიყვე რაშია საქმე? – ჰკითხა ვერონიკამ, – მართლა მოიწონეს შენი რომანი?

ფრანსუაზა ზომაზე მეტად აღელვებული ჩანდა და ვერ შეძლო დალაგებით ამბის მოყოლა. ვერონიკამ ძლივს

დაანწყნარა დაქალი.

– წარმოიდგინე, თავად დამირეკა შინ წუხელ! – მთელი ხმით გაჰყვიროდა ფრანსუაზა, – მხედველობაში ჟულიარი მყავს! მირეკავს და მეუბნება: – შეიძლება მადმუაზელ კურესთან დალაპარაკება? – ვერონიკა მიხვდა, საუბარი ცნობილ პარიზელ გამომცემელ რენე ჟულიარზე იყო, რომელსაც ფრანსუაზამ დაახლოებით თვენახევრის წინ თავისი რომანის ხელნაწერი გაუგზავნა...

ჟულიარმა ცნობისმოყვარეობით შეათვალისწიერა კაბინეტის კართან მდგარი პატარა, გაცრეცილი გოგონა.

– ეს მე ვარ რომან „გამარჯობა, სევდას!“-ს ავტორი.

გაოგნებულმა ჟულიარმა კაბინეტში შეიპატიჟა. გოგონა ღრმა სავარძელში მთლიანად ჩაიძირა. გამომცემელმა ყავა შესთავაზა და გაიფიქრა „საქმე რაღაც სხვანაირად ხომ არ არისო“ და ადრინდელი შემთხვევა გაახსენდა; ცხრა წლის გოგონამ, ვინმე მინი დუნემ რომ მიუტანა თავისი ასაკის ბავშვის აზროვნებისთვის ფრიად შეუფერებელი ლექსების შეკვრა, რომელიც ბოლოს დედამისის დაწერილი აღმოჩნდა. რენემ უღვაშეში ჩაიცინა და მადმუაზელ კუარეს კითხვები მიაყარა: სად სწავლობდა, როგორი ხასიათის წიგნები უყვარს, მშობლები რას საქმიანობენ. ფრანსუაზამ დასმულ კითხვებს ამომწურავად უპასუხა.

– ეშმაკმა დალახვროს, როგორ შეიძლება ეს პატარა გოგონა ამ რომანის ავტორი იყოს? – განთქმულმა გამომცემელმა თვალი თვალში გაუყარა ფრანსუაზას და ჰკითხა: – თქვენ ამტკიცებთ, რომ ამ წიგნში თქვენი ბიოგრაფიული შტრიხი თითქმის არ არის, მასში მოთხრობილი ისტორიები თქვენი ფანტაზიის ნაყოფია მხოლოდ?





ფრანსუაზა საგანის პირველი ნიგნის – „გამარჯობა, სევდავ!“ – პირველი გამოცემის გარეკანი

– დიახ, ასეა! – დაადასტურა ფრანსუაზამ.

– მაშ, სესილი თქვენ არა ხართ და სესილის მამაც არაფრით ჰგავს მამათქვენს – მუსიე კუარეს?

– საბედნიეროდ, არა! – მიუგო გოგონამ.

– თქვენ შავად ნაწერი არაფერი დაგრჩათ? უბრალოდ მაინტერესებს, – ჰკითხა ჟულიარმა. ეტყობოდა ისევე ეჭვის ჭია ღრღინდა.

ფრანსუაზამ სამი დიდი რვეული ამოაცურა ხელჩანთიდან და რენეს გადასცა. მან გულმოდგინედ გადაფურცლა ისინი, რომლებსაც ნაჯახირევის არაფერი ეტყობოდა; ფურცლავდა რვეულებს და თან ეჭვი იფანტებოდა. ის საბოლოოდ დარწმუნდა – მის წინ, დიახაც, ამ რომანის უნიჭიერესი ავტორი იჯდა.

– მშობლებს თუ აქვთ ნაკითხული? – ჰკითხა ფრანსუაზას რენემ.

– არა, ბატონო, რას ამბობთ! მამა სულ სხვანაირი კაცია! დედას კი... ეს ნამდვილად არ მოეწონება, – გააგრძელა ფრანსუაზამ.

... და მან ხელში გადმომცა ეს ჩეკი! – დაამთავრა თხრობა ფრანსუაზამ.

– ნიგნი როგორც კი დაიბეჭდება უამრავ ფულს მივიღებ!

ვერონიკას სიტყვა არ დაუძრავს, გახარებული შეჰყურებდა თვლებში მეგობარს.

...შინისკენ ფრანსუაზამ მანქანა მალიშერის ბულვარის გავლით გააქანა. გზა-გზა წვიმით სავსე გუბეებიდან ქუჩაში მიმავალ პარიზელებს შადრევანივით ასხამდა წყალს. ფრანსუაზა ამას არად დაგიდევდა. შინ მისულს მშობლები სასადილო მაგიდას შემომსხდარნი დაუხვდნენ.

– დედა, მამა! ჩემი რომანი მიიღეს, საჭიროა საბუთებზე თქვენი ხელის მონერა. ფრანსუაზა დედის ცივ მზერას შეხვდა.

– მიდი, ხელები დაიბანე, გაისწორე თმები და მაგიდას მოუჯექი, – უბრძანა მადამ კუარემ.

„ის მალე ვეღარ დამელაპარაკება ძველებური მკაცრი ტონით“ – გაიფიქრა გოგონამ და აბაზანაში

ხელის დასაბანად შევიდა. – მე უკვე მწერალი მქვია, მწერალი“.

საიდან უნდა სცოდნოდა მადამ კუარეს, რომ მისი ჯიუტი და თავნება ქალიშვილი მალე მთელ საფრანგეთს აალაპარაკებდა. თანაც მის ჰონორართან შედარებით ქმრის – პიერ კუარეს შემოსავალი სასაცილო გამოჩნდებოდა. დედის აზრით ფრანსუაზა უფალმა დიდად არ გაანებივრა (დაბალი, ბიჭური აღნაგობის, არაპროპორციული სახის ნაკეთიანი) გარეგნობით. თავად მადამ კუარე სიცოცხლის მოყვარული და ლამაზი ქალი იყო. ის დღემუდამ თავის მოვლით გახლდათ დაკავებული. ის ქალის უპირველეს ღირსებად კოპნიაობას თვლიდა. მისი საზრუნავი სტუმრების მიღება-გაცილება იყო; კუარების უზარმაზარ კეთილმოწყობილ ბინაში, მალიშერის ბულვართან, ყოველ დღე თავს იყრიდნენ ელიტარული წრის სტუმრები. ბზინავი იატაკითა და ბროლის ჭალებით გაჩახჩახებულ დარბაზში ვის არ ნახავდით. მსახურთ საქმე წამით არ ელეოდათ; შემოჰქონდათ და შემოჰქონდათ სუფები, პუდინგები, ბლომანჟე, ხორციანი კერძები. იყო დრო, როცა ფრანსუაზას მსგავსი საღამო ართობდა. ახლა კი ეჩვენებოდა, რომ ასეთი მრავალკაციანი, ხმაურიანი თავყრილობები სამანის სუდართ იყო მოსილი – მობეზრდა სტუმრების ფარსი სჯა-ბაასი, ყალბი მანერები, ნასწავლი სიცოცხისკისი... მოსწყინდა ყველაფერში ერთფეროვნება და უგემოვნება.

ფრანსუაზას კი ყველაზე უფრო მოწყენისა ეშინოდა. ისე ეშინოდა, როგორც ბავშვებს – თავგების ანდა სიბნელისა. როცა მოწყენის პირისპირ რჩებოდა, აღარ იცოდა რა ექნა. ეს კი მისთვის თანდათან აუტანელი ხდებოდა. ასეთ წუთებში მის სულში რუხი სიცარიელის ნისლი დაბორილობდა, რომელიც ვამპირივით წვეთ-წვეთობით სისხლს უწვავდა.

ზაფხულში გოგონა ბაბუას და ბებიას ქაიროში მიჰყავდათ. მანქანიდან სასწრაფოდ გადმოხტებოდა და

უფროსების გაფრთხილების მიუხედავად არაბი გოგო-ბიჭების ამაღლაში უმალ გაერეოდა... უცბად შემოირბენდა ვაშლის ბაღებს თავის ტოლ რაიმონდასთან ერთად, რომელიც ფეოდალური ციხე-სიმაგრის მფლობელის ქალიშვილი იყო. ბაბუა ედუარდ ლომბაროს თავისი ბენვის ნართის ფაბრიკაში ურმით ეწვეოდა. ფაბრიკა ქაიროს ერთ-ერთ გარეუბანში მდებარეობდა...

ისე, რაღა დასამალია და ფრანსუაზა სკოლაში დიდი მუყაითობითა და სიბეჯითით არ გამოირჩეოდა, რადგან მისი მთავარი მტერი – მონყენა – უყურადღებოდ არც იქ ტოვებდა. დედა ქალიშვილის დაბადებიდან თანდაყოლილ თვისებას როგორც შეეძლო – ებრძოდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ცუდი აკადემიური მაჩვენებლებისთვის ფრანსუაზა სკოლიდან რამდენიმეჯერმე გაირიცხა კიდეც. არც ყოფაქცევაში იყო საჩვენებელი. ერთხელ სკოლაში მოლიერის თაბაშირის ქანდაკს, რომელიც რატომღაც ძალიან აღიზიანებდა, თოკი ყელზე მოაბა და რაღაც წარმართული რიტუალი შეასრულა. ეს ანცობა ძვირი დაუჯდა გოგონას. ქანდაკი პიტა-პიტა დაიმსხვრა. ის სკოლიდან გარიცხეს.

ფრანსუაზა დრო და დრო ასე თუ ისე უმკლავდებოდა თავის უცნაურ ავადმყოფობას – მონყენას – წიგნით, მუსიკითა და ოცნებების ფორიაქით. ოჯახში მას ერთადერთი ადამიანი – უფროსი ძმა უგებდა. და-ძმა ოთახში იკეტებოდა და დივანზე კოტრიალით საათობით ერთობოდა. უსმენდნენ ბრამსის, მოცარტის, რაველის მუსიკას. ფრანსუაზას ხშირად სტუმრობდნენ ვერონიკა კამპიონი, ფლორენ მალრო (მწერალ ანდრე მალროს ქალიშვილი). ასევე ჟაკის რამდენიმე მეგობარი.

თავიანთ წრეში მხოლოდ მას ღებულობდნენ, რომელიც პრუსტს აღმერთებდა და რემბოს და ელუარის ლექსები ზეპირად იცოდა. ოთახში, მოფარებულში, ფრანსუაზას ყოველთვის ჰქონდა გადამალული შოტლანდიური ვისკი და ნამცხვარი „ჩეს-

ტერფილი“. ფრანსუაზას ცამეტი წლის ასაკიდან დაეწყო ვისკისადმი მიდრეკილება, რომელიც მონყენის, სევდის ნამლად მიაჩნდა...

ფრანსუაზა მამის რემინგტონზე სტრიქონს სტრიქონზე აბამდა და თან ვისკს დაგემოვნებით წრუპავდა.

1954 წლის მარტის წვიმიან დღეს ფრანსუაზა თავისი საყვარელი წიგნების მალაზიაში შევიდა.

– რამე ახალი წიგნი ხომ არ მიგიღიათ? – ჰკითხა ფრანსუაზამ ნაცნობ გამყიდველს.

გამყიდველმა წიგნების თაროდან თეთრყდიანი პატარა წიგნი გადმოიღო და მიანოდა. – „გამარჯობა, სევდავ!“ – ვილაც ფრანსუაზა საგანისაა, – მხრები აიჩეჩა გამყიდველმა, – ამბობენ რაღაც თვრამეტი წლისააო, მაგრამ მე ეს არ მჯერა, – თქვა ქალმა და გაკვირვებით მიაშტერდა მყიდველს. – მე რომ მკითხოთ ან გირჩევთ მის ყიდვას, – გააგრძელა ქალმა, – გოგონები კარგი ოჯახიდან... – ამის შემდეგ ფრანსუაზას აღარაფერი გაუგონია. ის რაღაცნაირ ბურანში გაეხვია და თავი სიზმარში ეგონა. გამყიდველს ფული მიანოდა, წიგნი სასწრაფოდ გამოართვა და ჩქარი ნაბიჯებით გაშორდა იქაურობას...

...წიგნის გამოსვლისთანავე ფრანსუაზას გარშემო ენით უთქმელი აჟიოტაჟი შეიქმნა. მალე მთელი საფრანგეთი ნამდვილმა „საგანომანიამ“ მოიცვა. მაისის თვეში წიგნის 8 ათასი ეგზემპლარი, ხოლო სექტემბერში 45 ათასი გაიყიდა. წლის ბოლომდე რეკონდულ მაჩვენებელ – 350 ათასს მიაღწია. გამომცემელ რენე ჟულიარს, თავი სიზმარში ეგონა, რადგან რეალურად ასეთი რამ ჯერ პარიზში არ მომხდარა. ფრანგულმა ბელეტრისტიკამ ამ შემთხვევაში უპრეცედენტო შემთხვევა დააფიქსირა; ამერიკაში, ინგლისში, იტალიაში, ესპანეთში, იაპონიაში, ჩინეთში რომანი „გამარჯობა, სევდავ!“ ბესტსელერად აღიარეს.

1955 წელს ჰოლვიუდმა მისი ეკრანიზაციის უფლება 3 მილიონ 500 ათას



ცალმხრივად მოძრაობა აპრკალულია!

აქ ასეთი წესია: ლუნები მარჯვნივ და კენტები მარცხნივ.

კენტების მხარეს გზა მხოლოდ მარჯვნივ მოძრაობს.

ლუნების მხარეს კი, შესაბამისად, მარცხნივ.

გზად თუ ორი ხიდი შემოგხვდეს, არცერთმა ზედ არ გაგატაროს და უკან დასაბრუნებლად კვლავ თავი მოგახრევიოს – ახლოა.

ახლომანლო ჩიტმა გნახოს, მაგრამ თქვენ თუ არ გინახავთ რუხი დაღესტნური აული, ვერც კი წარმოიდგენთ დილის ცხრის ნახევარს ნაცრისფერ სოკო-სახლების ადამიან-ჭურჭების დასახლებაში, ცივილიზაცია რომ ჰქვია, თან თუ ბურუსია, ჭირხლია, თან თუ თოვს, ეს უკვე ნახევრად ნოველაა, მაგრამ ჯერ სად ვართ – შორია.

ბოლო გაჩერება გარეუბნის ყველაზე განზე მდგარ სკოლის შენობასთანაა და მძლოლი ოხუნჯობს: აბა, მარდად, სანამ ზარი დაირეკებაო.

ერთი ტრანსპორტი იქ, ზევით, მერე ისევ უკან – მეორე...

მარცხნივ. მარჯვნივ.

ერთ წრეს როგორც წარმართი მლოცველი შემოვუვლი, კვლავ ხიდების ქვეშ გავძვრები და დანყება მოგზაურობა ქალაქის გარშემო. გარეუბნის დემორალიზებულ, მაგრამ წმინდანებივით გამძლე მცირე ჯგუფთან ერთად ვლაშქრავ თემქას.

ღრმადღე. ერთობლივი პირჯვარი. სანაპირო. დიდუბე. ხიდი. აღმაშენებელი. ცირკის მიმდებარე ტერიტორია. ხიდი. ისევ სანაპირო. კოლმეურნეობა. ანჩისხატო, გამობრძანდი, მუზეუმიდან. სოლოლაკში ჩადიან?! არა. ერთობლივი პირჯვარი. ბერი გაბრიელი დღეს რაღაც მონყენილია. კიდეც ერთი წრე საკრებულოსთან, ერთობლივი პირჯვარი. მერე იწყება კიდეც სანაპირო. ერთობლივი პირჯვარი, ხიდი. მეტეხის ჩრდილი. ერთობლივი პირჯვარი. აქ ნუ იწვილი, ძნელია. ხიდი. პურის სახლი. აქ ხომ ნაძვებიც ტირიან. ორთაჭა-

გაგრძელება 57-ე გვერდზე



ფრანკად მოიპოვა.

ფრანსუაზა საგანმა 50 მილიონი ფრანკის ჩეკი მიიღო და თავი სიზმარში ეგონა.

– რა ვუყო ამდენ ფულს? – ხელებს ასავსავებდა ოცი წლის ქალიშვილი. საღამოს იგივე კითხვით მიმართა მშობლებს.

– მართლაც რა უნდა უყო ამ თანხას? – იშმუშნებოდა დაბნეული მამა და სიგარეტს სიგარეტზე უკიდებდა.

– შენს ასაკში კარგი იქნება, თუ მას ფანჯრიდან გადაყრი, – არ ცხრებოდა მშობელი.

– შენ რა სესილის მამასავით მელაპარაკები! – უპასუხა გოგონამ.

– ფრანსუაზა! – შეეხმიანა მარი, – არც მან იცოდა როგორ მოქცეულიყო. არც ისე შორეულ წარსულში მისი სულელი კიკი (– მოსულელო, მოსულელო! – გამუდმებით იმეორებდა მადამ კუარე. მხოლოდ ამ სიტყვაში ხედავდა ის ფერთხქვეშ სიმყარის მომნიჭებელს) როგორ უცხად გახდა მილიონერი და საქვეყნოდ ცნობილი პერსონა. მისი არც ისე მომხიბლავი სურათები სხვადასხვა ჟურნალების ყდებს ამშვენებდნენ. შინ ტელეფონი განუწყვეტლივ წკრიალებდა, რაზეც ნერვებაშლილი მარი პასუხობდა: – ვინა? აქ არავითარი მადმუაზელ საგანი არ ცხოვრობს. ნომერი შეგეშალათ! – და ყურმილს მთელი ძალით ახეთქებდა.

– საიდან მოათრიე ეს იდიოტური ფსევდონიმი? – ეკითხებოდა ქალიშვილს.

– საჭიროა კლასიკას კარგად იცნობდეთ. ეს ხომ პრუსტის ერთ-ერთი გმირის გვარია! – პასუხობს შეურაცხყოფილი ფრანსუაზა და თავის ოთახში იკეტება.

მადამ კუარე ჟურნალებს ათვალიერებს და წარმოგიდგენიათ? სარტრი, მორიაკი, მალირო, ემილ გენრიოტი შეთქმულებივით ერთხმად აღიარებენ ფრანსუაზა საგანის ნიჭიერებას. „ნაიკითხეთ ჩვიდმეტი წლის ავტორის საოცრება – „გამარჯობა, სევდავ!“ – ეს ხომ პატარა შედეგია სისასტიკესა და ცინიზმზე“.

– მას ხომ ცინიზმზე როზგები და კიდეც როზგები ეკუთვნის! – ფიქრობს მადამ კუარე, – მასაც და მეც როზგები უნდა მირტყან ასეთი თავაშვებული, გარყვნილი ქალიშვილის გაჩენისთვის. – პრუსტის ერთ-ერთი ნაწარმოების გმირია საგანი, ო, როგორ ვერ ვიტან პრუსტს! – თითქოს პრუსტი ყოფილიყო დამნაშავე ფრანსუაზას ამ რომანის დაწერისთვის.

ფრანსუაზა საგანი მთელ საფრანგეთსა და მთელ დუნიაზე მარტოსულ უბედო ადამიანად თვლის თავს. მას ისედაც არ ჰქონდა პატივისცემის გრძნობა უფროსებისადმი და ნიგნის გამოცემის შემდეგ, რაც გააჩნდა, ისიც გაუქრა. მის ბედისწერად იქცა – იტიროს, ივალალოს, იტანჯოს სწორედ მაშინ, როდესაც წარმატება მოვიდა...

ერთადერთი, ვინც მას უგებს, ძმა ჟაკია; ის მართლაც ნაზად ეალერსება დაიკოს. მის წინააღმდეგ შეთქმულები კი ფრანსუაზას ვისკს ყოველდღიურად აძალბებენ.

ახლადგამოცხვარი წარმატებული მწერალი ფეხმორთხმულა ტახტზე, თმები განწენვია, თვალები ცრემლითა აქვს სავსე. დაჭმუჭნულ ქვედა კაბას და სპირტით აშმორებულ პულავერში ფრინველების შესაშინებელ საფრთხობელას უფრო ჰგავს, ვიდრე ქალიშვილს. სასკოლო ჩანთა კუთხეში მიუგდია, მაგიდაზე დაწყველილი ფილოსოფიის სახელმძღვანელო გაუშლია, რომელზეც ყავის ასადულელები დაუგდია. ჟაკი დის სულიერ მდგომარეობას მტკიცეულად განიცდის. ფრანსუაზას ხომ ჟურნალისტებისგან წამით მოსვენება არა აქვს. ეს კრაზანების გუნდი მას ყოველ წუთს თავს ეხვევა... ჭორს ჭორს ჰკიდებენ. შური და ღვარძლი ზენიტზეა. ხალხს აჯერებენ, რომ ეს რომანი საგანის დაწერილი არაა; ღრმა ფილოსოფიური ნიაღვრები, ცხოვრებისეული ხედვა და ანალიზი, ინტიმური ყოფიერების ამდაგვარი გამოცდილება, უამრავი კავალრის ფსიქოლოგიური

სურათ-ხატი, ამ გოგონას საიდან? ჟაკი ცალზე ჩაფიქრებულია: – ფრანსუაზა იქნებ მეც მიმალავს რაღაცას.

...ფრანსუაზამ ფული ფანჯრიდან, რა თქმა უნდა, არ გადაყარა: იყიდა თავისთვის წაულას ბენვის ძვირფასი მანტო, ბოლო მოდის „იაგუარი“, იახტა, ვილა „სენ-ტროპეს“ ლაჟვარდოვან ნაპირებზე. თავი მოუყარა მეგობრებს და სცადა ბედნიერებას დანაფებოდა. საოცარმა საჩუქარმა ბედისამ ფრანსუაზას მისცა რეალური შანსი ყოფილიყო აბსოლუტურად თავისუფალი პიროვნება, როგორც ვერონიკასთან ერთად ოცნებობდა. მშობლების შეგონებას, აკრძალვებს, ნოტაციებს ყურს არ უგდებდა, თუმცა არც მშობლებს გააჩნდათ სურვილი მისთვის რამე რჩევა-დარიგება მიეცათ.

ფრანსუაზა საგანის გარშემო არამარტო სკოლის მეგობრები იყრიდნენ თავს – მათ მიემატნენ სორბონის უნივერსიტეტის ცნობილი ბოჰემისტებიც: ახალგაზრდა კომპოზიტორ-ავანგარდისტი მიშელ მანი, მწერალი ბერნარდ ფრანკი, რეჟისორი ალექსანდრე ასტრიუ. ფრანსუაზა აჭმევდა და ასმევდა მათ – ხშირად დღეში 30-40 კაცს. დაჰყავდა ძვირფას რესტორნებში, მუსიკოსებს უჯიბავდა უამრავ ფულს. მეგობრებს იახტით ასეირნებდა ღია ზღვაში ნებისმიერ ამინდში; ერთხელ ისინი ზღვის ძლიერმა შტორმა იმსხვერპლა კინალამ. კაზინოშიც დაიწყო სიარული და ხშირად ათას ფრანკიან ფსონს დებდა. საოცარი ის იყო, რომ ხშირად იგებდა კიდეც. მისი საყვარელი შოტლანდიური ვისკი მდინარეებზე მოედინებოდა. ფრანსუაზა ხშირად დღესასწაულებსაც მართავდა, მაგრამ სევდა უფრო და უფრო ეძალეობდა და არ იცოდა როგორ და რანაირად გამკლავებოდა მას.

ყოველდღიურად პანიკის გრძობა უფრო ძლიერად იპყრობდა, რომ ბედმა მწერლობა მიუსაჯა, როგორც ბრალდებულს უსჯიან ელექტროს-

კამს. ერთხელ მამამისმა – პიერ კუარემ გადანყვიტა ქალიშვილს გულახდილად დალაპარაკებოდა. ის დარწმუნდა, რომ მისი ქალიშვილისაგან საზოგადოება კიდეც ახალ შედეგს ელოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დამცირება, დაცინვა და ტალახის სროლა ელოდა... პირველ წარმატებას კი შემთხვევითობას მიანერდნენ. ერთი სიტყვით, რაც მაღლა აფრინდება კაცი...

ხშირად მთელი ღამე – დილამდე ფრანსუაზა საწერ მაგიდასთან ჯვარს ეცმოდა; წერდა და ხევდა, ხევდა და წერდა. ნაგვის კალათი ქალღლებით იჭედებოდა. ვისკს ვისკზე ცლიდა. მერე აცრემლებული, ტანთგაუხდელი სანოლზე მიეგდებოდა. ამ დროს ქვეყანაზე ყველაფრის დავინყება ენადა. ახალი რომანი არა და არ გამოსდიოდა. იყო ათასი დაბრკოლება; პირველ რიგში კუდიანი ჭორები. ფრანსუაზა ძმასთან ერთად სამოთახიან ბინაში გადავიდა. მათ დამძური, ფაქიზი დამოკიდებულება ბევრს ჭორის საბაბად ექცა. აქა-იქ ხმა დაარხიეს, ვითომ მათ შორის ადგილი ჰქონდა ინცესტს. ჟაკი დას მართლაც აჩრდილივით ყველგან თან სდევდა და ნატრობდა – ბოლომდე სიქალნულე შეენარჩუნებინა. დასთან ფილოსოფიურ თეორიას ავითარებდა:

– ქალის ქალწულობა მამრის შესაძლებლობებთან გათანაბრებულიაო. ჟაკი უკრძალავდა ფერუმარისს, გრძელ თმებს. ურჩევდა შავი ქვედაკაბისა და სვიტრის ნაცვლად სხვა უფრო მოხერხებული ტანსაცმელი ეტარებინა.

ერთხელ იგი ფრანსუაზას რომანების მოწმე გახდა, ჯერ ერთთან, მერე მეორესთან, მაგრამ ხმა არ ამოუღია, უჩუმრად გასცლოდა. იცოდა კარგად, რომ ფრანსუაზა არც ერთთან ბედნიერი არ იქნებოდა.

ფრანსუაზას მარტო დარჩენა არ შეეძლო. ნიგნის გამოცემის შემდეგ თავგანისმცემლებს ვერ იგერიებდა – თითქოს იგი ჯადოსნურ წყალში აბანავეს და ხელთუქმნელ მზეთუნახავს დაამსგავსეს. ამან ახალი პრობლემა



ლის ბაღში მნახე ვინა ვარ და, რომ მივიხედ-მოვიხედავ: მარტო ვზივარ მე. და მძლოლი.

და გამიჩერთ! – განწირული ხმა მაქვს ხოლმე? კი. ხანდახან იმდენად, რომ მძლოლს უკან მოვახედებ და ლოტის ცოლივით რომ მარლის ქვად ქვეულს ვერ მხედავს, თვალები უფართოვდება.

რა საამაყო მამულიშვილი ხარ, როცა საჯარო სამსახურის მოხელის სახელს ატარებ. რა მამული?! მძიმე ტვირთია, ასაშენებელ სახელმწიფოში ერთი აგურის დადებაც კი, ვაითუ, ისე ვერ დადო ან არ გეყოს ცემენტი ან ეს აგური რა იცი რითი მოზელილია და შთამომავლობას მერე რას ეტყვი?! ამიტომაც, მე ჩემი ნებით ამ ასაშენებელ სახელმწიფოში, როგორც ზურაბის რეინკარნაცია, ერთ-ერთ კედელში ჩემი ნებით ჩავეტანები. ოღონდ, ნუ იკითხავ, რა, ამ შენი „კურიერი“ და „მოამბით“: ვაიმე, შვილო, სადამდის?! ხმას მაინც არ გაგაგონებ, და ჩემს ცრემლებსაც არ განახებ, უბრალოდ, როცა მეტირება, არ ვტირი. მით უმეტეს, საარსებოსთვის ერთ ცრემლსაც კი არ დაგანახებ. რაც არ უნდა ცოცხლად მაყრიდე მინას თავზე, თვალეში ნაცარს, ტალახს მუხლზემდე, ხმას არ გავიღებ.

ჩართე. კანონი. ცვლილება. ჩამოტვირთე. მონესრიგება. ჩანერა. ამოზეჭდვა. სახელის მიწერა. გატანა. კანონში ცვლილების შეტანა. ძალადაკარგულების საქალაქის ცალკე გახსნა. ჩასწორება. ატვირთვა. კანონში ცვლილება. შიგადაშიგ შინაგანანესები, ინსტრუქციები, დებულებები, განცხადებები აქციონერთა კრების მონვევის შესახებ და თან სადღაც აქვე, სინდიოფალასავით გარბენილი პოეზია, თვალს რომ ვერ მოკრავ, მაღალი კისრით და ყვირთელი ბენვით. მოქალაქეები. კოდიფიცირება.

როცა ელექტრონული გახდა ჩემი საარსებო წყარო, ანუ საჯარო მოხელეობით თავის რჩენა (აქ ბარათაშვილის ქალი რეინკარნაცია გამეფიქრა და დავწერე აკი).

გაგრძელება 59-ე გვერდზე



ნარმოშვა: ნამიერი (რამდენიმედღიანი) გატაცებები. საწოლის შემდეგ მალე ბეზრდება პარტნიორი ან ძველი ამხანაგური გრძნობები უბრუნდება. ის ყოველმხრივ ცდილობს მათ არ აწყენინოს. ამ დროს ფრანსუაზას ნამალი ისევ ვისკია.

თავისი წრიდან ვილაცამ ასეთი ფრანსუაზა ნამოისროლა მასზე: – ის მხოლოდ ზარხოშის დროს ნებდება პარტნიორს, რის შემდეგ გაბუტულ და განუნულ კატას ემსგავსებაო. უამრავი საყვარელი გაკვირვებამდე მიჰყავდა: – როგორაა ეს რომანი ამ ქალის დაწერილი? მასში ხომ ნატიფი ეროტიკული ეპიზოდებია დიდი ვნებებით გადმოცემულიო.

– თქვენ თავისუფალი სიყვარულისა და სქესის უღლისგან განთავისუფლების სიმბოლო გახდით – ეკითხებიან ფრანსუაზას ჟურნალისტები, – ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენ ნამდვილი, იდეალური სიყვარული არ გნამთ?

– რას ბრძანებთ! – პასუხობს ფრანსუაზა საგანი, – მე ჯერ უბრალოდ ვერ შევხვდი ჩემს ბრწყინვალე პრინცს!

1955 წლის გაზაფხულზე გამომცემელმა რენე ჟულიარმა, დარწმუნებულმა, რომ ფრანსუაზა საგანის მეორე რომანიც „შფოთიანი ღიმილი“ აუცილებლად წარმატებული იქნებოდა, ავტორი დაიყოლია მონაწილეობა მიეღო სარეკლამო მოგზაურობაში სხვადასხვა ქვეყანაში – ამერიკის ჩათვლით.

– მე თანდათან ნივთს ვემსგავსები, – გულისწყრომას ვერ მალავდა ფრანსუაზა და თავის ბავშვობისდროინდელ მეგობარს შესჩიოდა:

– ხედავ? დამათრევენ ყველგან, როგორც ბრჭყვიალა ჩემოდანს!

...მან იმოგზაურა იერუსალიმში, ბალდადში, დამასკოსა და ნიუ-იორკში. ფრანსუაზას ყველგან თან ახლდა ორმეტრიანი გიგანტი, 24 წლის ფოტოგრაფი ფილიპ შაპრენტიე.

აღსრულდა! ბრწყინვალე პრინცი ნაპოვნია! ფრანსუაზა ფოტოგრაფზე ყურებადგა შეყვარებული. ქალი კეკე-

ტობს და სიცოცხლეში პირველად ხატავს ქალაღზე გულში გაყრილ ისრებს.

ფილიპი ცინიკოსია, საკმაოდ ჭკვიანი, მაგრამ ლიტერატურა ფეხებზე ჰკიდია, მითუმეტეს ქალის დაწერილი. მიფურთხებული აქვს იმისთვის, რომ ის უკვე სახელგანთქმულია. მის თვალში ფრანსუაზა ერთი უბრალო დიდთვალეა, უპროპორციო, კუთხოვანი ქალია, რომელიც ხშირად ძალზე წააგავს შეშინებულ და განუნულ ყვავს. შარპანტიე ქალს ურჩევს – გულში არაფერი გაიკაროს, ყველაფერს ცინიკურად შეხედოს. თავად ფოტოგრაფი ყოველთვის წესრიგშია. წვერი გაპარსული აქვს, გახამებული პერანგი აცვია. მისთვის უმთავრესია ხალხის წინაშე ელეგანტურად გამოიყურებოდეს. დაკვირვებული თვალი კი ხელად შეამჩნევს, რომ ამ მექანიკურ არსებას წიგნი არასდროს ჭერია ხელთ.

ერთხელ ფრანსუაზამ საკუთარი ყურით მოისმინა როგორ ჭორაობდნენ მასზე ვითომ ლიტერატურასთან ახლო მდგარი ნიუ-იორკელი ქალბატონები.

– ეს უწლოვანი პარიზელი გოგონა ძალზე წააგავს წვიმაში მოხვედრილ კატას. არავითარი ფრანგული შარმი მას არ ამშვენებს! – შეურაცხყოფილ ფრანსუაზას ტირილი უნდოდა. ფილიპმა დასცინა კიდეც.

– შენც მწერალი გქვია რაღა? სრულებით ვერა ცნობ ადამიანებს!

ფრანსუაზას გვერდით მყოფი თენესი ულიამსი, მარლონ ბრანდო, ელვის პერსელიც აღელვებულ გოგონას ვერ ამშვიდებდნენ. ამ დროს ფილიპს თანაგრძნობის სიტყვაც არ დასცდენია.

...ნიუ-იორკის სახელგანთქმულ კლუბ „პატარა სამოთხეში“, სადაც ყველაფერი იასამნისფრად ბრჭყვიანობდა, საგანი ძვირფას ლამის კაბაში მორთული თავდავიწყებით ცეკვავდა. ცეკვა მან მართლაც საუცხოო იცოდა. ფილიპი მას მკერდზე მთელი ძალით იბლუჯავს და საღამოს მომწყობი ორგანიზატორების გაკვირვებული მზერის თანხლებით, სადღაც მიფარებული მიათრევს.

– მადმუაზელ საგან, თქვენ საით? – დაედევნა ფრანსუაზას გაცემული ხმები.

სატვირთო მანქანის საყვირის გაბმული ხმა სადღაც უკან რჩება; ფრანსუაზა თითქოს ძილიდან გამოერკვაო, ზღვას თვალი აარიდა და საჭე მკვეთრად მარცხნივ შემოატრიალა. მის შესახვედრად გიჟური სიჩქარით მოჭკრის დამრეცი მონაკვეთი. ამ გიჟურ ქროლვაში თვალეზე ირეკლება ჟაკი, ფილიპი და თავად თვითონ – პატარაობისდროინდელი – თეთრი წინდებით; აი, გამოჩნდა პირველი ნიგნის ყდაც...

– უნდა დავამუხრუჭო! – მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ ნაცვლად მუხრუჭისა, მთელი ძალით გაზს დაანვა...

როცა თვალეები გაახილა – მისკენ დახრილი ჟაკი დაინახა.

– ნუ გეშინია, ყველაფერი წესრიგშია, – ნაზად წარმოთქვა ძმამ. – ექიმმა თქვა, ახლა ყველაფერი კარგადააო...

ფრანსუაზამ თეთრ ოთახს თვალი მოავლო. ის ის იყო, მას ნიუ-იორკის ცათამბჯენების მზის სხივებით მოოქროვილი კენწეროები დაესიზმრა. ისინი ცის სიღურჯეში ზღაპრულ ფერებს ერთვოდნენ. ცხადად ესმოდა ფრინველების ჭიკჭიკი, ჩაესმა ფილიპის სიცილი... ნუთუ ისევ ნიუ-იორკშია? ფრანსუაზამ ხელი აიქნია და მკერდთან აუტანელი ტკივილი იგრძნო.

– სადა ვარ? – სუსტი ხმით იკითხა. ჟაკი მიხვდა, რომ ფრანსუაზას ცნობიერება უბრუნდებოდა.

რისი ნიუ-იორკი... ის დიდი ხანია საფრანგეთში დაბრუნდა და მასთან ფილიპს რა უნდა. ის ხომ პარიზში დაბრუნებისთანავე აღარ გამოჩენილა. მან ფრანსუაზა მიატოვა...

იდგა 1957 წლის 14 აპრილი და სტუმრების შესახვედრად გაქროლებული ფრანსუაზა თავისი მანქანით მთელი ძალით შეასკდა უზარმაზარ ხეს. როგორც ამბობენ – საიქიოდან დაბრუნდა.

– რატომ მართავდი ფეხშიშველად მანქანას? – ჰკითხა ძმამ.

– ნუთუ? მართლაც ფეხშიშველი ვიჯექი მანქანაში?

ფრანსუაზა თანდათან ყველაფერს იხსენებს და თვალეებს ფართოდ ახელს. მის გვერდით განუყრელი მეგობარი ვერონიკაა.

– ფრანსუაზა, თქვი სიმართლე, ავარია განგებ მოახდინე? – ეკითხება ვერონიკა, – გაზეთები წერენ, თითქოსდა თვითმკვლელობა გენდა.

ფილიპი იყო მის ცხოვრებაში ის ერთადერთი მამაკაცი, რომელიც საგანში ქალს ხედავდა და არა – „მადამ ფულს“. მაგრამ იმანაც მიატოვა – სხვა შეუყვარდა. შეურაცყოფილმა ფრანსუაზამ თავის ჩვეულ ხერხს მიმართა და სევდის განსაქარვებლად ისევ ლოთობას მიჰყო ხელი. მთვრალი კი პირველსავე შემხვედრ მამაკაცს უპრობლემოდ უგორდებოდა ლოგინში. ისევ დაენყო ღრმა დეპრესია... მარტოობა და სევდა წამით არ ტოვებდა ქალს.

...საავადმყოფოდან გამოწერილმა ოცდაორი წლის ფრანსუაზამ უცბად თავი ღრმა მოხუცად იგრძნო. ძველ ქურთუკსა და შავ ბერეტში გამოწყობილი საათობით უაზროდ დაბორილობდა პარიზის ძველ ქუჩებში; გამხდარი, მარტოსული კაფეების ხშირი სტუმარი გახდა. ეძალეებოდა ყავასა და თავის საყვარელ ვისკს. ხანდახან ხელჩანთიდან ბლოკნოტს ამოაცოცებდა და რაიმეს დაწერას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. როცა სევდა ყელში ბურთივით მოანვეებოდა, კაფეს ფანჯრების გაორთქილ მინაზე ბავშვივით ერთდაიგივე ფრაზას აწერდა ფრჩხილებით: „დიდად ვნანობ, ცოცხალი რომ გადავრჩი“...

1957 წლის შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს ექსკლუზიური გაყიდვის გამოცემლობის დირექტორ გაია შეუღერის კაბინეტში ტელეფონის ზარმა დაინკრიალა.

– გამარჯობათ! – ყურმილში ყრუდ მოისმა. დირექტორს ფრანსუაზა საგანი ურეკავდა.



აი, რა მოხდა მაშინ: სიმბოლურია, ოთახში ორი მაგიდა დგას და მარტო ვზივარ. ერთ მაგიდაზე, ჩემი პერსონალური კომპიუტერია გამართული, დაზგასავით, მეორე კი თავისუფალია. ამიტომაც, თავისდაუნებურად, ახალგაზრდა პოეტის თუ მწერლის თუ ლიტერატურით მაცოცხლებელის თავშესაფარად იქცა ის ცარიელი. თავისთავად კალამს და ფურცელს მივუბრუნდი.

პირველიდან ორამდე ინერება რალაც ნიგნი. ქართული ანბანით და ნერვიული კალიგრაფიით. მერე რა, თუ ხანდახან კლავიატურის ასოებს გავურევ ხოლმე და ვფიქრდები კიდევ, როგორი მოხაზულობა აქვთ ქართულ ხმოვნებს, ან თანხმოვნებს. ძალიან შემრცხვა, იმ დღეს ვერაფრით გავიხსენე ასო-ბგერა გ.

მაინც ხომ ინერება. არ ვიცი, რა უნდა, წინა გვერდებს როცა გასათეთრებლად მივუბრუნდები, მაშინ გადავავლებ თვალს. ახლა კი დაწერისთანავე ვივწყნებ.

აი, სახლი რომ მქონოდა, ტყის პირას, მთის ფერდობზე, სახლი რომ მქონოდა ისლის თუ არა, ხის სახლუკა, ძველი ქონგურებით და დარბაზებით, ჭიშკრით და დედაბოძებით, ჩაის დავაყენებდი სპილენძის ძველ ჩაიდანში, ყვავილების ფურცლებს გავურევდი, შუაცეცხლზე მუხის ნაფოტებისგან ცეცხლს დავანთებდი. ჭინკებს, ქონდრისკაცებს და ოჩოპინტრეებს შემოვისვამდი გარშემო, ჩემს მეგობარ პოეტებს მოვიწვევდი და ჰოი, რამდენ რამეს გავიხსენებდი. შენზეც დავწერდი, შენს მომავალს სულ ლალის იაგუნდებდა ჩამოვარაკრავებდი და სიტყვის ძალით ავიხივებოდა.

კანონი. ცვლილება. ჩამოტვირთე. მოწესრიგება. ჩანერა. ამობეჭდვა. სახელის მიწერა. გატანა. კანონში ცვლილების შეტანა. ძალადაკარგულების საქალაქის ცალკე გახსნა. ჩასწორება. ატვირთვა. კანონში ცვლილება. შიგადაშიგ შინაგანანესები, ინსტრუქციები, დებულებები, განცხადებები აქ-

დასასრული 61-ე გვერდზე



კატრინ დენევი და
ფრანსუაზა საგანი

– თანახმა ვარ! – გაისმა ქალის ხმა. შუელერი მოულოდნელობისგან გაოგნდა. სათვალე მოიხსნა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო; სათვალეს მინები გაუნმინდა; გახურებული შუბლი ღია ფანჯრიდან მქროლავ ნიავს ხარბად მიუშვირა. ძლივს გაიხსენა რაზე იყო საუბარი: ფრანსუაზა თანახმა იყო მის ცოლობაზე. მათ ხომ ერთმანეთი ამერიკაში მოგზაურობის დროს გაიცნეს. ფრანსუაზაზე ორჯერ ხნიერი, ახალგაზრდა ტალანტების მფარველი, ზრდილი, ეგზოტიკური მოგზაურობების მოყვარული, ხავერდოვანი ხმის პატრონი შუელერი ფრანსუაზას მამად ერგებოდა. ნიუ-იორკში ყოფნისას იგი ეფლირტავებოდა ქალიშვილს. ძალზე მოეწონა მელანქოლიური, დაბნეული, ვეებერთელა მონყენილთვალეებიანი ფრანსუაზა საგანი. როცა ის ავარიაში მოჰყვა და სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იდგა, შუელერმა მისდამი დიდი ყურადღება და სიბრალულის გრძნობა გამოამჟღავნა და მეუღლეობა შესთავაზა. ფრანსუაზამ დაბინდული

თვალეები ძლივს გაახილა. თავი დაბინდული ჰქონდა – ჩურჩულით აღმოხდა: – ოდესმე, ალბათ, შესაძლებელი იქნება!

... მთელი პარიზი მადმუაზელ ფრანსუაზა საგანის გათხოვებაზე ალაპარაკდა...

1957 წლის სექტემბერში წიგნის მალაზიის თაროებზე გამოჩნდა საგანის ახალი რომანი „ერთი თვის შემდეგ, ერთი წლის შემდეგ“, რომელიც გაია შუელერს ეძღვნებოდა. ფრანსუაზამ მიიღო გადამწყვეტილება – გამხდარიყო სამაგალითო მეუღლე... ეს გახდა მისი მიზანი.

1957 წლის 16 მარტს ფრანსუაზა საგანმა და გაია შუელერმა ბატიმოლში იქორწინეს. თითზე ჩამოსათვლელი ხალხი ესწრებოდა მათ ბედნიერებას. ჟურნალისტები არ დაჰპატიჟეს...

ფრანსუაზასგან მადამ შუელერი არ გამოდნა, ეს ძალიან მალე ყველასთვის ცნობილი გახდა. თავიდან ცდილობდა სადილიც კი გაეკეთებინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს საქმე მზარელს უფრო კარგად გამოსდიოდა. ის სულით და გულით ქმართან შეხმატკბილებას ცდილობდა, მაგრამ მალე მიხვდა – ეს საქმე საყვარლებთან უფრო კარგად გაეგებოდა, ვინემ ქმართან; რაც შეეხება ქალურ კოპონიაობას, დედამისს ასგზის უფრო კარგად ეხერხებოდა – ქალიშვილთან შედარებით. ბოლოს მისი გათხოვება ყოველდღიური ლოთობითა და ნარკოტიკების მოხმარებით დაგვირგვინდა. სამწუხაროდ, არც შუელერი ცდილა მისთვის ამ შემთხვევაში რამე თანაგრძნობა გაეცნია.

ფრანსუაზა საგანი სენის სანაპიროს დაუყვა... მდუმარედ აკვირდება რუხ, ნისლიანი ჰორიზონტის შერეულ, მირაჟისეულ ხაზებს. მარტოსული თოლია წივილ-წივილით გადაევლო მდინარის აქოჩრილ ჩქერებს. მიფრინავს და ვერსად პოულობს მყარ, მყუდრო ადგილს.

ფრანსუაზას თავში გაუელვებს, რომ ეს ბანალური თოლია ძალზე ჰგავს მას

და მისი ცხოვრების სიმბოლოდ თავისუფლად გამოდგება. ისიც ხომ ეძებს და ეძებდა, მაგრამ ვერა და ვერ იპოვა ბედნიერების ერთი ფიორა ფთილაც... ვერ იპოვა ბრწყინვალე პრინცი, ალბათ იმიტომ, რომ თავადაც არ გახლავთ პრინცესა... თუმცა ფრანსუაზა კიდევ ერთხელ გათხოვდა. ამჯერად ამერიკელ, 31 წლის ათლეტური აღნაგობის ბობი უესტროფს გაჰყვა ცოლად, რომელიც მანამდე ამოდ ცდილობდა ჰოლივუდში კარიერის გაკეთებას. ჰოლივუდიდან უესტროფი პარიზს ეწვია. მას სულითა და გულით სურდა სკულპტორი გამხდარიყო.

ფრანსუაზამ ბობი უესტროფი თავის დაქალთან გაიცნო. მთელი დღე პლაჟზე ინებივრეს. ბობი ქალს ვნებიანად კოცნიდა და თან სიყვარულს ეფიცებოდა. გადანყვითა ფრანსუაზას პორტრეტი დაეხატა. მალე ქალი დაორსულდა. შვილის ყოლა გადანყვითა, იქნებ ნორმალური ოჯახი შეექმნათ.

1962 წლის 26 ივნისს ბიჭი შეეძინათ. ბიჭს დენი დაარქვეს. თავიდან დედობის როლი მისთვის საინტერესო აღმოჩნდა, თუმცა მერე შვილის აღზრდაზე თავს არ იკლავდა. ბავშვს ძიძები ზრდიდნენ. მალე ცოლ-ქმარი მეგობრულად დაშორდა ერთმანეთს, რადგან მისმა ცნობილმა ავადმყოფობამ (ლოთობა, ნარკოტიკები) მალე იჩინა ისევ თავი. ყოფილი ცოლ-ქმარი შვიდი წლის განმავლობაში ერთად ცხოვრობდა. ისინი თავ-თავიანთი საქმით იყვნენ დაკავებულნი და ერთმანეთს არაფერში უშლიდნენ ხელს. პირიქით, ვინმეს ეგონებოდა – რა მოსიყვარულე მეუღლეები არიანო.

...ეჰ, რა დარჩა ამ ცხოვრებისგან ფრანსუაზას? ჯერ ასაკით ახალგაზრდაა, მაგრამ... ის ზღვის ნაპირთან დგას და ზღვაში კენჭებს ისვრის, წყლის ზედაპირზე წრეები იკვრებიან... და წყდებიან. იყო კი ბედნიერი თავისი მწერლობით ფრანსუაზა საგანი?

რომანი „გიყვართ თუ არა მრწამსი“ – მისი ბოლო წიგნი აღმოჩნდა. ამის შემდეგ მან ძალზე მდარე პიესები და

ასეთივე სცენარები დაწერა...

იყო დრო, როცა პარიზში ხმები დაიჩიო – ფრანსუაზა საგანი საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის, ფრანსუა მიტერანის საყვარელიაო. მათი დამოკიდებულება ბურუსში იყო გახვეული. მაშინ საგანს უთვალავი საიდუმლო ჰქონდა, რომლებიც დროთა ვითარებაში გააფერმკრთალა და... დღეს არავის აინტერესებს.

პარიზელები ჭორაობენ, ქირქილებენ რა ქარაფუტულად იქცეოდა ქმრებთან.

ბოლო დროს ფრანსუაზამ ძაღლებს კოლექციონერობას მიჰყო ხელი.

– ილაპარაკონ რაც მოესურვებათ – ქვეყანაზე არც ერთ მამაკაცს ისეთი ჭკვიანი, კეთილი თვალები არა აქვს, როგორც ძაღლს, – ხმამაღლა აცხადებდა ფრანსუაზა.

თოლიების გაბმულ წივილ-გნიასში ფრანსუაზა საგანი ყოველნაირად ცდილობს გულზე დაწოლილი რუხი მელანქოლია, სევდა შორეთისკენ უკუაგდოს. არაფერი გამოსდის! მესიერებაში უცოცხლდება წარსულის მკვეთრი, მუქი სურათები: გაახსენდა: ოდესღაც ის და ჟან პოლ სარტრი პარიზის ერთ-ერთ რესტორანში ვისკის დაგემოვნებით წრუპავდნენ. ხასიათზე მოდგნენ და მეტად გულახდილნიც გახდნენ. ბოლო ჭიქის დროს სარტრმა ნაღვლიანად გაიღიმა და ფრანსუაზას მოურიდებლად უთხრა: – იცოდე, ჩემო კარგო, რომ ეს ცხოვრება განავალია! მაშ, ბოლომდე შევსვათ ეს სასმისი და ყველაფერს წერტილი დავუსვათ!

P. S. 2004 წლის 24 სექტემბერს ფრანსუაზა საგანი, ნარკოტიკებისა და ვისკისგან მთლად გასავათებული და გამოფიტული, 69 წლის ასაკში განერიდა ამ წუთისოფელს...

დაკრძალულია კუარების პატარა საგვარეულო აკლდამაში – სოფელ სუზაკში, თავის მშობლიური ქალაქის სიახლოვეს, სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში.



ციონერთა კრების მონაწილის შესახებ და თან სადაც აქვე, სინდო-ფალასავით გარბენილი პოეზია, თვალს რომ ვერ მოკრავ, მაღალი კისრით და ყვითელი ბენვით. მოქალაქეები. კოდიფიცირება. გამორთე.

უკან გზაზე, როცა არარსებულ სახლში დაბრუნება ხდება, არაფერი იცვლება.

უბრალოდ, გაჩერებაა, ვდგავარ. გაჩერებაა. გაჩერება. გაჩერება. გაჩერება.

როცა მეტირება, არ ვტირი და შენ ეს იცი.

უკვე იცი, ხვალ გათენდება, პირველი ხიდის ქვეშ მომძებნი, სანამ მეორე ხიდი დაიწყება, იქნებ მომისწრო. საბავშვო ბაღის აღსაზრდელებსა და დაბალი კლასის მონაწილეებთან ერთად მდგარი, თუ აღარ დაგხვდები, იცოდე, რომ მე მართლა ვიყავი.

მართალია, ვტოვებ წელიწადის შუადღეებს.

როცა ცის კიდიდან ჩამოდის უფალი და გადმოდის სამრეკლოებიდან. მრჩება შუადღის მზე მეტეხის ხიდთან და აბოს ნაძვებთან და ჩემს უნახავად მტკვრის ფსკერზე ჩადის. მაგრამ მაინც, ერთხელ, მინდა პასუხს არ დაელოდო და ისე მიხვდე, როცა მკითხავ სადამდის, სადამდის შეიძლება ბოროტსა სძლიოს კეთილმა, თუ მისი არსება ათმაგად უფრო ბოროტია, ისე მიხვდე, მართლაც სადამდის.

ნათა პარაღა



„მე მგონია, რომ პოეტი ის ადამიანია, რომელიც უკანასკნელი ამბობს სიმართლეს მაშინ, როცა ამას სხვა ვერავინ ბედავს. მე მგონია, რომ პოეტი ის ადამიანია, რომელიც პირველი ხედავს და ამჩნევს ახალ ფორმებს და ახალ ვითარებებს, როცა მათ სხვები ჯერ კიდევ ვერ აღიქვამენ. მე მგონია, რომ სწორედ ესაა ადამიანის ორი არსებითი თვისება“.

დაიან დი პრიმა

ბრენდა ნაითი

დაიან დი პრიმა – პოეტი ღვთისმსახური

ნიგნიდან „ბიტ თაობის ქალები“

ბრუკლინში გაზრდილი, ძალიან ახლოს იყო ბაბუასთან დედის მხრიდან, დომენიკო მალოზისთან. პოლიტიზებული და რთულად დასამორჩილებელი, თავისუფლად მოაზროვნე დომენიკო ცნობილ ანარქისტს, კარლო ტრესკას თავის ახლო მეგობრად თვლიდა. დაიანმა ლექსების წერა შვიდი წლის ასაკში დაიწყო. ცამეტი წლის ასაკში მან ჰანტერის უმაღლეს სკოლაში განაგრძო სწავლა და მას შემდეგ წერა აღარ შეუწყვეტია. სვორთმორის კოლეჯში ფიზიკის თითქმის ორწლიანი კურსის გავლის შემდეგ ის ქვემო ისტაიდიში გადავიდა, რის შემდეგაც მთელი დრო სწავლისადმი დაუოკებელ სწრაფვას და წერას მიუძღვნა. ნიგნის მაღაზიებში მუშაობის დროს ის მთელ დღეებს და ხან ღამეებსაც, კითხვაში ატარებდა და კითხულობდა იმდენს, რამდენიც შეეძლო, რომ წაეკითხა.

50-იანი წლების დასაწყისში, სანამ ბიტნიკები ცნობილები გახდებოდნენ, დაიანი „ახალ ბოჰემიელებს“ დაუმეგობრდა. მისი ბინა მუდამ ცხოველი დისკუსიების და აქტიური ცხოვრების ცენტრი იყო, სავსე მეგობრებით, რომლებსაც ხშირად ერთად ეძინდათ. „ხშირად ასეც ხდებოდა, რომ ამ ჩრდილებიდან ურთიერთობების საინტერესო ნიუანსები ამოიზრდებოდა“ – წერს ის „ბიტნიკის მოგონებებში“.

1953 წელს მან ეზრა პაუნდთან დაიწყო ურთიერთობა, რამაც მის ცხოვრებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა. მათ მიწერ-მოწერა ჰქონდათ და ბოლოს, დაიანი პაუნდს ვაშინგტონის წმინდა ელისაბედის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ესტუმრა და იქ გარკვეული პერიოდი დაჰყო. სწორედ ამ პერიოდში, აზრთა გაზიარების დაუოკებელმა წყურვილმა და სურვილმა იმისა, რომ სხვა ძლიერი გონების ადამიანებთან ჰქონოდა კონტაქტი, მას სხვა პოეტებთან მიმონ-

ერაც დააწყებინა, მათ შორის კენეტ პეტჩენტან, ლოურენს ფერლინგჰუტისთან და ალენ გინსბერგთან.

დაიანმა გადაწყვიტა, ესწავლა იმ მწერლებისგან, ვის შემოქმედებასაც პატივს სცემდა. 1980 წელს ენ უოლდმენისთვის მიცემულ ინტერვიუში მან ხაზგასმით აღნიშნა: „არასოდეს უნდა დაივიწყო, რომ როგორი საინტერესო ხედე და წარმოდგენებიც არ უნდა გქონდეს, გჭირდება ტექნიკა, რომელიც არცერთ სკოლაში არ ისწავლება. ის ყოველთვის გადაეცემოდა ადამიანიდან ადამიანს, ძირითადად, მამაკაციდან მამაკაცს. მე მგონია, რომ ერთ-ერთი პირველი ქალი ვიყავი, ვინც ჩარლზ ოლსონთან და ფრენკ ო'ჰარასთან ღრმა და ხანგრძლივი საუბრების შედეგად, ამის შეცვლა შეძლო“. ამავე პერიოდს უკავშირდება დაიანის სულიერ მდგომარეობასთან დაკავშირებული მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი გატაცების დასაწყისი, რომელიც დაიანის ბიტნიკობაზე დიდხანს გაგრძელდა. 1953 წელს დაიანი თავის მასწავლებელსა და ქორეოგრაფს, ჯეიმს უორინგს შეხვდა და ძენის სერიოზულად შესწავლა დაიწყო. ის ასევე დაინტერესდა მედიტაციური მუსიკით, რომელიც თან სდევდა მის ცხოვრებას და მისი ცხოვრების რწმენას – ბუდიზმს. უორინგისა და დი პრიმას თანამშრომლობა ასევე მოიცავდა ცოცხალი თეატრის ორშაბათი ღამის წარმოდგენების სერიას.

1957 წელს, დაიანი, ბოლოს და ბოლოს, შეხვდა ალენ გინსბერგსა და მის კომპანიონებს: ჯეკ კერუაკს, პიტერ ორლოვსკის და გრეგორი კორსოს ნიუ იორკში. ეს შეხვედრა – დაუვიწყარი მისი გონებისა და სხეულისთვის, აღწერილია დი პრიმას ეროტიკულ ავტობიოგრაფიაში „ბიტნიკის მოგონებები“, ტექსტის თანახმად, ორგიაში მონაწილე გინსბერგი, კერუაკი, თავად

დაიანი და ორი სხვა პიროვნება იყვნენ „თბილი, მეგობრული და ძალიან არასექსუალური – როგორც აბაზანაში ოთხ უცხო ადამიანთან ყოფნისას“.

ამავე წელს დაიბადა დაიანის პირველი ქალიშვილი, ჯენი, რასაც მალე მისი პირველი წიგნის, „ასეთი ციტი უკან მიფრინავს“, გამოცემაც მოჰყვა. სამი წლის შემდეგ მისი პირველი პროზაული კრებული, „სადილები და კომარები“ გამოიცა.

დაიანი ბევრ სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდა, მოდელადაც მუშაობდა მხატვრებთან, თავის მეგობრებს, **ჰეტი** და **ლერი** **ჯონსებს** ლიტერატურული ჟურნალის გამოცემაშიც ეხმარებოდა. ლერი და დაიანს საერთო ქალიშვილი შეეძინათ და მრავალტირაჟიანი ხელნაწერი საინფორმაციო ბიულეტენი „The Floating Bear“ გამოუშვეს, სადაც ბევრი ავტორის ნაწარმოები გამოქვეყნდა, მათიც, ვინც ლეგენდად იქცა და მათიც, ვინც უკვალოდ გაუჩინარდა.

პარალელურად, დაიანი სხვა შემოქმედებით აქტივობებში იყო ჩართული. თავის მეგობრებთან: **ფრედ ჰეროსთან, ალან მარლოუსთან, ჯონ ჰერბერტ მაკდაუელთან და ჯეიმს უორინგთან** ერთად ნიუ იორკის პოეტების თეატრი დააარსა. თეატრში ოთხი სეზონის მანძილზე იდგმებოდა პოეტების მიერ შექმნილი ერთმოქმედებიანი პიესები, პარალელურად კი ორივე სანაპიროს მხატვრების ნამუშევრების გამოფენები იმართებოდა. 1961 წელს მან დასავლეთ სანაპიროზე იმოგზაურა იმისთვის, რომ სან ფრანცისკოს ავანგარდის წარმომადგენლებს, **რობერტ დუნკანს, ჰელენ ადამს, მიშელ მაკკლერს, კირბი დოილს, უოლას ბერმანს** და **ჯეი დეფოს** შეხვედროდა.

1961 წლის დასასრულს ის და ლერი ჯონსი ფედერალურმა ბიურომ დააპატიმრა მათი გამოცემის ფურცლებზე გამოქვეყნებული უხამსობის გამო. ლერიმ საქმის დიდ განხილვაზე გატანამდე დაიცვა დაიანიც და საკუთარი თავიც „ულისესა“ და „ლედი ჩატერლის საყვარლების“ პრეცედენტის მაგალითზე და საქმე დაიხურა. დაიანს ამ შემთხვევამ განსაცდელის მრავალმხრივად აღქმა ასწავლა, თუმ-

ცა მათი პრობლემები კანონთან ამით არ დასრულებულა.

შეურაცხმყოფელი წარმოდგენებისთვის და **ჯან ჟენეს** ფილმის „Chant d'amour“ ჩვენებისთვის ნიუ იორკის პოეტების თეატრიც დაჯარიმდა. დაიანმა და მისმა პარტნიორებმა ბევრი იბრძოლეს და ეს ხანგრძლივი პროცესი საბოლოოდ მათი გამარჯვებით დასრულდა. „The Floating Bear“-ის პირველი საქმიდან ორი წლის შემდეგ ლერიმ უარი თქვა ჟურნალის თანარედაქტორობაზე, რისი საფუძველიც დაიანის და ალან მარლოუს ქორწინება იყო. ალანთან ერთად დაიანმა ახალი პერიოდული გამოცემა, „Poets Press“ დააარსა, სადაც **ოდრი ლორდის, კლივ მატსონის, ჰერბერტ ჰანკის, დევიდ ჰენდერსონის** და სხვების პოეტური ნაშრომები დაიბეჭდა.

სამოციანი წლების მეორე ნახევარში დაიანის ცხოვრება მეტისმეტად მოძრავი გახდა – ის ნიუ იორკში ცხოვრობდა და ხშირად რჩებოდა მილბრუკში, **ტიმოთი ლირის** ექსპერიმენტულ, შემოკლებულ საზოგადოებაში, მან ამ პერიოდში განვლო ლეგენდარული გზა – იმოგზაურა 20 000 მილი, ვოლკსვაგენის ავტობუსით, საბარგულში – ბავშვებით, ის კითხულობდა პოეზიას საცეკვაო დარბაზებში, ბარებში, კოლეჯებში, გალერეებში, მაღაზიებში. საბოლოოდ ის სან ფრანცისკოში დასახლდა. 1968 წელს დაიანი დიგერებს შეუერთდა. ეს იყო საკმაოდ უცნობი პოლიტიკური დასი. დიგერების სხვა წევრებთან ერთად, როგორებიც იყვნენ **პიტერ**

დაიან დი პრიმა მიშელ მაკკლერთან ერთად





ლერი ჯონსთან ერთად

კოიოტი, ლენორე კენდელი და ემეტ გროგანი, დაიანი ავრცელებდა უფასო საკვებს და პოლიტიკურ ღონისძიებებს უწევდა ორგანიზებას. სწორედ ამ პერიოდში იატაკვეშა პრესასი „რევოლუციური წერილები“ დაიბეჭდა. ის ალან მარლოუს 1969 წელს გაეყარა.

70-იანი წლების დასაწყისში დაიანი უფრო აქტიურად დაკავდა ბენით და აქტივისტი შორსმჭვრეტელად იქცა. ტექნიკის გაუმჯობესებისათვის ვარჯიშში გატარებული წლების შემდეგ, დაიანმა, ბოლოს და ბოლოს იგრძნო, რომ შეეძლო, ესწავლებინა. ის პოეზიას ასწავლიდა სპეციალური პროგრამის ფარგლებში, რაც ითვალისწინებდა პოეზიის გაკვეთილების ჩატარებას ექსპერიმენტულ სკოლებში, რეზერვაციებსა და ციხეებში, ისევე, როგორც სან ფრანცისკოში აწყობდა წერის, ვიზუალიზაციისა და

ოცნების სახელოსნოებს. ამავდროულად დაიანი სამ ქალიშვილსა და ორ ვაჟს ზრდიდა. 1972 წელს ის **გრანტ ფიშერზე** დაქორწინდა, 1977 წელს კი, ფიშერს ორი წლის გაშორებული, შეხვდა თავისი ცხოვრების მეგზურს, ბუდისტ **შეპარდ პაუელს**, ვისთანაც მან გაიყო სულიერება და ხელოვნება და უმკურნალა ცხოვრების მიერ მიყენებულ ტრიალებს.

მოგვიანებით დაიანი პოეტიკას ასწავლიდა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს სან ფრანცისკოში, კალიფორნიის ნიუ კოლეჯში, **რობერტ დუნკანთან**, **დევიდ მელცერთან**, **დუნკან მაკნოუტონთან** და **ლუის პატლერთან** ერთად. ამ კოლეჯში ის შვიდი წლის მანძილზე ასწავლიდა პოეზიის ოკულტურ და ჰერმეტიულ ტრადიციებს. დაიან დი პრიმას სავარჯიშოები ასევე მოიცავს გამაჯანსაღებელ სამუშაოებს და მაგიურ დავალებებს, რომელსაც ის თავის ინსტიტუტში – სან ფრანცისკოს მაგიური და გამაჯანსაღებელი ხელოვნების ინსტიტუტში აცნობს სტუდენტებს. 1983 წელს, ძენის მიმდევრობიდან ოც წელზე მეტი ხნის შემდეგ, დაიანმა აღიარა ტიბეტური ბუდიზმი და **ჩოგამ ტრუნგპა რინპოჩის** მოსწავლე გახდა.

დაიანის ორმოცდაათწლიანი შემოქმედება 30-ზე მეტ წიგნს და ათიათასობით ლექსს მოიცავს, პოემა „ლობას“ ჩათვლით. დაიან დი პრიმამ ბიტ თაობის ყველა სხვა პოეტ ქალზე უკეთ შეძლო ამავ თაობის მამაკაცების ბრწყინვალე თანავარსკვლავედის გვერდით ღირსეული ადგილის დაკავება.

ჩემი საყვარლის თვალები არ გვანან მზის
შეპარდს

ქარვებია ეს თვალები,
ეს გუგადაკარგული თვალები,
მათში ულურჯეს ალებს ვხედავ,
ღმერთის თვალებია ეს თვალები,
კოსმოსს იტყვენ,
იმ ღმერთკაცის თვალებია,
გალაქტიკაში რომ გაებნა რკინის ფრთები.
ხან მწვანეა ეს თვალები, ხან ნაცრისფერი,
მათი შუქის
ფერი დღემდე ვერ გამიგია. ამ თვალების ზღვის სიმწვანე
სიზმრებს მიქსოვს,

ფანტავს ჰაერში. ეს თვალელები
 არც მე მეკუთვნის, აღარც შენია. თითქოს მკვდრებმა
 დაისაკუთრეს ჩვენი თვალელები და თითქოს ჩვენი
 ღია ფანჯრებიდან სამყაროს სხვები
 აკვირდებიან.
 უცნაურია – თითქოსდა სხვების
 უცხო შუქით
 ამოივსო ჩვენი სარკმლები.

არა, არც ქარვა, არც სილურჯე.
 მზერის ფარდა სადღაც წაიღო ჩვენმა სიგიჟემ.
 სინამდვილეში ნეტავ ვინა ხარ. შენი თვალელები
 საკმარისზე ხშირად მინახავს. შენი
 შიშველი სიძლიერე. სხვებს „დავდეთ ბრალი“,
 ეს – ნახტომია ერთგულებისკენ.
 ეს – ქარია ჩვენი ცხოვრების ხმებს რომ ვერ იტევს,
 ცხოვრების, სადაც ისევ მივფორთხავთ
 კორპუსების ფასადებზე სპაიდერმენით,
 რომ ფანჯრებში შევიხედოთ,
 სხვების ფანჯრებში.



ნიშნების დოქტრინა

არსებობს ცნობადი ციფრებიც –
 ფურისულა გულს გადაშლის და მჟღავნდება ექვსი,
 მაგრამ ის ციფრი, ჩემს გულს რომელიც დალად ატყვია,
 ბნელია უფრო.

თქვი: ტკივილის პულსაცია
 ციკლია ხუთის.
 ჯერაც არ გითქვამს ყველაფერი.
 ძლიერი ქარი, უმეტესად,
 დაუბერავს შვიდიდან რვამდე,
 ღმერთის სახლად ნოდებული ძველი კოშკიდან.
 თქვი, რა ნიშნით
 ისახება ჩემი სუნთქვის გრძელი ვექტორი,
 სამყაროსკენ მიმავალი.

ხედავ? ეს კვამლი, გულიდან რომ ამოვარდა,
 სურვილის ღრუბლის საყრდენია,
 ჩვენ მივისწრაფით სიკეთისკენ,
 როგორც ცხვრები, როგორც კამკაშა ვარსკვლავები, როგორც ღმერთი,
 რომელმაც უარი თქვა საკუთარ თავზე
 და გადანყვიტა, არავინ შეაშინოს.

ინგლისურიდან თარგმნა
სალომე ბენიძემ

ახალი თარგმანები



კელეზის იმპერიაში გამომწყვდეული პოეტი

ბოლო პერიოდში კაიროში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა კიდევ ერთხელ გამახსენა ის უამრავი ეგვიპტელი შემოქმედი, რომელთა პროტესტი ახლა არ დანწყებულა. ისინი უკვე დიდი ხანია უკმაყოფილებას გამოთქვამენ ქვეყნის პოლიტიკასა თუ საზოგადოებაში არსებული შეზღუდულობის გამო, რამაც ბევრი მათგანის შემოქმედებას არც თუ უმნიშვნელოდ დაასვა დაღი. ერთ-ერთი ასეთი პოეტი აჰმად ტაჰა 1998 წელს კაიროში სწავლისას შემთხვევის წყალობით გაეციან. იმხანად არაბული ენის ცოდნის გასაღრმავებლად ენობრივ სტაჟირებაზე გახლდით. თუმცა ყოველთვის ვინტერესდებოდი თანამედროვე არაბულ და კერძოდ, ეგვიპტურ ლიტერატურაში მიმდინარე იმ უახლესი პროცესებით, რომელთა გაცნობა ჩვენთვის თბილისში ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი. ჩემმა ნაცნობმა, ამერიკელმა პოეტმა ელიოტ კოლამ (რომელიც მაშინ თავის დისერტაციაზე მუშაობდა, ამჟამად კი შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ასოცირებული პროფესორია ბერკლის უნივერსიტეტში), მიჩნია, შინ ვწვეოდი აჰმად ტაჰას.

ეგვიპტელი პოეტი აჰმად ტაჰა 1952 წელს კაიროს ერთ-ერთ რაიონში – შუბრაში დაიბადა. ეს ძველი უბანი გამორჩეულია თავისი მრავალეროვანი მოსახლეობით. ამიტომ ტაჰას, რომელსაც ბავშვობიდან ბერძენი, სომეხი თუ ებრაელი მეგობრები ჰყავდა, არასოდეს ჰქონია განსხვავებული რელიგიის, ეროვნებისა თუ მრწამსის ადამიანებთან ურთიერთობის პრობლემა.

აჰმად ტაჰა
კელეზის იმპერია
(ფრაგმენტები კრებულიდან)

ქმნის კედელი

ირიფრაჟა...

გამოიღვიძა გლეხმა,

მიმოიხედა...

ვერ დაინახა კვამლი სახლის სახურავებზე
და ვერც ინდიგო – გოგონების ლამაზ თავებზე,

ვერ გაიგონა ქალის სიმღერა,

ბავშვს რომ უმღერდა სიკვდილისგან გამობრუნებულს,

ველარც კაცები დაინახა,

აღარ მოესმა მათი ხველა, რომლის დროსაც

ცოლების სუნი ამოსდიოდათ გულმკერდებიდან,

ვერ დაინახა ტრამვაი, რომელსაც უკან ბავშვები ეკიდნენ

და ვერც ეშმაკი, სიცილ-კისკისით რომ ბრუნდებოდა საფლავებისკენ...

აი, ამგვარად,

მან გადანწყვიტა, შეექმნა შუბრა

ზუსტად ისევე, როგორც ესიზმრა,

და იქმნა შუბრა.

კვლავ ირიფრაჟა...

თავად მეფემ გამოიღვიძა,

მიმოიხედა...

ვერ დაინახა საფარველი ფაფუკ ლოგინზე
და ვერც მეზობელ ფანჯარაზე მოფრიალე დროშა იხილა,

ველარ იპოვა რბილი თეძო თავის ფეხებთან

და ვერც წყალმცენარეებით მოხატული ხალიჩა,

ვერ გაიგონა დარაჯის ბურღლუნი,

იარაღის ჟღარუნი.

აი, ამგვარად,

მან გადანწყვიტა, გამხდარიყო მეფე შუბრასი

ზუსტად ისევე, როგორც ესიზმრა,

და იქმნა შუბრას სახელმწიფო

ჩვილის არტახებითა და ქალის ცხვირსახოცებით

შეკონინებული დროშით.

კვლავ ირიფრაჟა...

გენერალმა გამოიღვიძა,

მიმოიხედა...

ვერ დაინახა სანგარი თავის სანოლის მიღმა,
ველარც ქსოვილი ხაკისფერი – თავის სხეულზე

და ვერც ხანჯალი – ბალიშის ქვეშ.

ვერ დაინახა ის საზღვრები, რასაც იცავდა

და ველარც მტრები, მას რომ ებრძოდნენ,

და ველარც რუკა, რაზეც ჯოხით მიუთითებდა.

აი, ამგვარად,

მან გადანწყვიტა, გამხდარიყო გენერალი მთელი შუბრასი

ზუსტად ისევე, როგორც ესიზმრა.

და იქმნა შუბრას გენერლობა,
მისი საზღვრები გადაიჭიმა სამხრეთით რამზესის ქანდაკებიდან
ჩრდილოეთით ვიდრე ტრამვაის გაჩერებამდე.

უკანასკნელად ირიჟრაჟა...
გამოიღვიძა დიქტატორმა,
მიმოიხედა...
ველარ იპოვა რევოლუცია,
მოსწავლეთა ჩანთებს რომ ამძიმებდა
და ველარც ომი სამოქალაქო,
კაფეების ყოველდღიურ კლიენტებს რომ ხოცავდა,
ველარ ნახა მოღალატენი,
რომელთა მოსპობას თავად ლამობდა,
ვერც შეთქმულება –
საინფორმაციო საშუალებების მიერ ჩაშლილი.
ვერ გაიგონა მონოდება ხალხის მასებზე
და ვერც სიმღერა დიქტატორის დიდებასა თუ განდიდებაზე.
აი, ამგვარად,
მან გადაწყვიტა, რომ მეთაური გამხდარიყო მთელი შუბრასი
ზუსტად ისევე, როგორც ესიზმრა
და იქმნა შუბრა –
მესამე სამყაროს
სულ პირველი დედაქალაქი.

გადასახლების ადგილი

როცა დაიწყებ საზაფხულო ტანსაცმლის ჩაცმას,
მაშინ აიღებ ერთადერთ ჩანთას,
რომელშიც შენი ლექსები,
პირადობის მოწმობა
და რამდენიმე სურათია გადასახლების ადგილზე გადაღებული,
რათა ყოველთვის გახსოვდეს იგი.
აი, სიგარეტს ეწევი
პარკის ტროტუარზე მთლად გაყინული,
ამტანი, გამძლე,
თავზე შალის თავსაბურავით.
ენით აპროტესტებ,
არ ემორჩილები მას, ვისთანაც გძინავს,
ელაპარაკები სეზონურ მეგობრებს,
ყველას,
ყველას,
ვერ მიეჩვიე გადასახლების ადგილს,
რომელიც შენ წინაშეა გადაჭიმული
და რომელიც შენი სანოლიდან ისეა დაშორებული,
როგორც პირამიდა – შუბრადან.

თუმცა მე
როცა დავტოვე შუბრა,
არ დამეინყებია
ხიდი გამედო ჩემსა და მას შორის
არა იმიტომ, რომ მეარა ხიდზე,
არამედ რათა მეყურებინა მისთვის.



ასე აღმოვჩნდი ზამალიქზე – კაი-როს ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, აჰმად ტაჰას ბინაზე, სადაც კვირაში ერთხელ გამართულ ლიტერატურულ საღამოებს ბევრი უცხოელი თუ ეგვიპტელი ახალგაზრდა პოეტი ესწრებოდა. ისინი ერთობლივად ეძებდნენ მხატვრული გამოსახვის ახალ ფორმებს, არღვევდნენ ეგვიპტურ საზოგადოებაში არსებულ ტაბუებს, აკრიტიკებდნენ სხვადასხვა მწერალთა თუ საზოგადო მოღვაწეთა ნამოქმედარს, შენიღბულ სიმართლეს ხშირად ირონიით გადმოსცემდნენ. ძირითადად თავისუფალ ლექსებს, ვერლიბრს წერდნენ. „შესაძლოა, მათ სიღრმე აკლიათ, მაგრამ გულწრფელნი არიან და იციან, თუ რა ხდება მათ გარშემო“ – ამბობდა აჰმად ტაჰა, რომელსაც ახალგაზრდა შემოქმედთა ჯგუფი ჟურნალ „ალ-ჯარადას“ გარშემო გაეერთიანებინა და მათთან მუშაობას ბევრს დროს უთმობდა. აქ მთავრობის კრიტიკასაც ხშირად მოჰკრავდით ყურს.

ეს ადგილი ჩემთვის უჩვეულო გახლდათ იმით, რომ ქვეყანაში, სადაც ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი კარგად იყო, ჰყვაროდა ტურიზმი, სხვაგან არსად გამოუთქვამთ ამდენი უკმაყოფილება და პირდაპირი პროტესტი არსებულ რეჟიმთან დაკავშირებით. მოგვიანებით შევიტყვე, რომ სწორედ იმ შეკრებებს ვესწრებოდი, რომლის გამოც აჰმად ტაჰა დაპატიმრებული ყოფილა გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს. მის ბინაზე გამართული ლიტერატურული საღამოები კი მეტად საშიშ მოღვაწეობად მიუჩნევიათ. ორთვიანი პატიმრობის შემდეგ ტაჰა გაუთავისუფლებიათ, თუმცა მთელი მისი ხელნაწერები და წიგნები გაუნად-



ალ-აზბაჯის კედელი

გურებიან. ეს თავდასხმა სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულია. საგულისხმოა, რომ ტაჰას არა მხოლოდ ხელისუფლება არ სწყალობდა, არამედ ისლამისტიებიც.

წლების შემდეგ კიდევ არაერთხელ შევხვდი აჰმად ტაჰას, რომელიც უფრო და უფრო გულგატეხილი მეჩვენებოდა. ნუხილით საუბრობდა ხოლმე იმის შესახებ, თუ რა სულისშემზუთველ გარემოში უხდებოდათ მოღვაწეობა ეგვიპტელ შემოქმედებს. მისი შეკრებების მონაწილე ახალგაზრდების ნაწილი აშშ-ში წავიდა საცხოვრებლად იმ მოტივით, რომ კაიროში მათთვის პრობლემად იქცა საკუთარი ნაღვანის გამოქვეყნება. ერთხანს აჰმად ტაჰაც ცხოვრობდა ემიგრაციაში – ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩიკაგოს უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. როგორც ამბობს, უფრო ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, დარჩებოდა ამერიკაში, მაგრამ უკვე ძალიან ბევრი რამ აკავშირებდა ეგვიპტესთან და უცხო გარემოში ყოფნას ისევ სამშობლოში დაბრუნება არჩია.

1999 წელს ჯერ დევნილი და შემდეგ რეაბილიტირებული პოეტი პრესტიჟული ლიტერატურული ორგანოს „ალ-კაჰირას“ რედაქტორად დანიშნეს. თუმცა, მხოლოდ ხუთი ნომრის გამოცემა მოასწრო – მას შემდეგ, რაც წინ წამოსწია ფემინიზმთან და პოსტკოლონიურ ლიტერატურასთან დაკავშირებული თემები, ისევ გაათავისუფლეს.

ტაჰა ვერც კი წარმოიდგენდა, რამდენი იმედგაცრუება ელოდა ქვეყანაში, რომლის გარეშე ცხოვრებაც ვერ შეძლო. სიურრეალიზმი აღმოჩნდა ის მიმდინარეობა, რომლის სიმბოლურ სახეებსაც პოეტმა თავი შეაფარა, რათა შეფარული პროტესტი გამოეთქვა, „თავისი სიმართლე“ ეთქვა. ასე გადაიქცა ერთ დროს თავგამოდე-

ოცნება

მაგრამ მე არ ვარ
განმარტოებული ღვთაება,
ცარიელ ცას რომ ეძებს...
შეიძლია ვიარო კაფეებში, ბარებში,
ვიჯდე ჩემი სახლის კიბეებზე...
სიყვარულისთვის ჯერ არ მოვხუცდი,
ლექსებს ვწერ მხოლოდ ქალებზე...
მჭირდება პარტია,
ჩემს ნაწილებს რომ შეაგროვებს,

პირველ ნომრად დამასახელებს
და ამ ნომერს შემინარჩუნებს;
ან დიქტატორი
ჩემ დანახვაზე ჩაფხუტს რომ მოიხდის
და შეუმჩნევლად გულში ტყვიებს
ჩამიდებს
ზუსტად ისევე, როგორც ბაბუები
უტენიან ხოლმე ტკბილეულს
ხელებში ბავშვებს.

ამბავი

ერთი პატარა ქუჩის გარდა არაფერი ჰყოფდა ბარს და ტყავის საქალაქო მხარეებზე სადისერტაციო ნაშრომის ფურცლებს... გადანყვიტა, ალ-აზბაჯის¹ კედლით დაეწყო. რაც არ უნდა თქვან, დარჩენილი გალავნებიდან ის ყველაზე ამტანი და გამძლე გამოდგა. როდესაც მთელი გულისყურით დაათვალიერებ მას, სიბრძნით აღივსები და თანდათან ან ლიბერალი გახდები, ან... ცხოვრებისაგან განდგომილი. აქ გვერდიგვერდ დახტიან იდეოლოგთა უხეში, გაბოროტებული მონოდებები და სხვადასხვა ისტორიული ეპოქის არაერთი ერთსულოვანი გადაძახილი. თუ კიდევ უკეთ გამოიკვლევ, ჩაუკვირდები, დაინახავ, რომ არაფერი კედება ადამიანის მსგავსად. გაცეცნობი ყველა წიგნს, თითოეულ ფურცელს და იგრძნობ, როგორ გაჩნდება ზიზღი შენსა და შენ საკუთარ სულს შორის. მყის შეგძულდება ყველა ის ჭკვიანი, ნიღაბს ამოფარებულს წიგნები რომ გაუზუთხავს, რათა ხალხთან ფერადი ლოზუნგებით გამოსულიყო. იმათაც მოჰკრავ თვალს, რომელთაც ყველა წიგნი უკუაგდეს და სხვა, ისეთი კედლების უკან მოთავსდნენ, ალ-აზბაჯისა რომ არა ჰგავს.

მაგრამ ალ-აზბაჯის კედელიც ალა-რაა ის, რაც თავიდან იყო. შენ წინ არეული უამრავი ქუჩისთვის ვილაც მოცილილებს ერთნაირი სახელები დაურქმევიათ. თუმცა ისინი ისევე არ ჰგვანან ერთმანეთს, როგორც სამოთხე და ჯოჯოხეთი. გაუყვები ზოგიერთ მათგანს და თვალს მოარიდებ, ტვინი აგერევა. მაშინ მიხვდები, სახეზე ჩამოფარებული საფარველი, თვალის მუხუჭვა თუ გშველის მხოლოდ. მათხოვარივით ხარ, თუმცა არა ხარ ასეთი. საკუთარ თავს ძალას დაატან და გაგახსენდება ის, რაც შენაირ სტუდენტს შეიძლება შეემთხვეს. შემდეგ... პატიების თხოვნა, უდანაშაულოდ აღიარება, მონდომებისა და ბრძოლისუნარიანობის დაკარგვა... რასაც შენ ითხოვ, შენამდე ბევრმა მოითხოვა და დღემდე არავინ იცის, რა ბედი ეწიათ მათ.

როცა საკანცელარო ნივთებით მოვაჭრეს გასცდები, ან თუნდაც ქუჩას ან მოედანს გადაკვეთ, არც ფიქრობ, რომ რალაცის ზღურბლი დატოვე. ძალიან ახლოს ხარ მასთან. სიფრთხილე გმართებს, ისევე სიფრთხილე... იქ ბევრი პლაკატი. აი, ერთი მათგანი კაფე „რიშის“² მოპირდაპირე მხარეს – მასზე პრეზიდენტის აზრის განმარტებასთან ერთად რამდენიმე მოძრავ კონვერტს შენიშნავ, ცხელი

¹ ალ-აზბაჯის კედელი – კაიროს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არაოფიციალური კულტურული ცენტრი, რომელიც XX ს-ის დასაწყისში დაარსდა. აქ ძირითადად იყიდებოდა ძველი წიგნები. მას სტუმრობდნენ ცნობილი ინტელექტუალები. ამჟამად ეს ტერიტორია წიგნის 132 მაღაზიისგან შედგება. იყიდება ყველაფერი, უძველესი ჟურნალ-გაზეთებით დაწყებული და უახლესი ლიტერატურით დამთავრებული.

² Café Riche ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლიტერატურული კაფეა კაიროში. ამ ისტორიულ კაფეში იკრიბებოდნენ მწერლები, პოეტები, მსახიობები, მომღერლები, რომელთა შავ-თეთრი ფოტოები დღემდე ამშვენებს მის კედლებს.

წვნიანის სუნი რომ ამოსდის. თავს ებრძვი, გაბოროტება რომ დაფარო. სულეიმან ფაშას მოედნიდან გადაუხვევ.

საკმარისად დაიხარჯები და მაინც მიხვალ, იპოვი შენი კვლევისთვის საჭირო ფურცლებს. აღმოაჩენ, რომ საქმე კიდევ უფრო გაურკვეველია და ბნელით მოცული. დოკუმენტები... ქალაქები... უტოპიაა უმეტესად. ყველაზე ნაკლებად კი წამებულთა და დაღუპულთა მორჩილება. აღმოაჩენ ამ მთვლემარე ქალაქების უმწეობას, სადაც მონატრებული სიტყვები წყვილებიან.

იმუშავე, ვიდრე ცეცხლს არ გახსნი და კვნესას არ გაიგონებ, ვიდრე ცალკეული ბგერებიდან სათქმელი არ ამოიზრდება.

მაშინ ამოატრიალებ შენს სურათებს, ფურცლებს და თითებს შორის მოძებნი:

მცხოვრები,

საქმე, ჩინოვნიკი.

ისინი ყველაზე ღრმად პატივცემულ, დაფასებულ, კათილდღეობისა და ფუფუნების ღიპიან ცეცხლში მოათავსე.

საქმის გამკეთებელი, გაკეთებული საქმე, გამოკეტე სამოთხის კარი და იატაკზე მოისროლე სიტყვები...

მაშინ შესაძლოა, ბარში დაბრუნება მოგინდეს, შემხვედრისათვის ნაძალადევად ხელის ჩამორთმევა, ან იმ ბიჭებთან შეერთება, მხრებთან მუქი თმა რომ არ ამოსდით...

ქუჩები არ ჰგავს შუბრას... მოედანი მოედანია...

ასე დაიარებიან ეგვიპტელები, დავინწყებიათ ქვეყანა... ერთმანეთს ხვდებიან, უახლოვდებიან და შორდებიან.

არაბულიდან თარგმნა ნინო დოლიძემ



ბული ნაციონალისტი, ეგვიპტის ჯარში მომსახურე მარქსისტული იდეებით გატაცებული აჰმად ტაჰა პოეტად, რომლის ლექსების დიდი ნაწილი სიურრეალიზმის ნიშნითაა აღბეჭდილი.

მისი პოეტური კრებულები თარგმნილია ინგლისურად. აქ წარმოდგენილია თარგმანები კრებულიდან „კედლების იმპერია“ (1992), რომელშიც 1987-1992 წწ-ში შექმნილი ლექსები და ჩანახატებია შესული.

ლიტერატურული პროექტი „პოეზიის 365“ დღე გრძელდება


პოეზიის კალენდრის – „პოეზიის 365 დღე“ – სარედაქციო ჯგუფმა უკვე დაიწყო 2012 წლისთვის მზადება, ლექსების და ფოტოების შერჩევა. ვინაიდან 2012 წლის იანვარი წელია, კალენდრისთვის შეირჩევა 366 ლექსი.

ავტორებს შეუძლიათ, ლექსები გამოგზავნონ ელექტრონულ მისამართზე: poezia365@yahoo.com. ლექსების რაოდენობა შეზღუდული არ არის. წინა წლებში გამოქვეყნებული პოეტური ნიმუშები აღარ გამოქვეყნდება. კალენდარში შეტანილი ლექსების რაოდენობას განსაზღვრავს არა ავტორის პოპულარობა, არამედ ლექსის ხარისხი. ამდენად, უცნობ ავტორებს საშუალება აქვთ, მომავალი წლის კალენდარში თავიანთი თავი იხილონ.

პერიოდულად გამოცხადდება კონკრეტული თემები, რაზეც შესაძლოა სარედაქციო ჯგუფმა მოითხოვოს ლექსების გამოგზავნა. მოწყობა პოეზიის სალამოები. ერთი ასეთი სალამო 8 მარტს უკვე ჩატარდა არტ-კაფე „ქარავანში“.

ლექსის ავტორმა უნდა გაითვალისწინოს კალენდრის ფორმატი და შინაარსი.

პოეზიის კალენდრის სარედაქციო ჯგუფი





მარგერიტ იურსენარი
მარკოს ლიმილი

დიდი ფრანგი მწერალი – რომანისტი, ესეისტი, პოეტი, დრამატურგი, კრიტიკოსი და მთარგმნელი – მარგერიტ იურსენარი (მისი ნამდვილი სახელი მარგერიტ დე კრეიანკურია) 1903 წლის 8 ივნისს დაიბადა ბრიუსელში, არისტოკრატიულ ოჯახში. დედა მალევე გარდაეცვალა და ბავშვის აღზრდა მამამ, მიშელ დე კრეიანკურმა ითავა. მამამ შვილს კერძო აღმზრდელ-მასწავლებლები დაუქირავა და ბრწყინვალე განათლება მისცა. მარგერიტი ადრევე ენაირა ევროპულ ჰუმანისტურ და ანტიკურ კულტურას, ისწავლა ბერძნული და ლათინური ენები. განსაკუთრებით საბერძნეთი, ბერძნული კულტურა უყვარდა მთელი ცხოვრება.

მიშელ დე კრეიანკურს მოგზაურობა იზიდავდა და პატარა მარგერიტმაც მამასთან ერთად მოიარა ინგლისი, საფრანგეთის სამხრეთი, შვეიცარია და იტალია.

მისი ლიტერატურული დებიუტი 1921 წელს შედგა, როდესაც, მარგერიტ იურსენარის ფსევდონიმით (იურსენარი მისი გვარის არასრული ანაგრამაა), პოემა „ქიმერათა ბაი“ გამოაქვეყნა. მაგრამ იურსენარის პირველი სერიოზული ლიტერატურული ნაწარმოები იყო 1929 წელს გამოქვეყნებული რომანი „ალექსისი, ანუ ამაო წინააღმდეგობა“, რომელიც ლოზანაში დაიწერა და რომელშიც ჟიდისა და რილკეს გავლენა იგრძნობოდა. ამ ნაწარმოებს მაშინვე დადებითად გამოეხმაურა ფრანგი კრიტიკოსი ედმონ ჟალუ.

1929 წელს მამა გარდაეცვალა, რის შემდეგაც 26 წლის მარგერიტმა ბოჰემური ცხოვრება დაიწყო. ბევრს მოგზაურობდა. ხან პარიზში ცხოვრობდა, ხანაც ლოზანას, ათენს, ვენას, სტამბოლსა ან მშობლიურ ბრიუსელს ამჯობინებდა.

1936 წელს გამოვიდა „ცეცხლი“, ხოლო 1938 წელს – „აღმოსავლური ნოველები“ (სწორედ ნოველათა ამ კრებულში შედის „მარკოს ლიმილი“), რომელიც ფაქტობრივად ავტორის მოგზაურობათა კვალდაკვალ ინერებოდა. ერთი წლის

გაგრძელება 72-ე გვერდზე

თბომავალი შეუმჩნევლად ირწეოდა კამკამა წყალზე, ვით ზღვაზე მოტივიტივე უმოძრაო მედუზა. მთებს შორის მოქცეული ვიწრო სივრცეებიდან თვითმფრინავის გუგუნის ისმოდა ჯიუტი მწერის აუტანელი ზუზუნით. ზაფხული იყო, მშვენიერი ამინდი იდგა; შუადღე სამიოდე საათის გადასული თუ იქნებოდა, მზე კი, უკვე, მეჩხერი ხეებით მოფენილი ჩერნოგორიის ალპების ხრიოკ შტოებს მოჰფარებოდა. გაშლილ ზღვას დილით საოცარი სილურჯე დაჰკრავდა, თუმცა ახლა მუქად შეფერილიყო იმ დაკლაკნილ, გრძელ ფიორდში, რომელიც უცნაურად მოსდგომოდა ბალკანეთის ნაპირებს. სახლების დაბალი, სადა ფორმები და მკაფიო, ნათელი პეიზაჟი უკვე სლავური იყო, თუმცა ფერთა იდუმალი ძალა და უკიდევანო ზეცის სილამაზე კვლავაც აღმოსავლეთსა და ისლამურ სამყაროს მოგაგონებდათ. მგზავრების უმეტესობა ნაპირზე გადასულიყო; ისინი თეთრფორმიან მებაჟეებსა და სამკუთხა სატევრებით შეიარაღებულ, უნაკლო აღნაგობის, მთავარანგელოზებივით პირმშვენიერ ჯვარისკაცებს შერეოდნენ და რალაცას არკვევდნენ. ბერძენმა არქეოლოგმა, ეგვიპტელმა ფაშამ და ფრანგმა ინჟინერმა ზედა გემბანზე დარჩენა ამჯობინეს. ინჟინერმა ლუდი შეუკვეთა, ფაშამ ვისკი ამჯობინა, ხოლო არქეოლოგმა – ცივი ლიმონათი.

– ეს მხარე მუდამ მღელვარებით მავსებს, – თქვა ინჟინერმა. – კოტორის ეს სანაპირო, რაგუზის სანაპიროსთან ერთად, ალბათ ერთადერთი გასასვლელია ხმელთაშუა ზღვაზე ამ უზარმაზარი სლავური მხარისთვის, ბალკანეთიდან ურალამდე რომ გადაჭიმულა; მხარისთვის, რომლისთვისაც უცხოა ევროპის რუკის ცვალებადი გამიჯვნები და თამამად აქცევს ზურგს ზღვას, რომელიც მას-

ში მხოლოდ კასპიის ზღვის, პონტოს ევქსეინოსის, ფინეთისა თუ დალმაციის სანაპიროთა დახლართული, ვიწრო სრუტეებით აღწევს. და ამ ვრცელ მიწაზე, ეთნიკური მრავალფეროვნება ისევე არ არღვევს ამ კავშირის იდუმალ მთლიანობას, როგორც ტალღების დგაფუნის არ ხელყოფს ზღვის დიდებულ მონოტონურობას. მაგრამ ის, რაც ამ წუთას მაინტერესებს, სწორედ კოტორია, და არა გეოგრაფია ან ისტორია. კოტორის უბე, „ბოკა კოტორსკა“, როგორც აქაურები ეძახიან... კოტორი, სწორედ ისეთი, როგორსაც ამ იტალიური თბომავლის გემბანიდან ვხედავთ; უკარება, პირქუში, მთებს შუა ჩამალული კოტორიც მიყვარს, ცეცხინესკენ ამავალი თავისი მიხვეულ-მოხვეული გზით, და სლავური ლეგენდების, საგმირო სიმღერების დროინდელი კოტორიც, რომლის პირქუშობას ეს ლეგენდები, ვგონებ, ბევრს არაფერს მატებს. ურჩი კოტორიც მხიბლავს, რომელიც ერთ დროს იმ ალბანელ მუსულმანთა უღელქვეშ გმინავდა, რომელთა მიმართ სერბების ეპიკური პოეზია, – თქვენ ხომ კარგად გესმით, რატომაც, პატივცემულო ფაშავ, – მიუკერძოებელი ვერ იქნება. ლუკიადის, თქვენ ხომ წარსული ისე იცით, როგორც ფერმერმა იცის თავისი კარ-მიდამოს ყველა კუთხე-კუნჭული; დარწმუნებული ვარ, არ მეტყვით იმას, მარკო კრალევიჩის შესახებ არაფერი მსმენიაო?

– მე არქეოლოგი ვარ, – უპასუხა ბერძენმა და ლიმონათიანი ჭიქა იქვე ახლოს ჩამოდგა, – და ჩემი ცოდნაც ნაკვეთი ქვებით შემოიფარგლება, თქვენს სერბ გმირებს კი, ქვის კვეთაზე მეტად, ვგონებ, ხმლის ქნევა და ცოცხალი ადამიანების ჩეხვა ემარჯვებოდათ. თუმცა, ამ მარკომ მეც დამაინტერესა; მის კვალს კი აქედან – ლეგენდის დაბადების ადგილიდან

– ძალიან შორს, სუფთა ბერძნულ მი-
ნაზე ნავანყდი; დიახ, ბერძნულზე,
მიუხედავად იმისა, რომ იქ ღვთის-
მომშიმა სერბებმაც საკმაოდ ლამაზი
მონასტრები ააგეს...

– ათონის მთაზე, – შეაწყვეტინა
სიტყვა ინჟინერმა. – მარკო კრალევი-
ჩის უზარმაზარი ძვლები სადაც იქ,
იმ წმინდა მთაზე მარხია, სადაც შუა
საუკუნეების შემდეგ ბევრი არაფერი
შეცვლილა, გარდა ალბათ სულიერი
სიმამაცისა, და სადაც ექვსი ათასი
ბერძონაზონი, ნანაგები და მოფარ-
ფატე წვერები რომ ამშვენებთ, დღე-
საც ლოცულობს იქაური წმინდა ადგ-
ილების ღვთისმომშიმ მფარველთა,
ტრაპიზონის პრინცთა სულელების საცხ-
ონებლად, რომელთა მოდგმა უკვე
საუკუნეებია, რაც ამოწყდა. რა საა-
მოა იმის გაფიქრება, რომ დავიწყება
ისეთი სწრაფი და ყოვლისმომცველი
არაა, როგორც ჩვენ გვგონია, და რომ
დედამინაზე კიდევ დარჩა ადგილი,
სადაც ჯვაროსნული ომების დრო-
ინდელი დინასტია კვლავაც ცოცხ-
ლობს რამდენიმე მცხოვანი მღვდლის
ლოცვებში! თუ არ ვცდები, მარკო
ოტომანთა წინააღმდეგ გამართულ
ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა ბოს-
ნიაში თუ ხორვატთა ქვეყანაში, მა-
გრამ მისი უკანასკნელი სურვილი ის
იყო, ათონზე, მართლმადიდებლური
სამყაროს ამ ერთგვარ სინას მთაზე,
ეპოვა სამუდამო განსასვენებელი; ჰო-
და, თანამებრძოლებმა, მიუხედავად
აქაური ზღვისთვის ჩვეული რიფების
სიმრავლისა და მახეებისა, თურქული
გალერები რომ უგებდნენ, ბარკით
მაინც მოახერხეს მისი ცხედრის იქ
გადასვენება. ლამაზი ისტორიაა, რო-
მელიც, არ ვიცი რატომ, მეფე არტუ-
რის ზღვით ბოლო მოგზაურობას მა-
გონებს...

გმირები დასავლეთშიც არიან, მა-
გრამ ისინი თითქოს პრინციპთა აბ-
ჯარს შეუბოჭავს, ისევე როგორც შუა
საუკუნეების რაინდებს ბოჭავდა რკი-
ნის ბაკანი. ამ ველური სერბის შემთხ-
ვევაში კი საქმე გვაქვს ყველაფრისგან
თავისუფალ გმირთან. თურქებს, როცა
მარკო მათ ეკვეთებოდა, ალბათ ეგო-

ნათ, თავზე ვეება მუხა, მთა გვეცემოა.
მე გითხარით, იმხანად ჩერნოგორიაში
ისლამი მძლავრობდა-მეთქი. სერბებს
ძალზე მცირერიცხოვანი რაზმები ჰყ-
ავდათ საიმისოდ, რომ წინადაცვეთილ
მაჰმადიანებს დაუფარავად შეს-
ცილებოდნენ ჩერნოგორაზე, იმ „შავ
მთაზე“ ბატონობას, საიდანაც ამ მხ-
არის სახელი მომდინარეობს. მარკო
კრალევიჩმა, ამ დაუმორჩილებელ
მხარეში, საიდუმლო კავშირების გაბ-
მა დაიწყო მოსაჩვენებლად გამუსულ-
მანებულ ქრისტიანებთან, უკმაყო-
ფილო მოხელეებთან, იმ ფაშებთან,
რომელთაც სულთნის რისხვა და
სიკვდილი ელოდათ; მოკავშირეებთან
პირისპირ შეხვედრა სულ უფრო და
უფრო აუცილებელი ხდებოდა. მაგრამ
ვეება ტანი მარკოს ხელს უშლიდა
იმაში, რომ თავი მათხოვრად, ბრმა
მუსიკოსად ან გოგოდ გაესაღებინა და
მტრის მიერ დაპყრობილ ტერიტორი-
აზე გადასულიყო, მიუხედავად იმისა,
რომ გადაცმას და თავის გოგოდ გას-
აღებას, საკუთარი სილამაზის გამო,
ადვილად მოახერხებდა: მას მაინც
იცნობდნენ უზარმაზარი ჩრდილით.
ამაო იყო იმაზე ფიქრიც, რომ ნავით
შეუმჩნევლად მისდგომოდა სანაპი-
როს რომელიმე მივარდნილ კუთხეს:
ურიცხვი გუშაგი, კლდეებში რომ
ჩაეყენებინათ, მარკოს – ამ ერთად-
ერთ და მუდამ უხილავ ადამიანს –
ხილულ სიმრავლესა და დაულალაო-
ბას უპირისპირებდა. მაგრამ, თუკი
წყალზე ნავით შეიძლება დაგინახონ,
წყალქვეშ ადვილად დაიმალები, თუ
კარგი მოცურავე ხარ, და თევზების
გარდა არც არავის ეცოდინება შენი
ასავალ-დასავალი. მარკო ტალღებს
აჯადოებდა; მან ოდისევსივით – თა-
ვისი ძველი ითაკელი მეზობელივით
– კარგად იცოდა ცურვა. მარკოს ქა-
ლების მოჯადოებაც ეხერხებოდა.
ზღვის დახლართულ ფარვატერებს ის
ხშირად მოჰყვებოდა კოტორში, ხის
სახლისკენ, რომელიც ჭიებს ისე გამო-
ეხრათ, რომ ზღვის ყოველ მოქცევაზე
ყანყალბდა. ამ სახლში სკუტარის
ფაშის ქვრივი ცხოვრობდა, რომელიც
ღამეებს მარკოზე ფიქრში ატარებდა,



„არამწერლურ საქმეზე“ სხვა
რამეებიც მაფიქრდება თუ მახ-
სენდება, მაგრამ ამაზე მკაფიოდ
– არაფერი. არადა, ტირადის მთა-
ვარი თემა, შეიძლება, იმდენად
„არამწერლური საქმე“ არ იყოს,
რამდენადაც – „არაპოეტური
მინა“. თუმცა ის კი ნამდვილია (და
მოცემული შემთხვევისთვის, ალ-
ბათ, მნიშვნელოვანი), რომ მასში
ბევრი არაფერია გამოგონებული,
ანუ, ზოგი ფილმისა არ იყოს,
ეს ლექსიც „რეალურ ფაქტებს
ეფუძნება“.

**დიოფიტიშური ტირადა
(ბატის ფრთისა და დახლის
თანხლებით)**

თაკარა მზით და ღრიანცელით
თავი მეცხება.
ბრიყვი ვყოფილვარ –
ეს-ეს არის
შემატყობინეს.
ვდგავარ აქ, სადაც დახლებია
და ვილექსები
მე – ჰოტი და, შეთავსებით,
მეკარტოფილე.
ვიცი, თქვენ მაინც არ იფიქრებთ,
გასულელდაო,
არ გადაგცდებთ ყელში შაქრის
მამალოები, –
უნყით: ბაზარი ბაზარია
და სულ ერთია,
სტამბულის არის,
ჩიტების თუ
ამაოების.
ასე რომ არა, ვახსენებდი
ფრანსუა-ფრანცუზს,
არ მოვყვებოდი უთავბოლო
ფიცილს და ჩიჩინს,
მხოლოდ დაძქენდი:
მართალია,
ძალიან არც მსურს,
არც მომდევს-მეთქი
ყაჩაღობის
საშური ნიჭი.
ხოლო ბაზარი? – თუ მიუდექ
ამ საქმეს ჭკუით
და შნო-ლაზათით, შეიძლება
არც იზარალო!
(მერე რა, თუკი ცოტა-ცოტას
სასწორი ტყუის,
როცა მართალი ქვეყანაზე
კაცი არ არი?)

გაგრძელება 73-ე გვერდზე



შემდეგ, 1939 წელს, გამოქვეყნდა რომანი „ბოლო გასროლა“.

იურსენარის ნაწარმოებები ხშირად ჰომოსექსუალურ ან ბისექსუალურ სიყვარულზეა (თავადაც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისა გახლდათ).

მალე იურსენარი აშშ-ში გაემგზავრა, სადაც მას თავისი რჩეული, გრეის ფრიკი ელოდებოდა. მწერალი სწორედ მასთან ერთად ცხოვრობდა 1979 წლამდე, გრეისის გარდაცვალებამდე (სხვათა შორის, სწორედ გრეის ფრიკმა თარგმან ინგლისურად იურსენარის არაერთი ნაწარმოები, მათ შორის „ადრინანეს მოგონებები“).

1950 წლიდან მარგერიტი და გრეისი საცხოვრებლად აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, კუნძულ მაუნტ-დენერტზე (მენის შტატი) გადავიდნენ, სადაც მწერალმა სახლი იყიდა. იურსენარმა სწორედ აქ გაატარა დარჩენილი ცხოვრება. 1947 წელს მან აშშ-ის მოქალაქეობა მიიღო; 1953 წლამდე ასწავლიდა ფრანგული ლიტერატურის ისტორიას ნიუ-იორკში, სარა ლორენსის კოლეჯში.

1951 წელს გამოვიდა რომანი „ადრინანეს მოგონებები“, რომელმაც მარგერიტ იურსენარს მსოფლიო აღიარება მოუტანა, ხოლო 1968 წელს – რომანი „ფილოსოფიური ქვა“, რომლისთვისაც მწერალმა პრესტიჟული ლიტერატურული პრემია „ფემინა“ მიიღო.

იურსენარი ბრწყინვალედ ფლობდა ბერძნულ და ლათინურ ენებს, თარგმნიდა ძველ ბერძენ პოეტებს (და თარგმნიდა, პირველ რიგში, საკუთარი სიამოვნებისთვის). 1979 წელს გამოვიდა წიგნი „გვირგვინი და ლირა“ – ძველი ბერძნული პოეზიის ანთოლოგია, იურსენარისვე კომენტარებით. მანვე თარგმანა ფრანგულად კონსტანტინოს კავაფისის პოეზია. მწერალი თარგმნიდა ინგლისურიდანაც (თარგმანა ვირჯინია ვულფის, ჰენრი ჯეიმზის, ჯეიმზ ბოლდუინისა და სხვათა ნაწარმოებები).

მარგერიტ იურსენარის შემოქმედება მის სიცოცხლეშივე იქცა კლასიკად. მწერლის სიცოცხლე-

დასასრული 74-ე გვერდზე

დილის საათებს კი – მის ლოდინში. ქალი ნელსაცხებლით უზედლა მარკოს ზღვის ნაზი ალერსით გათოშილ ტანს, რომლის გათბობასაც მერე, მოსამსახურე ქალებისგან უჩუმრად, სანოლში განაგრძობდა. ქალი მას მსტოვრებთან და მოკავშირეებთან დამეულ შეხვედრებს უადვილებდა. შუალამე რომ გადავიდოდა, ქვრივი ამ დროს ჯერ ცარიელ სამზარეულოში ჩადიოდა და მარკოს საყვარელ კერძებს უმზადებდა. ჭაბუკი უსიტყვოდ იტანდა მის მიძიმედ მოთახთახე ძუძუებს, სქელ ფეხებს, ნარბებს, შუბლის შუაგულში ერთმანეთს რომ უერთდებოდა, მონიფული ქალის ხარბ, ეჭვიან სიყვარულს; იგი ძლივს იოკებდა ბრაზს, როდესაც ქალი, პირველის გადასანერად მუხლმოდრეკილი მარკოს დანახვისას, გვერდზე გადააფურთხებდა ხოლმე. ერთ ღამესაც, – მარკოს მეორე დღეს რაგუზაში ცურვა-ცურვით უნდა ჩაეღწია, – ქვრივმა, როგორც ყოველთვის, სამზარეულოს მიაშურა, რომ მისთვის საჭმელი მოემზადებინა. თვალზე ცრემლი მოადგა, რის გამოც ჩვეული მონდომება ველარ გამოიჩინა და ხორცი დაენვა; თავისდა საუბედუროდ, კერძი მაინც აუტანა საყვარელს. ამასობაში მარკო დამთვრალიყო; მისი მოთმინება, ამჯერად, იქვე მდგარი დოქის ფსკერზე ჩარჩენილიყო. კაცმა საჭმელში ამოსვრილი ხელი ქალს თმებში ჩაავლო და მთელი ხმით დაუღრიალა:

– ეშმაკმა დაგლახვროს, წყეულო ძუკნავ. გინდა, ბებერი თხის ხორცი მაჭამო?

– არა, ეგ საუკეთესო თიკნის ხორცი იყო, არვეში ყველაზე ნორჩისა, – მიუგო ქვრივმა.

– გამომშრალი კი იყო, შენი – ბებერი ალქაჯის – ხორცივით, და თან შენსავით ყარდა, – დაუყვირა ახალგაზრდა მთვრალმა ქრისტიანმა, – ნეტავ შენც ასე მოიხრაკებოდე ჯოჯოხეთის ცეცხლში!

და, ფეხის ერთი მოქნევით, მარკომ ლანგარს, და მასთან ერთად რაგუსაც, იმ ფართოდ გაღებულ ფანჯარაში

გადაუძახა, ზღვას რომ გადაჰყურებდა.

ქვრივს ხმა არ ამოუღია, ისე მორეცხა ცხიმით მოსვრილი იატაკი, მერე კი ტირილისგან გასივებული სახეც ჩამოიბანა. ამჯერადაც ისეთივე ნაზი და ვნებიანი იყო ლოგინში, როგორც წინა ღამეს; ხოლო განთიადისას, როდესაც ჩრდილოეთის ქარმა ყურეში ტალღები ნელ-ნელა ააბობოქრა, ქალმა მარკოს ტკბილი სიტყვებით თავბრუ დაახვია და ურჩია, მოგვიანებით წასულიყო. მანაც დაუჯერა და როცა ძლიერ ჩამოცხა, ისევ წამოწვა, რომ კარგად გამოეძინა. ის იყო, ახალგაღვიძებული მარკო ზანტად იზმორებოდა ფანჯრის წინ, – გამვლელი ვერ დაინახავდნენ, რადგან ერთობ რთული მონყობილობის დარაბები ფარავდა, – როცა უეცრად მზის შუქზე მოლაპლაპე თურქულ ხმლებს ჰკიდა თვალი: თურქი ჯარისკაცები სახლს ალყაში აქცევდნენ და ყველა გასასვლელს იკავებდნენ. მარკო აივინსკენ გაქანდა, რომელიც ზღვაზე გადმოკიდებულიყო უზარმაზარი სიმალლიდან: აზვირთებული ტალღები ისეთი ზათქით ეხლებოდა კლდეებს, გეგონებოდათ, მეხი ვარდებო. მარკომ პერანგი შემოიფლითა და თავით გადაეშვა ქარიშხალში, რომელთან შებმასაც ვერც ერთი ბარკა ვერ გაბედავდა. მის ქვეშ ტალღათა მთები აგორდნენ და დატრიალდნენ; თავად დატრიალდა ტალღათა მთების ქვეშ. ჯარისკაცებმა, ქვრივის წინამძღოლობით, მთელი სახლი გაჩხრიკეს, ყველაფერი გადააქოთეს, მაგრამ გაუჩინარებული ახალგაზრდა გოლიათის კვალს ვერ მიაგნეს; ბოლოს, გაფხრენილმა პერანგმა და აივინის განგრეულმა რიკულებმა ისინი სწორ კვალზე დააყენა. ჯარისკაცები მაშინვე ღრიანცელით გაცვივდნენ ზღვის ნაპირზე, ჯავრისა და შიშისგან გაჰყვიროდნენ, თუმცა ძალაუნებურად უკან იხევდნენ, როგორც კი მათ ფეხებს ზათქით ასკდებოდა მძვინვარე ტალღა. გააყვებული ქარის ზუზუნი მარკოს ხარხარად ეჩვენებოდათ, ტალღების თავხედი ქაფი კი,

რომელიც მაინც აღწევდა მათ სახე-ბამდე, მარკოს ფურთხად. ორი საათი ცდილობდა მარკო, გაეცურა, მაგრამ წინ ერთი გოჯითაც ვერ წაინია. მტრები თავში უმიზნებდნენ შუბებს, მაგრამ ქარი მათ მიმართულებას უცვლიდა; მარკო ჯერ გაუჩინარდებოდა, შემდეგ ისევ ჩნდებოდა იმავე გაავეზული, ვეება ტალღის ქვეშ. ბოლოს, ქვრივმა თავისი ყელსახვევი მაგრად გამოაბა ერთ-ერთი ალბანელის გრძელ ქამარს; ერთმა მოხერხებულმა მეთევზემ, რომელიც ოსტატურად იჭერდა თინუსებს, მოახერხა, მარკო აბრეშუმის ამ მარყუჟიან ქამანდში მოემწყვდია. ასე რომ, ყელზე მარყუჟმოჭერილი, ნახევრად გაგუდული მოცურავე იძულებული გახდა, დანებებოდა მტრებს, რომელთაც ის ნელ-ნელა ნაპირზე ამოათრიეს. ადრე, თავის მხარეში, მთებში ნადირობისას, მარკოს არაერთხელ ჰქონდა ნანახი, თუ როგორ იმკვდარუნებს ხოლმე თავს ზოგიერთი ნადირი, მონადირემ ბოლო რომ არ მოუღოს. გუმანმა უკარნახა, სწორედ ამგვარი ეშმაკობისთვის მიემართა. გაცრეცილსახიანი ჭაბუკი, რომელიც თურქებმა ნაპირზე ამოათრიეს, ისეთი ცივი და გაშეშებული იყო, სამი დღის მკვდარი გეგონებოდათ. მისი თმები, ზღვის ქაფი რომ მიჰკვროდა, ჩავარდნილ საფეთქლებს მისწებებოდა; მის უძრავ თვალებში აღარ აირეკლებოდა ცისა და საღამოს უსასრულობა; ტუჩები, რომელსაც ზღვის მარილი შერჩენოდა, გაქვავებულ ყბებს შეჰყინოდა; მკლავები უსიცოცხლოდ ჩამოსცვენოდა; ხოლო გულისცემა... მარკოს ისეთი ფართო გულმკერდი ჰქონდა, მის გულისცემას მაინც ვერ გაიგებდნენ. სოფლის უხუცესები მარკოს სხეულზე დაიხარნენ და ისე ახლოდან დაუნყეს თვალიერება, რომ მათი გრძელი წვერები ჭაბუკს ერთხანს სახეზე უღიტინებდა, მერე თავები ასწიეს და ყველამ ერთხმად წამოიძახა:

– ალაჰ! ვირთხასავით გასძვრომიასული, ჩაძალღებულა. ავიდოთ და ზღვაში გადავუძახოთ, რომელსაც ყველანაირი სიბინძურე მიაქვს; ასე

რომ, მისი გვამი ჩვენს მიწას აღარ ნაბილწავს.

მაგრამ ბოროტმა ქვრივმა ჯერ ტირილი მორთო, მერე კი სიცილით შესძახა მათ:

– ერთი ქარიშხალი არ ეყოფა მარკოს ზღვაში დახრჩობას, ისევე როგორც ერთი ყულფი – მის მოშობას. მართალია, ასე გამოტილს ხედავთ, მაგრამ არ გეგონოთ, რომ მკვდარია. თუ მას ზღვაში გადააგდებთ, იგი ტალღებსაც ისე მოაჯადოებს, როგორც მე, საბრალო ქალი, მომაჯადოვა, და ტალღები მას თავის ქვეყანაში მიიყვანენ. აიღეთ ურო და ლურსმნები და ჯვარს აცვით ეგ ძაღლის ნაშობი, როგორც მისი ღმერთი აცვეს ჯვარს, რომელიც ამჯერად ვეღარ დაეხმარება. აი მაშინ ნახეთ, ტკივილისაგან როგორ მოეკეცოს მუხლები და როგორი ყვირილი დასცდეს მის წყეულ პირს.

ჯალათებმა ნავების შემკეთებლის დაზვიდან ურო და ლურსმნები მოიტანეს და ახალგაზრდა სერბს სამსჭვალეები ჯერ ხელებში ჩააჭედეს, მერე კი ტერფებში. მაგრამ წამებულის სხეული არ განძრეულა: ნაკვითი კი არ შესტოკებია სრულებით უგრძნობელ სახეზე; თვით სისხლიც კი მისი გადახსნილი ხორციდან ძალზე ნელა, ზანტად წვეთავდა, ვინაიდან მარკო საკუთარ გულსაც და ძარღვებსაც ერთნაირად მბრძანებლობდა. მაშინ უხუცესების თავკაცმა ურო შორს მოისროლა და ვიშვიშით წამოიძახა:

– ალაჰმა გვაპატიოს, მიცვალებულის ჯვარზე გაკვრა რომ ვცადეთ! მოდი, ცხედარს კისერზე დიდი ქვა გამოვავთ და ზღვაში მოვისროლოთ, რათა უკან აღარასოდეს მოგვიბრუნოს. დაე, ზღვის უფსკრულმა ერთხელ და სამუდამოდ ჩანთქას ჩვენი შეცდომა.


– ათასი ლურსმანი და ასი უროც არ ეყოფა მარკო კრალევიჩის ჯვარზე გაკვრას, – უთხრა მათ ბოროტმა ქვრივმა. – აიღეთ გავარვარებული ნახშირი და მკერდზე დააყარეთ. აი მაშინ ნახეთ, საცოდავი მატლივით, როგორ დაიგრიბოს ტკივილისაგან.

ჯალათებმა ნავების მგმანავის ქუ-



მაგრამ ბედისგან ძნელად ვინმეს ნახავ დანდობილს და თუ განყრება იღბალი და მეც არ დამინდობს, თავს მივანებებ უიმედოდ იაფ კარტოფილს, – უფრო სარფიანს გამოვიტან კიტრს და ჰამიდორს. ან რომანტიკულ-ეგზოტიკურ ბანან-ანანასს წონით ვიყიდი და გაცივიდი თითოდ, ორ-ორად და თუკი მუქთად არ გავატან ლამაზ მანანას, კი გავაკეთებ ერთი კაი წიგნის ჰონორარს... მაგრამ „ჩეკისტი“ ჩამოვიღის ბრძნული იერით, კიდევ ათასი ჩინ-მაჩინი და ეპოლეტი... საბრალო ისე შემომრჩება ჯიბე მშიერი და სევდიანად შემახსენებს, რომ ვარ პოეტი. თავგადაკლული დამიმონმებს ყველა თვისებაც: შემომჩვევია აჯაგრული ურვის ობობა და აქაც, თუმცა ღრიანცელით თავი ივსება, ყელში გამჩრია უპატრონო უთვისტომობა. ან როცა ვუმზერ კლიენტურას, აფოფრილ-მკივანს, მათანასწორებს ვინც ჯალათთან ანდა დებლთან, გგონიათ, გული არა მტკივა? პირიქით – მტკივა, და უფრო მეტიც – გული მტკივა დაბადებიდან. ჰოდა, სანამდე აიტანოს ყოფის ტაქტები ამ უცნაურმა, საოცარმა ჯადო-თილისმამ?! – ვიცი, გასკდება და არ ვიცი, რას შევასკები – სანერ მაგიდას თუ ტომარას კარტოფილისას. სრულყოფილებას თუ აკლია, მხოლოდ ის – ბასრი სამართებლით რომ მოცახცახე ვენას მოზომავ... ეგ რა, დახლის რომ მემოვა მაგივრად კასრი –

დასასრული 75-ე გვერდზე



შვედ დანიყო მისი ნაწარმოებების (კერძოდ, რომანების) გამოცემა „გალიმარის“ ძალზე პრესტიჟულ კოლექციაში „პლედარ ბიბლიოთეკა“, რაც საფრანგეთში იშვიათად ხდება.

1971 წელს იურსენარი აირჩიეს ბელგიის ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამეფო აკადემიის წევრად, ხოლო 1980 წელს – საფრანგეთის აკადემიის წევრად (მის არჩევაში დიდი წვლილი მიუძღვის ჟან დ'ორმესონს, ფრანგ მწერალსა და აკადემიკოსს). მარგერიტ იურსენარი იყო პირველი ქალი, რომელიც საფრანგეთის აკადემიის წევრი გახდა. აკადემიაში მწერალმა როჟე კაიუსას სავარძელი (სავარძელი №3) დაიკავა.

დარჩენილი ცხოვრება მწერალმა წერასა და მოგზაურობაში გაატარა. მას ხშირად იწვევდნენ საჯარო ლექციების ნასაკითხად მსოფლიოს ყველა კუთხეში.

დიდი წარმატება მოიპოვა იურსენარის ავტობიოგრაფიულმა ტრილოგიამაც „სამყაროს ლაბირინთი“: „ძვირფასი მოგონებები“ (1974), „ჩრდილოეთის არქივი“ (1977), „რა? მარადისობა“ (1988).

უნდა აღინიშნოს, რომ მარგერიტ იურსენარის ინტერესთა სფერო ფართოა, მწერლის შემოქმედება საზრდოობს როგორც ბერძნულ-რომაული ფილოსოფიითა და რენესანსული ჰუმანიზმით, ისე აღმოსავლური კულტურითაც.

იურსენარის შემოქმედება მოიცავს როგორც ისტორიულ რომანებს, ისე ესეებსა (მის კალამს ეკუთვნის ესეები პინდარზე, თომას მანზე, უაილდზე, ბორხესზე, მიქელანჯელოზე, ვირჯინია ვულფზე, იუკიო მისიმაზე, სელმა ლაგერლედზე, იაპონურ თეატრზე, ბეკონის ფერწერაზე...) და მოგონებებსაც. მაგრამ ის, რაც მთელ მის შემოქმედებას აერთიანებს და რაც მამინვე გვაჯადოებს იურსენარის ტექსტთან შეხებისას, მისი საოცარი ენაა, მისი დახვეწილი, კლასიკური სტილი, მისი ესთეტიზმი.

მარგერიტ იურსენარი გარდაიცვალა 1987 წლის 17 დეკემბერს, 84 წლის ასაკში. დაკრძალულია კუნძულ მანუტ-დეზერტის პატარა სასაფლაოზე.

რიდან ნაღვერდული ამოიღეს და ზღვის ტალღებში გათოშილ მოცურავეს ფართო გულმკერდზე წრიულად დააყარეს. ნახშირი ბოლომდე ჩაინვა, შემდეგ ჩაქრა და ბოლოს სულ გაშავდა, როგორც ხასხასა წითელ ვარდს მოსდის ხოლმე ჭკნობის შემდეგ. ცეცხლმა მარკოს მკერდზე დიდი, შავი რგოლი ამოჭრა, – ისეთი, როგორსაც ჯადოქრები ტოვებენ ხოლმე ცეკვის შემდეგ ბალახზე, – მაგრამ ვაჟს ერთიც არ დაუჟენსია, ის კი არა და, წამნამიც არ შესტოკებია.

– ალაჰ, – წამოიძახეს ჯალათებმა, – კიდევ ერთხელ შევეცოდეთ, რადგან მიცვალებულთა წამების უფლება მხოლოდ მაღალ ღმერთსა აქვს. მარკოს ძმისწულები და ბიძაშვილები მოგვადგებიან და მიცვალებულის შეურაცხყოფისთვის პასუხს გვაგებინებენ. ამიტომ, გვამი დიდი ქვებით ნახევრად საესე ტომარაში ჩავდოთ მალულად და ზღვაში ვისროლოთ, რათა ზღვამაც კი არ იცოდეს, თუ ვის გვამს ვუგდებთ ჩასანთქმელად.

– ჰოი, თქვე უბედურნო, – შესძახა მათ ქვრივმა, – იგი მკლავით გაარღვევს ტომარას, ქვებს კი შორს მოისვრის. ამას ისა სჯობს, სოფლიდან გოგოები მოაყვანინოთ და უბრძანოთ მათ, მარკოს გარშემო იცეკვონ ამ ქვიშაზე. აი მაშინ ვნახავთ, ისევე დატანჯავს თუ არა მას სიყვარულის სურვილი.

ჯალათებმა დაუჯერეს ქვრივს და სოფლიდან გოგოებს უხმეს; მათაც ფაციფუცით გადაიცვეს სადღესასწაულო კაბები და თან პატარა დოლები და ფლეიტები წამოიღეს, მერე ხელები ერთმანეთს ჩაჰკიდეს, რომ მიცვალებულის ირგვლივ ეცეკვათ. მოცეკვავეთა ფერხულს სათავეში ყველაზე ლამაზი გოგო ედგა, ხელში წითელი ხილაბანდით. იგი მაღალი იყო, ყავისფერი თმებითა და ქათქათა თეთრი ყელით მაშინვე გამოარჩევდით დანარჩენებისგან. თავისი სინარწარით, ის მოკუნტრუშე შველს, ჰაერში მოლივლივ შევარდნის მოგაგონებდათ. უძრავად გაშოტილ მარკოს, მართალია, სულ ოდნავ ეხებოდა ყმანვილი

ქალის შიშველი ფეხები, მაგრამ ნელ-ნელა მაინც მღელვარება დაეუფლა და გული სულ უფრო და უფრო გამაღებით და არათანაბრად აუძგერდა, თან ისე ძლიერ, რომ ვაჟს შეეშინდა, ვაითუ მაყურებლებმა გაიგონონო. ცოტა ხნის შემდეგ, მარკოს, ძალაუნებურად, ბაგეებზე მტანჯველი ბედნიერების გამომხატველი ღიმილი აღებეჭდა, მერე კი მისი ტურები ისე შეტოკდნენ, თითქოს საკოცნელად ემზადებინო. უკვე საღამოვდებოდა, არემარეს თანდათან ბინდი ეფინებოდა, რის გამოც ჯალათებმა და ქვრივმა უძრავად გაშოტილი ვაჟყაცის სახეზე ვერ შენიშნეს სიცოცხლის ნიშანი, მაგრამ მშვენიერ აიშეს არაფერი გამოჰპარვია: თვალს ვერ სწყვეტდა ახალგაზრდა კაცს, რადგან საოცრად ლამაზი ეჩვენა. უცებ, გოგო, მარკოს ღიმილი რომ არავის შეემჩნია, ცეკვა-ცეკვით მიუახლოვდა ჭაბუკს და წითელი ხილაბანდი ზედ სახეზე გადააფარა, მერე კი ამაყად წარმოთქვა:

– მე არ შემშვენიის მკვდარი ქრისტიანის წინაშე ცეკვა და მისი სახის ყურება, ამიტომაც დავაფარე ხილაბანდი. თან, მისი დანახვაც კი ზიზზსა მგერის.

თქვა და ისევ განაგრძო ცეკვა, როგორმე ჯალათების ყურადღება რომ გაეფანტა; ამასობაში კი დრო გავიდოდა და ლოცვის ჟამიც მოახლოვდებოდა, რის გამოც სანაპიროდან ყველანი წავიდოდნენ. და აი, როგორც იქნა, მოლას ხმამ, მაღალი მინარეთიდან, ყველას აუწყა, რომ დრო იყო ღმერთისთვის თავყვანი ეცათ. კაცები პატარა, უსწორმასწოროდ ნაგები მერქთისკენ გამართნენ, არაქათგამოცლილი გოგოები კი ჩამწკრივდნენ და ქოშების ბაკუნით ქალაქის გზას დაადგნენ. აიშეც წავიდა, თუმცა თავს მალიმალ უკან აბრუნებდა და ზღვის ნაპირისკენ იყურებოდა. იქ მხოლოდ ეჭვით შეპყრობილი ქვრივი დარჩა, რომ ამ თაღლითი ჭაბუკის გვამზე თვალი სჭეროდა. უეცრად, მარკო წამოიძარა; მარჯვენა ხელით მან მარცხენიდან ამოიგლიჯა ლურსმანი, ქვრივს წითურ თმებში სწვდა და ლურსმანი

ყელში გაურჭო; შემდეგ მარცხენათი ამოიძრო ლურსმანი მარჯვენა ხელიდან და ქალს შუბლში ჩაასო. ბოლოს, ორი წვეტიანი, სოლისებური ქვა ამოიგლიჯა, მისთვის ფეხებში რომ ჩაესოთ, და ეს სოლები ქვრივს თვალებში ჩასთხარა. ჯალათები რომ დაბრუნდნენ, შიშველი გმირის ნაცვლად სანაპიროზე ბებერი ქალის დაკრუნხული გვამი დახვდათ. ქარიშხალი ჩამდგარიყო; ამის მიუხედავად, აქოშინებული, ლამის სულგამძვრალი მდევარი ბარკებით ამაოდ გამოეკიდა ზღვის წიაღში გაუჩინარებულ მოცურავეს. თავისთავად ცხადია, რომ მარკომ კვლავ დაიპყრო ეს მხარე და ის მშვენიერი გოგოც მოიტაცა, რომელმაც ერთხელ ბაგეზე ღიმილი მოჰგვარა. მაგრამ სიმართლე გითხრათ, მე გულს არც მისი დიდება მიჩუყებ და არც მათი ბედნიერება; მღელვარებით სწორედ ტანჯვისა და ნეტარების ეს საოცარი ნაზავი, ეს ღიმილი მავსებს, იმ ნაწამები ადამიანის ბაგეებზე აღბეჭდილი ღიმილი, რომლისთვისაც სურვილი – ყველაზე საამო სატანჯველია. შეხედეთ, უკვე ბინდდება. ძნელი არაა, წარმოვიდგინოთ კოტორის სანაპიროზე შეჯგუფებული ჯალათები, რომელნიც ანთებული ჩირაღდ-

ნების შუქზე აღასრულებენ თავიანთ საქმეს, მოცეკვავე გოგო და ჭაბუკი, რომელსაც არ ძალუძს, შეებრძოლოს სილამაზეს.

– უჩვეულო ისტორიაა, – თქვა არქეოლოგმა, – თუმცა თქვენ მიერთავაზებული ვერსია შედარებით ახალი უნდა იყოს. ალბათ სხვა ვერსიაც არსებობს, უფრო ადრინდელი. ასეა თუ ისე, გავიკითხავ.

– შესაძლოა, ამაოდ გაირჯეთ, – მიუგო ინჟინერმა. – ეგ ამბავი სწორედ ისე მოგიყვებით, როგორც მე მიაბბეს გლახებმა ერთ-ერთ სოფელში, სადაც გასულ ზამთარს აღმოსავლეთის ექსპრესისთვის გვირაბი გაგყავდა. ლუკიადის, მე სულაც არ მინდა, აუგი ვთქვა თქვენს ბერძენ გმირებზე. როცა ჯავრი უკლავდათ გულს, ისინი კარავში ჩაიკეტებოდნენ ხოლმე; დაღუპულ მეგობრებს, დამწუხრებულნი, ღრიალით დასტიროდნენ; დაპყრობილი ქალაქების ირგვლივ მტრის ცხედრებს ფეხებით დაათრევდნენ. მაგრამ დამიჯერეთ, ლუკიადის, თუ რამე აკლია „ილიადას“, ეს სწორედ აქილევსის ღიმილია.

ფრანგულიდან თარგმნა
ილია გასვიანმა



განადღებული მექნებოდა გენიოსობა... ვიცი, მიჯერებთ, მაგრამ ეჭვიც მორბის ძუნძულით, გაბზრებული ჩემი ბოდვის უთავბოლოობით. მაკვირვებთ, როგორ არ იკმარეთ ასე უნდოლი სახეები და უღიმღამო მეტაფორები! აჰა, ინებეთ, სანამ გეტყვით ღამეს მშვიდობის, კიდევ საბუთი უტყუარი და თვალსაჩინო: თუმცა წააგავს დახლი ესე ნოეს კიდობანს, მეტი არ არის ჩემი მტერი – გადამარჩინოს... მაგრამ გავჩუმდე, თორემ ფიქრობთ, ფუჭად ვილღები თეატრალური ორი ნიღბის ფეთქვა-ფოფინით. ერთი ინამეთ: მართლა მე ვარ, რისი ნიღბები! მე – პოეტი და, შეთავსებით, მეკარტოფილე.
1995

ზაზა ზივილაშვილი

„ინტელექტი“ ბთავაზობთ

ბერნარდ შოუ

„პიგმალიონი“, „წმიდა იოანა“


„პიგმალიონის“ პირველი ჩვენების წინ ბერნარდ შოუმ უინსტონ ჩერჩილს მისწერა: „აი, ორი ბილეთი ჩემი ახალი პიესის პრემიერაზე – ერთია თქვენთვის, მეორე – თქვენი მეგობრისთვის, ცხადია, თუ გყავთ“. ჩერჩილმა უპასუხა: „უნუხვარ, რომ პრემიერას ვერ დავესწრები, მაგრამ მოხარული ვიქნები, ვნახო მეორე წარმოდგენა, თუ ის, რა თქმა უნდა, ოდესმე შედგება“.

1925 წლის ნობელიანტის, ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“ ინგლისურიდან მოსე ქარჩავამ და იაკობ ტრიპოლსკიმ თარგმნეს. პიესა სამჯერ დაიდგა საქართველოში. პირველად 1955 წელს ლილი იოსელიანმა განახორციელა მარჯანიშვილის თეატრში, 80-იან წლებში კოტე სურმავემ სოხუმის თეატრში. მესამე კი, აკა მორჩილაძისა და ლევან ნულაძის მიერ ადაპტირებული

ვარიანტი, 2008 წელს დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში და დღესაც რეპერტუარშია.

„წმიდა იოანა“ (ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ჯაბაშვილმა) განსაკუთრებული პოპულარობით კათოლიკურ ქვეყნებში სარგებლობდა და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს რამდენიმე თეატრშია განხორციელებული, მას უფრო ხშირად კითხულობდნენ, ვიდრე დგამდნენ. პიესის მთავარი მოქმედი გმირია ორლანელი ქალწული ჟანა დ'არკი, ვისი სახეობაც ყოველგვარ მისტიკურობას არის მოკლებული. ავტორისთვის ჟანა ადამიანია, რომელმაც ძალიან კარგად იცის, თუ რა და როგორ უნდა გააკეთოს სამშობლოს გადარჩენისთვის.

ნიგნს ერთვის თამარ კიკნაველიძის შესავალი წერილი – „იდეალიზმითა და ჰუმანიზმით გამოირჩეული შემოქმედებისთვის“.



თეატრი



თამარ კიკნაველიძე

თემო ნინუას SECOND HEND-ი

რუსთაველში გამოფენების ორგანიზების ტრადიცია გრძელდება

თეატრის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა ექსპოზიცია, რომელიც რუსთაველის თეატრში 25 მარტს გაიხსნა. „თვითონ განსაზღვრება – პერსონალური გამოფენა – იმდენად მასშტაბური და პრეტენზიულია, რომ მთლიანობაში, ვფიქრობ, არ შეესაბამება იმას, რასაც თეატრის ფოიეში წარმოვადგენ... ნამუშევრების უმრავლესობა ხომ მუზეუმში დაცული მასალიდან შეირჩა... რამდენიმე სახელოსნოდან ჩავიტანე, ან კერძო კოლექციიდან ამოვარჩიე და როდესაც დაფიქრდი, რა შეიძლება ამას დაერქვას მეთქი, ასეთი აზრი მომივიდა – SECOND HEND-ი და ასეც დავტოვე“, – გვითხრა სცენოგრაფმა **თემო ნინუამ**, რომელთან ინტერვიუც გამოფენის გახსნამდე ჩავინერეთ.

ხელოვანი მისთვის შეთავაზებულ თითოეულ ნინადადებას კონცეპტუალურად უდგება და ექსპოზიციის დასათაურებაც ამის მანიშნებელია. „მხატვრები მსახიობებზე უკეთეს მდგომარეობაში ვართ, რადგანაც ხელთ კოსტიუმების ესკიზები მაინც გვრჩება, მაკეტები კი სადურგლოში ჩადის და იშლება... ყველაფერი, რასაც სპექტაკლის შესაქმნელად ვაკეთებთ, მისი განხორციელების შემდეგ დანიშნულებას კარგავს და მეორადი ხდება. რა, ასე არ არის?“, – მეკითხება თემო ნინუა, რომელიც რუსთაველის თეატრში 1982 წლიდან მუშაობს. მის მიერ გაფორმებული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: „დაკრძალვა კალიფორნიაში“, „ასერგასის დღე“, „ნახვის დღე“, „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და პრეზიდენტი“, „სტიქსი“, „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“, „ჭალას ჩიტი მომკვდარიყო“ (რეჟ. რობერტ სტურუა), „სამანიშვილის დედი-

ნაცვალი“, „ჰამლეტი“ (რეჟ. გიზო ჟორდანიას), „პალატა №6“, „როზენკრატი და გილდესტერნი მკვდრები არიან“ (რეჟ. დავით ანდლულაძე), „ლეონსი და ლენა“ (რეჟ. ნანა კვასცვაძე), „ყაჩაღები“ (რეჟ. ნუკრი ქანთარია, ვილნიუსის რუსული დრამატული თეატრი), „ფსკერზე“ (რეჟ. გოგი ქავთარაძე, ბრატისლავას დრამატული თეატრი) და ა. შ.

1980 და 2000 წლებში იყო წლის საუკეთესო მხატვარი, 2010 წელს – საუკეთესო სცენოგრაფი. პრალის კვადრიენალზე ოქროს მედალი მანამდე მიიღო, სანამ თეატრში მივიდოდა. კითხვაზე, როგორ დაუკავშირდა მისი შემოქმედება თეატრს, მხატვარმა გვიპასუხა: – „სამხატვრო აკადემიაში იყო თეატრის ფაკულტეტი, რომელსაც მეოთხე კურსიდან ვირჩევდით. იქ ჩემზე წინ სწავლობდნენ: **მირიან შველიძე**, **უშანგი იმერლიშვილი**, **გოგი ალექსი-მესხიშვილი**, **იურა გეგეშიძე** და სხვები. მათ ნამუშევრებს რომ ვუყურებდი, ძალიან მომწონდა და მეც თეატრის მიმართულებით წავედი. მოგვიანებით ყველა გავიცანი, დავმეგობრდით და თეატრშიც აღმოვიჩინე. თავდაპირველად მოზარდ მაყურებელთა თეატრში ვმუშაობდი მთავარ მხატვრად, შემდეგ **გოგი ალექსი-მესხიშვილისა** და **გია ყანჩელის** დახმარებით რუსთაველის თეატრში დამიძახეს. პირველი სპექტაკლი, რომელიც გავაფორმე, რობერტ სტურუას „დაკრძალვა კალიფორნიაში“ იყო. ამას მოჰყვა რობიკოს მიერ ოპერის თეატრში დადგმული **ბიძინა კვერცხის** „იყო მერვესა წელსა“, სადაც ვერც მიხვდა მაყურებელი რა გავაკეთე... სცენაზე გავაკეთე უშველებელი ბასეინი, ერთ სცენაში კი **ზურაბ ანჯაფარიძე** ჩოგბურთის

მსაჯის სკამზე ხელში სასტვენით ადიოდა... შემსრულებელი გაგიჟებული იყო... რობერტ სტურუამ ოპერის მომღერლები დრამატული მსახიობები გახადა... თუმცა, პრემიერის ბოლოს, როდესაც ე. წ. „პაკლონზე“ გამოვიდოდით, რობიკო ორმოშო ჩავარდა და მაგრად გადარჩა... მაშინ ვერც ბიძინამ გაიგო რა ხდებოდა... სად შუშანიკი და სად ასეთი გარემო, იფიქრებდა, მაგრამ რეჟისორისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია“.

რუსთაველის თეატრის სცენოგრაფებს რობერტ სტურუასთან მუშაობა განსაკუთრებით უყვართ და ამ თვალსაზრისით არც თემო ნინუაა გამოწკინისი. გარდა იმისა, რომ მეგობრობენ, ერთმანეთის მოვალეობებიც იციან. „რასაც მაკეტის სახით ვაკეთებთ – ხელგარჯილობაა, რადგან საჭირო დეტალებს მცირე მასშტაბში ვამზადებთ და ეს ადვილი არ არის. ერთხელაც ასეთ ნანვალზე ერთ-ერთმა რეჟისორმა, რომლის სახელსაც არ დავასახელებ, ეს რა არისო, მითხრა და ფანქრით ყველაფერი მიმიყარ-მომიყარა და აი, ჩემი მასთან თანამშრომლობაც იქ დასრულდა... ზოგთან ურთიერთობა მიჭირს, რობიკოსთან კი მიადვილდება. ის გაძლევს მინიშნებას, რომლის განხორციელებაშიც თავისუფალი ხარ, რაც გინდა ის გააკეთე. მაგალითისთვის გავისხენებ „ასერგასის დღეს“, რომლისთვისაც დურალის უშველებელი დეკორაცია 31-ე ქარხანაში დავამზადებინეთ. თემურ, ბიჭო, აქედან სამი თვითმფრინავი გამოვიდოდაო, მითხრა მსახიობმა **ნოდარ მარგველაშვილმა**, მაგრამ რობიკოს ნათქვამი ჰქონდა, რაც გინდა გააკეთეო და ასეც მოვიქეცი. სცენის მთელ სიგრძეზე ჩავამწკრივე სკამები, რომლებზეც მსახიობები ადიოდნენ, ჩამოდიოდნენ და მღეროდნენ. ამით შემსრულებლებს სამოქმედო სივრცე შეეზუზლუდე, რაზეც სხვა რეჟისორი ალბათ არ დამთანხმდებოდა, რობიკო კი ამყვა და ჩემი შეთავაზება გამოიყენა“.

მის მიერ გაფორმებული სპექტაკლებიდან ყველაზე კარგად „დაკრძალვა კალიფორნიაზე“ მუშაობას

იხსენებს და აღნიშნავს: – „წარმატებული ნამუშევარი იყო. თუმცა, ამის პარალელურად რუსთაველის თეატრში ისეთი სპექტაკლები იყო წარმოდგენილი, რომ იმათ, რეზონანსის თვალსაზრისით, „დაკრძალვა კალიფორნიაში“ დაჩრდილეს. აი, ახლა რომ დადგმულიყო, მისი დონე და მხატვრული ხარისხი, ვფიქრობ, უკეთ გამოჩნდებოდა“.

თეატრის სახურავის ქვეშ განთავსებული სახელოსნოს კედლებზე მხატვარს ძველი ფოტოები აქვს მიკრული. ეს მამაჩემია, პროფესიით არქიტექტორი, აქეთ კიდევ მეგობრები: **მირიან შველიძე, მამია მალაზონია, ოლეგ ქოჩაკიძე**, – მეუბნება და ჩამონათვალს აგრძელებს. მის მოგონებებში განსაკუთრებულია ერთი დღე, როდესაც საკუთარი წარმატების შესახებ ტელევიზიით შეიტყო: – „ტელევიზორთან ვიჯექი, „ვრემია“ გადიოდა და უცებ გავიგონე, რომ ახალგაზრდა მხატვარმა თბილისიდან კვადრინალზე ოქროს მედალი მიიღო... მერე მოსკოვიდანაც დამირეკეს, მაგრამ იცით რა იყო? მაშინ ყველგან საბჭოთა კავშირის სახელით იმარჯვებდი, ახლა კი სხვაგვარად არის და კვადრინელზე მოპოვებულმა ჯილდომაც სხვა მნიშვნელობა შეიძინა. კარგად მახსოვს, როგორ შემხვდა **გოგი გუნია** ქუჩაში, ჩანთიდან ოქროს მედალი ამოიღო და მომცა... ამისთვის განსაკუთრებული



ესკიზი სპექტაკლისთვის „ნადირობის სეზონი“



ესკიზი სპექტაკლისთვის „სტიქსი“



სცენა სპექტაკლიდან „სტიქსი“

ყურადღება არც მიმიქცევია, მაგრამ როდესაც 1980 წელს პრალაში საპატიო ნევრად მიმიწვიეს და 195 ქვეყნის პავილიონი დავათვალიერე, მაშინ კი დამწყდა გული, ნეტავი 1979 წელსაც ვყოფილიყავი-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ გამოფენას უკვე როგორც ექს დაჯილდოებული ისე ვესწრებოდი“.

SECOND HEND-ის გახსნაზე ნერვიულობს. „61 წლის კაცი ვარ და რაღაცას თუ აკეთებ, კარგი უნდა გამოვიდეს. ძალიან მინდოდა დამთვალეირებლისთვის მხოლოდ ინსტალაცია შემეთავაზებინა „სტიქსიდან“, რომლის გაფორმებაც თავდაპირველად სხვაგვარად მქონდა ჩაფიქრებული. **ბუთხუზი ბასილია** „ჩხიკვთა ქორნილს“ აკეთებდა და მოსკოვში ვიყავი ჩასული, როდესაც რობიკო მოვიდა და „სტიქსზე“ დავილაპარაკეთ. პირველ ვარიანტში ფიგურები ჰაერში უნდა ყოფილიყო გამოკიდული, მაგრამ არ

გამოვიდა. თავიდან ვერც ვხვდებოდი რისი გაკეთება შეიძლებოდა ყანჩელის მართლაც გენიალურ მუსიკაზე, მაგრამ რობიკომ ყველაფერი შეძლო. დავალებას მივუდექი, როგორც პოდიუმს და მამაკაცები თეთრ ლაბადებში გამოვანყვე. თანაც, ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ქალაქში რევოლუციისთვის ემზადებოდნენ და გამოვიდა, რომ ჩვენ დავასწარით, ისევე როგორც ბევრ მოვლენას გაუსწრო რობიკომ... ვანგა ხარ-მეთქი, ვეუბნები ხოლმე... „სტიქსის“ ყოველ ნახვაზე ვრწმუნდები, რომ სტურუამ სათქმელს ზუსტად „ჩაავლო“ და მეც საჭირო ადგილას ისეთ დროს აღმოვჩნდი, როცა უნდა ვყოფილიყავი... ფოიესაც სწორედ „სტიქსის“ სცენოგრაფიის მიხედვით გავაფორმებ: დამთვალეირებელს დახვდება ჩამწკრივებული სკამები და მანეკენები სტურუას მიერ მოფიქრებულ პოზებში. ამის გვერდით კი გამოიფინება ესკიზები, რომელთაგან რამდენიმე არც კი მახსოვდა, რუსთაველის თეატრის მუზეუმის გოგობს შეუნახავთ და დიდი მადლობა მათ... ქალების ფიგურების გაკეთება მიჭირს, პარალონისგან მზადდება და არ ვიცი როგორი გამოვა... მაგალითად, კასრადის შავ კოსტიუმს ისეთი ლამაზი ზურგი აქვს, რომ კარგად უნდა იდგეს... ვნახოთ, დრო კიდევ დამრჩა და მოვასწარებ“, – ამბობს მხატვარი და ვატყობ, ნერვიულობს. რუსთაველის თეატრი თემო ნინუას გამოფენის სამზადისშია, დამთვალეირებელი კი – მოლოდინში.

შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო დრამატული თეატრი
მის.: რუსთაველის გამზ. 17
ტელ.: 72 68 68
www.rustavelitheatre.ge



წუსთაველის თეატრი

1 აპრილი
რეჯინალდ როუზი
თორმეტი ბანარისაგზული
მამაკაცი

რეჟ.: რობერტ სტურუა, რევაზ ჩხაიძე
ერთ მოქმედებად
დიდი სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

3 აპრილი
უილიამ შექსპირი
სოზის მათორება ღამე,
ანუ რომორც გაეხაოთ

რეჟ.: რობერტ სტურუა
ორ მოქმედებად
დიდი სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

4 აპრილი
ალბერ კამიუ
პირველი ადამიანი (საფრანგეთი)

რეჟ.: ჟან-პოლ შინტუ
ერთ მოქმედებად
ექსპერიმენტული სცენა. დას.: 19:45
ფასი: 15 ლარი

5 აპრილი
ერიკ-ემანუელ შმიტი
სტუმარი

რეჟ.: გოშა გორგოშიძე
ერთ მოქმედებად
ექსპერიმენტული სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7 ლარი

6, 13, 19, 27 აპრილი
უილიამ შექსპირის მიხედვით
ჰამლეტი.COMX

რეჟ.: ლევან ხვიჩია
ერთ მოქმედებად
ექსპერიმენტული სცენა. დას.: 19:45
ფასი: 8, 10 ლარი

6 აპრილი
პიტერ ტურინი
რომორც იქნა

რეჟ.: იოსებ ბაკურაძე
მონო-სპექტაკლი ერთ მოქმედებად
IV სარეპეტიციო. დას.: 19:45
ფასი: 10 ლარი

7 აპრილი
რონალდ ჰარვუდი
მოსუცი ჯამბაზები

(ჯემალ ლაღანიძის
ვარსკვლავის გახსნა)
რეჟ.: გოჩა კაპანაძე

ორ მოქმედებად
მცირე სცენა. დას.: 19:45
ფასი: 20, 25, 30, 35, 40 ლარი

8 აპრილი
ლიდ და მანდალა
(თანამედროვე ცეკვა)

ქორეოგრაფი: კაროლინ კარლსონი
(საფრანგეთი)
ორ ნაწილად
დიდი სცენა. დას.: 19:45
ფასი: 7-35 ლარი

10 აპრილი
ირაკლი სამსონაძე
ვანილის მოტაპო, სეპლიანი
სურნალი

რეჟ.: რობერტ სტურუა, ანდრო ენუქიძე
ორ მოქმედებად
დიდი სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

12 აპრილი
ალეკი ბლაიტი
ვგავართ ახლა ჩვენ
ლტოლვილებს?!

რეჟ.: ალექი ბლაიტი
ერთ მოქმედებად
ექსპერიმენტული სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7 ლარი

13, 27 აპრილი
როლანდ შიმელბუფენიგი
ქალი წარსულიდან

რეჟ.: მაკა ნაცვლიშვილი
ერთ მოქმედებად
მცირე სცენა. დას.: 19:45
ფასი: 8, 10 ლარი

14, 28 აპრილი
ზურაბ ანტონოვი
მზის დაბნელება
საპარტიველოში

რეჟ.: გოჩა კაპანაძე
დრამა ორ მოქმედებად
მცირე სცენა. დას.: 19:45
ფასი: 8, 10 ლარი

14 აპრილი
გიო მგელაძე
ბანილიმთი, ჩიტი
ბამოფრინდება

რეჟ.: გიო მგელაძე
ერთ მოქმედებად
ექსპერიმენტული სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7 ლარი

15 აპრილი
ფრიდრიხ დიურენმატი
ვთამაშობთ სტრინდუარს

რეჟ.: რობერტ სტურუა, ანდრო ენუქიძე
ერთ მოქმედებად
დიდი სცენა. დას.: 19:45
ფასი: 10 ლარი

16 აპრილი
ირაკლი სამსონაძე, გიორგი თავაძე
ღაგოლილი მთვარი

რეჟ.: გიორგი თავაძე
კომიკური იგავი ერთ მოქმედებად
დიდი სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

17 აპრილი
ილია ჭავჭავაძე
პასცია-ადამიანი?!

რეჟ.: რობერტ სტურუა, ლილი ბურბუ-
თაშვილი
ერთ მოქმედებად
დიდი სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

20, 21 აპრილი
რაღაც უპითეისი მოხდება

IV სარეპეტიციო
დას.: 19:45
ფასი: 8, 10 ლარი

26 აპრილი
ვაჟა-ფშაველა
სტუმარ-მასპინძალი

რეჟ.: გოშა გორგოშიძე
ერთ მოქმედებად
მცირე სცენა. დას.: 19:45
ფასი: 8, 10 ლარი

28 აპრილი
რადოსლავ პაჩოხა
ბენიამინი

რეჟ.: ტომას ლეშჩინსკი, ირაკლი გოგია
ერთ მოქმედებად
ექსპერიმენტული სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7 ლარი

30 აპრილი
მურმან ჯინორია
„პარი მწყურია მე პირდაპირი“

რეჟ.: მურმან ჯინორია
ერთ მოქმედებად
ექსპერიმენტული სცენა. დას.: 19:45
ფასი: 6, 7 ლარი

ნოდარ ტაბიძე – 80



იოსებ ჭუმბურიძე
ბრინჯაოს მოძღვარი

ლექტორი ბევრია, მოძღვარი – ცოტა.
ნოდარ ტაბიძე მოძღვარია.

სულხან-საბას მიხედვით, მოძღვარი იგივე ოსტატია.

ნოდარ ტაბიძე ოსტატია, ვინც ძალდაუტანებლად წვრთნის სტუდენტის კალამსა და გონებას.

ამ ოსტატმა ქართველ ჟურნალისტთა (პუბლიცისტთა!) მრავალი თაობა განვრთნა.

განვრთნა საკუთარი მეთოდით და ემილ ზოლასეული პრინციპით: „არც ერთი დღე – უსტრიქონოდ!“

ტოტალიზატორიზმის ეპოქაში ის ნამდვილ რეფორმატორად და ნოვატორად გვევლინებოდა. იმ დროს, როცა ინდივიდი (მით უმეტეს – პიროვნება!) არავის აინტერესებდა, პროფესორი ნოდარ ტაბიძე ჯიუტად წერდა და ამბობდა: „თითოეული სტუდენტი საიდუმლო კუნძულია, რომელიც უნდა აღმოაჩინო“.

უძრავობის ხანაში, როცა თავისუფლების მოჩვენებითი სიოც კი არსაიდან ქროდა, პროფესორ ნოდარ ტაბიძეს შეეძლო ეთქვა: „გაზაფხულის ასეთ დღეს რომ სტუდენტი ლექციაზე დაჯდება, მისგან ჟურნალისტი არ გამოვა“.

ეს არამხოლოდ რეფორმატორობა და ნოვატორობა, დისიდენტობა იყო. ამით, თავისუფლების მნიშვნელობაზე მიგვანიშნებდა.

თავისუფლებას გვაჩვენებდა.

მის ლექციას კი აბა ვინ გააცდენდა!

რაგინდ დიდი და გამორჩეული იყოს მოღვაწე, ის ღვთისგან მაინც ერთი უმთავრესი მისიითაა მოვლინებული.

ნოდარ ტაბიძე, უწინარესად, იმისთვის გაჩენილა, რომ ლექცია ჩაატაროს.

თუმცა ბატონი **ვახტანგ ჯავახიძე** სხვაგვარად ფიქრობს და თავის მეგობარს ასე მიმართავს:

„როგორც კი ამ სტრიქონებს წაიკითხავ, გაათავისუფლე შენი სამუშო მაგიდა, გვერდზე გადადე ყველა სხვა ჩანაფიქრი (სხვებს სხვებიც მოუვლიან) და მხოლოდ გალაკტიონთან, გალაკტიონის ირგვლივ, გალაკტიონის გამო, მხოლოდ და მხოლოდ გალაკტიონზე“.

წერს კიდევ და ამდიდრებს გალაკტიონოლოგიას.

მაგრამ სხვა ჩანაფიქრებიც რომ უიმისოდ არ ასრულდება?!

ჟურნალისტიკის თეორიას ვინ უნდა მიხედოს?

და, აი, უკვე გამოვიდა ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის ნაყოფი, რასაც დიხანს ველოდით – „პუბლიცისტიკის საკითხები“.

ამ წიგნით შეეგება იგი თავისი დაბადების 80 წლისთავს.

ეს თარიღი 18 მარტს ლამაზად აღნიშნა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციამ.

იყო შესავალი სიტყვა და მისასალმებელი ადრესი – ასოციაციის თავმჯდომარე **ლია ნადარეშილი**. იყო კოლეგათა, მეგობართა და მოწაფეთა გულწრფელი გამოსვლები – **ნათელა არველაძე, მაკა ჯოხაძე, მარიამ ცაცანაშვილი, მაყვალა გონაშვილი, ნატო კორსანტია, ჯანსუღ ჩარკვიანი, რევაზ სირაძე, ემირ ბურჯანაძე, რეზო ადამია, გვანჯი მანია, ზურაბ ჩიქოვანი...**

სალამოს მთავარი ხიბლი კი იყო ნოდარ ტაბიძისადმი მიძღვნილი სტატიებით შედგენილი კომპოზიცია, რომელიც მსახიობმა **თინათინ ელბაქიძემ** ჩვეული ოსტატობით წარმოადგინა – ფაქტობრივად მისი (ერთი მსახიობის პუბლიცისტური) თეატრის მორიგი პრემიერა!

კომპოზიციას, „ბრინჯაოს მოძღვარი“ ერქვა.

სათაური ისედაც გასაგები უნდა იყოს, მაგრამ ალბათ მაინც უნდა აიხსნას.

ამას კომპოზიციის ერთი ფრაგმენტი გვეტყვის: „აკადემიკოს ანგია ბოჭორიშვილის ოჯახში დიდი ღვინია. თვითონ მასპინძელი თამადაობს. ჯერი ნოდარ ტაბიძის სადღეგრძელოზე მიდგა. ენამზეობს თამადა, ალავერდს ოთარ ტაბიძესთან გადადის (ფსიქოლოგიის დოქტორთან, სახელოვან სწავლულთან).“

ბატონი ოთარი ამბობს:

„ტაბიძეებში ოქროს მედალი გალაკტიონს ეკუთვნის, ვერცხლისა – ტიცციანს, ბრინჯაოსი კი – შენთვის დამითმია, ნოდარ!“

ამ ფრაგმენტს ლამაზად მოსდევს და ბუნებრივად ერწყმის **ელგუჯა მარლიას** ლექსის სტრიქონები:

წელგამართული მეტად
ხართ მადლიერი ხვედრის
გალაკტიონთან ერთად
და ტიცციანის გვერდით.

და, საერთოდ, იმ საღამოს ყველაფერი იყო ლამაზი, სიმბოლური და, რაც მთავარია, გულითადი იყო.

სხვაგვარად ვერც იქნებოდა.

მოძღვარს უგულოდ არ ელაპარაკებია.

პრეზენტაციები

ბესიკ ხარანაული ილიას უნივერსიტეტში

გაზაფხულის პირველივე დღეები განახლების და პოეტური აღმავრენის მაუნყებელი აღმოჩნდა ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, რადგან ჯერ კიდევ გაზაფხულამდე ორი კვირით ადრე, სოციალურ ქსელში გაჩნდა ერთი კარგი დღის ანონსი. ეს დღე, სტუდენტებთან პოეტის – ბესიკ ხარანაულის შეხვედრას გულისხმობდა.

შეხვედრის ინიციატორი და ორგანიზატორი, პროფესორი, თავადაც პოეტი ცირა ბარბაქაძე გახლდათ. მან სტუდენტებს ბესიკ ხარანაულის პოეზიის გაცნობა სთხოვა, რათა განწყობით და აზროვნებით ამ შეხვედრისთვის საგანგებოდ მომზადებულიყვნენ. სტუდენტებმაც, ზოგმა წიგნში და ზოგმაც ელექტრონულ ბიბლიოთეკაში, ბესიკ ხარანაულის ლექსები მოიძიეს, წაიკითხეს და ამ ლექსების კარგი ნამკითხველები მაშინვე მიხვდნენ, თუ რა კანონზომიერი რამ ხდებოდა მათ თავს, გაზაფხული იმ პოეტთან ერთად რომ იწყებოდა, ვისი შემოქმედებაც სწორედ გაზაფხულის უსაშველოდ დიდი ვნებითა და მოლოდინითაა ნაჯერი.

14 მარტს წიგნის მალაზია კაფე „ლიგამუსში“ ეს შეხვედრაც შედგა და ამ კანონიერ თანხვედრას – პოეტისა და გაზაფხულისა, ყველანი, სტუმრებიც და მასპინძლებიც თანაბრად გრძობდნენ.

სტუდენტებმა – ნათია იმერლიშვილმა, ეკა ატოშვილმა, დავით კამკამიძემ, თათია კობიძემ, ანასტასია ინასარიძემ ბესიკ ხარანაულის ლექსები წაიკითხეს, ზოგიერთს ესეც კი დაუწერია ამ პოეზიის შთაბეჭდილებით და თავიდან მოკრძალებით, თუმცა გზადაზგა შემატებული მხნეობით, პოეტს თავიანთი ნააზრევიც გაუზიარეს. დროდადრო კითხვა საუბარში

გადადიოდა და ბესიკ ხარანაულის უშუალობა, განუმეორებელი იუმორი იქ მყოფებზე გადამდებად მოქმედებდა.

თავად პოეტი ჩაის სვამდა და თავისი მეტაფორებით ღმერთსა და ადამიანზე ლაპარაკობდა. შემოქმედებით პროცესზეც ისაუბრა, იმაზე, თუ როგორ უნდა იგრძნოს ავტორმა, თავისი ტექსტი უკვე ლექსია თუ ჯერ არა. ამისთვის ერთი საზომი მაქვსო, ბრძანა, – გული უნდა შემეძრასო. გული ერთადერთი რამეა ადამიანისთვის, რაც იძვრის, გონება – ჩემი უძრავი ქონებააო.

სწორედ ასეთ, ხარანაულის გულისშემძრავ პოეზიაზე ისაუბრეს პოეტებმა – მარიამ ნიკლაურმა და მარიამ ხუცურაულმა.

მარიამ ნიკლაურმა ის ქალაქი ახსენა, სადაც, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, გალაკტიონი დაიარებოდა, ზუსტად ასევე ხვდებოდა ახლაგაზრდებს, გამვლელებს, ნაცნობებს და უცნობებს, ზუსტად ასევე ესაუბრებოდა და მაშინაც, ალბათ, ბევრი ვერ იტყვდა ამ შეხვედრების მთელ მშვენიერებას, რადგან, ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ეს გალაკტიონი იყო. ასეთივე განცდით ესახება მას დღევანდელი ქალაქიც, ზოგადად – სამყარო, სადაც ცხოვრობს და დადის ბესიკ ხარანაული, ხვდება სტუდენტებს, გამვლელებს, და როგორც თანადროული ფამის თვისებაა – ცხადია, ვერც ეს დრო იტევს ამ შეხვედრის მთელ სიმაღლეს. იქნებ აქედან მოდის ხარანაულის ერთი ლექსის სტრიქონიც – ჩვენ, ადამიანები, არამარტო დღესასწაულებს, ერთმანეთსაც უნდა დავესწროთ.

14 მარტს, კაფე „ლიგამუსში“, ამ თანადანსრებულობას ყველა თავისებურად, მშვიდად ან ცხადი ალტაცებით დღესასწაულობდა.




„წითელი“ და „ხელით ნაქსოვი თოჯინები“ – ორი მწერლის სიმბოლური საზი ერთიანი

გამომცემლობა „საუნჯემ“ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი გამოცემები შემატა თანამედროვე ქართულ მწერლობას – დიანა ანფიმიადის, შოთა იათაშვილის, ნიკა ჯორჯანელის, გივი ალხაზიშვილის, კატო ჯავახიშვილის წიგნების სახით. 5 მარტს კი „მაგთიკლუბში“ ამავე გამომცემლობის მიერ ახლადგამოცემული ორი ახალი პროზაული კრებულის წარდგინებაც გაიმართა. ბესო ხვედელიძის „წითელი“ და უჩა ზაქაშვილის „ხელით ნაქსოვი თოჯინები“ უამრავი მწერლისა

თუ მკითხველის შეკრების მიზეზი გახდა. ბესო ხვედელიძისთვის ეს რიგით მეტერთმეტე კრებულია, ხოლო უჩა ზაქაშვილისთვის – პირველი, სადებიუტო გამოცემა. ავტორებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი ამ სამი ერთიანის სიმბოლურობას. ბესო ხვედელიძე გამომცემლობა „საუნჯის“ კონსულტანტია და ამასთანავე უჩა ზაქაშვილის წიგნის რედაქტორიც.

სალამოს ნაყვანის პატივი ერეკლე დეისაძეს ხვდა წილად, რომელმაც თავისი კეთილგანწყობა გამოხატა ორივე ავტორი-





სადმი და პირველი სიტყვა პოეტ გივი ალხაზიშვილს გადასცა. თავდაპირველად ბატონმა გივიმ ბესო ხვედელიძეზე ისაუბრა: „მინდა საუბარი ბესო ხვედელიძის ერთ-ერთი მოთხრობის, „წითელის“ ე. წ. იმიტაციითა თუ პაროდით დავიწყო. „ბესიყვი ვიცოდი, რომ ყარგი სიტყვები მეთქვა, მაგრამ აღარ მახსენდება“. ეს ხუმრობაა, ცხადია, ისევე როგორც იმ ნაწარმოებშიც ეს ფონეტიკური ხუმრობაა, რომელიც შემდეგ ძალაუზნებურად გადადის სემანტიკურ ხუმრობაში და იძლევა ძალიან მნიშვნელოვან ეფექტს, და არა მხოლოდ ღიმილს. ღიმილის გარდა იქ არის სიღრმე, სხვა პლანი, რადგან შეუძლებელია, წარმოუდგენელია გროტესკს არ ჰქონდეს მეორე პლანი. ამიტომაც არის ეს წიგნი კარგი, მას გააჩნია სიღრმე, ქვეტექსტი. ჩვენ საქმე გვაქვს მნიშვნელოვან მწერალთან, რომელსაც შეუძლია, სიტყვით რაც უნდა ის აკეთოს. ეს დაამტკიცა იმ მოთხრობებმა, რომელიც ამ წიგნშია წარმოდგენილი“. ამის შემდეგ გივი ალხაზიშვილმა დებიუტანტ ავტორსაც მიულოცა პირველი კრებულის გამოცემა: „უჩა ზაქაშვილის ერთადერთი მოთხრობის წაკითხვა მოვასწარი, ეს გახლავთ „აბიანური“, რომელიც აბიანურის გვარის ლეგენდას ეხება. მწერალი საოცრად ბუნებრივად ახერხებს შეგვიყვანოს ამ გვართან არსებულ ლეგენდაში, ლეგენდა აქციოს ლაბირინთად, საიდანაც შემდეგ გამოსვლა ჭირს. ეს ყველაფერი შესრულებულია ჩემთვის გასაკვირი ენით და მისასალმებელია, იმიტომ, რომ მსგავსი ქართული ამ თაობის პროზაიკოსებში იშვიათად გვხვდება“.

„წითელში“ ბესო ხვედელიძის ბოლო დროს დაწერილი შვიდი მოთხრობაა შესული: „ეს საქართველოა“, „ციკლალოლადა“, „სიკვიდლის ბორბალი“, „ბოლო გასვლა“, „გადაკვეთის წერტილი“, „სველზე სველი“, „წითელი“. რაც შეეხება წიგნის სახელწოდებას, ბესო ხვედელიძის აზრით: „სათაური განაპირობა ჩემმა ერთ-ერთმა მოთხრობამ ამავე სათაურით, რომელიც ამ კრებულის ცენტრალურ, მაგისტრალურ მოთხრობად მესახება. ეს სიტყვა, „წითელი“ ჩემთვის ასოცირდება ხოლმე მარადიულ წრებრუნვასთან და აი, იმ სისხლთან, რომელიც ყველა ადამიანს, ყველა სულიერს ერთი ფერის გვაქვს“.

ავტორებს ახალი კრებულების გამოცემა პოეტმა შოთა იათაშვილმაც მიულოცა. აღნიშნა, რომ ბესო ხვედელიძის შემოქმედებაზე არაერთხელ დაუწერია და მისი წიგნების პრეზენტაციებზეც ხშირად გამოსულა სიტყვით. ამჯერად კი მის შეფასებ-

სას მხოლოდ მოკლე რეპლიკით შემოიფარგლა: „ბესო არის ავტორი, რომელიც სულ მუდამ რალაც განსაკუთრებულს იძლევა. ანუ მისი ხელწერა, რომელიც თითქოს უცვლელია, მუდმივად დინამიკაშია. ეს ახალი წიგნი, მისი ამ მოძრაობის ახალი წერტილი იქნება“. უჩა ზაქაშვილთან დაკავშირებით კი გაიხსენა, რომ პირველად სწორედ მან დაბეჭდა ამ ავტორის ლექსები **„ჟურნალ „ალტერნატივაში“** და აღნიშნა, რომ რამდენადაც ავტორის პირველი კრებული პროზაულია, შესაძლოა, ბევრს არც ცვლდნოდა, რომ უჩამ წერა ლექსებით დაიწყო. თავადაც ძალიან გაუკვირდა, როდესაც უჩა ზაქაშვილის პროზაული კრებულის გამოსვლის შესახებ შეიტყო, თუმცა წიგნის წაკითხვის შემდეგ ბევრად უფრო გაკვირვებული დარჩა: „უჩას მოთხრობებში ხდება ბედისწერასთან ბრძოლა. ადამიანები თითქოს ებრძვიან თავიანთ ბედისწერას. აქ მიდის ომი არა კონკრეტულად ადამიანებს შორის, თუნდაც გროზნოს ეპიზოდში, არამედ ეს არის ომი ბედისწერასთან. ეს ბრძოლა კი დაწერილია ძალიან კარგი ქართულით. ბედისწერასთან ბრძოლას ძალა უნდა. აი, ეს ძალა იგრძნობა ტექსტში“.

უჩა ზაქაშვილმა „ხელით ნაქსოვი თოჯინებზე“ მუშაობა 2007 წლიდან დაიწყო. წიგნში რვა მოთხრობაა შესული: „ხელით ნაქსოვი თოჯინები“, „აბიანური“, „ციხე“, „მდინარე“, „ნადი“, „კალოთანა“, „გროზნო უშაქროდ“, „VI R – 100“. მანაც წიგნის სათაური კრებულში შესული ერთ-ერთი მოთხრობის მიხედვით შეარჩია და ეს არჩევანი ასე განგვიმარტა: „ჩემი მოთხრობების პერსონაჟები, ისევე როგორც ცხოვრებაში – ადამიანები, რალაც გარემოებიდან გამომდინარე თოჯინების როლში არიან. ხანდახან კი, რალაც ექსტრემალური სიტუაციის გამო, მოგვაგონებენ თოჯინებს, რომელთაც ვილაც ან რალაც სიტუაცია მართავთ“.

ბესო ხვედელიძემ, როგორც ამ წიგნის რედაქტორმა მიულოცა დებიუტანტ მწერალს პირველი კრებული და ასე შეაფასა იგი: „უჩას სახით კიდევ ერთი ძლიერი პროზაიკოსი შეემატა ქართულ მწერლობას, და ეს წიგნი არის სერიოზული დებიუტი“.

„მაგთიკლუბში“ მისულ სტუმრებს საღამოს მთავარი გმირები ორი ახალი კრებულის გარდა ჭიქა ღვინითა და სასიამოვნო მუსიკითაც გაუმასპინძლდნენ. ამ უკანასკნელზე კი, მომღერალმა **ნინო გუგუშვილმა** თავის **ბენდ „გვემელონიან“** ერთად, **„მთვარის კლუბმა“** და დასასრულ **რობი კუხიანიძემ** იზრუნეს.

შეხვედრა ბათუ დანელიასთან

რილკესთვის მიწერილ წერილში, მარინა ცვეტაევა ამბობდა: „აღამიანი იმიტომ ხდება პოეტი (თუკი საერთოდ შესაძლებელია გახდომა, თუკი უკვე ყველაფრის წინარე არ ხარ პოეტი!), რომ არ იყოს ფრანგი, რუსი და ა. შ. არამედ იყოს ყველა და ყველაფერი... ეროვნულობა იგულისხმება და თან გამორიცხულია“.

სწორედ ასე – ეროვნულობაც (ანუ, უპირველესად, ენა!) იგულისხმება პოეტმა ბათუ დანელიამ, და ამავდროულად გამორიცხა კიდევ ეს ფენომენი მაშინ, როცა შეუდგა ორი რუსი პოეტის, ბორის პასტერნაკის და იოსიფ ბროდსკის ლექსების თარგმნას და, აქცია ეს პოეზია „ყველად“ და „ყველაფერად“, ამ შემთხვევაში, ქართულ ენაზე.

2 მარტს, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართა შეხვედრა ბათუ დანელიასთან. პოეტმა ორი თარგმნილი კრებული წარადგინა: ბორის პასტერნაკის „იური ჟივავოს ლექსები“ და იოსიფ ბროდსკის „ბროლის კუნძული“. საღამოს მწერალი და კრიტიკოსი ზაზა აბზიანიძე უძღვებოდა და საუბრის დასაწყისში მან ამ შეხვედრის ღრმად ადამიანურ-საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, რაც ორი ერის – ქართველების და რუსების კულტურულ ურთიერთობას ეხება. გამწვავებულ და ხშირ შემთხვევაში განგებ გართულებულ სიტუაციაში, სწორედ ხელოვნებაში, კულტურაში საერთო ენის გამონახვაა ფასდაუდებელი და საშური საქმე, ამ ურთიერთობების დასალაგებლად, მდგომარეობის განსამუხტავად.

საღამო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა ირმა რატიანმა გახსნა. დარბაზში ბათუ დანელიას პოეზიის თაყვანისმცემლები, ზოგადად, ლიტერატურის მოყვარულნი, მწერლები და მცენიერები

შეიკრიბნენ. ზაზა აბზიანიძემ შეხვედრას ვრცელი ექსკურსი წაუძღვარა, სადაც სტუმრებს ბროდსკისა და პასტერნაკის შესახებ მოუთხრო, ასევე საინტერესოდ ისუბრა მათ ქართულ კონტექსტზე.

პროფესორმა მანანა კვაჭანტირაძემ ინა კულიშოვას წერილი მოიხმო, სადაც ბროდსკის საქართველოში ერთადერთ ვიზიტზეა მოთხრობილი. თუკი პასტერნაკისთვის საქართველო მეორე სამშობლოდ ითვლებოდა და აქ უამრავი მეგობარი ჰყავდა, იოსიფ ბროდსკისთვის ეს განცდა შედარებით უცხო იყო. ის მხოლოდ ერთხელ ჩამოვიდა საქართველოში, სტუმრად ძმებ ჭილაძეებთან და არსებობს ცნობილი ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ აჩუქა აეროპორტში უმცროს ძმას – ოთარ ჭილაძეს, თავისი ერთადერთი ბიბლია. ცხადია, ქართველი მწერლისთვისაც და რუსი პოეტისთვისაც, ეს საჩუქარი – ბიბლია – რასაც ნიშნავდა.

პოეტმა და კრიტიკოსმა ემზარ კვიციანიშვილმა ყურადღება მთარგმნელის ალლოზე გაამახვილა. „საინტერესოა, რას თარგმნის თავად პოეტი, რომელ ლექსებს ირჩევს სათარგმნად“, – აღნიშნა მან და, იქვე ახსენა გახმაურებული ციკლი – იური ჟივავოს ლექსები, რომლებიც გენიალურად თარგმნა ბათუ დანელიამ და, ეს უტყუარი ალლო – არჩევანი თარგმანისას – დღემდე შეინარჩუნა.

ბათუ დანელიას თარგმანის ლიტერატურულ მნიშვნელობაზე, ოსტატობაზე ისაუბრეს – მთარგმნელმა გივი შაჰნაზარმა, ლიტერატორმა გაგა ლომიძემ.

ამ ყველაფერს კი, დროდადრო, ინტერმეცოს სახით ერთვოდა თავად ბათუ დანელიას მიერ განუმეორებელი მუსიკით წაკითხული საკუთარი თარგმანები, პასტერნაკის და ბროდსკის ყველასთვის საყვარელი, ცნობილი, ძვირფასი ლექსები.

„სინათლის მაკეპარი“ „გზააბნეულთა“ მეოხად...

2011 წლის 20 თებერვალს ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „იმედის გმირებმა“ წარმოგვიდგინა ყურნალისტ მარიკა ბაკურაძის ფილმი უსინათლო ახალგაზრდა ბჭის – 26 წლის დათო ყვირილიანის შესახებ. მისი ისტორია ძალიან შთამბეჭდავი და ამაღლევებელი იყო: შვიდი წლიდან სრულიად უსინათლო, აფხაზეთიდან დევნილი, გემზე სრულიად მარტო აღმოჩნდა მშობლების გარეშე, მეზობლების იმედად. დღეს ის უსინათლოთა გაერთიანებაში მუშაობს, მის მოვალეობებში დევნილი უსინათლოებისთვის დახმარების მოპოვება, საქველმოქმედო ორგანიზაცი-

ებთან ურთიერთობა და მსგავსი პროექტების განხორციელება შედის. ამ გზით დღეს ის თავად ეხმარება უამრავ უსინათლოს. სამსახურში მისასვლელად ყოველდღე თბილისის ზღვიდან ფონიჭალამდე მანძილს მარტო გადის. ასევე განსაკუთრებულად ამაღლევებელი იყო ყაზბეგში, ერთ-ერთ მწვერვალზე მისი ასვლის კადრების ხილვა, ამ ასვლის შემდეგ იგი მსოფლიოში მე-9 ადამიანი გახდა, ვინც ასეთ მდგომარეობაში მსგავსი რამ მოახერხა.

მარიკა ბაკურაძე: „იმედის გმირები“ სხვა ტელე-პროექტებისგან გამოირჩევა იმით, რომ ის მოგვითხრობს ჩვეულებრივ,





დათო ყვირილიანი

თუმცა ამავდროულად გამორჩეულ ადამიანებზე. ხალხზე, რომელთა ცხოვრების წესი მართლაც გამირობის ტოლფასია, ან ერთი კონკრეტული ქმედებით მათ გამირის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს. ესაა სოციალური პროექტი, რომელსაც ეთერში გასვლის შემდეგ ყოველთვის მოაქვს კონკრეტული შედეგები ამ ადამიანებისთვის“.

ფილმიდან გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც არა მხოლოდ მთავარ გმირს, არამედ საერთოდ ყველა უსინათლოს ანუხებს, ეს არის ბრაილის შრიფტით გამოცემული ლიტერატურის ნაკლებობა. რასაც მხოლოდ თითოთოროლა გამოცემით თუ ივსებენ, მათ შორის აღსანიშნავია ბრაილის შრიფტით შესრულებული ქართული პროზისა და პოეზიის ანთოლოგიები, რომლებიც არც ისე დიდი ხნის წინ **დათო ყვირილიანისა და გია ჯვარშიშვილის** («კრეატიული სტუდია») თაოსნობით გამოიცა.

ფილმის ეთერში გასვლის შემდეგ ლიტერატურულმა ინტერნეტ საიტმა **ლიბ.ჯი-მ და სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ** ერთობლივად გადანყვიტეს სპეციალურად უსინათლოებისთვის შექმნათ აუდიო ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსდებოდა აღნიშნულ საიტზე და ყველა უსინათლოს და არა მხოლოდ მათ, საშუალება ექნებოდათ ნებისმიერ დროს ესარგებლათ ამ ფუნქციით. სპეციალურად ამ პროექტისთვის **საზოგადოებრივი მაუწყებლის „რადიო ერთმა“** ხმის ჩამწერი სტუდია გამოყო, რათა თანამედროვე ავტორებს თავიანთი ნაწარმოებები ჩაენერათ.

ლიბ.ჯი-ს დამფუძნებელი **გიორგი კეკელიძე**: „პროექტის განხორციელება რალაც ფორმითადრევე იყო ჩაფიქრებული, თუმცა ეს უფრო მტკიცედ „იმედის გმირებში“ ერთ-ერთ უსინათლო ადამიანზე გასული სიუჟეტის შემდეგ გადავწყვიტეთ. თანადგომა ჩვენმა მეგობარმა **სალომე ბენიძემ** გაგვინია სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროდან, ასევე პირველმა რადიომ. ჩავწერეთ ნაწილი თანამედროვე ავტორებისა. შემდგომში იგეგმება დანარჩენი პოეტებისა და მწერლების

ჩანერაც. ერთ-ერთი მთავარი მიმართულება არის კლასიკური ლიტერატურის აუდიო-ბაზის შექმნა – ნაიკოთხავენი მსახიობები. იგეგმება ტექნიკური ნიუანსების ცვლილება, რათა ყველაფერი იყოს ხმოვანი – ავტორის სახელი, ნაწარმოების სათაური და ა. შ. პრეზენტაცია გაიმართა გადაცემაში „ცხოვრება მშვენიერია“.

პროექტის პირველი ნაწილი წარმატებით განხორციელდა და შედეგად **ლიბ.ჯი-ს** საიტზე უკვე შეგიძლიათ შემდეგი თანამედროვე პოეტების შემოქმედებას მოუსმინოთ: **გივი აღსაზიშვილი, დიანა ანფიმიადი, გიორგი არაბული, შალვა ბაკურაძე, სალომე ბენიძე, რეზო გეთიაშვილი, თამთა დოლიძე, შოთა იათაშვილი, ნატო ინგოროყვა, ირაკლი კაკაბაძე, გიორგი კეკელიძე, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, ნათია ნაცვლიშვილი, ნინო სადღობელაშვილი, ლელა სამნიაშვილი, ეკა ქევანიშვილი, პაატა შამუგია, კატო ჯავახიშვილი, გვანცა ჯობავა, ნიკა ჯორჯანელი.**

მარიკა ბაკურაძე: „ვფიქრობ, რომ ეს ახლადმომზადებული აუდიოლიტერატურა მართლაც განსაკუთრებული გამოვიდა როგორც ჩემი გამირისთვის, ისე საერთოდ უსინათლოებისთვის და სხვათა შორის არა მხოლოდ მათთვის. პირადად მეც უკვე არაერთხელ ვესტუმრე ამ საიტს, მოვუსმინე თანამედროვე ავტორების შემოქმედებას და დიდი სიამოვნებაც მივიღე. მიხარია, რომ ასეთი შესანიშნავი იდეა ჩემი ფილმის შედეგია. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა პროექტის ავტორებს“.

პროექტის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ მისი ავტორები ფონიჭალაში უსინათლოთა გაერთიანებას ეწვევიან და უშუალოდ იმ ადამიანების აზრი მოისმინეს, ვისთვისაც ეს პროექტი განხორციელდა. აღმოჩნდა, რომ მათ რიგებში აუდიო ბიბლიოთეკა უკვე დიდი მონონებით სარგებლობს და უფრო მეტიც, მათ თვითონვე შესთავაზეს, რომ „კრეატიული სტუდიის“ თანადგომით, თავადაც ჩანერდნენ საკუთარ და მათთვის სასურველი ავტორების ნაწარმოებებს აუდიო-ფორმატში. ამ ეტაპზე ეს პროცესი უკვე აქტიურად მიმდინარეობს და სამომავლოდ აუდიო ბიბლიოთეკა კიდევ არაერთი ავტორის შემოქმედებით გამდიდრდება.